240
1963
24-B

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

## საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# მოამბე

# ВЕСТНИК

## Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

XXIV—B

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 19[illegible] — ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

## საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# მოამბე

# ВЕСТНИК

## Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

XXIV–B

9412

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1963—ТБИЛИСИ

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV-B, 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. თევზაძე

# საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ისტორიიდან

(რკინიგზის მუშათა კავშირი გლეხობასთან)
1905 — 1907 წწ.

მუშათა და გლეხთა კავშირის იდეა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ქვაკუთხედია და წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების საქმეში.

მარქსიზმის ფუძემდებლები—კ. მარქსი და ფ. ენგელსი, იხილავდნენ რა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საკითხს, მასში გლეხთა ფართო მასების მონაწილეობას აუცილებელ პირობად თვლიდნენ. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც გლეხობა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს მხოლოდ იმ პირობით —წერდა კ. მარქსი—თუ პროლეტარიატი შესძლებს, გააერთიანოს და თან წაიყვანოს გლეხობა, რომლის გარეშე მისი სოლო, ყველა გლეხთა ქვეყანაში გედის სიმღერად გადაიქცევაო[1].

ვ. ი. ლენინმა, განავითარა რა მარქსიზმი ახალ ისტორიულ ვითარებაში, კლასობრივ ძალთა განლაგების ღრმა ანალიზის საფუძველზე, თავის ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, პირველად წამოაყენა იდეა პროლეტარიატის და გლეხობის კავშირისა, როგორც აუცილებელი პირობა, მუშათა კლასის გამარჯვებისათვის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში; იგი აღნიშნავდა—გლეხობის დახმარება აუცილებელი პირობაა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის რევოლუციაში, ხოლო გლეხობის ბრძოლა მუშათა კლასის გარეშე, სტიქიური და უშედეგოა,—ასეთ შემთხვევაში სოფლის პროლეტარიატს შეეძლება მხოლოდ უაზრო სასოწარკვეთილების განცდა და არა გონიერი მედგარი პროტესტი და ბრძოლაო. შემდგომ განავითარა რა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის იდეა, ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ—ეს კავშირი უნდა განხორციელდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

ვ. ი. ლენინის ეს დებულება საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის სამოქმედო პროგრამას და ტაქტიკას.

ვ. ი. ლენინის დებულება მუშათა კლასისა და გლეხთა კავშირის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ გამომდინარეობდა რუსეთის განვითარების ისტორიული კანონზომიერებიდან.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 299, 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტები რუსეთში გლეხთა მოძრაობის საკითხს განიხილავდნენ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის განუყოფელ ნაწილს; ისინი ძირითად საკითხად მიიჩნევდნენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პარტიის ტაქტიკის განსაზღვრას გლეხობასთან დამოკიდებულების საქმეში. ჯერ კიდევ 1884 წელს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა თავის პროგრამის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო აგრარულ საკითხს.

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ განხილულ აგრარულ საკითხს, ამავე დროს მის ძირითად პრინციპებს სცნობდა სწორად.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც რევოლუციის საკითხი რუსეთში უშუალო პრაქტიკის საკითხი გახდა, როცა დადგა მომენტი მასების დარაზმვისა თვითმპყრობელობის დასამხობად ,დასავლეთ ევროპის წინა რევოლუციებისგან განსხვავებით, რუსეთში პროლეტარიატი გამოვიდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემომქმედ ძალად. ეს კი განსაზღვრული იყო საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერებით.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მზადდებოდა არა კაპიტალიზმის აღმავლობის, არამედ მის უმაღლეს სტადიაში—იმპერიალიზმის ეპოქაში, ამჯერად ბურჟუაზია. უკვე აღარ წარმოადგენდა მოწინავე პროგრესიულ კლასს, მას არ შესწევდა უნარი სათავეში ჩადგომოდა მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან შეასრულა თავისი როლი საზოგადოების განვითარების საქმეში, ადრე, კერძოდ, მაშინ როცა სათავეში ედგა მზარდ კაპიტალიზმს და გზას იკაფავდა ფეოდალურ წყობილებასთან ბრძოლაში. ხოლო შემდეგ, როდესაც იგი რუსეთის სინამდვილეში მხარში ამოუდგა მონარქს და პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დათრგუნვას შეუდგა, წინ აღუდგა რევოლუციურ ძალებს საზოგადოების შემდგომ განვითარებისათვის ბრძოლაში, უკვე ბურჟუაზია თავისი მოქმედებით გამოხატავდა და იცავდა თავის კლასის და არა ფართო დემოკრატიული ფენების, მთელი საზოგადოების ინტერესებს. ბურჟუაზიის ლოზუნგი—ბრძოლა თავისუფლებისა და თანასწორობისათვის, რომლითაც ადრე მასების მხარდაჭერა პოვა, ამ დროისათვის მოძველდა, ამოიწურა თავისი შინაარსით.

მშრომელი საზოგადოება უკვე დარწმუნდა, რომ ბურჟუაზიული თავისუფლება—ეს თავისუფლებაა ბურჟუაზიისათვის და არა მშრომელ საზოგადოებისათვის. მართალია, ბურჟუაზიამ გლეხობა „გაანთავისუფლა“ ფეოდალური უღლისაგან, გზა მისცა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე, მოსპო წოდებრივი იერარქია და გამოაცხადა ადამიანის ღირსებათა და მოქალაქობრივი თანასწორობა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მაგრამ ეს ყველაფერი ბურჟუაზიის სასარგებლოდ იყო, მშრომელი მასებისათვის კი ეს მიუწვდომელი შეიქმნა.

უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ადამიანის ექსპლოატაციის ერთი ფორმა შეიცვალა მეორეთი.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ აღნიშნავდა: „დღეს არ არის სხვა გზა, თუ არა ბრძოლა სრული პოლიტიკური თავისუფლებისათვის და დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ბრძოლას კი სათავეში უნდა ჩადგომოდა მუშათა კლასი, რომელსაც საკუთარი კლასობრივი ინტერესები უკარნახებდა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა თვითმპყრობელობით უკმაყოფილო ყველა კლასთან და უპირველეს ყოვლისა, გლეხობასთან, მიეღოთ ყველა ზომა მათი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისათვის, რადგან გაერთიანებული და დარაზმული ბრძოლა აადვილებდა და განაპირობებდა მეფის თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიული წყობილების დამხობას და პროლეტარიატის გამარჯვებას.

მშრომელი გლეხობაც თავის მხრივ სიამოვნებით უნდა დამდგარიყო პროლეტარიატის საბრძოლო დროშის ქვეშ, რადგანაც საზოგადოების განვითარების ისტორიის გაკვეთილები ნათლად მეტყველებდა, რომ გლეხობას თვით არ შესწევს ძალა და უნარი დამოუკიდებლად გაინთავისუფლოს თავისი თავი, ხოლო ბურჟუაზიას არ სურს და არ შეუძლია გლეხობა გაანთავისუფლოს მემამულეთა ექსპლოატაციისაგან.

მიწა და თავისუფლება, რომლისთვისაც საუკუნეობით ოცნებობდა მშრომელი გლეხობა, მათთვის შეეძლო მიეცა მხოლოდ პროლეტარიატს.

ამგვარად, მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს. გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ისე, როგორც მუშათა კლასისა, მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც ობიექტურ საფუძველს ქმნიდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირისათვის.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ რუსეთში შეიქმნა ყველა პირობა მუშათა კლასისა და გლეხთა კავშირის შექმნისა და განმტკიცებისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ამ შესაძლებლობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო გახდა გლეხობის რევოლუციური თეორიით შეიარაღება, ისეთი ლოზუნგების წამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობდა გლეხობის გარევოლუციონერებას, მათ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

სტატიაში „მუშათა პარტია და გლეხობა", რომელიც 1901 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ისკრის" ფურცლებზე, ვ. ი. ლენინმა, განიხილა რა რევოლუციურ მოძრაობაში გლეხთა მასების ჩაბმის საკითხი, აღნიშნა: ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევიტანოთ პროგრამაში მოთხოვნები, რომ განთავისუფლდეს ჩვენი სოფლები მონურ გადმონაშთებისაგან. მოთხოვნები, რომელიც საშუალებას მოგვცემს გლეხობის მოწინავე ნაწილი ჩაებას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ბრძოლაში, ან შეგნებულად მხარი დაუჭიროს მუშათა კლასს განმათავისუფლებელ ბრძოლაში[2].

ვ. ი. ლენინმა, გამოდიოდა რა სოფლად არსებული კლასობრივი წინააღმდეგობიდან, იმ თავითვე განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკა აგრარულ საკითხში, რაც მდგომარეობდა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშათა ინტერესების სრული დაცვისა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათის ყველა მოთხოვნის მხარის დაჭერაში. „ჩვენი ამოცანაა,—წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „პროლეტარიატი და გლეხობა",—მოვაწყოთ ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის უმჭიდროესი კავშირი... რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც შეგნებული პროლეტარიატის

---

[2] გაზ. „ისკრა" № 3, 1901, გვ. 4. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 525.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარტია, მიისწრაფვის ყველა მშრომელთა სრული განთავისუფლებისაკენ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან და მხარს უჭერს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ". ამიტომაც „რსდმპ უაღრესად ენერგიულად უჭერს მხარს თანამედროვე გლეხურ მოძრაობასაც, იცავს ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს გლეხობის მდგომარეობა და არ ერიდება ამ მიზნისათვის მემამულეთა მიწის ექსპროპრიაციას"[3].

ვ. ი. ლენინის ეს დებულება გამოხატავდა გლეხობის ძირითად ინტერესებს და მიმართული იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისაკენ, იგი ძირფესვიანად განსხვავდებოდა მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამისაგან, რომელიც მიმართული იყო მემამულეთა მიწების შენარჩუნებისაკენ, სოფლად კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობისაკენ, მემამულეთა და გლეხთა შერიგებისაკენ მშვიდობიანი რეფორმისტული გზით.

ანტიმარქსისტული ხასიათის აგრარული პროგრამა წამოაყენეს ესერებმა[4], რომელიც გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს და არ შეეძლო გლეხთა ინტერესების დაკმაყოფილება.

ვ. ი. ლენინი ამხელდა რა მენშევიკების ცრუ სოციალისტური ხასიათის აგრარულ პროგრამას[5] და ესერების შემთანხმებლურ ტაქტიკას, მათ პოლიტიკურ ავანტიურიზმს, რაც მათი წვრილბურჟუაზიული ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მიმართული იყო მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის წინააღმდეგ, აღნიშნავდა: „საჭიროა განუმარტოთ მასებს, რომ სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატის მხოლოდ ერთობრივმა ბრძოლამ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ შეიძლება მიგვიყვანოს რევოლუციამდე, რომელსაც ერთად ძალუძს ნამდვილად იხსნას სიღატაკისა და ექსპლოატაციისაგან სოფლის ღარიბთა მთელი მასა"[6].

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 270.

[4] ესერების პარტია შეიქმნა 1902 წელს წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ ხალხოსნების დამსხვრეული იდეა. თავის თავს თვლიდნენ სოციალისტებად. წამოაყენეს წვრილბურჟუაზიული მოთხოვნა მიწის სოციალიზაციის შესახებ. პროლეტარიატს არ თვლიდნენ დამოუკიდებელ კლასად და ხედავდნენ, როგორც „მშრომელი ხალხის" ნაწილს.

[5] მენშევიკები მექანიკურად იზიარებდნენ დასავლეთ ევროპაში მომხდარ ბურჟუაზიული რევოლუციების გამოცდილებებს, სადაც რევოლუციის შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ბურჟუაზია, ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციით ყველაზე მეტად დაინტერესებულია ბურჟუაზია, მაშასადამე ის უნდა იყოს რევოლუციის ხელმძღვანელი და ბელადი. მუშათა კლასმა ამ რევოლუციაში არ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, რომ თავისი რევოლუციური გაქანებით ბურჟუაზია არ დააფრთხოს, თორემ რევოლუცია დაიღუპებაო. ისინი აღიარებდნენ რა ბურჟუაზიას ჰეგემონ ძალად, გლეხობაც მათ მოკავშირედ მიაჩნდათ. მათ ვერ გაიგეს, რომ რევოლუცია რუსეთში ხორციელდებოდა კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა პროლეტარიატის ბრძოლას შეტევითი ხასიათი ჰქონდა, როცა პროლეტარიატის ბრძოლა იმ დონეზე ადიოდა, რომ მას შეეძლო მოესპო არა მარტო ცარიზმი, არამედ კაპიტალიზმიც. რუსეთის პროლეტარიატი უფრო შეგნებული და შეკავშირებული იყო ვიდრე დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი. პროლეტარიატი ბოლომდე რევოლუციური კლასია, ამიტომაც იგი უნდა გადაქცეულიყო რევოლუციის ჰეგემონად, ხოლო გლეხობა მის მოკავშირედ და მოეხდინათ ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლირება.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „1905—1907 წწ. რევოლუციის შესახებ", 1956, გვ. 76.

ვ. ი. ლენინის ეს მითითება მიმართული იყო მუშათა კლასისა და გლეხობის შეკავშირებისაკენ ერთ მებრძოლ დიად ძალად, გლეხობის ბურჟუაზიის გავლენისაგან ჩამოცილებისაკენ[7].

გლეხთა მოძრაობა მუშათა კლასის ბრძოლასთან დაკავშირების შედეგად, სტიქიურობიდან გადაიქცეოდა ორგანიზებული შეგნებული ხასიათის მოძრაობად, საერთო რევოლუციური მოძრაობის ნაწილად.

ბოლშევიკების მიერ წამოყენებული აგრარული პროგრამა[8] საფუძვლად დაედო გლეხთა ფართო მასების შემდგომ დარაზმვას მუშათა კლასის ირგვლივ, რადგანაც იგი უკეთეს მომავალს უსახავდა გლეხობას, ვიდრე ბურჟუაზია და მისი იდეების გამომხატველი პარტიები.

ბოლშევიკების სწორი მიდგომის შედეგად გლეხობა გახდა პროლეტარიატის მოკავშირედ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის ცენტრალური რაიონების რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით, საქართველოში გაძლიერდა მუშათა კლასის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მოწინავე რიგებში გამოდიოდნენ რკინიგზელი მუშები.

პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებას სოფლად, მით უმეტეს საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაღვივებისათვის ნიადაგი მზად იყო.

საქართველოში გლეხობას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება და შრომა ვიდრე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში. რუსი გლეხობისაგან განსხვავებით საქართველოს გლეხობა განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას: სოციალურსა და ეროვნულს. ამის დაფარვა ვერ შეძლეს თვით მეფის თვითმპყრობელობის მოხელეებმაც და იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ ჩვენში „ხალხი ცხოვრობდა ისეთ მდგომარეობაში, რომ სხვა ადგილას ძაღლებიც კი ცხოვრობდნენ უკეთ". მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, მიწის სიმცირე, დიდი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები[9] კიდევ უფრო ამძიმებდნენ გლეხთა ისედაც მძიმე მდგომარეობას საქართველოში.

---

[7] ბოლშევიკების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ კავშირის საკითხში გამოდიოდნენ ტროცკისტები, რომლებიც გლეხობას თვლიდნენ რეაქციულ ძალად, ისინი უარყოფდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში ,დასავლეთ ევროპის პროლეტარულ სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე ე. ი. დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარეშე.

[8] ბოლშევიკებს აგრარული საკითხი დოგმატურად არ ესმოდათ, მათი აგრარული პროგრამა განიცდიდა ცვლილებებს რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად. მაგრამ მასში ყოველგვარი ცვლილებების შეტანისას ბოლშევიკები გამოდიოდნენ იმ გარემოებიდან, რომ აგრარული საკითხი არის ნაწილი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების, ამიტომ რევოლუციის განვითარების ყველა ეტაპზე აგრარულ საკითხს განიხილავდნენ, როგორც მოკავშირეებთან ურთიერთობის საკითხს. მაგალითად: გლეხთა ფართო მასების რევოლუციაში ჩაბმის მიზნით ბოლშევიკებმა პირველად წამოაყენეს გლეხობისათვის „ჩამონაჭრების" დაბრუნების საკითხი, ხოლო შემდეგ, როცა გლეხობა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში საკითხი დააყენეს მიწების კონფისკაციის შესახებ, რამაც კიდევ მეტად აქტიური გახადა გლეხების მონაწილეობა რევოლუციაში.

[9] გურიის გლეხობა, გარდა ყოველწლიური მთავრობის სასარგებლო ბეგარისა (72 მან.), იხდიდა დრამის ფულს ორ მანეთს, ბავშვის მონათვლისას—ერთ მანეთს, ქორწინებისას—13 მანეთს, გარდაცვალება-დამარხვისათვის—სამ მანეთს, წირვა-ლოცვის წლიურად — ექვს მანეთს, მეტრიკისათვის—ერთ მანეთს, დღესასწაულებზე ეკლესიაში დასწრებისათვის—ორ მანეთს და ა. შ. ნათელი წარმოდგენა რომ გვქონდეს თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ზემოთ აღნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკასიაში გლეხთა მოსახლეობა შედარებით რუსეთის შიდა გუბერნიის გლეხობასთან იმყოფებიან მნიშვნელოვნად უფრო ცუდ და მძიმე პირობებში, იმის შედეგად, რომ კიდევ გრძელდება არსებობა დროებითი ვალდებულებისა და დიდი გამოსაღებისა მემამულეთა სასარგებლოდ; განსაკუთრებით საქართველოში, სადაც გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან ჩატარდა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მიწათმფლობელებისათვის და არახელსაყრელ პირობებში გლეხობისათვის“ — წერდა მეფისნაცვალი კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვი[10].

ზემოთ აღნიშნულმა პირობებმა თავის მხრივ ხელი შეუწყო და დააჩქარა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რასაც აღნიშნავდა იმ დროს (1905 წ.) პრესაც—„შეგნებული გლეხთა მოძრაობა საქართველოში დაიწყო მნიშვნელოვნად უფრო ადრე ვიდრე რუსეთში“—წერდა ჟურ. „კავკასკი ვესტნიკ“-ი თავის ფურცლებზე[11].

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის შექმნის შემდეგ[12].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებით პროლეტარიატისა და გლეხთა კავშირის განმტკიცების შესახებ თავის პროკლამაციებში გლეხობას მოუწოდებდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ გამოსულიყო მუშებთან ერთად. მაგალითად, პროკლამაციაში—ამიერკავკასიის გლეხებო! აღნიშნული იყო:

„ნუ თუ ვერ ხედავთ, ვინ არის თქვენი მტერი და ვინ მოყვარე? თქვენი მტერია მემამულეები, მღვდლები და მათი მფარველი თვითმპყრობელური მთავრობა. მოყვრები კი მუშები“.

პროკლამაციებთან ერთად გლეხობაში ვრცელდებოდა რევოლუციური ლიტერატურა[13]. სოფლად რევოლუციური მოძრაობის გაფართოებისა და განვითარებისათვის, გლეხთა ფართო მასების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისათვის რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი არ კმაყოფილდება პროკლამაციისა და რევოლუციური ხასიათის ლიტერატურის გავრცელებით. შექმნილი ვითარება

---

ნული თანხის გადახდა გლეხისათვის, საკმარისია ითქვას, რომ იმ დროს ფუთი სიმინდის ფასი ბაზარზე იყო 45—50 კაპ. ე. ი. რომ გადაეხადა მთავრობის სავალდებულო ბეგარა გლეხს დაახლოებით უნდა გაეყიდა 144 ფ. სიმინდი. ამიტომაც სამართლიანად წერდა გაზ. „კავკაზი“— „გლეხის სული ცოცხალი იქნება იგი თუ მკვდარი პირველ ყოვლისა დიდი შემოსავლიანი სულია“ (გაზ. „კავკაზ“ № 119, 10 მაისი 1905 წ.).

10 ციტირებულია ფ. მახარაძის ნაშრომიდან „რევოლუციური მოძრაობის მიმოხილვა ამიერკავკასიაში“, 1927, გვ. 25.

11 ჟურ. „კავკაზსკი ვესტნიკ“, 1905 წ. № 38, გვ. 84.

12 გურიაში გლეხთა მოძრაობას 1902 წ. ხელმძღვანელობდა რსდმპ ბათუმის კომიტეტი. 1903 წლის მაისში, ქუთაისში მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია და შეიქმნა გურიის სოფლის მუშების კომიტეტი.

1905 წ. დასაწყისში შეიქმნა რსდმპ გურიის კომიტეტი, რომლის ადგილსამყოფელი იყო ოზურგეთი. მასში შედიოდა ჩოხატაურისა და ლანჩხუთის პარტიული კომიტეტი.

13 1902 წლის თებერვალში, გამოცემული იქნა ბროშურა გაზ. „ისკრის“ რედაქციის მიერ, „თბილისის მუშათა მოძრაობიდან“. 1903 წელს გამოცემული იქნა პროკლამაციები მიძღვნილი გურიის გლეხობისადმი. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ლენინის ცნობილი ბროშურა „სოფლის ღარიბ გლეხობისადმი“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა, რომ მუშათა კლასს თავის ორგანიზაციული ზედამხედველობის ქვეშ მოექცია გლეხობა, ამისათვის კი საჭირო გახდა, პროლეტარიატი ჩადგომოდა სათავეში რევოლუციურ მოძრაობას, თავის გარშემო დაერაზმა მას გლეხობა და გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამიტომ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა საჭიროდ სცნო ქალაქებიდან სოფლებში გაეგზავნათ გაფიცვის მონაწილე მუშები, რომლებსაც ევალებოდათ გაეზიარებინათ ქალაქის მუშების რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება სოფლის მოწინავე გლეხობისათვის და დახმარებოდნენ მათ მასების დარაზმვაში, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში[14].

გლეხთა შორის რევოლუციური პროპაგანდა, როგორც ცნობილია, გაჩაღდა საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, 1902 წელს ბათუმში მომხდარი ამბების შემდეგ, როცა მუშათა გამოსვლებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ თავიანთ სოფლებში გადასახლებულნი იქნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები[15]. სოფლებში გადასახლებულმა მუშებმა დაიწყეს რევოლუციური იდეის პროპაგანდა, ამით ხელი შეუწყეს გლეხთა ამბოხებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მათ დაკავშირებას მუშათა კლასთან. ეს იყო პერიოდი, როგორც აღნიშნული იყო რსდმპ-ს მიერ გამოცემულ ერთ-ერთ პროკლამაციაში, „როცა პროლეტარიატის კავშირი დღე-დღეზე ღონიერდებოდა და ფრთებს ისხამდა, იზრდებოდა და ვაჟკაცობდა, კალაპოტს იგანიერებდა, მან გადალახა საზღვარი ქალაქისა და ძლევამოსილად შეიჭრა ჩვენ მიყრუებულ სოფლებში, მან შთაბერა სული ბრძოლისა და აღუძრა სურვილი გამარჯვებისა დაბეჩავებულ და დამონებულ გლეხობას... როცა ამოძრავდა გამჭრიახი გონება გლეხკაცის და ღრმად დარწმუნებულმა, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება არ ძალუძს მეფის მთავრობას, ხელი გაუწოდა მუშათა კლასს საერთო მჩაგვრელებზე გაერთიანებული ძალით იერიშის მისატანად“.

ეხებოდა რა იმ დიდ მუშაობას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დააგროვეს საქართველოში ბოლშევიკებმა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მესამე ყრილობაზე მ. ცხაკაია აღნიშნავდა: თუ წინათ პროლეტარული პარტიის გავლენა სოფლად სუსტი იყო და გლეხთა მოძრაობა სტიქიურ ხასიათს ატარებდა, ახლა როცა პარტია სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას, იგი უკვე ორგანიზებულ და შეგნებულ ხასიათს იღებს. ამ მხრივ,—განაგრძობდა იგი,—„ყველაზე მეტი გამოცდილება დააგროვა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა და გურიის ბოლშევიკების ჯგუფმა, რომელთა ხელმძღვანელობით გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებმა ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებით ფართო გაქანება მოიპოვა“[16].

დასავლეთ საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ფართოდ ავრცელებს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს შორისაც.

---

[14] „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (სტატიების კრებული), 1955, გვ. 3.

[15] აღსანიშნავია, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტი თავის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციებით ამარაგებდა სოფლად წასულ მუშა პროპაგანდისტებს, რაც დიდ გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა მუშებზე და გლეხობაზე, ხელს უწყობდა მათ შორის საბრძოლო კავშირის დამყარებას (საქ. კომპარტიის ისტორიის ნარკვევი, გვ. 96).

[16] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევი, 1957, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქალაქის მუშებთან ერთად, გურია-იმერეთის გაჭირვებული გლეხკაცობაც გამოვიდა საბრძოლველად—წერდა რსდმპ-ს კავკასიის კომიტეტი მის მიერ გამოშვებულ ერთ-ერთ პროკლამაციაში—არც ქალაქის მუშები და არც გურია-იმერეთის გლეხკაცობა არ შედრკება, სანამ თავიდან არ მოიცილებს თავად-აზნაურობის ბასრ ბრჭყალებს და სულშემხუთველ სამღვდელოების ძალას, სანამ საბოლოოდ არ მოსპობს მეფის დამპალ თვითმპყრობელობას და ძირფესვიანად არ დაამსხვრევს მეფის ტახტს, ხალხის წმინდა სისხლით შეღებილს, ქვეყანა მოძრაობს, ქვეყანა იბრძვის, ყველგან აზვირთდა თავისუფლების ძლიერი ტალღები და ნუ თუ ჩვენი კახეთის გლეხკაცობამ, ამ დროს ვიძინოთ და სამარცხვინო მონობის უღელი ვატაროთ?“[17].

ამ პროკლამაციაში რსდმპ-ს კავკასიის კომიტეტი მოუწოდებს კახეთის გლეხკაცობას შეუერთდეს დასავლეთ საქართველოს გლეხთა მოძრაობას და შეერთებული ძალით ექვეთონ მტერს.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა რევოლუციური სულისკვეთების გამოცოცხლებას რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციების და რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებასთან ერთად, დიდად შეუწყეს ხელი თბილისის მოწინავე მუშებმა, რომლებიც ქართლის სოფლებიდან სამუშაოდ წასული იყვნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ ამავე დროს კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი თავიანთ სოფლებთან.

ასეთი მუშები ორგვარ ჩაგვრას განიცდიდნენ: ქალაქად—კაპიტალისტურს და სოფლად—ფეოდალურს, რითაც ამხედრებული იყვნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ისინი თავიანთ თანასოფლელებთან ზიზღს გამოსთქვამდნენ თვითმპყრობელობაზე, აგიტაციას ეწეოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ხელს უწყობდა გლეხობის გათვითცნობიერებას, მათი შეგნების ზრდას.

მუშათა ფართო აგიტაციის წარმოება სოფლად, როგორც ჩანს, არ გამორჩენია მხედველობიდან მეფის ოხრანკას. რასაც ადასტურებს თბილისის გუბერნატორის კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წერდა:—„გლეხობაში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გარედან სწარმოებს. მას ნაწილობრივ ქუთაისიდან, თბილისიდან ჩამოსული მუშები აწარმოებს... ამ ბოლო დროს გლეხთა მოძრაობამ მოიცვა თბილისის გუბერნიაც, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა: გორში, დუშეთში, თელავში, თიანეთში, სიღნაღში, ახალციხეში, ახალქალაქში და ბორჩალოს მაზრაში. მოძრაობამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მისი შეჩერება ვერ შევძელით. პროპაგანდასთან საბრძოლველად, რომელსაც ჩამოსული აგიტატორები, უპირველესად თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშები ეწევიან გლეხობაში, პოლიცია უძლური აღმოჩნდა... რკინიგზელ მუშებს, პროპაგანდისტებს გლეხობა თავის ბინაში მალავს“[18]

რკინიგზის მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა კავშირმა თავისი გამოხატულება ჰპოვა 1905 წლის რევოლუციის დაწყების პირველ დღეებიდანვე. როცა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით საქართველოს მუშათა კლასი პრაქტიკულად შეუდგა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დასახული საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს

[17] ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციის პროკლამაციები, 1904—1906 წწ., გვ. 68.

[18] საქართველოს სსრ ცსია, ფ. 34, საქ. 1044, ფურც. 350.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის 21 იანვრის ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ სამტრედიის კვანძის მუშების და მათთან ერთად გლეხთა ფართო მასების დემონსტრაცია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ დღეს, სადგურ სამტრედიაში კვანძის გაფიცულ მუშებთან ერთად შეიკრიბა გლეხობაც სოფელ დიდი ჯიხაიშიდან, კულაშიდან, ეწერიდან, ჭაგნიდან, აბაშიდან, მუხაყრუიდან, ტობანიერიდან, ილორიდან, მარანიდან, დაახლოებით სამი ათას კაცამდე. აღსანიშნავია, რომ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო გლეხებმა გურიიდანაც, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად[19], რაც ამ დემონსტრაციის წინასწარ მომზადებაზე, მის ორგანიზაციულ ხასიათზე და რკინიგზის მუშათა გლეხობასთან მჭიდრო რევოლუციურ კავშირზე მეტყველებს.

სამტრედიაში მოწყობილი რკინიგზის მუშათა და გლეხთა გრანდიოზული დემონსტრაციის შემდეგ ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფის ნაცვალს ატყობინებდა: რომ „რევოლუციური მოძრაობა ფართოდ განვითარდა სენაკის მაზრის მცხოვრებ გლეხთა შორის და აქ არსებულ მღელვარებას უეჭველად კავშირი აქვს იმ გაფიცვებთან, რომელიც მიმდინარეობს რკინიგზელ მუშებს შორის“. ამ გამოსვლებს,—წერდა ქუთაისის გუბერნატორი,—„გარდა ეკონომიური საფუძვლისა აქვს პოლიტიკური ხასიათიც. მრავალ სოფლებში: მარანში, ნაესაკოევოში, სუჯუნაში, მარტვილში, ნაგვაზოვოში ეწყობა შეკრებები, რომელსაც ხელმძღვანელობენ უცნობი პირები“[20].

„გლეხთა მოძრაობა ისე სწრაფად განვითარდა ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, რომ საკვირველია. მან გლეხობის აზროვნება გაზარდა იმ დონემდე, რასაც ათი წლის განმავლობაში ვერ მიაღწევდა მშვიდობიან პირობებში“ —აღნიშნავდა ქუთაისის გუბერნატორი თავის წერილში „გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში“[21].

გლეხთა რევოლუციურ განწყობილების ზრდაზე და მის მუშებთან კავშირზე მოგვითხრობს გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი:

„გურიაში დროგამოშვებით იმართება მიტინგები, რომელსაც რამდენიმე სოფლის საზოგადოება ესწრება. ამასწინად საყვავიის ტყეში დიდებული მიტინგი ჩატარდა, ყველამ იცოდა რომ რამდენიმე დღის შემდეგ მიტინგი უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ სად, ეს მხოლოდ წინა დღით იქნა ცნობილი. დილით ყოველ მხრიდან ხალხი წამოვიდა, ყველა რევოლუციურ ხასიათზე იყო. თუმც მშვიდობიანობის დამცველი არავინ იყო, მაგრამ წესრიგი სამაგალითო იყო, ყოველ საზოგადოებას თავის წითელი დროშა ჰქონდა.

მიტინგზე ყველაზე წინ სურებლები მოვიდნენ. ზოგი მათგანი 45 ვერსიდან. სახლში მოხუცნი და უხელფეხონი დარჩა, დანარჩენი კი დედაბუდიანათ მარსელიოზის და ეროვნული სიმღერებით კრებისათვის დანიშნულ ადგილას მიეშურნენ. ხან ქალები მღეროდენ, ხან კაცები. შუადღისას ხალხი წითელი ბაირაღის გარშემო მოგროვდა. მინდორს გარშემო ტყე ერტყა, ხალხი ეცა ხეებს, საჩქაროთ ჩამოკრიფა ფოთოლი და ზედ მოიკალათა. ქვევით ქალების ქოლგების ხლვა მოჩანდა, თუმცა საშინელი სიცხე იყო, მაგრა ხალხმა ქოლგების დაკეცა მოითხოვა. ყველა შესაფერ ადგილს ეძებდა და იქიდან აპირებდა ყურის გდე-

---

19 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 39, საქ. 701, ფ. 136.

20 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 39 ,საქ, 701, ფ. 148.

21 ვ. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი, „გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში“, 1905, გვ. 238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას. ხალხის შუაგულში წითელი ბაირაღი და ერთი მაგიდა იდგა, რომელზედაც ხანში შესული ლურჯ ხალათში გამოწყობილი მუშა ასულიყო. დაიწყო თუ არა ორატორმა ლაპარაკი,ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ხმის ამოღებას და ხმაურს ვერავინ ბედავდა... სანამ ორატორი გაათავებდა ლაპარაკს ხალხმა ერთი-ორად იმატა. ყოველ წუთს ხალხის ახალ-ახალი ნაკადი მოდიოდა, ყველანი ხანჯლებით, თოფებით, ხმლებით და ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი, წინ წითელი დროშით მიუძღოდნენ, რომლის უკან მარსელიოზის სიმღერით, მებრძოლნი მოდიოდნენ. მიტინგის დამთავრების შემდეგ ხუთი ათასი კაცი დაიძრა ჩოხატაურისაკენ. აქა იქ ისევ წითელი ბაირაღები მოჩანდა, მარსელიოზის გუგუნი ისმოდა. გზაზე დემონსტრატებს სხვა სოფლებიდანაც შეუერთდნენ და ერთი ვერსის სიგრძეზე შარა გზა გაივსო დემონსტრანტებით... ბოლოს თოფების სროლა ატეხეს და ისე დაიშალნენ.

ამ დემონსტრაციამ ხალხს რწმენა განუმტკიცა[22].—წერდა ავტორი. ეს კორესპონდენცია ნათლად მეტყველებს, თუ როგორ ემზადებოდნენ მიტინგის ჩასატარებლად, რა სიხარულით იკრიბებოდა გლეხობა და რა მონდომებით და რწმენით უსმენდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლებს. ამავე დროს გლეხობას, როგორც ჩანს, უკვე კარგად სცოდნია, რომ გამარჯვება არ მოვა თავისთავად, საჭიროა ბრძოლა, და მიტინგის მონაწილენიც მზად იყვნენ შეიარაღებული ბრძოლისთვის თუ საჭიროება მოითხოვდა.

გლეხთა ასეთი ორგანიზებული მიტინგები და დემონსტრაციები შიშის ზარს სცემდა მეფის მოხელეებს და ცოტა როდი იყო შემთხვევა, როცა დახმარებისათვის მეფის რუსეთს მიმართავდნენ—მაგალითად, 1905 წლის გაზაფხულზე კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებდა რა საქართველოში გლეხთა მღელვარების შესახებ წერდა: „მიღებულმა საგანგებო ღონისძიებამ გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. გლეხთა მღელვარება ფართო ხასიათს ღებულობს ბათუმსა და ქუთაისს შორის მდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით გურიაში და გთხოვთ დახმარებას“[23].

მეფის მთავრობამ, გურიაში, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობათ საგანგებო ღონისძიებას მიმართა;

1905 წლის 18 თებერვალს ოზურგეთის მაზრაში გამოცხადებული იქნა სამხედრო მდგომარეობა. მთავრობამ ოზურგეთის მაზრა ამოიღო ქუთაისის გუბერნიის გამგებლობის სფეროდან და იგი „სრული წესრიგის დასამყარებლად“. გენერალ მაიორ ალიხანოვ-ავარსკის (კავკასიის ჯარების უფროს) დაუქვემდებარა, რომელმაც მოკლე დროში რამდენიმე ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი დასძრა გურიისაკენ.

მთავრობის, ამ ღონისძიების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა საქართველოს პროლეტარიატმა და მათ შორის რკინიგზელებმაც. ამის გამო მეფის ხელისუფლება იძულებული შეიქნა დროებით უკან დაეხია, თავი შეეკავებია გურიაში დამსჯელი რაზმების შეყვანაზე.

გლეხთა მღელვარების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით გურიაში მივლინებული იქნა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული კომისია, კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრის სულთან კრიმ-გირეის ხელმძღვანელობით.

---

[22] გაზ. „ივერია“, 1905, № 169.

[23] „Красный архив“, № 2. გვ. 111, 1940.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ ორი კვირის განმავლობაში შემოიარა 12 სასოფლო საზოგადოება, კერძოდ: სურები, ჩოხატაური, ხიდისთავი, შემოქმედი, ბახვი, ზემოხეთი, ნიგოეთი, ლანჩხუთი და სხვ. სოფლები, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. გლეხობამ მკაცრი უარი განაცხადა მთავრობასთან შერიგებაზე[24].

გლეხთა ფართო მასების ასეთი გადაწყვეტილება ნათლად მეტყველებს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე მუშათა კლასის ზეგავლენისა და ხელმძღვანელობის შესახებ.

გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას საქართველოში ეხებოდა რა გაზ. „ვპერიოდი" წერდა: „გლეხთა მოძრაობა გურიაში, იშვიათი მოვლენაა მთელი მსოფლიოს ისტორიაში, ეს არ არის ჩვეულებრივი გლეხური ამბოხება, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად უერთდება რუსეთის შეგნებულ მოძრაობას"[25].

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო რსდმპ-ს მესამე ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილის დასაწყისში გაიხსნა ლონდონში. ყრილობაზე შეეხო რა კავკასიაში მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში გლეხთა ფართო მასების ჩაბმის საკითხს და მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოში ბრძოლის მიმდინარეობას, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა: „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მიბრძოლი ორგანიზაციების შექმნას"[26].

რსდმპ-ს მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის წინადადებით კავკასიის ამბების გამო მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო: „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, გასაუბრების და სხვ. გზით"[27].

ყრილობაზე მიღებულ დოკუმენტებში გლეხთა მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ დასახული იყო მკაფიო პროგრამა რევოლუციური მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის. ამასთანავე ყრილობის გადაწყვეტილებას წითელ ზოლივით მიჰყვებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ამ კავშირის განხორციელებაში ჰეგემონი პროლეტარიატი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ბოლშევიკები ასრულებდნენ რსდმპ-ს მესამე ყრილობის გადაწყვეტილებას. მოწვეული იქნა რსდმპ-ს კავკასიის კავშირის მეოთხე კონფერენცია (ბოლშევიკების), რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროლეტარიატის მთავარი მოკავშირის—გლეხობის საკითხს. ცნო მისი უდიდესი როლი მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და მოუწოდა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ რსდმპ მესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

---

24 საქართველოს სსრ ცსია, ფონ. 39, საქ. 705, ფ. 115—116.

25 გაზ. „ვპერიოდი", № 14, 1905 წ.

26 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 497.

27 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ. პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნამ, ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა პარტიულმა ორგანოებმა კიდევ მეტად გააძლიერეს ხელმძღვანელობა ადგილებზე. უფრო მტკიცე ხასიათი მიეცა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, მათი გამოცდილების გავრცელებას და გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნას, რომელთა ვალდებულებას შეადგენდა დაემყარებინა სოფლად დემოკრატიული წყობილება და გადაეჭრა ადგილზე მიწის საკითხი. „რამდენადაც იქნება განხორციელებული გლეხთა კომიტეტების ორგანიზაცია და მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულება, იმდენად სწრაფად მოვიპოვებთ თავისუფლებას"—წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ნოვაია ჟიზნ".

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხთა რევოლუციურმა კომიტეტებმა დიდი გავრცელება პოვეს საქართველოში. ისინი რევოლუციის დღეებში გახდნენ გლეხთა თვითმართველობის ნამდვილი სახალხო აჯანყების ორგანოები. გლეხობამ მხარი დაუჭირა გლეხთა კომიტეტებს, ბოიკოტი გამოუცხადა მთავრობის ყველა ადგილობრივ ორგანოს და დაადგა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილ რევოლუციურ გზას. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი მდგომარეობა, მეფის თვითმპყრობელობამ დაიწყო სასტიკი რეპრესიული ზომების მიღება, გენერალ ალიხანოვის ხელმძღვანელობით დამსჯელი რაზმები შეუსია რევოლუციურად განწყობილ სოფლებს და ცეცხლის ალში გახვია იგი. მთავრობის ამ არაადამიანურ მოქმედებას საქართველოში მუშებმა და გლეხობამ რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით უპასუხეს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის კვანძის მუშებმა თავი მიანებეს მუშაობას და ხალხმრავალი მიტინგი ჩაატარეს გურიის აჯანყებულ გლეხთა სოლიდარობის ნიშნად: „ჩვენ რკინიგზის სამტრედიის კვანძის მუშა-მოსამსახურეები ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას გურიის გლეხობას და მუშაობას დავიწყებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გურიიდან გაყვანილი იქნება ჯარი, რომელიც სისხლის ღვრას იწვევს"—აცხადებდნენ სამტრედიის რკინიგზელები[28].

სამტრედიის რკინიგზელების მოთხოვნას მხარი დაუჭირა ბათუმის კვანძის რკინიგზელებმაც.

26 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზაზე სამტრედიიდან ბათუმამდე მთელ ხაზზე გაიფიცნენ რკინიგზელები და არ გამოვიდნენ სამუშაოდ. გაფიცულები მოითხოვდნენ გურიიდან ჯარის ნაწილების გაყვანას.

30 ოქტომბერს დღის 11 საათზე თბილისში მოეწყო რკინიგზის მუშათა დემონსტრაცია და მიტინგი, სადაც ათასამდე რკინიგზელი ღებულობდა მონაწილეობას. მიტინგზე განხილულ იქნა გურიის გლეხთა მდგომარეობა. გამოსული ორატორები მოითხოვდნენ რომ მეფის მთავრობას დაუყოვნებლივ მიეღო ზომები გურიიდან ჯარის ნაწილების გამოყვანისათვის. მიტინგზე გადაწყვიტეს: არჩეული ყოფილიყო დელეგატები გურიაში გასაგზავნად, რომლებიც შეისწავლიდნენ გლეხთა არსებულ მდგომარეობას. „თუ მთავრობა გურიიდან ჯარს არ გამოიყვანს და განაგრძობს გლეხობის სისხლში ჩახრჩობას, მაშინ ჩვენ ყველა გავერთიანდებით და გამოვალთ გურიის დასაცავად ყველა საშუალებებითო"—აცხადებდნენ მიტინგის მონაწილეები.

მეორე დღეს თბილისში, მუშათა რაიონში, ნაძალადევში (ახლანდელ ლენინის რაიონში) გურიის რევოლუციონერ გლეხთა სოლიდარობისადმი კვლავ

[28] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფონ. 2, საქ. 66, ფ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც სამი ათას კაცამდე ღებულობდა მონაწილეობას და დამთავრდა მიტინგით, რომელმაც დაახლოებით 4 საათს გასტანა. მიტინგზე გამოსული ორატორები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გამოეყვანათ გურიიდან ჯარები, რომლებიც აწიოკებდნენ გურულებს და მათ კარმიდამოს აოხრებდნენ.

მიტინგზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: წაყენებულ იქნას მოთხოვნა მთავრობისადმი, რათა სასწრაფოდ იქნას გაყვანილი ჯარის ნაწილები გურიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში,—აცხადებდნენ მიტინგის მონაწილეები,—მთელი ხალხი იარაღით ხელში გამოვალთ გურიის დასახმარებლადო.

გურიის გლეხობას სოლიდარობა გამოუცხადა ქართლ-კახეთის გლეხობამაც. 1905 წლის 2 ნოემბერს გარეკახეთის სოფლის საზოგადოებიდან გლეხთა დელეგაცია ჩამოვიდა ქ. თბილისში და პროტესტი წაუყენა კავკასიის მეფისნაცვალს გურიაში მეფის ჯარის ნაწილების თარეშის გამო.

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის მძლავრი რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მთავრობა იძულებული შეიქმნა უკან გაეწვია გურიიდან ჯარი[29]. ამ პერიოდში მეფის ხელისუფლების ორგანოებმა ფაქტიურად შეწყვიტეს მოქმედება და გურიაში ძალაუფლება გლეხთა კომიტეტის ხელში გადავიდა[30].

1905 წლის ნოემბერში, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, დახურული კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, არჩეული იქნა ოზურგეთის საქალაქო თვითმართველობა, შეიქმნა ე. წ. „გურიის რესპუბლიკა“, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება და დაიკავა საქალაქო მართველობის შენობა.

მართალია, საქალაქო თვითმართველობამ ვერ შესძლო თავის უფლების განხორციელება მთელ გურიაში, მაგრამ იქ, სადაც გლეხთა კომიტეტებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, რევოლუციურად გადაწყვიტეს ყველა საჭირბოროტო საკითხი, დაამყარეს რევოლუციური წესრიგი, შეუდგნენ მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას[31].

[29] საქართველოს სსრ ცსია, ფონ. 5, საქ. 16, ფ. 37.

[30] გლეხთა რევოლუციური კომიტეტები დიდ მაორგანიზებელ და წარმართველ როლს ასრულებდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საქმეში. თუ როგორ იყო მათი ორგანიზაციული წყობა, ამის შესახებ ი. ხუციშვილი თავის ნაშრომში „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ აღნიშნავს: „პირველადი უჯრედი იყო ათი გლეხისაგან შემდგარი წრე, რამდენიმე წრე, ჩვეულებრივ ორი—სამი, შეადგენდა სოფლის ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა არჩეული ასისთავი. ერთ სოფელში იყო ერთი ან ორი, იშვიათ შემთხვევაში, მეტი ასისთავი. რამდენიმე სოფლის ჯგუფს, რომელიც საშუალოდ ექვს—შვიდ სოფლის საზოგადოებას შეიცავდა, ჰყავდა თავის წარმომადგენელი, რომელსაც ეწოდებოდა ათასისთავი. რამდენიმე ასეთი წარმომადგენელი ქმნიდა გლეხთა კომიტეტს (ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, გვ. 247, 1955).

[31] ინტერეს მოკლებული არ იქნება თუ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ესმოდათ და როგორ ანხორციელებდა გურიის გლეხთა რევოლუციური კომიტეტი მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ა) რევოლუციური წესრიგის დამყარების მიზნით, გურიაში გლეხთა კომიტეტთან არსებობდა სასამართლო, რომელიც შემოსულ საჩივრებს არჩევდა ღია სხდომებზე. შემოსული საჩივრების აღრიცხვა და საკითხის მომზადება სხდომისათვის მინდობილი ქონდა კომიტეტის ერთერთ წევრს. იგი პირადათ ან აქტივის გამოყენებით სწავლობდა საქმეს და ამის შემდეგ დემოკრატიულ პრინციპის საფუძველზე იხილავდა მას.

გადაწყვეტილების გამოტანა ხდებოდა სპეციალურად მოწვეულ თათბირზე. სასამართლოს განაჩენი ზოგჯერ მიტინგზე მტკიცდებოდა (თუ ამას საჭიროდ სცნობდა კომიტეტი). განაჩენის სისრულეში მოყვანას თვით ხალხი ადევნებდა თვალყურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციის დღეებში კიდევ მეტად აძლიერებდნენ სააგიტაციო—საპროპაგანდო მუშაობას გლეხთა შორის, ამხელდნენ მენშევიკებისა და ესერების აგრარული პროგრამის მავნებლურ ხასიათს.

გლეხთა ფართო მასების რევოლუციურ პროლეტარიატთან დაკავშირების მიზნით ბოლშევიკებმა გამოიყენეს ე. წ. „გლეხთა კავშირი", რომელიც 1905 წელს შეიქმნა რუსეთში და დიდი გავლენით სარგებლობდა გლეხობაში. მართალია ეს კავშირი იყო უპარტიო გლეხთა ორგანიზაცია, მაგრამ ბოლშევიკები შევიდნენ ამ კავშირში, რათა გაენთავისუფლებინათ გლეხობა ლიბერალური ბურჟუაზიისა და ესერების გავლენისაგან, გლეხთა მოძრაობა წარემართად რევოლუციური გზით.

---

ბ) გურიის გლეხთა კომიტეტი თვით განაგებდა ვაჭრობის საკითხებს: აწესებდა მაღაზიებისა და ფარდულების სამუშაო საათებს, აწყობდა სავაჭრო წესების დაცვის საკითხების შემოწმებას და დარღვევის შემჩნევისას ღებულობდა სასტიკ ზომებს. მაგალითად, საკმარისი იყო ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუება შეემჩნიათ, რომ გამყიდველი მოეხსნათ სამუშაოდან და დაეპატიმრებინათ. ასეთი ღონისძიების ჩატარებამ ხელი შეუწყო იმას, რომ გურიაში რევოლუციის დღეებში ერთბაშად მოისპო ქურდობა, ლოთობა და სხვ. სახის დანაშაული.

გ) გურიის გლეხთა მოძრაობას სათავეში ედგა რსდმპ-ს გურიის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში 1905 წელს შედიოდნენ: გურიის „რესპუბლიკის პრეზიდენტი", წითელი რაზმის მეთაური, მიტინგების თავმჯდომარე, ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის გამგე, რსდმპ გურიის კომიტეტის კლუბის გამგე, ექიმი და სხვ. კომიტეტის მუშაობა აგებული იყო უაღრესად კოლეგიალობის პრინციპზე, რაც მასების აქტიურ შემოქმედებით ინიციატივას და მხარდაჭერას იწვევდა. თითქმის ყოველ მნიშვნელოვან საკითხს კომიტეტი სწყვეტდა მსჯელობის შედეგად.

კომიტეტის სხდომაზე საკითხის გადაჭრა ხდებოდა ღია კენჭის ყრით და ძალაში შედიოდა ხმის უმრავლესობის მიღების შემთხვევაში.

დ) რსდმპ გურიის კომიტეტი დიდ მზრუნველობას იჩენდა მოზარდი თაობის აღზრდისადმი, რაზედაც მიგვითითებს მთელი რიგი ღონისძიებანი.

სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით არჩეული იყო სასკოლო ბიურო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა სკოლების მუშაობას. პედ. პერსონალის განაწილების საკითხს იხილავდა და სწყვეტდა კომიტეტი.

კომიტეტის გადაწყვეტილებით გადასინჯული იქნა ზოგიერთი საგნის სასწავლო პროგრამა და შეიტანეს ცვლილებები.

რსდმპ გურიის კომიტეტის ასეთი ცოცხალი პრაქტიკული დამოკიდებულება სკოლებისადმი აძლიერებდა პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

მასების აღზრდის საქმეში, რსდმპ გურიის კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა საკლუბო მუშაობას, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტიც რომ კლუბის გამგე (იგივე რეჟისორი) შეყვანილი იყო რსდმპ გურიის კომიტეტის წევრად.

როგორც კი კომიტეტმა ხელთ აიღო ძალაუფლება გამოძებნილი იქნა კლუბისათვის ახალი შენობა, სადაც იმართებოდა მიტინგები, სხდომები, თათბირები და საღამო-წარმოდგენები. აღსანიშნავია ის, რომ საღამო-წარმოდგენებიდან შემოსულ მთელ თანხას განაგებდა კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილებით იგი ნაწილდებოდა და ხმარდებოდა რევოლუციის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გლეხთა კავშირის პირველ ყრილობას, რომელიც შედგა 1905 წლის 31 ივლისს მოსკოვში, ესწრებოდა უდიდესი უმრავლესობა ესერების, რამაც თავისებური გავლენა მოახდინა ყრილობის მსვლელობაზე. მიუხედავათ ამისა, ყრილობაზე მიღებული იქნა გლეხთა კავშირის პროგრამა და გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მიწა უნდა ითვლებოდეს ხალხის საერთო საკუთრებად,— რამაც უდიდესი გამარევოლუციონერებელი ზეგავლენა მოახდინა გლეხობაზე.

გლეხთა ამ ყრილობისადმი მიძღვნილი სტატია (რომელიც ვ. ლენინის რედაქციით დაიბეჭდა გაზ. „პროლეტარ“-ში, № 25) ყრილობის გადაწყვეტილებებს მიიჩნევდა უდიდეს მოვლენად, გლეხთა პოლიტიკური შეგნების ზრდის საქმეში და ასკვნიდა; ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ მიმხრობილი გლეხობა ჩავაბათ რევოლუციურ მოძრაობაშიო.

„გლეხთა კავშირის“ პირველი ყრილობის მოწვევიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ (1905 წლის ნოემბრის თვეში) ქვეყნის შიგნით მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ საჭირო გახდა მეორე ყრილობის მოწვევა.

„გლეხთა კავშირის“ მეორე ყრილობაზე განიხილეს ქვეყნის შიგნით რევოლუციურ აღმავლობასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა, ყრილობამ სოლიდარობა გამოსთქვა გლეხთა იმ მოწინავე რევოლუციური რაზმებისადმი, რომლებიც გაბედულად გამოდიოდნენ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, მათ შორის გურიის გლეხობისადმი.

ყრილობამ თავის სხდომაზე მიიღო საქართველოში გამოსაგზავნი დეპეშის ტექსტი, სადაც აღნიშნული იყო:

—„გიგზავნით ძმურ სალამს ქართველ ერის ყველა მებრძოლთ, გურულებსაც, რომელნიც რუსეთის მშრომელ ხალხის დიად განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში დგანან“[32].

ვ. ი. ლენინი მიესალმა გლეხთა მეორე ყრილობის დელეგატებს და გლეხობას მოუწოდა, რომ განეგრძოთ ბრძოლა პროლეტარიატთან ერთად მიწისა და თავისუფლებისათვის.

„გლეხობას მიწა და თავისუფლება უნდა. ამაზე ორი აზრი შეუძლებელია არსებობდეს. ყველა შეგნებული მუშა მთელი ძალღონით მხარს უჭერს რევოლუციურ გლეხობას. ყველა შეგნებულ მუშას სურს და მიისწრაფვის იმისაკენ, რომ გლეხობამ მიიღოს მთელი მიწა და მთელი თავისუფლება“[33].

ვ. ლენინი ამ სტატიაში მოუწოდებდა მუშებს, რომ „დინჯათ“ განუმარტონ გლეხობას, როგორც მოკავშირეებს, რომ საჭიროა შეერთებული ძალით ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ისე, როგორც ცენტრალურ რუსეთში, საქართველოშიც რევოლუციურმა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1905 წლის დეკემბერში.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებმა მოძრაობაში მოიყვანა ყველა რევოლუციური ძალა, უკვე ნათელი გახდა, რომ შესაძლებელი იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა.

---

მასების გათვითცნობიერებისა და მობილიზაციის მიზნით რსდმპ-ს გურიის კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა პოლიტიკურ აგიტაციას, ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით შემოღებული იყო თანამდებობა ე. წ. „მიტინგების თავმჯდომარე“, რომელიც შედიოდა გურიის კომიტეტის წევრად (უკრაინის სსრ ცსია, ფონ. 348, საქ. 68, გვ. 41—45).

[32] ჟურ. „მოგზაური“, № 40, 1905, გვ. 90.

[33] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 33.

5412



...ის სახ. საჯ. სახელმ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლშევიკური პარტია ლენინის მეთაურობით მოითხოვდა თვითმპყრობელობის დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით.

ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებით ქმნიდნენ მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს, იარაღის საწყობებს, სახელოსნოებს, ეუფლებოდნენ იარაღის ხმარებას, ბარიკადების აგების ტექნიკას, ყუმბარების აფეთქების საქმეს და სხვ.

რსდმპ-ს მეოთხე (ბოლშევიკური) კონფერენციის გადაწყვეტილებით არჩეული იქნა აჯანყების მოსამზადებელი კავკასიის ბიურო, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებისათვის მზადების საქმეს.

30 ნოემბერს ბათუმის მუშებმა დაიწყეს გაფიცვები; გაფიცულები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და გამართეს დემონსტრაცია, დემონსტრანტებს მალე შეუერთდა აჭარის რაიონებიდან და გურიიდან ჩამოსული გლეხობა.

ბათუმში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას მეფის მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა, ბათუმში გამოაცხადეს სამხედრო მდგომარეობა, კაზაკებმა ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ ხულიგნური მოქმედებები დაიწყეს.

4 დეკემბერს რსდმპ-ს ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბათუმელ რევოლუციონერთა სოლიდარობის ნიშნად ჩატარდა სამტრედიის რკინიგზელების მიტინგი, რომლის მონაწილეებმა სასტიკად გაილაშქრეს მეფის მოხელეთა მხეცური მოქმედების წინააღმდეგ და თავისი აღშფოთება დეპეშით აცნობეს კავკასიის მეფის ნაცვალს; „ჩვენ მოვითხოვთ,—წერდნენ სამტრედიის რკინიგზელები,—დაუყოვნებლივ მოიხსნას სამხედრო მდგომარეობა ბათუმში. დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს ამ საქმის ინიციატორები სამსახურიდან და გამოყვანილი იქნას ყველა კაზაკი ბათუმიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მივიღოთ ჩვენზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება".

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თბილისის რკინიგზის კვანძზედაც; აქ მიტინგზე გამოსული რკინიგზელები მოითხოვდნენ იარაღი აეღოთ ხელში და გამოსულიყვნენ ბათუმის მშრომელთა დასაცავად.

„დაუყოვნებლივ შევიარაღდეთ, შეიარაღებულ აჯანყებისათვის ვიყოთ მზად!" ასეთი იყო მიტინგის მონაწილეთა გადაწყვეტილება.

5 დეკემბერს შეიარაღებული აჯანყება მოედო ქუთაისის გუბერნიას. რკინიგზა აჯანყებულების ხელში გადავიდა. „აჯანყებულები თავისუფლად სარგებლობენ რკინიგზის ტრანსპორტით ჩვენ კი ვერა"[34], წერდა თავის ინფორმაციაში გენერალ-ლეიტენანტი შიშკოვი.

მართლაც, გურიის კომიტეტის პირველი მოთხოვნისთანავე მათ განკარგულებაში იგზავნებოდა მატარებელი, მიუხედავათ იმისა რკინიგზელები გაფიცულნი იყვნენ თუ არა.

წითელრაზმელები იცავდნენ წესრიგს რკინიგზაზე. შეიარაღებულ ჯარისკაცებს არ უშვებდნენ მატარებელში. დევნიდენ მეფის ერთგულ ჯარისკაცებს დაცვის ობიექტებიდანაც, კავშირგაბმულობა ქუთაისის გუბერნიაში თითქმის აჯანყებულთა ხელში იყო და მეფის მოხელეებს ლაპარაკის საშუალებას აძლევდნენ იმის და მიხედვით, რამდენადაც ეს საჭირო იყო აჯანყებულებისათვის.

„სახელმწიფო სახელმწიფოში"—ასე უწოდა გენერალ-ლეიტენატმა შიშკოვმა ქუთაისის გუბერნიაში არსებულ მდგომარეობას მაშინ.

[34] უკრაინის სსრ ცსია, ფონ. 348, საქ. 64, ფ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის ნაწილები ძალიან დააფრთხო შეიარაღებულ რევოლუციონერთა მოქმედებამ, განსაკუთრებით კაზაკები და მოითხოვდნენ ისინი გაეყვანათ ქუთაისის გუბერნიიდან.

გენერალ-ლეიტენანტი შიშკოვი აღწერდა რა წითელრაზმელების შეიარაღებას, აღნიშნავდა; „მე ორჯერ შევხვდი წითელრაზმელებს, უთუოდ ენერგიული ხალხია, ბრძოლას მოწყურებულნი, შეიარაღებულნი არიან ბერდანკებით, შაშხანებით, შვეიცარიის იარაღით, ამერიკული კარაბინებიც კი აქვთ და ბრძოლისათვის მზად არიან“.

აჯანყებულთა ხელში იყო არა მარტო დასავლეთ საქართველოს რკინიგზა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზის სადგურებიც: გრაკალი, ქარელი, ხაშური და სხვა. ხაშურის კვანძის რკინიგზელებმა მახლობელ სოფლის რევოლუციონერ გლეხობასთან ერთად შეადგინეს წითელი რაზმეულები, ერთ-ერთ ასეთ რაზმეულს ხელმძღვანელობდა საორთქლმავლო დეპოს მუშა ბ. კაპანაძე და გლეხი ა. ლომიძე. კონსპირატიულ თვალსაზრისით წითელრაზმელების შტაბი მოთავსებულ იყო ქალაქგარეთ ჯერ სოფელ წაბლოვანაში, ხოლო შემდეგ სოფ. ჩუმათელეთში[35].

წითელ რაზმელების რიგი სწრაფად გაიზარდა ქუთაისის გუბერნიაში, მასში შეიარაღებული აჯანყების პირველ დღეებში 10—15 ათასი კაცი ითვლებოდა, რომლებმაც თავისი კონტროლი დაამყარეს რკინიგზის საგაფიცვო კომიტეტთან ერთად, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაზე საქართველოში სად. თბილისიდან ფოთამდე და ქობულეთამდე.

აჯანყების პერიოდში გადაყენებული იქნა რკინიგზაზე ადმინისტრაცია, პოლიცია და ჟანდარმერია.

დეკემბრის დღეებში წითელრაზმელებმა განაიარაღეს ნაწილი იმ ჯარებისა, რომლებსაც მინდობილი ჰქონდა მნიშვნელოვანი უბნების დაცვა, 1905 წლის ბოლოსათვის აჯანყებული გურული გლეხები თვითონ მართავდნენ გურიას. მათ დაიკავეს რკინიგზა ოზურგეთის მაზრის ფარგლებში, რკინიგზის ყველა სადგურებს და მნიშვნელოვან ობიექტებს შეიარაღებული დაცვა მიუჩინეს.

დეკემბრის შუა რიცხვებში, როცა დაიწყო უკან დახევა რევოლუციურმა ძალებმა. წითელრაზმელებმა რკინიგზელებთან ერთად გადაწყვიტეს გზა გადაეღობათ მეფის ჯარებისათვის, რომლებიც თბილისიდან დაიძრნენ დასავლეთ საქართველოსაკენ. ხაშურის წითელრაზმელებმა კაზაკთა ბატალიონს გზა გადაუღობეს სოფ. ფონისა და წიფის შუა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს. წითელრაზმელებმა კაზაკთა ბატალიონი თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხელთ იგდეს მათი საბრძოლო იარაღი. მაგრამ ამით არ დასრულებულა ბრძოლა წითელრაზმელებსა და მეფის ჯარებს შორის. ხაშურში გააძლიერეს ჯარის ნაწილები, გადასწვეს მთელი რიგი შენობები ქალაქში და სოფლად სადაც კი წითელრაზმელები ეგულებოდათ, ყველა რევოლუციონურად განწყობილ სოფლებში ჩაყენებული იქნა ეგზეკუცია, რომლის შენახვის ხარჯი მოსახლეობას დაეკისრა.

აჯანყებულები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, ყოველმხრიდან უტევდნენ მთავრობის რეაქციული ძალები. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გაითვა-

---

[35] ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყოფილების დოკუმენტების ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინა რა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, თბილისის პროლეტარიატის დასახმარებლად 700 კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოგზავნა[36].

აჯანყებისათვის მზადების დროს, დეკემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში იფეთქა პოლიტიკურმა გაფიცვებმა, რომელიც მალე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა, ამან თავის მხრივ ბიძგი მისცა შეიარაღებული აჯანყების დაწყებას საქართველოში.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშების ინიციატივით დაიწყო ქალაქად საგაფიცვო კომიტეტების და სოფლად გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელმძღვანელობით სწრაფად მოედო მთელ საქართველოს და მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის ჭშინდა გამოხატულებად იქცა.

რკინიგზელების და წითელრაზმელების გაერთიანებულ მოქმედებით წიფის გვირაბში აფეთქებული იქნა ორთქლმავალი, რევოლუციის უკან დახევის დღეებში და ამით გზა გადაეღობა მეფის ჯარის ნაწილებს, დასავლეთ საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად სწრაფ მანევრირებისათვის.

ამგვარად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს გლეხობასთან რკინიგზელი მუშების ერთიანი მოქმედებით ნათლად დასტურდება, რომ 1905 — 1907 წწ. რევოლუციაში მშრომელი გლეხობა მუშათა კლასის მოკავშირე იყო.

ბოლშევიკები თანმიმდევრულად ეწეოდნენ ბრძოლას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. აწარმოებდნენ დიდ პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ მუშაობას გლეხთა ფართო მასების გათვითცნობიერებისა და დარაზმისათვის პროლეტარიატის ირგვლივ.

საქართველოს მუშათა კლასი და მისი მოწინავე რაზმი რკინიგზელები ასრულებდნენ რა ბოლშევიკური პარტიის გადაწყვეტილებას გლეხთა ფართო მასების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხთა კავშირის საუკეთესო პროპაგანდისტები და ორგანიზატორები იყვნენ. მათი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ფართოვდებოდა აგიტაცია სოფლად, ვრცელდებოდა რევოლუციური ლიტერატურა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა გლეხთა პოლიტიკური შეგნებულობის და რევოლუციური საქმიანობის ზრდას.

მუშათა და გლეხთა საბრძოლო კავშირის განმტკიცებაში რსდმპ-ს კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, თბილისის, ხაშურის, სამტრედიის და ბათუმის კვანძის მოწინავე მუშებმა.

1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში საქართველოში რკინიგზის მოწინავე მუშები მშრომელ გლეხობასთან ერთად აწყობდა საპროტესტო მიტინგებს და მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციას, როცა სოფლად (გურიაში, იმერეთში, ქართლში) გლეხობა აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რკინიგზელები დახმარებას უწევდნენ მათ: ეკონომიურად, იარაღით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვ. ასრულებდნენ ხელმძღვანელ როლს გლეხობის დარაზმვის საქმეში და პირიქით, როცა ქალაქში პროლეტარია-

---

[36] ი. მელქაძე, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, გვ. 215 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტი აწარმოებდა ბრძოლას, —გლეხობა გვერდით უდგა თავისი შეიარაღებული ძალებით.

დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყების დღეებში, როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა კულმინაციურ წერტილზე ავიდა, რკინიგზის ბათუმი—სამტრედიის უბნის, ქუთაისის, ზესტაფონის, შორაპნის და ხაშურის კვანძის რკინიგზელებმა შესანიშნავი მაგალითი აჩვენეს ქვეყანას მუშათა და გლეხთა საბრძოლო კავშირისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში პირველად განხორციელდა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, რაც დამახასიათებელი იყო ამ რევოლუციისათვის და განასხვავებდა მას მსოფლიოში ყველა მანამდე არსებულ რევოლუციებისაგან.

ამ რევოლუციაში მიღებული მდიდარი გამოცდილება, მუშათა და გლეხობის საბრძოლო კავშირისა, წარმოადგენდა „გენერალური რეპეტიციას“ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV-B, 1963
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXI—B, 1963
ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ქორიძე

# ახლად აღმოჩენილი არქაული ცული სოფელ ყიზილ-აჯლოდან
## (მარნეულის რაიონი)

1960 წლის სექტემბერში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მარნეულის რაიონიდან პ. ნ. მხეიძემ მოიტანა ყუადაქანებული ცული. ცული უპოვნიათ გაჯის წარმოებაზე მომუშავე მუშებს სოფ. ყიზილ-აჯლოში, მარნეულიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, მთიან ადგილას 1 მ სიღრმეზე. სხვა ნივთი ან ადამიანის ძვლები მასთან ერთად არ ყოფილა. ამგვარად, ცული სამარხეულ ინვენტარს არ ეკუთვნის. იგი ყურადღებას იმსახურებს, როგორც ლითონის წარმოების ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ადგილობრივ შექმნილი იარაღი.



სურ. 1.

ცული (ინვ. 12—60:1, სურ. 1) ყუადაქანებულია, შედარებით თხელპირაა და, როგორც ჩანს, ჩამოსხმულია. ხვრელის სიმაღლე მის უდიდეს სიგანეზე 4 მმ-ით მეტია, ხოლო მისი წინა პირი 3 მმ-ით უფრო მაღალია და განიერი, ვიდრე უკანა პირი, საიდანაც ჩანს, რომ ცულს ტარს წინა მხარიდან აგებდნენ, რაც მეტად მოხერხებული იქნებოდა.

ყუა საკმაოდ სქელია. მისი ზემო ნაწილი ერთბაშადაა შევიწროებული, ორწახნაგაა (წახნაგები არამკვეთრადაა გამოყვანილი) და წიბურით მთავრდება. შევნიშნავთ, რომ ხვრელის წინა ნაპირი სწორად კი არაა ჩამოკვეთილი, არამედ დამრეცად და სცილდება სიმაღლეში ხვრელის გარე ზედაპირის დონეს. ამიტომ მის წინა ნაწილზე კარგად შესამჩნევი წიბური წარმოიქმნება. მიუხედავად იმისა რომ, პირი შედარებით თხელია, იგი მაინც სოლურია (არაწესიერი). შუამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის თანაბარი სისქისაა, შემდეგ კი პირისაკენ ოდნავ, მაგრამ თანდათან თხელდება და ბასრი პირით მთავრდება. პირიც სატარე ხვრელიდან დაწყებული მცირედ, მაგრამ თანდათან ვანიერდება და ოდნავ ძომრგვალებული ფხით მთავრდება. მკვეთრად გამოყვანილი ყელი ან წელი ცულზე არ შეიმჩნევა. შუბლი ოდნავ მორკალურია სწრაფად დაქანებული და ორწახნაგოვანი; კაჩა ბრტყელია, ფხა რამდენადმე დაზიანებული. ზომები სიგრძე—15,4 სმ; სიგანე (ფხასთან)—6,0 სმ, სატარე ხვრელის წინა პირის სიმაღლე—2,4 სმ, სიგანე—2,1 სმ, უკანა პირის სიმაღლე — 2,1 სმ, სიგანე — 1,9 სმ. ქიმიური შედგენილობა: Cu—96,7%, Sn არ რის, As—1,05%, Sb—1,8%.

ზემოთ აღწერილი ცულის ანალოგები, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და სათანადო ლიტერატურის მიხედვით საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი კავკასიის მიწაწყალზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის, ხოლო მის უშუალო—ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს—ორი ცული, ნაპოვნი შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მეჯვრის ხევში (გორის რაიონი), და დაცული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ერთი მათგანი (ინვ. №10—25:13. 1 სურ. 16 და 2. სურ. 1ბ), მსგავსად ყიზილ-აჯლოს ცულისა თხელპირიანია; პირი ფხისაკენ თანდათან განივრდება, ფხა ოდნავ მორკალურია, ყუა დაქანებული, სატარე ხვრელის კედლები თხელია და დეფორმირებული; ამდენად ძნელია რაიმეს თქმა ხვრელის ზუსტ ფორმაზე. სატარე ხვრელიდნ ყუა სწრაფად ვიწროვდება და სქელდება. ყუის თავი ორწახნაგაა. წინა ნაწილი—შუბლი მომრგვალებულია, კაჩა კი წახნაგოვანი. ნივთი ჯერ ჩამოსხმული უნდა იყოს და შემდეგ გამოჭედილი. სიგრძე—14,0 სმ. უდ. სიგანე—6,2 სმ. ცულის ქიმიური შედგენილობა: სპილენძი—97,26%, კალა — 0,53% და დარიშხანი — 1,32%. მეჯვრისხევიდან არის აგრეთვე მეორე ასეთივე ცული (2. სურ. 1ა). მას აკლია ყუა და ნაწილობრივ პირი. ცულის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი — 95,8% და დარიშხანი—3,0. შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ცნობილია ადრეული პერიოდის ცულთა სხვა რამდენადმე განსხვავებული სახეობებიც.



სურ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად საინტერესოა, ისევ მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე ბრდაძორში აღმოჩენილი და ჩვენს მიერ გამოქვეყნებული (სურ. $2_1$) არქაული, ყუადაქანებული ცული. იგი მასიურია, სატარე ხვრელის უკანა ნაწილი წესიერი მრგვალია, მილისებრი, ხოლო წინა ნაწილი—უწესო მრგვალია. ყუა სქელია; მისი ზემო ნაწილი მკვეთრად შევიწროებულია და შეიმჩნევა, რომ იგი ორწახნაგა ყოფილა, მაგრამ არამკვეთრად გამოყვანილი წახნაგებით. პირი, განსხვავებით ყიზილ-აჯლოში აღმოჩენილი ცულის პირისაგან, სქელია და სოლური, შუა ნაწილი — ოდნავ განიერი, შემდეგ კი ფხამდე თანაბარი სიგანისაა, ფხა ოდნავ მორკალურია. შუბლი კი მკვეთრად დაქანებული და წახნაგოვანი. ზომები: სიგრძე — 14,0 სმ. უდ. სიგანე—4.7 სმ, უდ. სისქე — 2,5 სმ., სატარე ხვრელის დიამეტრი — 2,2 სმ. ქიმიური შედგენილობა: სპილენძი 94,48%, დარიშხანი—4,17%.

ზუსტად ამგვარი, ოღონდ ზომით უფრო პატარა ცულები ნაპოვნია შიდა ქართლში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ერთი მათგანი (სიგრძით—10.0 სმ უდ. სიგანე—4,5 სმ) დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და მოპოვებული ყოფილა მუზეუმის დირექტორის ს. ნადიმაშვილის მიერ, ლიახვის ქვემო წელში ტირიფონის დაბლობზე არქეოლოგიური დაზვერვების დროს. მისი წარმოშობის ადგილი იალბუზია (ცხინვალის რაიონი [3], ტაბ. XX, სურ. 4, გვ. 35); მეორე (სიგრძით 10,0 სმ, და სიგანით— 4,8 სმ) 1950 წელსაა ნაპოვნი ცხინვალის მახლობლად, ქულბაქების დაფენებაზე ([4], სურ. $1_4$, გვ. 15). ეს უკანასკნელი ფორმით ისეთივეა, როგორც ბრდაძორისა და იალბუზის ცულები, მაგრამ პირი უფრო თხელი აქვს და ამ მხრივ უახლოვდება ყიზილ-აჯლოსა და მეჯვრისხევის ცულებს. გარდა ზემოაღწერილი ფორმებისა, ქვემო და შიდა ქართლში გვხვდება არქაულ ცულთა სხვა სახეობაც, კერძოდ, ყუამილიანი, ანდა ისეთი ცულები, რომლებშიაც შერწყმულია დაქანებული და მილისებური ყუა. ერთი ყუამილიანი ცული კარალეთშია აღმოჩენილი და ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ([3], ტაბ. $XX_3$); მას საკმაოდ თხელი პირი აქვს, რომელიც ფხისაკენ განიერდება. ასეთივე ცული აღმოჩენილია ქვემო ქართლშიც. ცხინვალის მუზეუმში დაცულია აგრეთვე ორი ცული სოფ. გუფთადან ([3], ტაბ. XXII, 1—2), რომელთაგან ერთი ყუამილიანია, მეორეში კი შერწყმულია. დაქანებული და მილისებრი ყუა. ორივეს ვიწრო, მაგრამ სოლისებრი პირი აქვს, ოღონდ ერთს პირი თითქმის სამკუთხოვანია, ფხასთან საკმაოდ გაგანიერებული.

შიდა და ქვემო ქართლში გვხვდება ცულთა სხვა სახეობებიც, რომლებიც სწორედ თავისი არქაულობით იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ, თითქოს სწორპირიანი და ნაჭედი ცული ზემო ავჭალიდან ([5], ტაბ. XIV, სურ. 9. [2], სურ. $2_2$) და ცულწერაქვის რამდენიმე ეგზემპლარი. ერთი აღმოჩენილი ქვემო ქართლში (დმანისის რაიონში), მეორე სოფ. სიმონიათხევში (თიანეთის რაიონი), და ორიც უცნობი წარმოშობისა, რომელიც ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში ([6], სურ. 1).

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრტყელი ცულის რამდენიმე ეგზემპლარი და მათი ყალიბიცაა აღმოჩენილი, გამოდის, რომ ლითონის ინდუსტრიის ადრეული საფეხური აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იცნობს ცულთა მრავალ სახეობას. აქ არის აღმოჩენილი ე. წ. სწორპირიანი ცული, ყუადაქანებული ცულის ადრეული და უფრო განვითარებული ფორმა, ყუამილიანი ცულის მარტივი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები და მისი შემდგომი განვითარება, ყუადაქანებულ და ყუამილიანი ცულის შერწყმა—მათი კომბინაცია, ბრტყელი ცული და მათი ყალიბი (7) და ცულწერაქვათა უადრესი სახეები. ეს მასალები საკმაოდ ვრცელი ტერიტორიიდან მომდინარეობს, ძირითადად კი—ქვემო და შიდა ქართლიდან.

როგორ სურათს იძლევა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები? გვაქვს თუ არა ცულების ყველა ის სახეები, უადრესი და გვიანდელი ფორმებით, რომლებსაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია იცნობს?

როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი რაოდენობით ადრებრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, საჩხერის რაიონიდან მომდინარეობენ. აქ აღმოჩენილია ადრეული პერიოდის არა მარტო მრავალფეროვანი საბრძოლო იარაღები, არამედ სამკაულთანაირსახეობა და თიხის ჭურჭელთა სხვადასხვა ფორმები. მათ შორის ცულების რამდენიმე სახეობაცაა. პირველ ყოვლისა უნდა შევჩერდეთ ყუადაქანებულ ცულებზე, იმის გამო, რომ მათ საჩხერულ ცულებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ და ფორმით რამდენადმე ეხმაურებიან იმ ყუადაქანებულ ცულებს, რომლებიც შიდა და ქვემო ქართლშიც აღმოჩენილი.

გასათვალისწინებელია, რომ შიდა და ქვემო ქართლში ყუადაქანებული ცულების ორ ძირითად სახეობასთან გვაქვს საქმე: ერთი მხრით არის ბრდაძორის, იალბუზის და ზღუდერის მარტივი ოდნავ დაქანებული ყუიანი, სქელპირიანი და შედარებით ერთნაირი სიგანის ტანიანი ცულები; (სურ.$1_1$). მეორე მხრივ—ცულები მარნეულიდან (ყიზილ-აჯლოდან) (სურ. $1_2$) და მეჯვრისხევიდან, რომლებსაც უფრო დაქანებული ყუა, შედარებით თხელი ტანი, ფხისაკენ რამდენადმე გაფართოებული პირი, ორწახნაგა ყუის ზემო ნაწილი და მკვეთრად გამოყოფილი წიბურიანი სატარის წინა ნაპირი აქვს. მსგავსი ცულების ამ ორ სახესხვაობას თუ შევადარებთ საჩხერულ ყუადაქანებულ ცულებს, აქ დეტალებში რამდენიმედ განსხვავებულ მომენტებს შევამჩნევთ. საჩხერული ყუადაქანებული ცულები ფორმითა და დამუშავებით უფრო დახვეწილი—სრულყოფილი ჩანს (სურ. $1_3$). მათ მაღალი, ვიწრო, მცირედ მორკალური და სოლური ტანი აქვთ.

ისინი საკმაოდ თხელპირიანია და ოდნავ გაგანივრებული და მცირედ მორკალური ფხით მთავრდება. ეს ცულები იმითაცაა საინტერესო რომ მკვეთრად დაქანებული ყუა აქვთ და მათი სატარე ხვრელის წინა ნაპირი ირგვლივ კარგად გამოყოფილ, საკმაოდ მომაღლო წიბურს წარმოადგენს. საჩხერული ცულები თავისი ფორმითა და დეტალებით უფრო მარნეულის და მისთანა ცულებს უახლოვდება, ვიდრე ბრდაძორის ცულს. საქმე ისაა, რომ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ იარაღთა სატარე ხვრელის წინა ნაპირის დაქანება საკმაოდ ძლიერია. ორივეს ნაპირებზე მკვეთრად გამოყოფილი წიბურები აქვს, ორივეს ყუა წიბურით მთავრდება. განსხვავება იმაშია, რომ საჩხერული ცულისათვის ზემოთ მოტანილი დამახასაითებელი ნიშნები უფრო მკვეთრია და დახვეწილი, კარგად შესრულებული, ვიდრე მარნეულის ცულისათვის; ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ მარნეულის ცულისპირი მართალია სოლურია, მაგრამ უფრო სქელია და განიერი, ფხებთან ოდნავ გაგანივრებული, იმ დროს, როდესაც საჩხერული ცულის ვიწრო პირი ძალზე თხელია და ფხებთან უფრო გაგანივრებული. ასე რომ, ამ ორი იარაღიდან მარნეულის ცული ტექნიკურად შედარებით უხეშად ნაკეთები ჩანს, სატარე ხვრელი და მისი გაფორმებაც უთუოდ უფრო მარტივია, ვიდრე საჩხერულისა. ამ მონაცემების მიხედვით მარნეულის ცული უფრო არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაული გვეჩვენება, საჩხერულის წინამორბედი და უთუოდ გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბრდაძორისა და მისთანა ცულები უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე მარნეულის ცული და მის წინამორბედად—პროტოტიპად გვეჩვენება, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ ყუადაქანებული ცულების განვითარების საერთო სურათი და ამ ცულთა განვითარების ერთგვარი თანმიმდევრობა (სურ. 1).

საჩხერის რაიონისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ყუამილიანი ცულები, მისი სახესხვაობით (მარტივი და განვითარებული ფორმები). პირველყოვლისა ყურადღებას იმსახურებს ყუამილიანი, ტანში რამდენადმე მოღუნული (მორკალური) ის ცული, რომლის პირი ფხისაკენ ოდნავ ფართოვდება და მორკალური პირით მთავრდება (სურ. $2_2$). ეს იარაღი პროფ. ბ. კუფტინის ცნობით, ფრიად არქაულ კომპლექსშია აღმოჩენილი. იგი მოპოვებული ყოფილა ცარცის გორაზე: მასთან ერთად ნაპოვნია თხელი—ნაჭედპირიანი, უქედო და მოგრძოყუნწიანი დანისპირი, თუ სატევარი და ოთხწახნაგა სადგისი (?). (3. ტაბ. VI).

აღნიშნული ცულის რამდენადმე ახლო პარალელი ზემოთ დასახელებული კარალეთის ცული შეიძლება იყოს (სურ. $2_1$), ოღონდ კარალეთის ცულის პირი ფხისაკენ გაგანივრებულია და მისი ტანის მორკალვაც შედარებით ნაკლებია. ასეთივე ცული ქვემო ქართლშიაც არის ნაპოვნი.

საჩხერის ტერიტორიიდან მომდინარე არქეოლოგიურ ძეგლებში არის აგრეთვე ყუამილიან ცულების უფრო სრულყოფილი, განვითარებული ფორმა. (სურ. $2_3$). ცულის საკმაოდ გრძელი, მილისებრი სატარის ზედაპირი დამრეცი ღარებითაა შემკული, ტანი მაღალია, ოდნავ მორკალური, წელში ვიწრო, ფხეზისაკენ თან და თან გაფართოებული, პირი კი თხელი და სოლური (5. ტაბ. XII, სურ. $2_2$). მსგავსი ცულების რამდენიმე ეგზემპლარი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აღმოჩენილია შიდა ქართლში (მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფ. ბუფთაში). და ბოლოს, საჩხერულ ადრეულ ცულების ერთი ჯგუფისათვის სრულიად გამორიცხავენ—სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულება (სურ. $2_4$). ეს ის ცულებია, რომლებსაც საკმაოდ გრძელი ტანი აქვთ, სატარე გრძელი და მილისებრი, ტანი ზემო ნაწილში ვიწროა და ფხისაკენ სწრაფად გაფართოებული, ფხა დამრეცი (5. ტაბ. XII, სურ. $2_1$), ისე რომ სამუშაოდ მისი გამოყენება მოუხერხებელია (პარადული?). ეს ცულები ისე, როგორც აქაური ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები, ტექნიკურად საკმაოდ სრულყოფილი და განვითარებულია (ამგვარი ცული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი). ყუადაქანებული ცულები ნაპოვნია აგრეთვე აფხაზეთის დოლმენებში (მის ძირა, მესამე ფენაში). ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეშერის IV და V დოლმენებში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულები (8. ტაბ. XXX—XXXII), ყუადაქანებული ცული კიურ-დერედან (1. სურ. 16a) და 1937 წ. ნაპოვნი ცული, რომლის ყუა რელიეფური ორნამენტითაა შემკული (5. ტაბ. X, სურ. 4). ამ ცულების ერთ ნაწილს (V დოლმენისა) შედარებით ნაკლებად დაქანებული ყუა და თითქმის სწორი და თანაბარი სიგანის ტანი აქვს; ისინი ახლო ნათესაობას ამჟღავნებენ მაიკოპის დიდი ყორღანიდან მომდინარე ცულთან (1. სურ. 6). ხოლო IV დოლმენში აღმოჩენილ ცულებს საკმაოდ დაქანებული ყუა, ვიწრო, მაღალი და ფხისაკენ გაგანივრებული ტანი, თხელი და სოლური პირი აქვს. აქ არ გვხვდება (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის ჩვენთვის არ არის ცნობილი) ადრეული ცულების სხვა ვარიანტები, რომლებიც აღმოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ადრეული პერიოდის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი.

ასე, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორია (საჩხერე, რამდენადმე აფხაზეთი), იცნობს ადრეული ცულების რამდენიმე სახეს: ყუადაქანებულ ცულებს, ყუამილიან ცულთა ორ ვარიანტს—საბრძოლო თუ სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებელს და პარადულს. ამ ცულების დიდი უმრავლესობა ფორმითა და დამუშავების თვალსაზრისით უთუოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს; დახვეწილი და გაუმჯობესებული ფორმებია (ზოგიერთი მათგანი ორნამენტირებულიცაა). ჩვენ არა გვაქვს საშუალება მიმოვიხილოთ ამ პერიოდის აქ აღმოჩენილი სხვა სახის ნივთები (სამკაულები, სატევრები და სხვა), რომლებზედაც ზოგადი დაკვირვებაც კი გვავარაუდებინებს, რომ მხატვრული ხელოსნობაც აქაურ ლითონის წარმოებაში საკმაოდ დაწინაურებულა და მშვენივრად გაფორმებულ ნივთებს აკეთებდნენ. ე. ი. საჩხერის ყორღანებიდან და აფხაზეთის დოლმენებიდან მომდინარე ეს არქეოლოგიური ძეგლები მთლიანად აღებული ტექნიკურად სრულყოფილნი—გაუმჯობესებული ჩანს და ამ დროისათვის ლითონის წარმოების უთუოდ მაღალ საფეხურზე მიგვითითებენ.

ამრიგად, თუ თვალს გავადევნებთ ჩვენს მოკლე და არასრულ მიმოხილვას, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (უმთავრესად ქვემო და შიდა ქართლში) ადრეული ცულების ზოგიერთ ისეთ სახეებს ვხვდებით, რაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის არ გვხვდება (ჩვენ მხედველობაში გვაქვს სწორპირიანი ცული ზემო ავჭალიდან, ბრდაძორის, იალბუზის და ზღუდერის ცულები და ცულწერაქვები). სამაგიეროდ, ჯერჯერობით, აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალები არ იცნობს ე. წ. პარადულ ცულს, რაც მხოლოდ და მხოლოდ საჩხერული მასალებისათვისაა დამახასიათებელი და საკმაოდ განვითარებული ფორმა ჩანს, ხოლო აფხაზეთის დოლმენები უფრო ღარიბია ცულთა სხვადასხვა სახეებით, მისთვის დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ყუადაქანებული ცულების ორი ვარიანტი: 1) სწორტანიანი და თანაბარი სიგანის პირიანი, 2) ტანში მოხრილი მკვეთრად დაქანებულყუიანი და ფხებისაკენ გაფართოებული ტანვიწრო ცულები. ასე რომ ყველაზე ადრეულ ცულთა ნაირსახეობა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებს შორის გვხვდება, უმთავრესად შიდა და ქვემო ქართლიდან მომდინარე მასალებს შორის.

ჩვენ ერთ წერილში გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს პერიოდის ძეგლები არ არიან იზოლირებული ერთი მეორისაგან, რომ ისინი გენეტიკურად უთუოდ დაკავშირებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთთან.

ვადარებდით რა ერთი მეორეს საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილ ცულებს და ვხედავდით რა ზოგიერთ სახესხვაობას მათ შორის, ჩვენ დავსვით საკითხი: რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება; ძეგლთა განსხვავებული თარიღით, თუ იგი დაკავშირებულია და უნდა აიხსნას სხვადასხვა მხარიდან მომდინარე კულტურული დინებით, როგორც ამას ადრე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა? და ვუპასუხებდით, რომ, ჩვენი შეხედულებით, სწორი არ უნდა იყოს მოსაზრება თითქოს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში გავრცელებული ცულების ფორმები შემოდიოდა სულ სხვა გზით, სხვა მხარიდან, სხვა კულტურული სამყაროდან, ხოლო საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ნაწილში სხვა გზით, სხვა კულტურული სამყაროდან, და ეს ხდებოდა ერთდროულად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ლითონის წარმოების ადრეული პერიოდის შიგნით რაღაც განსხვავებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებთან. წინასწარული დაკვირვებით და სათანადო შესადარებელი მასალების მოშველიებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისეთი იარაღები, როგორიც არის ზემო-ავჭალის ცული, ცულწერაქვები და შემდეგ ბრდაძორის, იალბუზისა და ზღუდერის ცულები უფრო ადრეული პერიოდისა შეიძლება იყოს, ვიდრე კარგად დამუშავებული—კარგად ჩამოსხმული ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები აფხაზეთის დოლმენებიდან, ან საჩხერის იმ სამარხებიდან, რომლებშიც მრავლად გვხვდება იარაღები, კერძოდ ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები და ცულებთან ერთად მარტივი (ყუნწიანი) ან სპილენძის ტარიანი სატევრები. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბრდაძორის, იალბუზისა და ზღუდერის ცულები პროტოტიპები იყოს ყუადაქანებულ ცულებისა (2). მარნეულში ახლად აღმოჩენილი ცული ამ მოსაზრების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი უნდა იყოს. ასე, რომ ყუადაქანებულ ცულებს, როგორც ჩანს, მართლაც მოენახათ განვითარების თავისი გზა, რომლის სათავეში ბრდაძორისა და მისთანა ცულებია, ხოლო მისი შემდგომი განვითარებული ფორმა—მარნეულის ახლად აღმოჩენილი და მეჯვრისხევის ცულები; ხოლო ამ იარაღის უკანასკნელი უფრო დახვეწილი და სრულყოფილი სახე საჩხერის და მისთანა ყუადაქანებული ცულები ჩანს. რაც შეეხება ყუამილიან ცულებს, ასეთ ცულთა ადრეული ფორმები, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნაპოვნია როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლში და საჩხერის ტერიტორიაზედაც. ხოლო ყუამილიანი უფრო განვითარებული ცულების საკმაო რაოდენობა საჩხერის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი .მაგრამ იარაღის რამდენიმე ეგზემპლარი შიდა ქართლშიც არის ნაპოვნი. ამრიგად, ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე ქვემო და შიდა ქართლი ზემოთ მოტანილ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალების მიხედვით მჭიდრო ურთიერთობაშია დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთ-ერთ მძლავრ მეტალურგიულ კერასთან. ისინი ერთდროულად ქმნიან ამ ეტაპზე იარაღთა წამყვანი ტიპის — ცულების ერთგვარ ან თითქმის ერთგვარ ფორმებს ან სახეებს; ან ზოგჯერ ერთ მხარეში (ამ შემთხვევაში ქვემო და შიდა ქართლში), შექმნილი იარაღის ფორმები წინ უსწრებს მეორისას და მის პროტოტიპებად ევლინება (ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ყუადაქანებული ცულები). ეს მჭიდრო ურთიერთობა შეიმჩნევა არა მარტო ამ ადრეული ცულების ურთიერთშედარებების შედეგად, არამედ სხვა მონაცემების მიხედვით (კერამიკა, სატევრები, სამკაულები (7). როგორც ცნობილია, შიდა და ქვემო ქართლში არსებობდა ძლიერი ენეოლითური კულტურა, განვითარების სხვადასხვა საფეხურით; ამ კულტურის წიაღში წარმოიქმნა და შემდგომ განვითარდა ლითონის წარმოება, სპილენძის იარაღისა თუ სამკაულის ადრეული ფორმები, მთელი რიგი სახესხვაობებით. შემდეგ პერიოდში იგი კი არ ჩაკეტილა და გაყინულა ერთ წერტილზე—კი არ შეუწყვეტია განვითარება, არამედ უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ განვითარებას და ფორმების დახვეწა-გაუმჯობესებას; რომ ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილში დიდ ერთიანობას ამჟღავნებს, რომ ამ მხარეების ტომები მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან და, როგორც ჩანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩხერის ძლიერი მეტალურგიული ცენტრი წარმოქმნილია არა მხოლოდ წინა აზიურ კულტურულ ცენტრებთან ურთიერთობის შედეგად, არამედ შიდა და ქვემო ქართლთან უშუალო კავშირით.

სოფ. ყიზილ-აჯლოს ცულის თარიღის ზუსტად დადგენა რამდენადმე ძნელდება, რადგან ჩვენ არ გაგვაჩნია სათანადო კომპლექსი, ან შესადარებელი მასალა, რომელიც დაგვეხმარებოდა მისთვის სათანადო ადგილის შიჩენაში ლითონის წარმოების ადრეული პერიოდის შესაფერ საფეხურზე.

ჩვენს ერთ წერილში (2) განვიხილეთ ზოგიერთი მასალა და სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებანი ლითონის წარმოების ადრეული პერიოდის ზოგიერთ ცულების თარიღის შესახებ (3. გვ. 36. 4. გვ. 22. 1. გვ. 16. 11. გვ. 30. 5. გვ. 103 და 108). ჩვენ სხვა მკვლევარებთან ერთად მაშინ ვფიქრობდით, რომ ზემო-ავჭალის ცული ერთ-ერთი უადრესი სახე უნდა ყოფილიყო კავკასიაში გავრცელებული ლითონის წარმოების ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელ ცულებს შორის; ამ აზრს ჩვენ ეხლაც ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცული უნდა დათარიღდეს ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით. მაშინ ჩვენ ბრდაძორის, იალბუზისა და ზღუდერის ცულებს ვთვლიდით უფრო მოგვიანო და განვითარებულ ფორმად—ზემო-ავჭალის ცულთან შედარებით: იგი ამჟამადაც ასე გვესახება და მათ თარიღად ჩვენ მიგვაჩნია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედი, ხოლო ახლად აღმოჩენილი ცული ყიზილ-აჯლოდან და მეჯვრისხევის ცულები როგორც ბრდაძორის ცულის შემდგომი განვითარება წინასწარი დაკვირვებით შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით.

ასეთია წინასწარული და არა სრული დაკვირვებანი ყიზილ-აჯლოში (მარნეულის რაიონი) ახლად აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულის შესახებ.

Д. С. КОРИДЗЕ

## НОВООБНАРУЖЕННЫЙ ВИСЛООБУШНЫЙ ТОПОР ИЗ СЕЛА КИЗИЛ-АДЖЛО

Резюме

В статье рассматривается новообнаруженный вислообушный топор из селения Кизыл-Аджло (Марнеульский район), дается картина постепенного развития указанных топоров и датируется серединой III тысячелетия до н. э.

[1] მიუხედავად იმისა რომ კავკასია, კერძოდ საქართველოს ტერიტორია არ უნდა ყოფილიყო იზოლირებული წინა აზიის იმ. დროინდელ კულტურულ სამყაროსაგან, რომ მათ შორის კულტურული ურთიერთობა უთუოდ უნდა არსებულიყო (ამას მეტყველებს რამდენიმე იარაღთა მსგავსი ფორმების აღმოჩენა ამ სამყაროს სხვადასხვა მხარეში. 1. სურ. 14. 9 სურ. 11 ან სურ. 53. 10. სურ. 7 და 8 1–2–3–7–8–9). მაინც ზედმიწევნით მსგავსი იარაღები არ გვხვდება, ან თითქმის არ გვხვდება ამ სამყაროში. ასე, რომ, ვფიქრობთ, ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს ცულები ლითონის ადგილობრივი წარმოების პირმშოა. აქ შექმნილი იარაღებია, ჩვენი ოსტატების ნახელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА


1. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
2. Д. Коридзе, Новые находки медных орудий в Квемо-Картли. С. А, № I, 1958.
3. Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949.
4. В. П. Любин, Археологическая разведка в окрестностях города Сталинири. КСИИМК, № 60, Москва, 1955.
5. ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955.
6. დ. ქორიძე, დმანისის რაიონში ახლად აღმოჩენილი იარაღი ცულ-წერაქვი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, 1956.
7. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ქვაცხელების (ტყლეპია—ქორხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. თბილისი, 1962.
8. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. I, Тбилиси, 1949.
9. Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952.
10. Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XII-B, თბილისი, 19.
11. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ნაწ. I, თბილისი, 1955.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. А. ЧИЛАШВИЛИ

# НЕКОТОРЫЕ МОМЕНТЫ АРХЕОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ УРБНИСИ

Урбниси, как памятник древности, обращает на себя внимание еще в прошлые столетия; своеобразный рельеф погребенного в земле города и грандиозное церковное сооружение V—VI вв. привлекали путешественников и исследователей[1]. Урбниси—один из древних городов Грузии, о котором имеются сведения в грузинских письменных источниках. Автор хроники — Обращение Картли (источник IX в.), а также историк XI в. Леонти Мровели упоминают Урбниси наряду с городами Мцхета, Каспи, Цунда, Хертвиси, Рустави и др. в связи с имевшим будто-бы место походом Александра Македонского.

Археологическое исследование Урбниси было вызвано с одной стороны недостатком материалов, относящихся к истории древних городов Грузии, и с другой стороны возникла необходимость пополнения экспозиции материальной культуры раннего средневековья. С этой целью по указанию проф. Н. А. Бердзенишвили была организована археологическая экспедиция Государственного Музея Грузии им. С. Н. Джанашиа, руководимая сперва кандидатом исторических наук Г. А. Ломтатидзе (1953—1957 гг.), а затем проф. Н. А. Бердзенишвили[2].

Урбниси расположен в 12-ти км. к западу от г. Гори на возвышенной равнине левого берега р. Куры. Город был обнесен с трех сторон мощными стенами с башнями, а также глубоким рвом. На месте старого города ныне находится село такого же названия (табл. I).

На территории городища работы велись, главным образом, на трех участках: на укреплениях, на могильнике и на самой территории города[2]. В настоящей статье мы коснемся одной группы материала, отно-

---

[1] Chardin, Voyages Du Chevalier Chardin, I, стр. 157—158; Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, III, стр. 183—184; П. Иоселиани, Города; существовавщие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, стр. 66, 67; Brosset, Voyage archèologique dans la Géorgie et dans L'Arménie, VI, Тифлис, 1851, стр. 13, П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, Москва, 1894, IV, стр. 141.

[2] О результатах работ экспедиции, помимо газетных статей Г. А. Ломтатидзе и П. П. Закарая, Тезисов сессии и неопубликованных отчетов членов экспедиции; см. Г А. Ломтатидзе, Археологические исследования на Урбнисском городище, журн. «Мецниереба да техника», 1956, № 1 (на груз. яз.); его же, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, СА, XXVII, 1957; Н. Ф. Шошиашвили, Урбниси — древнейший город Грузии, журнал «Цискари», 1958, № 4 (на груз. яз.); П. П. Закарая, К изучению жилых и оборонительных сооружений городища Урбниси, КСИИМК, 74, 1959; его же, Городище Урбниси, журнал «Сабчота хеловнеба», 1960, № 2 (на груз. яз.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

сящегося к последнему периоду существования города. Рассматриваемый материал подобран по интересующему нас вопросу датировки некоторых предметов. По археологическим материалам, на городище выделяются два слоя раннего средневековья IV—VI и VI—VIII вв. В 30-х годах VIII в. Урбниси как город прекращает существование. Его разрушили арабы.

В верхнем слое особый интерес представляли жилые и хозяйственные сооружения. В нескольких местах центрального участка (уч. № 16) зафиксированы пол, стены и разрушенный потолок помещений. Дома разрушены вражеским нашествием; это подтверждается сгоревшими стенами, обвалившимся потолком и разбитой посудой, разбросанной по всей территории города. Стены домов возведены из сырца, на булыжном фундаменте. Пол представляет собой глинобитную массу, которая полуобожжена от пожара. На полу валялись массивные обломки полуобожженных и затвердевших глинобитных частей от крыши так, что первичная ее форма почти полностью сохранилась. Дома, которые примыкали друг к другу, имели плоские перекрытия, что подтверждается отсутствием в этом слое черепиц. Видно также, что применялись деревянные конструкции; на обожженном сырце сохранились отпечатки деревянных бревен средних размеров. В строительной технике наблюдается интересная деталь: в тех случаях, когда сырцовые стены возведены без каменного фундамента, углы помещений и места соединения стен и пола, имеют вместо четко выраженной угловатости, округлую форму.

Полы отдельных комнат хорошо фиксируются сохранившимся на них in situ материалом. В NO части раскопа № 16, 1959 г. обнаружен очаг, вокруг которого были расставлены горшки, предназначенные для варки пищи. Тут же валялись сырцевый кирпич непривычной формы и плоская каменная плита. В южной части раскопа, на полу, у такого же очага,вместе с разными обломками посуды, обнаружен полуобожженный сырцевый кирпич и нижняя часть «квеври» /большой сосуд для хранения вина/, окаймленная рельефными узкими поясами. Сбоку у дна квеври имеется выступ с отверстием. Подобное же дно кувшина найдено и на участке № 20. В Урбниси выявлено несколько таких сосудов с отверстием на дне. Мы предполагаем, что они предназначались для хранения зерна; однако это нельзя сказать о вышеупомянутом кувшине, так как он был найден на полу, следовательно, не был предназначен для закапывания в землю. Кроме того, отверстие на дне указывает на особенность его назначения. Возможно, что в сосуд наливали жидкость, которая нуждалась в процеживании; для этой цели вероятно применяли какое-нибудь специальное приспособление. Этим можно объяснить расположение стока у дна кувшина.

В верхнем культурном слое археологический материал представлен в большом количестве. Здесь мы встречаем керамику, стеклянные изделия, металлические предметы и др. Керамика представлена, главным, образом, грубо обработанными сосудами. Преобладают кувшины, обнаруженные у очагов. Около одного из очагов был найден целый горшочек, зарытый в пепле. Встречаются также миски (табл. II,1) «хелада», «доки» (кувшины для вина), (табл. II,2 таб. III,1) и др.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Нельзя не отметить обилие стеклянных изделий; подразумевается скорее количество, чем их разновидность. Особенно часто встречаются обломки толстостенных сосудов, покрытые круглыми выемками, расположенными в шахматном порядке. Величина углублений разная и зависит от размера самого сосуда. Несколько фрагментов от верхней части и от дна сосуда дают возможность представить себе и форму изделия; сосуд имел вертикальные толстые стенки и сравнительно толстое дно, которым служила подобная же выемка, сравнительно большого размера (рис. 1). Нижняя часть имеет полусферическую форму. В целом сосуд походит на современную пивную кружку.



Рис. 1. Обломки толстостенных стеклянных сосудов с выемками.

В Грузии, в синхронных Урбниси (подразумеваем верхний слой городища) памятниках аналогичные стеклянные изделия не встречаются, поэтому для привлечения параллельных памятников, мы, в основном, обращаемся к материалам соседних республик. Подобная толстостенная стеклянная чаша обнаружена в Судагилане (Мингечаур); Р. М. Ваидов относит ее к I—III вв.[3]. Основываясь на такую датировку проф. К. В. Тревер в своей книге об истории и культуре Кавказской Албании, помещает чашу в главе, посвященной культурному быту кавказских албанов,

[3] Р. М. Ваидов, Раннесредневековое городище Судагилан (Мингечаур). КСИИМК, 1954, № 54, стр. 130, рис. 59, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

в период от I в. до н. э. до III в. н. э.[4]. Не безынтересно отметить еще одну аналогичную чашу, приводимую К. В. Тревер в своем труде[5]. Она найдена в одном из могильников Северной Осетии и хранится в Государственном Эрмитаже. Мы имели возможность ознакомиться с этой, аналогичной урбнисскому стеклянному изделию, чашей.

В специальной литературе стеклянной чаше из Северной Осетии касается археолог Б. Н. Аракелян, который относит ее к I в. н. э.[6], и находит сходство с грушевидным, толстостенным сосудом, найденном в Гарни. По нашему мнению, такое сравнение не совсем убедительно; чашу из Северной Осетии, также как и сосуд изСудагилан, скорее всего следовало бы отнести к более позднему периоду.

Изучая производство стекла кавказских албанов и, в частности, упомянутую чашу, проф. К. В. Тревер касается вопроса происхождения последней. По мнению проф. К. В. Тревер пока невозможно установить звозились ли они из Сирии, Малой Азии или Рейнской области, или изготовляли на месте[7]. Дело в том, что еще раньше существовало два противоположных мнения о происхождении такого вида сосудов; одни предполагали, что их изготовляли рейнские мастера; другие-же считают их изделиями восточноимперских центров ,и полагают, что попадали в Европу через Черное море и Северопричерноморские города[8]. Эти противоположные мнения высказались на основе существующих материалов, пересмотр которых дает нам право говорить о распространении подобных стеклянных изделий на обширной территории, в продолжение ряда столетий. Например, как выяснилось, обработанные подобным образом сосуды хорошо известны в первых веках нашей эры[9]. В римском стекольном производстве стеклянные сосуды с шлифованными овалами на поверхности появляются не ранее III в. н. э. и продолжают бытовать и в V в.[10]. В Урбниси толстостенные сосуды с круглыми выемками бытуют в раннефеодальную эпоху (VI—VIII вв.). Такие же изделия встречаем и в персидских материалах X—XIII вв.[11]. Судя по обильным археологическим материалам городища Рустави, можно заключить, что в эпоху развитого феодализма (XI—XIII вв.) такой прием обработки стекла был распространен и в Грузии[12].

В настоящей статье мы пока интересуемся древними формами стеклянных изделий, отличительной чертой которых служит украшение поверхности сосуда вмятинами. Мы не располагаем подробными данными о материалах погребений Судагилана, где была найдена подобная стеклянная чаша, но думаем, что вышеуказанная датировка предметов, если

---

[4] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.-Л., 1959, стр. 80, рис. 4.

[5] Там же.

[6] Б. Н. Аракелян, Гарни II, Результаты раскопок 1951—1955 гг., Ереван, 1957, стр. 64.

[7] К. В. Тревер, ук. соч., стр. 81.

[8] М. А. Тиханова, Из материалов Дубоссарского отряда Молдавской экспедиции, КСИИМК, 57, 1955, стр. 96.

[9] A History of Technology, vol. II, стр. 324, Oxford, 1957.

[10] М. А. Тиханова, ук. статья, там же.

[11] W.B. Honey, Glass, A Handbook and a guide to the Muzeum collection, London, 1946; Lamm, Glass from Iran, Stokholm, 1935.

[12] Л. А. Чилашвили, Город Рустави (Историко-археологический очерк), Тбилиси, 1958, стр. 77 (на груз. яз. с русским резюме).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

там не имеются какие-нибудь сугубо локальные варианты, неубедительна. (Кроме чаши, подразумеваем костяные проколки. См. ниже). Сомнение вызывает также датировка сосуда из Северной Осетии. Как показывает раскопочный материал многих памятников, опубликованных в специальной литературе, стеклянные изделия первых веков н. э., украшенные фацетами, коренным образом отличаются от изделий последующих веков и сходство можно видеть только в украшениях в виде круглых выемок. Стеклянные сосуды из Мингечаура, Сев. Осетии и Урбниси являются синхроничными памятниками, входившими в одну группу предметов, характеризующимися массивностью и отчасти грубостью литья.

В Урбниси, на территории городища, обломки таких сосудов встречаются в верхних слоях, в развалинах жилых и хозяйственных сооружений. Верхний слой содержащий и стеклянные сосуды, можно датировать найденными здесь еще в 1956 году сасанидскими монетами. Из семи монет 4 принадлежали Каваду I, царствовавшему с 488 г. по 531 г., а остальные — Хосро I (531—579 гг.). Так как все монеты найдены вместе, то датирующее значение имеют поздние монеты, в данном случае монеты Хосро I, по которым начало верхнего слоя приходится на середину VI века. Такую датировку подтверждает монета Юстина I (518—527), найденная здесь в 1959 г. Что же касается времени разрушения сооружений, то по археологическим данным, а также по сведению Вахушти Багратиони (историк XVIII в., который разрушение Урбниси приписывает Мервану II), ее можно определить 30-ыми годами VIII века.

К вышеупомянутому периоду в основном и относим мы распространенные в Урбниси стеклянные изделия, покрытые круглыми выемками. Мы уже заметили, что подобный материал, только более тщательной работы, встречается в ранних памятниках. На южном участке Самтаврского могильника, в каменном ящике № 1 (раскопки 1938 г.) обнаружен обломок белого стеклянного сосуда с круглыми выемками. По сравнению с урбнисскими изделиями самтаврский сосуд хорошо обработан; имеет тонкие стенки и гладкую поверхность .Выемки более низкие и меньшего размера. В погребении, наряду с другими предметами, найдены монеты Августа (27 до н. э. — 14 н. э.) и Домициана (81—95), по которым оно может быть датировано первыми веками н. э. (Для датировки пользуемся сообщением А. Н. Каландадзе). Интересно, что в Урбниси, в материалах первых веков н. э., мы встречаем маленький фрагмент стеклянного сосуда (раскопки 1957 г., I—58: 1817), украшенный круглыми выемками. Таким образом, в Урбниси встречается и ранний вид таких изделий. Несомненно, что толстостенные стеклянные изделия раннего средневековья (VI—VIII вв.), о которых мы уже говорили, представляют собой позднюю разновидность, более ранних, —сохранившую манеры внешней обработки стекла.

Из материалов вышеупомянутого слоя раскопок 1959 г. особый интерес вызывают два костяных предмета, головки которых изображают правую руку, вернее, кисть руки (рис. $2_{1,3}$). Один из них имеет заостренный конец с явными признаками употребления. Такой же костяной предмет был найден в Урбниси в 1954 г. на Хизанаант-гора (рис. $2_2$). Изображение руки на археологических предметах из Урбниси широко распространено. Заслуживает внимание замечательная по работе медная булавка, найденная в 1957 г. на участке № 20 (рис. 3). Головка булавки изображает правую руку, с кольцом на мизинце. Булавка тщательно обработана и на ней заметны следы позолоты. Так же, как и на костяных предметах, и здесь изображение руки отделено от стержня рельефными кольцами. В изображении большого и указательного

ეროვნული ბიბლიოთეკა

пальцев явно чувствуется единство стиля и общая черта в приемах изображения, что дает нам право предполагать их местное происхождение, хотя они и не являются синхроничными памятниками. Медная позолоченная булавка более раннего времени. Найденные вместе с ней некоторые предметы дают нам возможность отнести ее к II—III вв. В слое медной булавки была найдена и серебряная ложка (рис. 4), единственная в урбнисском материале.




Рис. 2. Часть материалов верхнего слоя, 1—3—костяные предметы с изображением руки, 4—серебряная амулетница, 5,6—стеклянные пуговицы.

В Грузии подобные металлические булавки неизвестны, кроме одной. Найдена в Мцхета и хранится в Государственном Эрмитаже, где выставлена в Кавказском отделе, вместе с материалами первых веков нашей эры. Она похожа на урбнисскую булавку, но намного уступает по качеству обработки; Изображение руки в частности очень схематичное и почти необработано, возможно даже не закончено.

Пересмотр разных археологических материалов показывает, что в ранние эпохи костяные булавки у нас представляют редкие исключения. С первых веков н. э. они уже довольно распространены. Вместе с этим головки булавок часто украшались разными орнаментами. Античное влияние в характере изображения и здесь хорошо прослеживается. На костяных и металлических булавках позднеантичной эпохи мы нередко встречаем изображение человеческой руки, животных, или дру-

ეროვნული ბიბლიოთეკა

гих фигур[13]. Согласно данным археологических материалов в это время они получают широкое распространение в Грузии, и их художественное оформление становится более утонченным. Не говоря о других, несколько костяных булавок известны и из Урбниси. Верхняя часть одной из них украшена изображением голов животных, обращенных в противоположные стороны.



Рис 3. Бронзовая булавка, с изображением руки (раскопки 1957 г. уч. № 20—2)

Что же касается изображения руки, то оно довольно распространено. В материалах Самтаврского могильника хорошо известны бусы из разных минералов, изображающие аналогичный мотив[14]. В Урбнисском могильнике, в погребениях, датированных археологом Д. Л. Коридзе, первыми веками н. э., мы также встречаем бусы из сердолика и стекла с изображением кисти руки[15]. Такие же бусы известны в более поздние эпохи; в руставских археологических материалах хранятся несколько таких бус, относящихся к среднефеодальной эпохе (XI—XIII вв.)[16]. Предполагается, что подобные бусы употреблялись не только как украшения, а также как амулеты.



Рис. 4. Серебряная ложечка, обнаруженная при раскопках городской бани (1956 г.)

Самой близкой аналогией к урбнисским костяным предметам с рельефными изображениями мы считаем обнаруженный в 1959 г., в одном из погребений Уплисцихе, костяной предмет, головкой которого служит вырезанная из цельной кости кисть руки. По предварительным отчетам Д. А. Хахутайшвили, это погребение датируется VI—VII вв.[17]. Это обстоятельство дает нам право говорить о распространении подобных металлических и костяных предметов в быту городского населения Грузии с первых веков н. э.

Не исключена возможность, что появление такого рода костяных предметов было связано с широким распространением письменности. Ранее уже было высказано мнение, что эти предметы являются стилями для письма. Проф. С. П. Толстов в своей книге — Древний Хорезм, в материалах Кушанской эпохи, упоминает костяной предмет с изображе-

---

[13] René Ménard et Claude Sauvageot, Vie Privée des Anciens. La famille dans L'antiquité. La famille—Le vêtement, Paris, стр. 397–399.

[14] А. Н. Каландадзе, Итоги археологических исследований Мцхета за 1957—1960 годы (на груз. яз.). стр. 62.

[15] Д. Л. Коридзе, Отчет археологических раскопок Урбнисского могильника (печатается в сборнике экспедиции, на груз. яз.).

[16] Л. А. Чилашвили, город Рустави, стр. 140.

[17] Пользуемся неопубликованным отчетом Д. А. Хахутайшвили.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

нием руки с протянутым указательным пальцем на одном из концов. По его мнению, предмет этот представляет собой стиль для письма[18].

В Мцхета, на так называемом новом могильнике I—II вв., в одном из погребений археологом А. Н. Каландадзе засвидетельствован стержнеобразный костяной предмет, являющийся, как он полагает, стилем для письма[19]. Такое предположение кажется еще более правдоподобным после того, как в 1958 г. в Мцхета, в раскопанном поблизости от универмага погребении, были засвидетельствованы серебряная чернильница и продолговатый костяной стиль. Следует упомянуть еще об одной находке: в феврале 1959 г. в одном из погребений, раскопанном на Самтаврском могильнике, найден стеклянный сосудик, который А. Н. Каландадзе считает чернильницей[20]. Одним словом, накопившийся за последнее время материал проливает дополнительный свет на вопрос о назначении вышеупомянутых костяных предметах, которые, согласно существовавшему до сих пор мнению, считались булавками. Мы, считаем, что хотя новое их определение в некоторых случаях может оказаться и не бесспорным, оно все же является шагом вперед в решении данного вопроса.

Являлись ли урбнисские костяные предметы стилями, булавками или же проколками, пока решить трудно; сопровождающийся археологический материал в этом отношении пока ничего нового не дает. Что же касается медного, позолоченного предмета, то мы полагаем, что он являлся булавкой. Согласно Р. В. Вандову обнаруженные в Мингечауре костяные предметы с изображением руки являются проколками. Проколки обнаружены вместе со стекляной чашей, о которой мы уже говорили.

На глинобитном полу одного из жилых сооружений этого же слоя, наряду с вышеупомянутым материалом, найдены еще несколько интересных предметов. В первую очередь отметим серебряный тонкостенный трехпоясной предмет цилиндрической формы. Тут же была и его крышка (рис. 2,4). Корпус предмета с крышкой окаймлен тремя поясами, заканчивающимися узкими кольцами для подвешивания. Этот тщательно обработанный металлический цилиндр в специальной литературе именуется «амулетницей». Очевидно, в них хранили талисманы. Три золотые амулетницы обнаружены в богатом погребении № 6 Армазисхеви[21]. Они меньше урбнисских. Интересно, что в одной из них найдены тоненькие золотые ленты с арамейской надписью. По мнению проф. Г. В. Церетели надпись магического характера[22]. Погребение датируется концом II в. н. э. В Бори найдены две подобные амулетницы[24]. Они, как армазисхевские имеют цилиндрическую форму и вставляются друг в друга. Их концы заканчивались отверстиями для подвешивания. Золотая амулетница другой формы обнаружена в Уреки. Она представляет собой восьмигранный трехпоясной цилиндр, на поясах которой имеются

---

18 С. П. Толстов, Древний Хорезм, таб. 27.

19 А. Н. Каландадзе, Вновь открытое погребение в Мцхета, «Мимомхилвели», I, Тбилиси, 1949, (на груз. яз.) стр. 265.

20 А. Н. Каландадзе, В глубине веков, газета «Комунисти», 24 мая 1959 г. (на груз. яз.).

21 А. М. Апакидзе, Г. Ф. Гобеджишвили, А. Н. Каландадзе, Г. А. Ломтатидзе, Мцхета, I, Армазисхевские археологические памятники, стр. 82.

22 Там же, стр. 83.

23 Там же.

24 Е. М. Придик, Новые кавказские клады, МАР, № 34, Петроград, 1914, таб. VI, 2.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

три отверстия. А. М. Апакидзе датирует амулетницу концом III и началом IV вв.[25].

Множество амулетниц, как золотых, так серебряных, было засвидетельствовано при раскопках городов Северного Причерноморья[26]. Их широкое распространение примечательно и тем, что они бытовали продолжительное время, видимо, со времен возникновения древнего магического мышления.

Здесь же обнаружен стеклянный предмет формы пряслица, с рельефными кругами (рис. 2,5). Подобные «пряслицы» в Грузии бытуют с первых веков н. э. В погребениях Самтаврского могильника IV—VIII вв. мы встречаем костяные «пряслицы» подобной формы, украшенные концентрическими кругами. Если проследить за распространением, вышеупомянутые костяные и стеклянные «пряслицы» с первых веков получают широкое распространение. Позднее стекло сменяется, сперва частично, а затем полностью костью, так что в среднефеодальной эпохе (XI—XIII вв.) мы встречаем только костяные «пряслицы». Заслуживает внимание и то ,что украшение рельефными кругами — распространенное на стеклянных «пряслицах», на костяных предметах сменяются концентрическими кругами. Дальнейшее развитие данных предметов из Самтавро прослеживается в дманисских и руставских материалах среднефеодальной эпохи. То, что в Урбниси мы имеем переходную от античного на средневековье форму вышеупомянутых стеклянных предметов, видно из того факта, что там же было найдено подобное «пряслице» и с необработанной поверхностью (рис. 2,6).

Что же касается назначения подобных предметов, то мы думаем, что они не пригодны для прядения и, подобно более поздним костяным предметам, употреблялись как пуговицы. В пользу этого говорит аналогичный стеклянный предмет, обнаруженный в 1959 г. в погребении № 100, в урбнисском могильнике, в отверстии которого найден железный стержень с маленьким крючком[27]. Следовательно, если наше предположение правильное, то мы сможем назвать их «пуговицами», а не «пряслицами». Надо полагать также, что и распространение пуговиц такой формы возможно было связано с появлением в быту какой-нибудь новой формы одежды.

Металлические изделия в верхнем слое представлены преимущественно наконечниками стрел и фибулами. Наконечники стрел найдены, главным образом, поблизости от городских стен и башен (Табл. IV, 2). Формы найденных здесь фибул аналогичны с распространенными в Грузии в IV—VIII вв. фибулами, что помогло нам и в датировке памятника. Заслуживает внимание то, что фибулы часто встречаются вместе с другими предметами, что лишний раз подтверждает принятую нами датировку. Например, вместе с костяными предметами с изображением руки, а также стеклянными пуговицами и серебряной амулетницей, найдены фрагменты железных и медных фибул.

Раскопки городища дали богатый материал и из сооружений хозяйственного назначения. Не говоря о некоторых хозяйственных предметах, обнаруженных в жилых помещениях, экспедицией изучено несколько винных погребов — «Марани» и складов для хранения зерна.

---

25 А. М. Апакидзе, Археологические памятники позднеантичного периода из Уреки, Вестник Гос. Музея Грузии, 1947, XIV-B, стр. 17; см. также Р. В. Путуридзе, Позднеантичные археологические памятники Западной Грузии, Материалы по археологии Грузии и Кавказа. Тб., II, 1959, стр. 86, таб. XII, 2.

26 Н. В. Пятышева, Ювелирные изделия Херсонеса, Москва, 1956 стр. 60.

27 Д. Л. Коридзе, указ. отчет.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«Марани» (табл. IV, 1) содержащие десятки квеври разных размеров, указывают на сильно развитое виноделие и виноградарство хозяйственного округа города, расположенного за городскими же стенами Урбниси. На это указывают и косточки от винограда, обнаруженные в разных местах города. Квеври содержали и археологические материалы, попавшие туда при разрушении города. В одном из квеври найдены два глиняных сосуда, предназначенных для вычерпывания вина из квеври (рис. 5).



Рис. 5. Глиняные сосуды предназначенные для вычерпывания вина из квеври. Обнаружены в квеври одного из марани города (раскопки 1957 г. уч. № 16—3).

В одном из квеври обнаружен детский костяк (раскопки 1959 г.). Сохранились череп и несколько костей. Видимо ребенок был брошен в сосуд насильно. Разрушенные неприятелем стены домов, обуглившиеся бревна башен, квеври с детским костяком, все это указывает на трагическую гибель Урбниси.

Еще в 1957 году, на XVI-2 участке, в северной части, была зафиксирована глиняная труба. Предполагалось, что она должна была продолжаться к северу. В южной части XVI-4 участка в продолжении найденной трубы было отпрепарировано еще пять труб, которые совершенно отличались от ранее известных (табл. III, 2). В сечении они приблизительно квадратной формы, толстостенные и разных размеров. На двух противоположных стенках вырезаны четырехугольные оконца. Это исключает возможность их применения для водопровода; поэтому вырезанные места были прикрыты кусочками черепиц. Нет сомнения, что они использованы не по назначению. Видимо, они первоначально использовались в городской бане, расположенной по соседству.

Как мы отмечали выше, строительным материалом для сооружений употреблялись в основном сырец и булыжник, в меньшем количестве встречаем обожженные плоские кирпичи и черепицы, видимо, в вторичном употреблении. Здесь особо отметим часть глиняной плиты, видимо служившая для облицовки стены какого-то сооружения. На плите печатью изображена фигура павлина, стоящая перед чашей. Сверху видны грозди винограда и виноградная лоза (табл. V,2). По аналогичным изо-

бражениям, павлин по всей вероятности был изображен и с другой стороны чаши[28].

Второй слой сооружений на участке № 16 представлен опять-таки фрагментами стен. Стерильный слой достигает 0,3 м. Стены как видно, были возведены из сырца, хотя нижняя часть сохранившихся стен была выложена булыжниками. Как видно, сооружения обоих слоев построены почти по одному плану, так что направления стен совпадают, особенно в южной части участка. Между ними, в стерильном слою, обнаружена медная фибула.

Несмотря на бедность второго слоя археологическим материалом, можно заметить, что глиняные сосуды имеют иной вид, чем в верхнем слое. Здесь больше встречаются тонкостенные изделия с красной отполированной поверхностью, что безусловно указывает на античное влияние. Это, конечно, касается чередования одного вида другим, в целом же материал обоих слоев похож друг на друга.

В этом же слое найден конусовидный агатовый предмет с гладким и необработанным основанием (табл. VII,2). Такой же предмет найден в Армазисхеви, в каменном ящике № 17. М. Н. Лордкипанидзе считает его печатным камнем, приготовленным для обработки[29].

Тут же мы упомянем о венчике от квеври, на котором выцарапана грузинская надпись (табл. V, 1). Надпись состоит из трех букв, выведенных асомтаврули — старогрузинскими письменами. Все три буквы хорошо изображены. несмотря на это, надпись пока не расшифровывается.

Для датировки II слоя большое значение имеет обнаруженное под стеной сооружения детское погребение. Покойник лежал в скорченном положении на левом боку. У подбородка найдены медный колокольчик и бусина из пасты. К погребению надо отнести также такой же медный колокольчик, обнаруженный поблизости. Обряд захоронения позволяет отнести погребение к дохристианской эпохе. Медные же колокольчики дают возможность более конкретной датировки.

Самыми близкими к ним аналогиями мы считаем колокольчики, обнаруженные в Урбнисском могильнике, в погребениях позднеантичной эпохи. По мнению Д. Л. Коридзе они особенно широко распространены в первых трех веках[30]. Действительно выясняется, что медо-бронзовые колокольичи в первых веках получают широкое распространение и их формы на примере колокольчиков из Клдеети[31], Бори[32], Манглиси[33], Шида Картли[34] и др., становятся более дифференцированными.

---

28 Об изображениях павлинов см. Д. В. Айналов, Эллинистические основы византийского искусства, СПБ, 1900; А. С. Уваров, Христианская символика, М., 1908; Г. Н. Чубинашвили, Болниси, 1940; Р. М. Вандов, Раннесредневековое городище Судгылан (Мингечаур), КСИИМК, 1954, вып. 54; Г. Н. Чубинашвили, О художественной среде и хронологических рамках мингечаурского рельефа, материалы по истории Азербайджана, II, Баку, 1957; А. Л. Якобсон, Раннесредневековый Херсонес, МИА, 63, 1959, и др.

29 М. Н. Лордкипанидзе, Геммы Государственного Музея Грузии, II, Тбилиси, 1958 (на груз. яз. с русским резюме), стр. 22.

30 Д. Л. Коридзе, ук. отчет.

31 Г. А. Ломтатидзе, Клдеетский могильник, Тбилиси, 1957 (на груз. яз. с русским резюме), стр. 78.

32 Е. Придик, Новые кавказские клады, таб. V—VI.

33 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 27.

34 Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 25.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Нельзя не отметить, что на некоторых из них явно заметно влияние ранних традиций, что позволяет проследить их продолжительное художественное развитие. Часть упомянутых колокольчиков с боковыми выемками, связана с другими предметами, с которыми они составляют единое целое. В качестве примера приведем ажурные подвески в виде пирамидальных четырехгранных колокольчиков из Гарни, которые, по словам Б. Н. Аракеляна, «теснейшим образом связаны с подобными же украшениями, идущими с эпохи бронзы и железа»[35].

Для нас особый интерес представляют подобные бронзовые колокольчики из могильника Дура-Европос. Они, как и наши, имеют конусовидную форму, и найдены в детском погребении № 33. Толл датирует их I —II вв.[36]. Отметим еще одно погребение (№ 41), где вместе с двумя бронзовыми колокольчиками обнаружены дисковидное зеркало, стеклянный сосудик и маленький глазурованный горшочек. Погребение датировано концом первого и началов II в. По внешним признакам погребальные колокольчики из могильника Дура-Европос можно считать прямой аналогией, подходящей для датировки урбнисского погребения, тем более, что в урбнисских археологических памятниках встречаются предметы, чьи параллельные материалы довольно хорошо известны в Передней Азии. Поэтому считаем необходимым и целесообразным принять их во внимание для установления ареалов распространения синхроничных, однородных археологических материалов. Мы пока не ставим себе целью детальное изучение подобных предметов, поэтому и не будем останавливаться на выяснении их происхождения и других интересных вопросах; это — тема специального исследования. Таким образом, перечисляя выше колокольчики из целого ряда пунктов, являющиеся более древними их образцами, мы хотели отметить только лишь существование пережитков старых традиций.

Детское погребение, о котором мы говорили, представляет так сказать, третий культурный слой. Непосредственно на нем возвышалась часть стены. Это обстоятельство дает нам право предположить, что сооружения II слоя могли быть построены не раньше конца III века.

Перед экспедицией еще раньше возникал вопрос—была ли освоена во время существования города западная часть территории, расположенной внутри городского вала, и в какой связи находилась она с жилыми и хозяйственными сооружениями, выявленными во время полевых работ. По преданию, изучаемая экспедицией местность, со значительной частью территории городища, принадлежала церкви, она не заселялась и в таком же виде дошла до нас. Еще в 1957 г. в ЮЗ части городища, во время разведочных работ, найдены остатки городской южной стены и глиняный саркофаг. Разведочные раскопы, выявлявшие интересный археологический материал, подавали надежду дальнейшему исследованию.

В 1959 г. здесь (уч. № 34) экспедицией раскопаны части разрушившихся домов, а под ними 9 погребений. Только случайностью можно объяснить нахождение в одном из погребений чернолощенного фрагмента энеолитического типа, который указывал на существование более древних слоев, нарушенных позднее. Тут же, между погребениями, вместе с плохо сохранившимся черепом с костями лошади была обнаружена часть бронзовых удил. По-видимому, находившийся здесь раньше

---

[35] Б. Н. Аракелян, Гарни II, стр. 78.

[36] N. P. Toll, The Excavation at Dura—Europos II, The Necropolis. London, 1946, стр. 66, таб. L.

[37] N. P. Toll, ук. соч., стр. 137, таб. LV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

скелет лошади был поврежден во время рытья могильной ямы. Случаи погребения лошади в Урбниси хорошо известны, поэтому не исключено, что и на этот раз мы имеем дело с подобным фактом. Удила исключительно похожи на триалетские, которые проф. Б. А. Куфтин датирует позднебронзовой эпохой[38]. Р. М. Абрамишвили рассматривает их вместе с сасиретскими и навтлугскими удилами и относит к XIII—XII вв. до н. э.[39]. Основная часть урбнисской конской сбруи несомненно исчезла при повреждении погребения. Эта часть могильника использовалась для захоронения и позднее. Тут же встречаются остатки более поздних сооружений, поэтому, случаи разрушения старых памятников не исключены.

Из 9 погребений, раскопанных здесь — 6 грунтовых погребений и 3 саркофага.

Грунтовые погребения представляют собой ямы овальной формы, на дне которых похоронены покойники на спине, в трех случаях с согнутыми ногами, а в остальных — в вытянутом положении, головой на запад. В тех погребениях, где костяки хорошо сохранились, мы видим своеобразное расположение рук покойников: левая рука согнута так, что кисть руки лежит на правом боку покойника. Кисть правой руки помещена у шеи под подбородком; такое положение рук не зависит от того, согнуты ноги у покойника или вытянуты (табл. VI, 14). Такой обряд захоронения выглядит весьма своеобразным и думаем, в нем можно видеть совершение определенных религиозных ритуалов. Судя по ориентации покойников и по обряду захоронения, погребения относятся к переходной ступени от язычества к христианству. Это предположение подкрепляется и погребальным инвентарем, который представлен металлическими частями одеяния, украшениями и стеклянными сосудиком. Аналогии бронзовых булавок, украшенных головками из разных минералов (табл. VI, 4, 5), а также бронзовой фибулы (табл. VI, 9) имеются в большом количестве в самтаврских и армазисхевских материалах IV—VIII вв.[40] и поэтому мы не будем на них останавливаться.

Из украшений железное кольцо и бусы ничего существенного не дают. Что же касается медного дисковидного предмета с отверстием для подвешивания в центре, не характерного для грузинских археологических материалов, то его можно считать женским височным украшением (таб. VI, 8). Аналогичные украшения особенно хорошо известны в материалах Северного Причерноморья.

Заслуживает внимания медный перстень, на котором вырезана фигура скорпиона с вогнутым хвостом (табл. VI, 12). В изображении отдельных частей скорпиона чувствуется схематичность. Аналогичное изображение мы встречаем на бронзовой печати, обнаруженной в каменном ящике № 83 армазисхеви (раскопки 1945 года). Здесь, вместе со

---

38 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, табл. XVI.

39 Р. М. Абрамишвили, К вопросу о датировке памятников эпох поздней бронзы и широкого освоения железа, обнаруженных на Самтаврском могильнике, Вестник Гос. Музея Грузии, т. XIX-А и XXI-В, Тбилиси, 1957, см. таб. 1.

40 А. М. Апакидзе, Г. Ф. Гобеджишвили, А. Н. Каландадзе, Г. А. Ломтатидзе, Мцхета I, см. археологический материал с позднего могильника; О. В. Ткешелашвили, Памятники материальной культуры раннефеодальной эпохи Самтаврского могильника (IV—VIII вв.); Вестник Гос. Музея Грузии, XIX-В; его же, Булавки, обнаруженные в самтаврских погребениях IV—VIII в. н. э., Вестник Гос. Музея Грузии XIX—XX-В; Н. Н. Угрелидзе, К истории стекольного производства Грузии, кандидатская диссертация.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

скорпионом выцарапаны фигура льва и пехлевийская надпись[41]. По мнению М. Н. Лордкипанидзе печать относится к изделиям иерфянской эпохи[42]. Что же касается погребения, где обнаружена печать, то авторы «Мцхета» помещают его в «поздний могильник», датируемый им же IV—IX вв.; «это массовое кладбище, как видно, возникло на развалинах старой аристократической резиденции, значительное время спустя, надо полагать, позже группы богатых гробниц IV века...»[43]. Такое мнение авторов безусловно следует учесть при датировке урбнисских погребений; эту датировку поддерживает единственный стеклянный сосудик, обнаруженный в первом погребении (Табл. VII, 2). Подобные бальзамарии хорошо представлены в погребальных комплексах Самтаврского могильника. По классификации Н. Н. Угрелидзе они относятся ко II подгруппе[44]. Самтаврские погребения, содержащие подобные бальзамарии, Н. Н. Угрелидзе относит к IV—V вв.

Вышеупомянутые Урбнисские грунтовые погребения по археологическим данным и по обряду захоронения, как было отмечено выше, относятся к раннему средневековью, периоду, совпадающему с перидом распространения христианства в Грузии. Было бы правильнее отнести их ко второй половине четвертого и пятому веку.

Глиняные саркофаги, раскопанные здесь, ничем не отличаются от саркофагов предыдущих раскопок. Все три серкофага имеют ваннообразную форму, толстые стены хорошего обжига и крышку из двух частей. Длина саркофага достигает 2,1 м, ширина в центральной части не превышает 0,8 м. Стенки и венчики саркофагов украшены лепным орнаментом (Табл. VII, 2). В первом и втором саркофагах обнаружены по два костяка, в третьем три. Покойники захоронены в разное время, кости были в безпорядке. Инвентарь саркофагов беден. Обнаруженные в них булавки, украшенные головками из пасты и коралла (Табл. VII, 1—3), а также тонкостенный стеклянной сосудик (Табл. VIII,1) идентичны с материалами ,приведенными выше как аналогии к инвентарю грунтовых погребений, что дает нам право саркофаги и грунтовые погребения считать синхроничными.

В Урбниси глиняные саркофаги были обнаружены экспедицией еще в 1953 г.[46]. Они засвидетельствованы и в разных местах современного села. Урбнисские саркофаги, обнаруженные до экспедиции, опубликованы проф. С. Макалатия[47]. Им же зафиксировано несколько случаев находок подобных глиняных погребений. По всей видимости, впервые глиняный саркофаг был найден в ущелье Арагви в с. Сагурамо, затем в Урбниси. Один из таких саркофагов, обнаруженный в Боржомском ущелье, хранится в Государственном Историческом Музее в Москве. Заслуживает внимание тот факт, что саркофаги особенно распространены на территории исторической Картли. В 1956 г. саркофаг был засви-

---

[41] М. Н. Лордкипанидзе, Геммы Государственного Музея Грузии, II, стр. 113, рис. 64; аналогичное изображение см. Fr. Sarre, Die kunst des alten Persian, Berlin, 1923, рис. 14.

[42] Там же.

[43] А. М. Апакидзе..., Мцхета, I, стр., 152.

[44] Н. Н Угрелидзе, указ. соч., стр. 96.

[45] Там же.

[46] Г. А. Ломтатидзе, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, СА, XXVII, 1957, стр. 273.

[47] С. Макалатия, Археологические находки в сел. Даблагоми и Агаяни, СА, V, 1940, стр. 269.

детельствован и по нижнему течению р. Куры, в Рустави[48]. Это первый случай подобного открытия. Преобладающее большинство подобных саркофагов лишены инвентаря, поэтому их датировка особенно усложнена. Золотые монеты, найденные в саркофаге, обнаруженном в с. Агаяни, дали возможность проф. С. Макалатия отнести их к IV—V вв.[49]. Это, конечно, исходная точка для датировки глиняных саркофагов, особенно для урбнисских, но пока нет возможности точно определить время их распространения. Мы не располагаем также достоверными данными, для выяснения вопросов происхождения, прототипов и т. д. Возможно, что в дальнейшем станут известными и более ранние глиняные саркофаги.

Насколько нам известно, самые древние саркофаги обнаружены в Уре[50]. Они по размерам меньше наших. Покойники лежат в скорченном положении. Такая поза, как предполагают, увязывается с религиозными традициями[51].

Обзор археологических материалов показывает, что прототипы урбнисских саркофагов скорее всего надо искать в Передней Азии. В Месопотамии глиняные саркофаги, по словам Толля — корытообразные саркофаги, имеют глубокие корни, идущие вплоть до ассирийских времен[52]. Они были сильно распространены в Вавилоне в парфянскую эпоху[53].

Глиняные саркофаги вскрыты и на могильнике Дура-Европос. Некоторые из них были украшены лепными орнаментами[54]. Между этими саркофагами и саркофагами из Урбниси, наблюдается много схожих деталей.. Например, саркофаги из Дура имеют плоское дно, почти вертикальные стенки и округлые концы. По предположению Толля они были в употреблении в конце II в. н. э. Им же высказано мнение, что «переход от деревянных гробниц на глиняные саркофаги, являются одним из сильных доказательств новой волны влияния Месопотамии»[55]. Еще раньше, глиняные саркофаги были засвидетельствованы во втором слое в Селевкии Тигра (43—118 гг. н. э.)[56]. Здесь же в III слое (140 г. до н. э. — 43 г. н. э.) обнаружен и глазурованный саркофаг[57]. Такой же саркофаг был обнаружен и в Дура. Глазурь была толстой и легко отламывалась. Декорировкой стен, саркофаг увязывается с саркофагом, типичным для эллинистического искусства Месопотамии. Этот тип саркофагов в Дура, появляется видимо после 160 г. н. э. Его обломки, найденные здесь, относятся к концу II в. н. э.[58]. Саркофаги Дура содержали по одному костяку, однако предполагают, что они использовались и для вторичного захоронения бедных жителей[59].

---

[48] См. газета «Зарл Востока», от 13 августа 1957 г.

[49] С. Макалатия, указ. статья, стр. 270.

[50]. C. L. Woolley, Ur excavations. The royal cemetery, 1934, New-York, I стр. 138, 139, II, таб. 11.

[51] Там же, стр. 138, 139.

[52] N. P. Toll, The Excovations at Dura-Europos. Preliminary report of the ninth season of work 1935–1936., II. The necropolis, London, 1946, стр. 95.

[53] Там же.

[54] N. P. Toll, указ. соч., таб. XXVIII.

[55] Там же, стр. 95.

[56] Там же.

[57] Там же, стр. 97.

[58] Там же.

[59] Там же, стр. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Толль высказывает заслуживающее внимания предположение о местном производстве глиняных саркофагов, так как рыхлая глина, из которой они сделаны, не позволяла им транспортировку на дальние расстояния[60]. То же самое можно сказать и об урбнисских саркофагах, хотя в технологическом отношении они стоят на высоком уровне. Следует также отметить и то, что, согласно справедливому замечанию проф. П. П. Закарая, с точки зрения художественного оформления, они являются образцами искусства.

Такова схематическая картина распространения глиняных саркофагов. Урбнисские саркофаги относятся к сравнительно позднему периоду, который, до выявления новых данных, мы считаем определить IV—V веками. Эту датировку поддерживает и тот факт, что в стенах сооружений VI—VIII вв. часто находили обломки саркофагов, использованные как строительный материал.

Возникает вопрос о взаимоотношении сооружений жилого и хозяйственного назначения, раскопанных экспедицией, с вышеупомянутыми погребениями. Та часть территории города, которая подлежала археологическому изучению, в I—III вв. служила могильником. Приблизительно с конца IV века, растущее городское население заселяет ее, а могильное поле постепенно передвигается к западу, так что к IV—V вв. оно расположено в самом «углу» последующего городского вала. К VI веку большая часть территории, занятой упомянутыми нами погребениями IV—V вв. была освоена под жилища, на что указывают остатки стен, и ряд хозяйственных предметов (квеври, тоне). Изучаемая часть территории города была занята могильником не только в первых веках н. э., но и раньше, приблизительно с эпохи ранней бронзы. Древнее могильное поле видимо принадлежало сильному поселению, находившемуся на левом берегу р. Куры, на «Хизанаант-гора».

60 Там же.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

Табл. I. 1. Городище Урбниси. Аэрофотоснимок с запада. 1 — жилой холм — «Хизанаант-гора», место возникновения древнего города. 2. Урбнисская церковь V—VI вв. 2. Западная часть городища — основное место раскопок экспедиции. 1 — участок № 16, 2 — участок № 20, 3 — сырцовые башни, 4 — участок № 34 могильник IV—V вв.

Табл. II. 1 Глиняная плоскодонная миска. 2. Маленькие кувшинчики для вина.

Табл. III. 1. Верхняя часть «хелада». Датируется 30-ми годами VIII в. (время уничтожения города). 2. Часть канализационной сети (раскопки 1959 г.).

Табл. IV. 1. Один из урбнисских «марани» — винный погреб (раскопки 1957 г. уч. № 16—3). 2. Наконечники стрел, обнаруженные у городских стен и при раскопках жилых сооружений.

Табл. V. 1. Часть венчика от квеври с грузинской надписью (раскопки 1959 г. уч. № 16—5 ). 2. Часть глиняной плиты с изображением павлина (раскопки 1957 г. уч № 32).

Табл. VI. 1. Инвентарь, погребений раскопанных в 1959 г. на уч. № 34. 1—5 булавки украшенные головками разных минералов, 6—7 головки от булавок, 8—височное украшение, 9 — бронзовая фибула, 10 — серьга, найденная на территории могильника, 11, 13 — железные кольца, 12 — щит от перстня с изображением скорпиона, 2 — Грунтовое погребение № 3 (раскопки 1959 г. уч. № 34).

Табл. VII. 1, 2—стеклянные сосудики из саркофага № 3 и грунтового погребения № 1. 3—агатовый печатный камень приготовленный для обработки. 4—Глиняный саркофаг № 3 (раскопки 1959 г. уч. № 34).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.







2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1



2



ეროვნული ბიბლიოთეკა

1



2



ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV

1



2



Табл. V

ეროვნული ბიბლიოთეკა

1



2



ეროვნული ბიბლიოთეკა

1




2



Табл. VII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1




2



აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963.
Вестник Государств. музея Грузии. им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1963
ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. ტყეშელაშვილი

# გვიანი ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხი ნავთლუღიდან

(ქ. თბილისი. 1955 წ. დაზვერვები)

ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 1955 წ. სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნავთლუღში აღმოჩენილი ორმოსამარხი[1].

ნავთლუღში, მდ. ორხევისა და მტკვრის შესართავთან, ორხევის მარცხენა ნაპირას, საკმაოდ მოზრდილი ველია. ამ ველზე ფართო საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს. სამშენებლო მოედნის მოსწორების დროს, მძლავრ მიწისმთხრელ მექანიზმს („ბულდოზერს“) თითქმის ბოლომდე გაეთხარა სამარხი. დაზვერვების დროს ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩა გასაკეთებელი, რომ სამარხს ზემოდან გადავაცალეთ 15—20 სმ სისქის მიწის ფენა.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო (ბულდოზერის მიერ), მაინც შესაძლებელი გახდა მისი მოყვანილობისა და ზომების დადგენა; იგი წარმოადგენდა მოგრძო ოთხკუთხედ ორმოს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მიმართული. სამარხის ზომებია: 1,85×1,35 მ.

სამარხში მარჯვენა გვერდზე, მოხრილად იდო ადამიანის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი, რომლის ირგვლივ ეწყო 17 ცალი თიხის ჭურჭელი და აგრეთვე, ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთები.

ყველა თიხის ჭურჭელი დამტვრეული აღმოჩნდა; ჩვიდმეტიდან მხოლოდ ცხრა ცალი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა. აქედან, მთლიანად შეკოწიწდა:

1. **დოქი რუხი კეცისა** (ს/წ. № 61—55; ტაბ. I); დოქს გადაშლილი პირი, დაბალი და განიერი ყელი, მრგვალი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი, ბრტყელი ძირი და ოთხკუთხგანივკვეთიანი ყური აქვს. დოქის ყური ტუჩთან ოდნავ უფრო ბრტყელია და წიწვოვანი ორნამენტით შემკული. დოქს ყელის ძირში შვიდი წრეხაზი შემოუყვება, ხოლო მუცელზე—მქრქალი, სამკუთხოვანი ორნამენტი.

დოქის ზომები: სიმაღლე—21 სმ, პირის დიამეტრი—9,5, ძირის დიამ.—6 სმ.

**ქვაბქოთანა,** შავი კაცისა (ს/წ № 62—55; ტაბ. I). ჭურჭელს მაღალი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს; მუცელზე ვიწრო, პარალელური ხაზები შემოუყვება.

---

[1] დაწვრ. ექსპედიციის მუშაობის შესახებ იხ. ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები თბილისში და თბილისის მიდამოებში (1955 წ. მუშაობის ანგარიში), თბილისი 1955. ხელნაწერი ინახება თბილისის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლის სიმაღლეა 15,5 სმ, პირის დიამ.—16,5 სმ, ძირის დიამ.—7 სმ.

**ღრმა ჯამი,** შავი კეცისა (ს/წ. № 63—55; ტაბ. I); ჯამს გადაშლილი პირი და წიბოიანი, ძირისაკენ მკვეთრად დავიწროვებული მუცელი აქვს; მუცელზე (წიბოსთან) ჩაღარული ხაზი შემოუყვება. ჭურჭლის სიმაღლეა 8 სმ, პირის დიამ.—14 სმ., ძირის დიამ.—5 სმ.

**ღრმა ჯამი,** რუხი კეცისა (ს/წ. № 64—55; ტაბ. I); ჯამს ოდნავ გადმოკეცილი პირი, ბიკონუსური მუცელი და გამობურცული ძირი აქვს. მუცელზე გარშემოუყვება ჩაღარული ხაზი. ჯამის სიმაღლეა 10 სმ., პირის დიამ.—14 სმ., ძირის დიამ.—6 სმ.

**ჯამი, შავი კეცისა** (ს/წ. № 65—55; ტაბ. I); ჯამს აკეცილი პირი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ჯამის სიმაღლეა 8 სმ, პირის დიამ.—20,5 სმ, ძირის დიამ.—7 სმ.

**ლანგარი,** რუხი კეცისა (ს/წ. № 66—55; ტაბ. I); ლანგარს ფართოდ გადაშლილი პირი, მოკლე გვირგვინი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ლანგრის სიმაღლეა 5,5 სმ, პირის დიამ.—24,5 სმ, ძირის დიამ.—7,5 სმ.

**სურა,** შავი კეცისა (ს/წ. № 67—55; ტაბ. I); სურას მაღალი, პირგადაშლილი ყელი, ძირისაკენ მკვეთრად დავიწროვებული, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სურის სიმაღლეა 21,5 სმ, ყელის სიმაღლე—9 სმ, პირის დიამ.—7 სმ, ძირის დიამ.—5,5 სმ.

**ქილა,** რუხი კეცისა (ს/წ. № 68—55); ქილას ძირისაკენ მკვეთრად დავიწროვებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. მუცელზე გარშემოუყვება რელიეფური სარტყელი. შემორჩენილია ჭურჭლის მხოლოდ ქვედა ნაწილი, რომლის სიმაღლეა 20 სმ, მუცლის დიამ.—34 სმ, ძირის დიამ.—11,5 სმ.

**ლანგარი,** რუხი კეცისა (ს/წ. № 69—55; ტაბ. I); ბრტყელძირიანია; ლანგარს ფართოდ გადაშლილი, დაბალი და გვერდებაკეცილი პირი აქვს; გვირგვინი გარედან ღარისებრი ხაზითაა შემკული; გვერდები ძირისაკენ მკვეთრად დაქანებულია. ლანგრის სიმაღლეა 8,5 სმ., პირის დიამ.—29 სმ., ძირის დიამ.—7,5 სმ.

თიხის ჭურჭლებს გარდა, სამარხში აღმოჩნდა:

**სპილენძის ქვაბი** (ს/წ. № 70—55; ტაბ. I); მრგვალმუცლიანია, ორყურიანი, მოკლე გვირგვინიანი; გვირგვინზე ირგვლივ დაჭედებული აქვს სახელურების (ყურების) ბოლოები. ძირი გამობურცულია, ამიტომ ქვაბი არ იდგმება. ქვაბის სიმაღლეა 20 სმ., პირის დიამ.—24 სმ. ქვაბში ცხვრის ნეკნების ძვლები და კოჭი იდო; როგორც ჩანს, მიცვალებულს „საიქიოს" ხორცი გაატანეს.

**ბრინჯაოს სატევრის პირი** (ს/წ. № 71—55; ტაბ. I); ტარშეურჩენელია, მკვეთრად გამოყოფილი ქედი აქვს. სატევრის სიგრძეა 16 სმ, პირის უდიდესი სიგანე — 4 სმ.

**ბრინჯაოს სატევარი** (ს/წ. № 72—55; ტაბ. I); დამტვრეულია; შემორჩენილია პირის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სატევარი აღმოსავლურ-ქართული ტიპისაა. სულ თორმეტი ნატეხია. უდიდესი ნატეხის ზომაა: 7×5,5 სმ.

**ბრინჯაოს ისრის პირები** (ს/წ. № 74—55; ტაბ. I); ხუთი ცალია; ხუთივე ხესტარისებრი და თხელფირფიტოვანია; თითოს თითო ნახვრეტი აქვს (სხვადასხვა ადგილას: წვერთან, შუაში, ყუნწთან). ერთი მთელია, ოთხი ნაკლული. მთელი ისრის პირის სიგრძეა 2,5 სმ., უდიდესი სიგანე—1,8 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრინჯაოს ლაგმები და საყბეურები** (ს/წ. 79—55; 79—55ა; 79—55ბ; 80—55; 80—55ა; 80—55ბ; ტაბ. II); ორი ლაგამი და ოთხი საყბეურია; ორივე ლაგამი ოვალური ბოლოებითაა ერთმანეთზე გადაბმული და ორ-ორი ღეროსაგან შედგება. ლაგმის თავები სამკუთხგანივკვეთიან, მრგვალ ყუნწებს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ლაგმის თავებში გაყრილი იყო თითო ოთხკუთხგანივკვეთიანი, ოვალურყუნწიანი და კაუჭიანი საყბეური.

ლაგმებსა და საყბეურებს ეტყობათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. ლაგმების სიგრძეა 18,5 და 18,3 სმ; საყბეურებისა—საშუალოდ—10,5 სმ.

**ბრინჯაოს ქინძისთავი** (ს/წ. № 73—55; ტაბ II); ღეროგახვრეტილია, მრგვალგანივკვეთიანი, ირგვლივ ოთხწრედ დაღარული. თავი მრგვალი აქვს, ერთმანეთის მოპირდაპირე ოთხი მცირე ბურთულით შემკული; ერთი ასეთივე ბურთულა თავს ზემოდანაც ამკობს. ქინძისთავის ღერო წვერისაკენ თანდათან წვრილდება.

ქინძისთავის სიგრძე 12,6 სმ უდრის, ღეროს სისქე თავთან 0,8 სმ-ია, წვერთან—0,2 სმ, ნახვრეტის დიამ. —0,3 სმ-ია, თავის დიამ.—1,1 სმ.

**ბრინჯაოს ჩქიფი (წარბსაქნელი)**; დამტვრეულია (ს/წ. № 81—55; ტაბ II); ნატეხები ბრტყელი ფირფიტების სახითაა წარმოდგენილი. ჩანს, რომ ჩქიფი ერთი მთლიანი, უწყვეტი ფირფიტისაგან იყო დამზადებული. მისი ზუსტი ფორმისა და ზომის დადგენა ამჟამად ძნელია, მხოლოდ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ჩქიფი დიდი ზომის არ ყოფილა.

**მძივები** (ს/წ. № 76—55; ტაბ. II); ცხრა ცალია; აქედან რვა ბრინჯაოსია, მილაკისებრი, თითოეული ორად გატეხილი. ერთი ძვლისაა, მრგვალი, ფართონახვრეტიანი, სამად გატეხილი. ბრინჯაოს მძივები საშუალოდ 2 სმ-ის სიგრძისაა, ძვლის მძივი კი—1,5 სმ.

გარდა აღნიშნული სამარხეული ნივთებისა, იმავე მინდორზე საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დროს შემთხვევით გაუთხრიათ სამარხი, რომელშიც სხვადასხვა ნივთები აღმოჩენილა; მათი დიდი ნაწილი დაკარგულია, ხოლო შუბისპირი, სატევარი და თიხის დოქი ექსპედიციას გადმოსცა სამშენებლო უბნის უფროსმა.

**შუბის პირი** (ს/წ. №108—55; ტაბ. II); ბრინჯაოსია, მასრაშეკრული; მასრის ხვრელი ოვალური მოყვანილობისა აქვს, ნახვრეტიანი; ნახვრეტთან გარშემოუყვება ორი რელიეფური სარტყელი. შუბის მჭრელი პირი ფოთლისებრია. შუაში ორივე მხრიდან გასდევს რელიეფური ქედი, რომელიც მასრის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და წვერთან მთავრდება.

შუბის პირის საერთო სიგრძეა 33,5 სმ., მასრის სიგრძე—14 სმ., მასრის დიამ. —2,3×1,8 სმ., პირის სიფართე მხრებთან 5 სმ-ია, წვერთან—1 სმ.

**სატევარი ბრინჯაოსი** (ს/წ. № 109—55; ტაბ. II); აღმოსავლურ-ქართული ტიპისაა; პირი სამკუთხედისებრი მოყვანილობისა აქვს, ზედა ნაწილში—ბრტყელი, წვერისაკენ—შედარებით სქელი, თითქმის ქედიანი. პირის ორივე მხარე ამოკაწრული, ხაზოვანი ორნამენტითაა შემკული. სატევრის ვადა ბრტყელია, ზემოდან დახედვისას—ოვალური. სახელურის შიგნითა ნაწილი პირთან ერთადაა ჩამოსხმული, ხოლო გარედან, ირგვლივ, ფურცლოვანი ბრინჯაო აქვს შემოკრული. სახელურის თავი სამკუთხედებადაა დაფანჯრული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატევრის სიგრძე 35 სმ-ია, ტარის სიგრძე—10,8 სმ., ტარის ხელმოსაკიდი ნაწილის სიგრძე — 8,9 სმ., პირის სიფართე ვადასთან —7,1 სმ-ია, წვერთან — 1 სმ.

თიხის დოქი (ს/წ. № 110—55; ტაბ. II); რუხი კეცისაა, ბრტყელძირიანი; ფართო, დაბალი, პირგადაშლილი ყელი და შუაში გამობერილი მუცელი აქვს, რომელიც ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ყელის შუა ნაწილსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომელიც ცხოველის გამოსახულებას მიაგავს. დოქს ყელთან ერთი, ხოლო მუცლის შუა ნაწილში ორი ამოღარული წრეხაზი აქვს შემოვლებული. ძირიდან ყელამდე დოქის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ფართო, კრიალა ზოლებით.

დოქის სიმაღლეა 20,5 სმ., ყელის სიმაღლე —6,7 სმ., პირის დიამ.—8,5 სმ., ძირის დიამ. — 7,5 სმ.

ქიმიური ანალიზებიდან ჩანს, რომ ნავთლუღში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების სპილენძის შენადნობად ძირითადად დარიშხანი იყო გამოყენებული (იხ. ცხრილი). კალა მხოლოდ დამტვრეულ სატევარში აღმოჩნდა, ხოლო ანთიმონი (დარიშხანთან ერთად)—შუბის პირში. ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ტიპის ორ სატევარში სპილენძის შენადნობად ერთ შემთხვევაში კალაა, ხოლო მეორე შემთხვევაში—დარიშხანი, გვაფიქრებინებს, რომ ნივთის დანიშნულებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ქონდა; კალის სიმცირის გამო იარაღის მკვეთებელი ოსტატი იძულებული იყო იგი სხვა მინარევით (ამ შემთხვევაში—დარიშხანით) შეეცვალა; ერთსა და იმავე ხანაში სპილენძის მინარევად გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა მასალა; ნავთლუღის ბრინჯაოს ნივთების ანალიზის მიხედვით, სპილენძის მინარევად ძირითადად დარიშხანია გამოყენებული.

ნავთლუღში 1955 წ. აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ქიმიური ანალიზების ცხრილი[1]

| №№ რიგზე | ნივთის სახელწოდება და საველე წიგნის ნომერი | Cu სპილენძი | Sn კალა | Pb ტყვია | Zn თუთია | Fe რკინა | As დარიშხანი | Sb ანთიმ. | Σ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სატევარი № 109 | 96,1 | არ არის | — | — | კვალი | 3,2 | — | 99,3 |
| 2 | შუბის პირი № 108 | 95,3 | — | — | — | „ | 0,9 | 1,7 | 97,9 |
| 3 | სატევარი № 72 | 70,0 | 10,40 | — | — | „ | კვალი | — | 80,4 |
| 4 | ლაგამი № 79 | 95,77 | — | — | — | „ | 2,74 | — | 98,51 |
| 5 | საყბეური № 79ა | 97,40 | — | — | — | „ | 1,9 | — | 99,3 |
| 6 | საყბეური № 79ბ | 97,60 | — | — | — | „ | 1,85 | — | 99,45 |
| 7 | ლაგამი № 80 | 95,70 | — | — | — | „ | 2,80 | — | 98,15 |
| 8 | საყბეური № 80ა | 97,30 | — | — | — | „ | 1,9 | — | 99,2 |
| 9 | საყბეური № 80ბ | 97,40 | = | — | — | „ | 1,9 | — | 99,3 |
| 10 | ქვაბი № 70 | 96,0 | — | — | — | „ | 2,4 | — | 98,4 |

ზემოაღწერილ ნივთებზე დაკვირვების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათი დიდი ნაწილი ნაჭედია.

[1] ანალიზები შესრულებული იქნა თ. დვალის მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო კაბინეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთლუღის ორმოსამარხი გვიანი ბრინჯაოს ხანით, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის XIII—XII სს. თარიღდება. სამარხეული ნივთების მსგავსება აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი შესაბამისი ხანის არქეოლოგიურ ძეგლებთან მოწმობს, რომ ნავთლუღის სამაროვნის სახით საქმე გვაქვს აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ძეგლთან. ორმოსამარხში წარჩინებული მეომარი—მხედარია დაკრძალული; ამას გვაფიქრებინებს მიცვალებულის მარჯვენა გვერდზე დაკრძალვის წესი, საბრძოლო იარაღებისა და ლაგამ-საყბეურების აღმოჩენის ფაქტი და, საერთოდ, სამარხეული ნივთების სიმრავლე.

О. В. ТКЕШЕЛАШВИЛИ

# ПОГРЕБЕНИЕ ЭПОХИ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ В НАВТЛУГИ

## (г. ТБИЛИСИ РАЗВЕДКИ 1955 г.)


### Резюме

Разведовательно-археологическая экспедиция Гос. Историко-Этнографического Музея г. Тбилиси в 1955 г. наряду с другими объектами производила разведовательные работы и в районе Навтлуги.

В местечке Орхеви, где р. Орхеви сливается с р. Мтквари, было обнаружено поврежденное бульдозером грунтовое погребение, в котором вместе с костяком находилось: 17 глиняных сосудов, большинство которых оказалось разломанным по частям (восстановлено 9), бронзовые удила и крючья, бронзовый листовидный кинжал, бронзовый кинжал восточно-грузинского типа, бронзовые наконечники стрел, булавка, щипцы, котел и костянные бусы (см. табл. I и II).

Грунтовое погребение 1955 г. датируется XIII—XII вв. до н. э.

Многочисленный погребальный инвентарь, в том числе удилы, дают возможность предпологать, что в погребении похоронен сравнительно богатый воин-всадник.

Техника изготовления глиняной посуды и их изящные формы указывает на высокоразвитость гончарного ремесла.

Химический анализ бронзовых предметов указывает, что металлургами того времени для плавки бронзы успешно использовался и мышьяк (см. табл. в тексте).

Археологический материал Навтлугского грунтового погребения типичен для восточно-грузинской культуры эпохи поздней бронзы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბ. I



ტაბ. II

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1961
Вестник Государств. музея Грузии. им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1961

თ. აბრამიშვილი

# ოჩამჩირეში აღმოჩენილი სპილენძის ბიზანტიური მონეტები

1957 წლის 21 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა სპილენძის ბიზანტიური მონეტები, რომლებიც მომტანის მარიამ ნიკოლოზის ასულის განკევირის განმარტებით, 1903 წელს ოჩამჩირის მახლობლად საყანე მიწის დამუშავების დროს აღმოუჩენიათ, თიხის ქილაში და მის მეუღლისათვის ვადაუციათ. ჭურჭელი არ შენახულა, ხოლო მონეტები იმდროიდან ოჯახში ინახებოდა.

მონეტების მომტანმა განაცხადა, რომ თავდაპირველად „განძი" გაცილებით მეტ მონეტებს შეიცავდა, ჩვენამდე კი მხოლოდ 58 ცალმა (№№9645—9702) მოაღწია. მეტი წილი ოჯახს ნაწილ-ნაწილ გაუსაჩუქრებია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ბიზანტიური სპილენძის მონეტების უმრავლესობას, თან არ ახლავს ცნობები მათი აღმოჩენისა ან შემოსულობის გარემოებათა შესახებ (რადგან თავის დროზე სათანადო ჩანაწერებს არ აწარმოებდნენ)—ვინაიდან ოჩამჩირეში აღმოჩენილი მონეტების შემადგენლობა საუკეთესოდ უდგება მუზეუმში დაცულ ანალოგიური სპილენძის მონეტების ფონდს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მართლაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე არის აღმოჩენილი. ამ მოსაზრებას ხელს უწყობს დმანისისა და ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული ბიზანტიური სპილენძის მონეტების კომპლექსი.

ცნობილია, რომ ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, რაზედაც არსებობს მრავალი ცნობები როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ წერილობით წყაროებში. ასეთსავე ცნობებს იძლევიან ნუმიზმატიკური ძეგლები, რომლებიც ბიზანტიური მონეტების სახით უამრავი რაოდენობით ჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არა მარტო ცალკე ცალებით, არამედ მთელი, ზოგჯერ მოზრდილი განძების სახითაც (ნოქალაქევის, დვირის, გურჯაანისა და ჩიბათის). ამასვე უნდა მოწმობდეს ოჩამჩირიდან ჩამოტანილი მონეტებიც.

ოჩამჩირე დღეისათვის ცნობილია, როგორც რაიონული ცენტრი და ზღვისპირა ქალაქი და ასევეა აღნიშნული თანამედროვე რუკაზედაც. მართალია, ქართულ საისტორიო წყაროებში ის მოხსენებული არსად არის, მაგრამ თავისი მდებარეობის გამო ქვეყნის საქმიანობაში ალბათ გარკვეულ როლს თამაშობდა. საფიქრებელია, რომ ამის არაპირდაპირ დადასტურებას წარმოადგენს აქ აღმოჩენილი—საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცული კირმანეულის განძი (№№ 2484—2756) და ის მონეტები, რომლებიც ამჟამად ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მონეტათა კომპლექსში თავმოყრილი ცალების შედარებით კარგმა დაცულობამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა მათი კუთვნილება და გამოირკვა, რომ მასში თექვსმეტი სხვადასხვა კეისრის მონეტებია წარმოდგენილ::

იუსტინე I-ის 518—527 წწ. — 2 მონეტა
იუსტინიანე I-ის 527—565 წწ. — 1 მონეტა
იუსტინე II-ის 565—578 წწ. — 2 მონეტა
ტიბერიოსს II-ის 578—582 წწ. — 1 მონეტა
მავრიკის 582—602 წწ. — 2 მონეტა
ლეონ VI-ის 886—912 წწ. — 1 მონეტა
კონსტანტინე VII-ის 913—959 წწ. — 1 მონეტა
რომანოზ I-ის 919—944 წწ. — 1 მონეტა
იოანე ციმისხის 969—976 წწ. — 4 მონეტა
ბასილ II და კონსტანტინე VIII-ის 976—1025 წწ.—7 მონეტა
რომანოზ III-ის 1028—1034 წწ. — 4 მონეტა
მიხეილ IV-ის 1034—1041 წწ. — 11 მონეტა
კონსტანტინე IX-ის 1042—1055 წწ.—2 მონეტა
თეოდორასი 1054—1056 წწ. — 11 მონეტა
კონსტანტინე X-ის 1059—1067 წწ. — 5 მონეტა
ნიკიფორე III-ის 1078—1081 წწ. — 1 მონეტა

ზემოაღნიშნულ სიიდან ჩანს, რომ მონეტათა უმრავლესობა მიხეილ IV-ეს და თეოდორას ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი კეისრებისა კი თითო-ოროლა ცალია.

კომპლექსის უადრესი მონეტა იუსტინე I (518—527) მიეკუთვნება; ხოლო უგვიანესი—ნიკიფორე III (1078—1081), ამრიგად მათ შორის ხარვეზი ხუთნახევარ საუკუნეზე მეტია—ირკვევა, აგრეთვე, რომ წარმოდგენილი კომპლექსი ორ ძირითად და ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ჯგუფიდან შედგება[1]:

პირველში თავსდება 518—602 წწ.
მეორეში „ 886—1081 წწ.

პირველ ჯგუფში მოთავსებული მონეტები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი და მათი ხანგრძლიობა 94 წელია, ხოლო მეორესი (უმნიშვნელო ხარვეზის გამონაკლისით) კი 195 წელს მოიცავს.

საფიქრებელია, რომ წარმოდგენილ მონეტათა კომპლექსი ცალ-ცალკე ნაპოვნი ორი განძისგან შედგება, რომლებიც განკევიჩის ოჯახში ხანგრძლივი შენახვის შედეგად გაერთიანდა და მუზეუმში ამ სახით იყო წარმოდგენილი, მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას კომპლექსში სხვადასხვა დროის მონეტათა ორი განძის ერთად თავმოყრა.

რა დროს უნდა დაემარხათ ეს განძები? მიღებული წესის თანახმად განძის ჩაფვლის დრო ირკვევა მასში მოთავსებული უგვიანესი მონეტის მიხედვით, მაგრამ ვინაიდან კომპლექსი ზემოხსენებულის საფუძველზე ორი სხვადასხვა

---

[1] ოჩამჩირეში აღმოჩენილი მონეტების ასეთ დაჯგუფებაზე ყურადღება მიმაქცევინა ნუმიზმატმა, დოქტორმა დ. კაპანაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენლობისა და დროის განძისაგან შედგება—ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ პირველი განძის დამარხვის დროდ მეშვიდე საუკუნის დასაწყისი მივიჩნიოთ, ხოლო მეორესი მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლები.

ქვემოთ ვიძლევით მონეტების აღწერილობას.

I განძი

იუსტინე I 518—527 წწ.

1. ინვ. № 9645, წონა=13.96 გრ, ზომა=30 მმ.

შუბლი: გამოსახულია მარჯვნივ მომზირალი კეისრის ბიუსტი[2]. გაცვეთილობის გამო დიადემისა და მხედრის სამოსელის კონტურებილა ჩანს, ზედწერილიდან ირკვევა... STIV.

ზურგი: ცენტრში M, მის მარჯვნივ და ზემოთ ჯვარი; მარცხნივ ექვს ქიმიანი ვარსკვლავი; მონაკვეთის ქვემოთ CON, ირგვლივ კბილანა რკალი. ტაბ. I. 1[3].

2. ინვ. № 9670, წონა=14.45 გრ, ზომა=26/30 მმ.

შუბლი: როგორც № 1[4], მხოლოდ მარჯვენა ყურთან დამლა აქვს დაკრული, რომელშიც აღბეჭდილია „ალაჰი“.

ზურგი: როგორც № 1.

იუსტინიანე I 527—565 წწ.

3. ინვ. № 9651. წონა=12.12 გრ. ზომა=26/30 მმ.

შუბლი: კეისრის ბიუსტი ოდნავ ჩანს.

ზურგი: როგორც წინა, მხოლოდ ნაწილობრივ გაცვეთილია.

იუსტინე II 565—578 წწ.

4. ინვ. № 9649, წონა=11.36 გრ. ზომა=26 მმ

შუბლი: ერთიმეორის გვერდით მჯდომარე ორი გვირგვინოსანი, ორივეს შარავანდედიც ადგია; სამეფო სამოსელით არიან შემოსილი; მარცხნივ მჯდომს მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უჭირავს; მარჯვნივ მჯდომს კი მარჯვენაში გრძელბუნიანი ჯვარი მხართან აქვს მიტანილი; შემოწერილია: ONI... NVSPP; ირგვლივ წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს.

ზურგი: ცენტრში M ზემოთ ჯვარი; მარცხნივ ANNO; მარჯვნივ XI, M-ის კიდურებს შორის—Γ? მონაკვეთის ქვემოთ—CON; რკალი ხაზოვანია.



ტაბ. I, 2.

---

[2] W. Wroth, Catalogue of the imperial Byzantine coins in the British Museum, vol. I, London, 1908, გვ. 14, №№ 30—32.

[3] მხოლოდ ზურგის ფოტოა.

[4] მსგავსების დროს რიგითი ნომერია მითითებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული ასოები და ციფრები ასე განიმარტება: ცენტრალური ასო M აღნიშნავს ამ მონეტის ღირებულებას, სახელდობრ 40 ნუმიას (ანუ ერთ ფოლს —follis). ბიზანტიაში სპილენძის ფულის ღირებულების აღნიშვნის ასეთი წესი შემოდის ჯერ კიდევ ანასტას კეისრის დროს—498 წელს და გრძელდება მიხეილ III-მდე (842-867 წლამდე). ამის შემდეგ ამგვარი ასო-ციფრები მონეტებზე აღარ ჩანს. M-ის მარცხნივ მოთავსებული ასოები ANNO აღნიშნავს წელს, ხოლო მარჯვნივ მოთავსებული ციფრები ამ შემთხვევაში XI აღნიშნავს—მონეტის მომჭრელი იმპერატორის მეფობის ინდიქტიონს; M-ის ქვემოთ მოთავსებული ასო Г კი ნიშნავს იმ სახელოსნოს ნომერს—ამ შემთხვევაში 3—რომელშიაც გაუკეთებიათ ეს მონეტა. მონაკვეთის ქვემოთ მოცემული ასოები CON აღნიშნავს ზარაფხანას ადგილს, ამ შემთხვევაში კონსტანტინოპოლს.

ამრიგად, მთელი ზედწერილი მოცემული მონეტის ზურგისა შემდეგია—40 ნუმია მეფობის XI წელს. კონსტანტინოპოლის მე-3 სახელოსნოს გამოშვება.

5. ინვ. № 9650, წონა=13.16 გრ, ზომა=28/30 მმ.

შუბლი: როგორც № 4, მხოლოდ ONIVST

ზურგი: როგორც № 4, მხოლოდ M-ის კიდურებ შორის b=2; მარჯვნივ ინდიქტიონით თარიღი არა ჩანს.




ტაბ. I, 3.

ტიბერიოსს II 578—582 წწ.

6. ინვ. 9646, წონა=11,26 გრ, ზომა= 28 მმ.

შუბლი: კეისრის ბიუსტი პირდაპირ; გვირგვინითა და კონსულის სამოსელით; მარჯვენა ხელში მაპა უნდა ეჭიროს, მარცხენაში კი სკიპტრა, რომლის წვერზე ფრთებგაშლილი არწივია; ზედწერილიდან ირკვევა: ...NO... Nm HTmV; გარშემო წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს.

ზურგი: ცენტრში m, ზემოთ ჯვარი; მარცხნივ ANNO, მარჯვნივ u მონაკვეთის ქვემოთ... uP.



ტაბ. I, 4.

აღსანიშნავია, რომ ზედწერილები ანტიოქიის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტებისა სრულიად დამახინჯებულია[5] და წარმოადგენს ასოთა გროვას. შესაძლე-

[5] И. Толстой, Византийские монеты, V, გვ. 480.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია თუ არა რომ ამაში ხელოსანს დავდოთ ბრალი თუ უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ მიზეზი, იქნებ მიმბაძველობა იყოს!!?

მავრიკი 582—602 წწ.

7. ინვ. № 9647, წონა=10.58 გრ, ზომა=28/29 მმ.

შუბლი: კეისრის ბიუსტი ისეთივე, როგორც № 6.

ზურგი: როგორც № 4, მხოლოდ მარჯვნივ XII, მონაკვეთის ქვემოთ TH.



ტაბ. I, 5.

8. ინვ. № 9648, წონა=8.64 გრ, ზომა=27 მმ.

შუბლი: გაცვეთილია მხოლოდ მონეტის არეზე, მარჯვნივ არწივის კონტურებილა ჩანს.

ზურგი: როგორც № 7—მხოლოდ მჭიდობის მეოცე წელს არის მოჭრილი[6].



ტაბ. I, 6[7].

როგორც დავინახეთ, მონეტის ზედწერილი გვამცნობს მომჭრელი იმპერატორის სახელს, ტიტულს, თარიღს, სადაურობას და ღირებულებასაც კი. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ განძის ოთხი მონეტა კონსტანტინოპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი, ხოლო სამი ანტიოქიის ზარაფხანის პროდუქციაა. დანარჩენებზე ეს ცნობები (ღირებულება, თარიღი, ზარაფხანა) სამწუხაროდ აღნიშნული არ არის.

თუმცა ოქროსა და ვერცხლის მონეტებზედაც ათავსებდნენ სათანადო ზედწერილებს, მაგრამ აქ თარიღი და ღირებულება მაინც არ არის აღბეჭდილი.

[6] W. Wroth, I, გვ. 146, № 195; И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, გვ. 539, № 183, ტაბ. 38, 183.

[7] მხოლოდ ზურგის ფოტონაბეჭდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, სპილენძის ფულის სამონეტო საქმიანობაში ეს ცვლილება რეფორმის მსგავს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამის შემდეგ ეს წესი ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში აღარ განმეორებულა. ერთ ხანს ანონიმური მონეტებიც კი იჭრება უმთავრესად სპილენძის და ამ უსახელო მონეტების განსაზღვრა ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნის საშუალებით ხერხდება.

გარდა თარიღისა I და II განძის მონეტები ტიპობრივადაც სხვადასხვა ხასიათისა არის.

### II განძი

#### ლეონ VI—886—912 წწ.

9. ინვ. № 9652, წონა=6,02 გრ., ზომა=25 მმ.

შუბლი: გამოსახულია პირდაპირ მომზირალი კეისარი მკერდამდე, თავზე ჯვრიანი გვირგვინი, რომლის ორივე მხრიდან ბოლოფართო საკიდებია დაშვებული; ტანზე სამეფო წამოსასხამი, რომელიც მარჯვენა მხართან არის შეკინძული; მარცხენა ხელში მაპა უჭირავს; შემოწერილია: +LEON VPASILEVS ROm.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი:



რკალი წერტილოვანია.

ტაბ. I, 7.

#### კონსტანტინე VII 913—959 წწ.

10. ინვ. № 9661, წონა=9,36, ზომა=25/26 მმ.

შუბლი: კეისრის ისეთივე გამოსახულება, როგორც წინა, მხოლოდ მარცხენა ხელში უპყრია ჯვრიანი სფერო[8]; ზედწერილი არ ჩანს.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი წარწერა



მეორე და მესამე სტრიქონს შორის ერთი მომსხო წერტილი ,ხაზოვანი რკალის მცირე ნაწილია შერჩენილი.

ტაბ. I, 8.

[8] W. Wroth, II, გვ. 463, № 45, ტაბ. LIII, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ო მ ა ნ ო ზ I 919—944 წწ.

11. ინვ. № 9653. წონა=5.52 გრ, წონა=26 მმ.

შ უ ბ ლ ი: კეისრის გამოსახულება წელამდე პირდაპირ; გვირგვინითა და კონსულის სამოსელით[9], მარჯვენა ხელში ლაბარუმი უნდა ეჭიროს, მარცხენაში კი ჯვრიანი სფერო; ზედწერილი ვერ ირკვევა.

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი წარწერა, მაგრამ გადაჭედის გამო ისეა ერთმანეთთან შერწყმული, რომ მხოლოდ ცალკეული სიტყვისა და ასოების ამოკითხვა მოხერხდა.



ტაბ. I, 9.

ი ო ა ნ ე ც ი მ ი ს ხ ი 967—976 წწ.

12. ინვ. № 9660, წონა=7.18 გრ, ზომა=25/27 მმ.

შ უ ბ ლ ი: ქრისტეს ბიუსტი პირდაპირ, შარავანდედით, შარავანდედის რკალში მოთავსებულ ჯვრის მკლავებზე..; მარჯვენა ხელი კურთხევის ჟესტით; მარცხენაში სახარება უჭირავს, აქეთ-იქით IˊCXˊC ხაზოვანი რკალის მცირე ნაწილი ჩანს.

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილის ცალკეული სიტყვები და ასოები იკითხება; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შერჩენილი.

ტაბ. II, 10.

13. ინვ. № 9657, წონა=15.65, ზომა=30/31 მმ.

შ უ ბ ლ ი: საერთო სახეობა იგივეა, როგორიც № 12.

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი[10], რომლიდანაც ზოგი ასო ირკვევა; რკალი ხაზოვანია.

ტაბ. II, 11[11].

14. ინვ. № 9659, წონა=11.72 გრ, ზომა=29/30 მმ.

შ უ ბ ლ ი: მაცხოვრის ბიუსტი და ჯვრიანი შარავანდედის კონტურებიღა ჩანს.

---

[9] W. Wroth, II, გვ. 455, №№ 14, 15, ტაბ. LII, 9, 10.
[10] W. Wroth, II, გვ. 477, № 11, ტაბ. LV, 2.
[11] მხოლოდ ზურგის ფოტონაბეჭდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.



ტაბ. II, 12.

15. ინვ. № 9658, წონა=13.35 გრ., ზომა=28/31 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 14.
ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი წარწერა[12], მხოლოდ



რკალი წერტილოვანია

ტაბ. II, 13[13].

ბ ა ს ი ლ II და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე VIII 976—1025 წწ.[14].

16. ინვ. № 9665, წონა=10.48 გრ. ზომა=26/28 მმ.
შ უ ბ ლ ი: ქრისტეს ისეთივე ბიუსტი როგორც № 12, მხოლოდ ჯვრის მკლავებზე ⁞ ირგვლივ წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს.
ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი.



ირგვლივ წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შერჩენილი.

ტაბ. II, 14.

17. ინვ. № 9666, წონა=10.65 გრ., ზომა=26/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 16.

---

[12] W. Wroth, II, გვ. 478, № 26.
[13] მხოლოდ ზურგის ფოტონაბეჭდია.
[14] W. Wroth, II, გვ. 489, № 37, ტაბ. LVII, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ გ ი: როგორც № 16, მხოლოდ



ირგვლივ წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს.

ტაბ. II, № 15.

18. ინვ. № 9664, წონა=9.64 გრ., ზომა=26/27 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 16, მხოლოდ ჯვრის მკლავზე ·X·

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი წარწერა:



ტაბ. II, 16.

19. ინვ. № 9663, წონა=6,43 გრ., ზომა=24/26 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 16, მხოლოდ ჯვრის მკლავებზე ·⁝·

ზ უ რ გ ი: როგორც № 18, მხოლოდ წარწერის ბოლოს მცენაროვანი ორნამენტი[15], რკალი წერტილოვანია

ტაბ. II, 17.

20. ინვ. № 9662, წონა=10,05 გრ., ზომა=25/28 მმ.

შ უ ბ ლ ი როგორც № 19.

ზ უ რ გ ი: როგორც № 19, მხოლოდ



ტაბ. II, 18[16].

21. ინვ. № 9668, წონა=9,90 გრ., ზომა=28 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 19, მხოლოდ მარცხენა მხარე დადამღულია (დამღა ვერ ირკვევა).

---

[15] W. Wroth, II, გვ. 488, № 29, ტაბ. LVI, № 14.

[16] მხოლოდ ზურგის ფოტონაბეჭდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ გ ი: როგორც № 20, ოღონდ ესეც გაურკვეველი დამღით არის დადამღული.



ტაბ. II, 19.

შესაძლებელია შუბლზე და ზურგზე დაკრული დამღა ერთი და იგივე შინაარსისაც კი იყოს, მაგრამ არც ერთი, არც მეორე მხარის დამღა არაა გარკვეული. ალბათ დამღა უფრო დაბალი რელიეფისა ყოფილა ვიდრე მონეტის სიქაზე მოცემული გამოსახულება, ამიტომაც ზედწერილი და გამოსახულება დამღასთან ისე შერწყმულა, რომ დამღის გარკვევა შეუძლებელი გახდა.

22. ინვ. № 9667, წონა=10.74 გრ., ზომა=28/29 მმ.

შ უ ბ ლ ი: ძალიან გაცვეთილია.

ზ უ რ გ ი: შერჩენილია.



რ ო მ ა ნ ო ზ III 1028—1034 წწ.

23. ინვ. № 9656, წონა=8,76 გრ., ზომა=25/28 მმ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე გამოსახულება ქრისტესი, როგორც № 12, მხოლოდ ჯვრის მკლავებზე □[17] ორივე ხელით თვლებით მოოჭვილი სახარება გულზე აქვს მიდებული; ირგვლივ წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს.

ზ უ რ გ ი: ჩვეულებრივი ოთხსტრიქონიანი წარწერა, მხოლოდ ზედწერილის ზემოთ და ქვემოთ ისეთივე ნიშანი, როგორც ჯვრის მკლავებზე, ოღონდ ნიშანი წარწერის ბოლოს არის შერჩენილი.



ტაბ. III, 20.

[17] W. Wroth, II, გვ. 495, № 4, ტაბ. LVII, № 14.

24. ინვ. № 9654, წონა=9.69 გრ., ზომა=26/30 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 23.
ზ უ რ გ ი: როგორც № 23, მხოლოდ



ტაბ. III, 21.

25. ინვ. № 9655, წონა=11.18 გრ., ზომა=30 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 23.
ზ უ რ გ ი: როგორც № 23, მხოლოდ



ტაბ. III, 22.

26. ინვ. № 9669, წონა=11.02 გრ., ზომა=29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 24, მხოლოდ დამღიანია[18].
ზ უ რ გ ი: როგორც № 24, მხოლოდ



ტაბ. III, 23.

მ ი ხ ე ი ლ IV 1034—1041 წწ.

27. ინვ. № 9674, წონა=11.70 გრ., ზომა=27/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: გამოსახულია პირდაპირ მომზირალი ქრისტე (მკერდამდე), შარავანდედით; შარავანდედის ჯვრის მკლავებზე 0, ხოლო მკლავებს შორის · ; მარცხენა ხელში ხუთი თვალით მოოჭვილი სახარება უჭირავს.

---

[18] დამღა ქვემოთ იქნება განხილული.

[19] **W. Wroth**, II. ტაბ. LVIII, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ გ ი: სამხარისხიან ჯვრის მკლავებში ჩაწერილია



რკალი წერტილოვანია.

ტაბ. III, 24.

28. ინვ. № 9675, წონა=9.85 გრ, ზომა=28/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც წინა.
ზ უ რ გ ი: როგორც წინა ,მხოლოდ ჯვრის შუალა ბუნი თითქოს გატეხილია, ჯვრის მარჯვენა მკლავთან წერტილი, ასეთივე წერტილი მარცხნივაც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამ მონეტაზე არა ჩანს; რკალი წერტილოვნია.

ტაბ. III, 25.

29. ინვ. № 9673, წონა=9.86 გრ, ზომა=26/27 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 27.
ზ უ რ გ ი: როგორც № 27, მხოლოდ ჯვრის ზედა ნაწილში ასოების კონტურებილა ჩანს.

ტაბ. III, 26.

30. ინვ. № 9677, წონა=10.30 გრ., ზომა=26/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 27.
ზ უ რ გ ი: როგორც № 28, მხოლოდ აქ მარცხენა მკლავის ბოლოს ; ჯვრის ბუნი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს იგი გაზნექილი ან გაყოფილია.



რკალი წერტილოვანია.

ტაბ. III, 27.

31. ივნ. № 9678, წონა=9.60 გრ, ზომა=27/28 მმ.
შ უ ბ ლ ი და ზ უ რ გ ი № 27 მსგავსი უნდა იყოს.
32. ინვ. № 9671, წონა=6.08 გრ, ზომა=26/30 მმ.
შ უ ბ ლ ი და ზ უ რ გ ი: ზემოთ აღწერილის სახეობაა, მაგრამ გარკვევით ეტყობა მეორე ბეჭდის კვალი, რომელიც ქვეშ არის მოყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი და ნათლად ჩანს, რომ ბასილ II და კონსტანტინე VIII-ის W. Wroth, II, ტაბ. LVI, № 14) მონეტა არის გადაჭედილი. გადაჭედილი.

ტაბ. III, 28

33. ინვ. № 9676, წონა=7.90 გრ., ზომა=28/30 მმ.
შ უ ბ ლ ი და ზ უ რ გ ი: როგორც № 27, მხოლოდ გარკვევით ეტყობა მეორე, ქვეშ მოყოლილი ბეჭედის კვალი. ნაშთი მიგვითითებს, რომ რომანოზ III-ის (W. wroth, II, ტაბ. LVII, № 14) მონეტა

ტაბ. III, 29.

34. ინვ. № 9679, წონა=9.32 გრ., ზომა=27/28 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 27.
ზ უ რ გ ი: საერთო სახეობა, როგორც ზემო აღწერილების, მხოლოდ გადაჭედილია.

ტაბ. IV, 30.

35. ინვ. № 9681, წონა=8.96 გრ., ზომა= 28/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 27, მხოლოდ ბასილ II და კონსტანტინე VIII (W. Wroth, II, ტაბ. LVI, № 13) მონეტააა გადაჭედილი.
ზ უ რ გ ი: დაახლოებით ისეთივე, როგორ № 27 აქაც იგივე მონეტა უნდა იყოს გადაჭედელი.

ტაბ. IV, 31..

36. ინვ. № 9672, წონა=8.61 გრ., ზომა=28/30 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც წინა.
ზ უ რ გ ი: მსგავსია № 27, მხოლოდ სამონეტო შტამპის დეტალებით ირკვევა, რომ ესეც ბასილ II და კონსტანტინე VIII მონეტის შტამპითაა (W. Wroth, II, ტაბ. LVII, № 3) გადაჭედილი.

ტაბ. IV, 32.

37. ინვ. № 9680, წონა=10.32 გრ., ზომა=25/27 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 27.
ზ უ რ გ ი: როგორც № 28. მხოლოდ ჯვრის ბუნზე დამღა „ალაჰ“.



ტაბ. IV, 33.

აღსანიშნავია, რომ განძში მიხეილ IV-ის მონეტების დიდი ნაწილი გადაჭედილი მონეტებია, რაზედაც ძველი სამონეტო სიქის შერჩენილი დეტალები მიგვითითებს. იგი როგორც ჩანს უმთავრესად ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის და რომანოზ III-ის მონეტებს იყენებდა ამ მიზნისათვის.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე IX 1042—1054 წწ.

38. ინვ. № 9682, წონა=8.88 გრ., ზომა=25/28 მმ.
შ უ ბ ლ ი: მაცხოვრის ბიუსტი პირდაპირ, თავზე შარავანდედით[20], აქეთ-იქით I´C X´C; ირგვლივ წერტილოვანი რკალი.
ზ უ რ გ ი: ხელებაპყრობილი ღვთისმშობლის ბიუსტი პირდაპირ; თავზე შარავანდედით; აქეთ-იქით M´P O´Z; რკალი წერიტილოვანია.

ტაბ. IV, 34.

39. ინვ. № 9683, წონა=6.17 გრ., ზომა=25 მმ.
ორივე მხარე გაცვეთილია.
შ უ ბ ლ ი და ზ უ რ გ ი: № 38 მსგავსი უნდა იყოს.

თ ე ო დ ო რ ა 1054—1056.

40. ინვ. № 9685, წონა=9,26 გრ., ზომა=28/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: მაცხოვარი[21] მდგომარე პირდაპირ, შარავანდედის ჯვრის მკლავებზე . ; მარჯვენა ხელი კურთხევის ჟესტით, მარცხენაში სახარება უპყრია; გარემოწერილი: +E... N... აქეთ-იქით I´C X´C მონეტა გადაჭედილია და ქვეშ მოქცეული სამონეტო სიქის ზოგიერთი დეტალი ჩანს, მაგრამ ვერ ირკვევა ვის ეკუთვნოდა იგი; რკალი წერტილოვანია.
ზ უ რ გ ი: თვლებით მოოჭვილ ჯვრის მკლავებში ჩაწერილია:



ძველი მონეტის კვალი ჩანს, რკალი წერტილოვანია.

ტაბ. IV, 35.

41. ინვ. № 9684, წონა=9.16 გრ, ზომა=28/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 40.
ზ უ რ გ ი: როგორც № 40, მხოლოდ ჯვრის ბუნი ოდნავ გალუნულია. ძველი სამონეტო სიქის ზოგიერთი კონტურებიდა მოჩანს.



ტაბ. IV, 36.

[20] W. Wroht, II, ტაბ. LIX, № 8.
[21] W. Wroth, ტაბ. LX, № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. ინვ. № 9686, წონა=9.90 გრ, ზომა=28/30 მმ.
შუბლი და ზურგი: როგორც № 40-ს, მაგრამ ვისი მონეტაა გადაჭედილი, ვერ ირკვევა.

ტაბ. IV, 37.

43. ინვ. №9687, წონა=8.50 გრ., ზომა=29 მმ.
შუბლი და ზურგი: მსგავსი № 40-ის, მხოლოდ ზურგზე ბეჭედი ორჯერ არის დაკრული თუ გაცურებულია დაკვრის დროს.

ტაბ. IV, 38.

44. ინვ. № 9688, წონა=7.09 გრ, ზომა=29 მმ.
შუბლი: იგივე, რაც № 40.
ზურგი: მსგავსი № 40-ისა, მხოლოდ ჯვრის მკლავი ოდნავ გალუნულია.




ტაბ. IV, 39.

45. ინვ. № 9689, წონა=7,91 გრ, ზომა=27/28 მმ.
შუბლი და ზურგი: მსგავსი № 40.

ტაბ. V, 40.

46. ინვ. № 9690, წონა=7.31 გრ, ზომა=27/28 მმ.
შუბლი და ზურგი: დაახლოებით ისეთივე, როგორც № 40.

47. ინვ. № 9691, წონა=8.49 გრ., ზომა=27/28 მმ.
შუბლი და ზურგი: როგორც № 40. მხოლოდ გადაჭედილია.

ტაბ. V 41.

48. ივნ. № 9692, წონა=7.09 გრ, ზომა=27/28 მმ.
შუბლი: მსგავსი № 40.
ზურგი: მსგავსი № 40-ს, მხოლოდ ჯვარი და ზედწერილი დეფორმირებულია—შესაძლებელია გადაჭედილი ან სიქა ორჯერ აქვს დაკრული.

ტაბ. V, 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. ინვ. № 9693, წონა=6.12 გრ, ზომა=27/30 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 40.
ზ უ რ გ ი: როგორც № 40.

ტაბ. V, 43.

50. ინვ. № 9695, წონა=9.44 გრ., ზომა=24/28 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 46.
ზ უ რ გ ი: როგორც № 46. მხოლოდ მონეტა გადაჭედლია; წერტილოვანი რკალი ნახევრად ჩანს.

ტაბ. V, 44.

51. ინვ. № 9696, წონა=7.61 გრ, ზომა=26/28 მმ.
შ უ ბ ლ ი და ზ უ რ გ ი: როგორც № 40.

ტაბ. V, 45[22]

52. ინვ. № 9694, წონა=9.50 გრ, ზომა=25/30 მმ.
შ უ ბ ლ ი: როგორც № 43, მხოლოდ მარჯვენა მხარეს დამღა „ალაჰ“.
ზ უ რ გ ი: როგორც № 43, მხოლოდ მიხეილ IV-ის მონეტა უნდა იყვეს გადაჭედილია.

ტაბ. V, 46.

განძში თავმოყრილი თეოდორას მონეტების დიდი ნაწილი ხელმეორედ არის გამოყენებული — თეოდორას თავისი სამონეტო შტამპით ძველი, უკვე ხმარებიდან გამოსული მონეტები გაუცოცხლებია და მათთვის ბრუნვის უნარი დაუბრუნებია. მასაც ისე, როგორც მიხეილ IV-ეს თავის სამონეტო საქმიანობაში ძველი მონეტის ხელმეორედ გადაჭედვა თითქმის წესად ჰქონია. ამას ალბათ სათანადო საფინანსო ცვლილებები უძღოდა წინ.

თეოდორას მიერ გადაჭედილი № 9694 მონეტა დადამღულიც არის—ეს კი ამ ფულადი ნიშნის მესამედ გამოყენებაზე მიგვითითებს.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე X 1059—1067 წწ.

53. ინვ. № 9701, წონა=5.74 გრ, ზომა=25/29 მმ.
შ უ ბ ლ ი: ქრისტე მჯყომარე ტახტზე[23]; თავზე შარავანდედი, რომლის მკლავებზე ·; ზედწერილი არა ჩანს.
ზ უ რ გ ი: სამსტრიქონიანი ზედწერილი:



ზემოთ მარცხნივ გაურკვეველი დამღა.

ტაბ. V, 47.

---

[22] ტაბულაზე მხოლოდ ზურგის ფოტოა.
[23] W. Wroth, II, ტაბ. LX, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე X დ ა ე ვ დ ო კ ი ა.

54. ინვ. № 9697, წონა=6.35 გრ, ზომა=28 მმ.

შ უ ბ ლ ი: ორი გვირგვინოსნის გამოსახულება, მთელი ტანით, პირდაპირ; ორივე გრძელი სამოსელით. მათ შორის ლაბარუმი; გარემოწერილია:.. W Δ აქვე გარკვევითა ჩანს ქვეშ მოყოლილი კონსტანტინე X-ის I ტიპის (W. Wroth, II, ტაბ. LXI, № 6) მონეტის ზურგის ზედწერილის ზოგი ასო S.EL და ამ ტიპის დამახასიათებელი ნიშნებ —V— —+—; რკალი წერტილოვანია.

ზ უ რ გ ი: ქრისტეს მდგომარე გამოსახულება პირდაპირ; თავზე ჯვრიანი შარავანდედი, ჯვრის მკლავებზე ; გარემოწერილია: +EMA... მარცხნივ ; აქაც ჩანს იმავე მონეტის კვალი. ეს მონეტა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ კონსტანტინე X-მ თავისი საკუთარი— I ტიპის მონეტა გადაჭედა თავისივე II ტიპის მონეტის შტამპით იმ განსხვავებით, მხოლოდ, რომ შუბლად აღნიშნული ძველი მონეტის ზურგი გამოიყენა და პირიქით.

ტაბ. V, 48.

55. ინვ. № 9698, წონა=10.00 გრ., ზომა=29 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 54, მხოლოდ +EM...**KWNTA** რკალი წერტილოვანია.

ზ უ რ გ ი: როგორც № 54, მხოლოდ ძველი მონეტის ორი ასო... ıL... ჩანს; ეს და ზოგი სხვა დეტალი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შეიძლება ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის მონეტა (W. Wroth, II, ტაბ. LVII, № 1) იყოს გადაჭედილი.

ტაბ. V, 49.

56. ინვ. № 9699, წონა=7.06 გრ., ზომა=24/27 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 54, მხოლოდ ძველი სიქა ვერ ირკვევა.

ზ უ რ გ ი: როგორც № 54, მხოლოდ ქვეშ მოყოლებული სამონეტო სიქის ცალკეული ასოები ნაწილობრივ ჩანს.

ტაბ. VI, 50.

57. ინვ. № 9700, წონა =5.93 გრ., ზომა=25/27 მმ.

შ უ ბ ლ ი: როგორც № 54. მხოლოდ ცალკეული ასოებიღა ჩანს.

ზ უ რ გ ი: როგორც № 54, მხოლოდ MA...**NOUHY**

ტაბ. VI, 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკიფორე III, 1078—1081 წწ.

58. ინვ. № 9702, წონა=8.80 გრ, ზომა=28 მმ.

შუბლი: მაცხოვრის მდგომარე გამოსახულება პირდაპირ[24]; ეტყობა მეორე ბეჭდის კვალი, რომელიც ქვემ არის მოყოლილი, ირგვლივ ხაზოვანი რკალია.

ზურგი: ჯვრის მკლავებში ჩაწერილია.



ე. ი. KVPIE ΦVΛATTE NIKHΦPPON ΔECΠOTHN

ამ მონეტაზე ძველი და ახალი შტამპის დეტალები ერთმანეთთან ისე არის შერწყმული, რომ ძველი სიქა ვერ ირკვევა.

ტაბ. VI, 52.

როგორც აღწერილიდან დავინახეთ, ანონიმურ მონეტებთან ერთად სახელიანი მონეტებიც იჭრებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ის დაწვრილებითი ცნობები, რაც დამახასიათებელი იყო ბიზანტიის სპილენძის ადრინდელი ნუმიზმატიკური ძეგლებისათვის, აღარ განმეორებულა ბიზანტიის ისტორიის მთელ მანძილზე.

საქართველოსი და ბიზანტიის დამოკიდებულება დროდადრო საკმაო მტრული ურთიერთობით ხასიათდებოდა, მაგრამ მხარეთა დათმობით დაზავება მაინც ხერხდებოდა. ამ დროებით მორიგების პერიოდში ქართველები სლავიანებთან და სომხებთან ერთად აქტიურ როლს თამაშობდნენ ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფო აპარატში, ჯარში და ეკლესიაში მნიშვნელოვანი ადგილები ეკავათ[25].

XI საუკუნეში ბიზანტია კვლავ ძლიერდება და საქართველოში თავის გავლენის მოპოვებას ცდილობს,—დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მან მისი მემკვიდრეობის მიტაცება მოისურვა, რის შედეგად ამ ორ ქვეყანას შორის ბრძოლა დიდხანს მიმდინარეობდა. მაგრამ ჩვენში ბიზანტიური ფულის გავრცელებას ასეთი პოლიტიკური სიტუაცია ხელს ვერ უშლიდა—და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობაც არ შეწყვეტილა, რაზედაც მეტყველებს ფულადი განძები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მიწის წიაღმა შემოგვინახა.

საქართველოს სავაჭრო საქმიანობაში ბიზანტიური სპილენძის ფული იმდენად ყოფილა დამკვიდრებული, რომ მისი დაგროვება და განძად შენახვაც კი უწარმოებიათ. ამას მოწმობს დმანისისა და ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი და ასევე ოჩამჩირეში აღმოჩენილი მონეტები. ნუმიზმატიკური თვალსაზრისით ეს უკანასკნელი აღმოჩენა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მასში ნიკიფორე III-ის მონეტაა მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ხელთ არსებული ცნობების თანახმად ეს პირველი და ჯერჯერობით

---

[24] W. Wroth, II, ტაბ. LXIII, № 10.

[25] ... Византийский временник, том III, 1950, გვ. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისივე ოქროსი, ელექტრონისა და ვერცხლის მონეტათა განძებს[26].

განძში საინტერესოა აგრეთვე გადაჭედილი და დადამღული მონეტები—გადაჭედილია უმთავრესად ბასილ II და კონსტანტინე VIII, რომანოზ III და თეოდორას მონეტები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რომანოზ III-ის დამღიანი მონეტა (№ 9669, ტაბ. III, 23).

გარეგნულად დამღა არა წესიერი წრის მოყვანილობისაა (დიამეტრი—0.06 მმ.) შიგ თანმიმდევრულად მოჩანს ორი ნაკლული ასო, ხოლო მესამე სრულია და გარკვეულად იკითხება როგორც ასომთავრული Ⴐ; დამღის სიმცირისა თუ რაიმე სხვა ტექნიკური მიზეზების გამო, ორი პირველი ასოსი მხოლოდ კონტურებია შერჩენილი. წინა ასოს გარკვეული ნაწილი და დამღის რკალი ერთმანეთთან უნდა იყოს შერწყმული.

ამოკითხულ ასო Ⴐ-ს თუ მივყვებით და პირველ ასოს ადგილმდებარეობისა და შერჩენილი ნაწილის მოყვანილობით მივიჩნევთ, ხოლო მეორე ასოს Ⴇ-ს ასევე შერჩენილი დეტალების მიხედვით Ⴋ-ად[27] წავიკითხავთ, მაშინ მივიღებთ ႧႫႰ თამარის სახელის დაქარაგმებას. მართალია დამღაში მოთავსებული ორი პირველი ასოს კონტურები ეჭვს იწვევს, მაგრამ სხვა სახელის ან სიტყვის წაკითხვის ცდამ შედეგი არ მოიტანა და ჩვენ საბოლოოდ თამარის სახელის წაკითხვაზე შევჩერდით, მით უმეტეს, რომ ამას მხარს უჭერს თამარის სახელის ასეთივე მოყვანილობა, გიორგი III და თამარის მონეტებზე[28].

ამ ვარაუდს მხარს ისიც უჭერს, რომ სათანადო სპეციალისტების დასკვნით დამღაში მოთავსებული ნიშნები არც ბერძნულ და არც არაბულ დამწერლობას არ განეკუთვნება. მსგავსი დამღა ლიტერატურაშიც მოხსენებული არსად არ არის და არც ფაქტიურ მასალაში გვეგულება.

ბუნებრივად იბადება საკითხი რათ დასჭირდა თამარს დამღის დასმა უცხოურ მონეტაზე?—ის ხომ გამეფებისთანავე უამრავ საკუთარ მონეტებს სჭრიდა.

მაგრამ, შესაძლებელია თამარმა გამეფების პირველ წლებში შემთხვევით მის სალაროში მოხვედრილ უცხო მონეტაზე დაასვა დამღა.

მოყვანილი სავარაუდო მოსაზრების საბოლოო გადაწყვეტა და ამ ჯერჯერობით უნიკალური დამღის სწორი ამოკითხვა დროსა და ახლად აღმოჩენილ კარგად შემონახულ ცალებს უნდა მივანდოთ.

---

[26] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. I, 1926. გვ. 49, № 96 მისივე, вып. II, 1938, გვ. 27, № 407; მისივე, вып. IV, გვ. 34—35 №, 1088.

[27] დამღაში მოთავსებული ასოთა კონტურების ასეთ აღდგენაზე თავაზიანად მიმითითა ხელოვნებათმცოდნე თეიმურაზ ბარნაველმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[28] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, СПБ, 1910, გვ. 96; თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში—შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა—პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 288; დ. კაპანაძე, გიორგისა და თამარის სახელით მოჭრილი ფულის შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XII—13 თბილისი, 1944, გვ. 195; ასეთივე მონეტები ინახება საქართველოს მუზეუმის ქართული ფულის ფონდში, №№ 1831, 1832.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. АБРАМИШВИЛИ

# НАХОДКА ВИЗАНТИЙСКИХ МЕДНЫХ МОНЕТ ИЗ ОЧАМЧИРИ


Резюме

21 июня 1957 года в кабинет нумизматики Государственного Музея Грузии, поступил клад состоящий из 58 византийских медных монет, найденный близ Очамчири в 1903 году.

Хронологически клад относится к VI—XI вв. (518—1081 гг.) и содержит монеты византийских императоров от Юстина I-го до Никифора III.

Необходимо отметить, что изучение состава Очамчирского клада дает основание считать, что многочисленные медные византийские монеты Государственного Музея Грузии, не имеющие сведений о месте находки, надо считать местными находками; как известно, медные монеты не уходят далеко от места находки и оседают у частных коллекционеров или в местных музеях.

В кладе сосредоточены перечеканенные и надчеканенные монеты, что указывает на тогдашнее финансовое положение.

Особого внимания заслуживает одна надчеканка составленная из грузинских букв мтаврули, которая может оказаться именем царицы Тамары, но к сожалению она очень потерта и с уверенностью сказать пока ничего нельзя.

Очамчирский клад медных византийских монет очень интересен и тем, что содержит одну монету императора Никифора III, сведения о находках которых у нас не имеются.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბ. I



ეროვნული
ბიბლიოთეკა



11



12



13



14



15



16



17



18



19



20

ტაბ. III

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. IV

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბ. V



Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV-B, 1963
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXI—B, 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ქებულაძე

# საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის საკითხისათვის

1453 წელს, თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, საქართველო მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში აღმოჩნდა. შინაური აშლილობა და გარეშე მტრების შემოტევა საქართველოს მეფეებს აიძულებდა მოკავშირეები უცხო ქრისტიანულ სახელმწიფოებში ეძებნათ. სწორედ ამიტომ ისინი სულ უფრო მეტი ინტერესით იხედებოდნენ დასავლეთისაკენ და ცდილობდნენ პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი დაემყარებინათ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან.

პირველ ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა 1460 წელს, როდესაც რომის პაპის პიუს II ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებას, საქართველოში ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და ელჩებიც კი გააგზავნეს რომსა და საფრანგეთში.

ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგი ცდა 1495 წელს მოხდა. ქართლის მეფემ კონსტანტინემ, ოსმალეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის მიზნით, პოლონეთის გავლით, ესპანეთსა და რომში გაგზავნა თავისი მოძღვარი კორნელი.

საქართველოს ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის კიდევ მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება: თეიმურაზ 1 მიმოწერა რომის პაპთან, სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში, ვახტანგ VI წერილები რომის პაპთან და ავსტრიის იმპერატორთან. ერთი სიტყვით, მიუხედავად მაჰმადიანური გარემოცვისა საქართველო ყოველნაირად ცდილობდა არ გაეწყვიტა კავშირი ევროპის სახელმწიფოებთან.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია და საქართველოს ევროპისაგან რეალური დახმარება არ მიუღია. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ ევროპას (რომის პაპი, საფრანგეთი, ვენეცია) ანტიოსმალური პროპაგანდა მხოლოდ კატოლიციზმის გაძლიერებისა და აღმოსავლეთში თავისი სავაჭრო-ეკონომიური პოზიციების განმტკიცებისათვის ესაჭიროებოდა, ამიტომ, რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპა არ ცდილობდა ნამდვილი დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის.

ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დოკუმენტალურ დადასტურებას იძლევა ჩვენს ტერიტორიაზე ევროპული ნუმიზმატიკური ძეგლების აღმოჩენის მრავალი შემთხვევა. ევროპულ მონეტებიდან საქართველოში ძირითადად ჩნდება: ვენეტიკური დუკატები, გერმანული ტალერები, ესპანური რეალები და ბოლოს ჩვენთვის საინტერესო პოლონური მონეტები.

წინამდებარე შრომის მიზანია ნუმიზმატიკური ძეგლების საშუალებით ნაწილობრივად მაინც წარმოვიდგინოთ პოლონური მონეტების შემოსვლისა და ბრუნვის სურათი საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | აღმოჩენის წელი, ადგილი და გარემოება | მონეტების რაოდენობა | მონეტების კუთვნილება | მოჭრის თარიღი | წონა გრამებში | ზომა მილიმეტრებში | შენახვის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1895 წ. ახალციხის რ-ნის სოფ. წყორძაში იპოვეს ესპანური, ჰოლანდიური, ფრანგული, პოლონური და ტიროლის 5 მონეტა[1] | 5 | | — | — | — | — |
| 2 | 1900-იან წწ. მახარაძის რ-ნის სოფ. ზედაუბნის მიდამოებში მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს იპოვეს ვერცხლის 6 გროშიანი მონეტები[2] | 2 | სიგიზმუნდ III, იოანე კაზიმირი | — | — | — | — |
| 3 | 1942 წ. ქ. თბილისში ტრამვაის პარკის ტერიტორიაზე ლიანდაგის შეკეთების დროს იპოვეს ვერცხლის პოლონური მონეტები[3] | 22 პოლტორაკი | სიგიზმუნდ III | 1621—1626 წ. | საშუალო წონა 1,09 | 19 | ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში. საინვენტარო დავთარი №№ 10389—10410 |
| 4 | 1944 წ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯაგირის მახლობლად ჩამოვლებილი გზის პირას იპოვეს ვერცხლის პოლონური მონეტა | 1 | სიგიზმუნდ III | — | — | — | მპოვნელმა მონეტა დატოვა |
| 5 | დაახლოებით 1945—1950 წწ. დას. საქართველოში იპოვეს ვერცხლის ფულის განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ამ განძიდან 2 მონეტა განსაზღვრისათვის საქართველოს სახ. მუზეუმში მოიტანეს | 1 პოლონური ორტა 1 ბრანდენბურგის | სიგიზმუნდ III გეორგ ვილჰელმი | — | — | — | განძი დაინაწილეს მპოვნელებმა |
| 6 | 1950 წ. ხობის რ-ნის სოფ. ჯოჯიხეთში იპოვეს ვერცხლის პოლონური მონეტა | 1 ორტა | სიგიზმუნდ III | 1624 წ. | — | — | ინახება ტყიბულის მუზეუმში |
| 7 | 1954 წ. ქ. ხაშურის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი | 30 პოლონური ორტა 3 ბრანდენბურგის | სიგიზმუნდ III გეორგ ვილჰელმი | 1621—1626 წ. 1625—1626 წ. | საშუალო წონა 6,30 6,45 | 29 29 | ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში. საინვენტარო დავთარი №№ 9090—9122 |

[1] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. I, Баку, 1926, გვ. 62.

[2] იქვე, გვ. 64.

[3] ეს განძი 1961 წ. საქართველოს სახ. მუზეუმს შემოწირა პროფ. გ. ტოროდანიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაგრძელება

| № | განძის აღმოჩენის წელი, ადგილი და გარემოება | მონეტების რაოდენობა | მონეტების ემიტენტი | მონეტების მოჭრის თარიღი | წონა გრამებში | ზომა მილიმეტრებში | შენახვის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1955 წ. სამტრედიის რაიონის სოფ. შინდისში მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს იპოვეს ვერცხლის პოლონური მონეტების განძი. 25 ცალზე მეტი, რომელთაგან საქართველოს სახ. მუზეუმში მხოლოდ 3 მონეტა შემოვიდა | 3 ორტა | სიგიზმუნდ III | 1622 წ.<br>1624 წ.<br>1625 წ. | 6,10<br>5,90<br>6,23 | 26<br>"<br>" | ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში, საინვენტარო დავთარი №№ 10230—10232 |
| 9 | 1936 წ. ახალციხის რ-ნის სოფ. თისელში იპოვეს ვერცხლის პოლონური მონეტა | 1 ორტა | სიგიზმუნდ III | — | — | — | მპოვნელმა მონეტა დაიტოვა |
| 10 | 1958 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჭალყამში მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი | 2 პოლონური ორტა<br>82 თურქული | სიგიზმუნდ III<br>აჰმედ III და მაჰმუდ I | 1622–1623 წ.<br>1709—1730 წ. | 5,80—6,10<br>— | 29<br>— | ინახება საქართველოს სახ მუზეუმში, საინვენტარო დავთარი №№ 9855—9938 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში პოლონური მონეტების აღმოჩენის 10 შემთხვევაა აღნუსხული. ქვემოდ ჩვენ მოგვყავს ამ აღმოჩენების ცხრილი.

საქართველოში აღმოჩენილი პოლონური მონეტები წარმოდგენილია, როგორც ცალკეული ცალების აღმოჩენის, ასევე განძის სახითაც. თბილისისა და სამგორის რაიონის განძი ორ ათეულზე მეტ მონეტას ითვლის, ხოლო ზესტაფონის კი—33. ამ აღმოჩენების სახით ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოში გარკვეული ღირებულების მქონე პოლონური ფულის ნიშნების განძად გადაქცევასთან.

საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელება დასტურდება ფაქტიური მასალით.

საქართველოში აღმოჩენილი პოლონური მონეტების განძების შემადგენლობას ერთი თავისებურება ახასიათებს, ყველა ისინი სიგიზმუნდ III (1587—1632 წწ.) სახელითაა მოჭრილი. მხოლოდ სოფელ ზედაუბნის განძში სიგიზმუნდ III გვერდით იოანე კაზიმირის (1648—1668 წწ.) მონეტებიც ჩნდება. მაგრამ ეს განძი ჩვენ ხელთ არ გვაქვს, როგორც ირკვევა იგი დაკარგულა და ამიტომ ჩვენ სიგიზმუნდ III მონეტების აღწერით დავკმაყოფილდებით.

პოლონური მონეტების აღმოჩენის 10 შემთხვევიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ 4 შემოვიდა: თბილისის, ზესტაფონის, ჭალკათისა და შინდისის განძები, რომლებშიც სიგიზმუნდ III ორტების გვერდით თურქეთისა და ბრანდებურგის მონეტებს ვხედავთ.

საერთოდ განძის შემადგენელი მონეტები, განძის ჩამარხვის დროს წარმოადგენდნენ ბრუნვაში მყოფ ცოცხალ სავაჭრო კაპიტალს და არა ნუმიზმატიკურ კოლექციას, რომლის მფლობელსაც მიზნად ჰქონდა სხვადასხვა დროის და ქვეყნის ფულის ნიშნების შეგროვება[4]. ამიტომ დასავლეთ საქართველოში ფრიად გავრცელებული თურქული აყჩებისა და სიგიზმუნდ III ორტების თავმოყრა სოფ. ჭალკათის განძში თავისთავად მეტყველებს ჩვენში პოლონური მონეტების გავრცელებაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული პოლონური მონეტების განძის შესწავლით ირკვევა, რომ ჩვენში სიგიზმუნდ III ორტების ორი ტიპი ყოფილა გავრცელებული. მოგვყავს მათი აღწერილობა.

I. მ ო ნ ე ტ ი ს შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია გრეხილოვანი რკალით შემოვლებული სიგიზმუნდ III მახვილითა და სფეროთი წელზევითი გამოსახულებანი პროფილით მარჯვნივ. წრის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი:

SIGIS.III.D:G:REX.POL.M. D:LI:RVS.PRVS.M+[5]

ზურგზე: გრეხილოვან რკალში ჩასმულია პოლონეთ-ლიტვის ღერბი სამეფო გვირგვინით. ღერბის გვერდებზე თარიღი 16—23. რკალის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი:

[4] Е. А. Пахомов, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 8.

[5] Sigismundus III Dei Gratia Rex Poloniae Magnus Dux Lithuaniae, Russiae, Prussiae, Masoviae—სიგიზმუნდ III ღვთის წყალობით მეფე პოლონეთისა დიდი მთავარი ლიტვის, რუსეთის, პრუსიის, მაზოვიის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

SAM·LIVN ECN·SV GOT· VAN Q· HRI· R[6]

(იხილეთ ტაბულა, სურათი 1).

II შუბლზე: გრეხილოვან ხაზით შემორკალული სიგიზმუნდ III წელზევითი გამოსახულება პროფილით მარჯვნივ. გამოსახულების გვერდებზე თარილის დასაწყისი 1—6 რკალის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი: SIGIS·III·D·G REX.POL:M:D·L·R:PR[7]

ზურგზე: გრეხილოვან რკალში ჩასმულია ქ. გდანსკის ღერბი. ღერბის თავზე თარილის დასასრული 2—6. წრის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი:

MONETA:CIVIT:GEDANENSIS[8]

(იხილეთ ტაბულა, სურათი 2).

ორტები პოლონეთ-ლიტვის სამეფოში პირველად 1608 წელს ქალაქ გდანსკის ზარაფხანაში მოჭრეს. მისი ღირებულება, როგორც ტალერის 1/4 ნაწილისა, 10 გროშს უდრიდა[9].

გდანსკის ორტები სწრაფად გავრცელდა მთელს პოლონეთში და მასზე მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ 1616 წელს სეიმმა სპეციალური დადგენილება მიიღო ბიდგოვსკის, კრაკოვისა და ვარშავის ზარაფხანებში ორტების მოჭრის შესახებ. სეიმის დადგენილებით 1 გრივნა შერეულ ვერცხლიდან უნდა მოეჭრათ 28 ცალი ორტა, წონით 7.06 გრ. ორტები მალე პოლონეთ-ლიტვის სამეფოს საზღვრებს გაცილდა და იმდენად გავრცელდა ევროპაში, რომ სილეზიისა და ელბრუნგის ზარაფხანებმა დაიწყეს ორტების ყაიდის მონეტების მოჭრა[10]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოშიც პოლონურ მონეტებიდან ყველაზე მეტად ეს ნომინალი იყო გავრცელებული.

1942 წელს თბილისში აღმოჩენილი პოლონური მონეტების განძის შემადგენლობიდან ირკვევა, რომ საქართველოში ორტების გარდა გავრცელებული ყოფილა უფრო მცირე ნომინალებიც, ეგრეთწოდებული პოლტორაკები, მოგვყავს ამ განძის შემადგენელი ერთ-ერთი პოლტორაკის აღწერილობა:

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია ხაზიანი რკალით შემოვლებული პოლონეთ-ლიტვის ღერბი სამეფო გვირგვინით. რკალის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი: SIGIS 3 DG 3 REX P MDL [11].

ზურგში: ცენტრში ხაზიან რკალში ჩასმულია ჯვრიანი სფეროს გამოსახულება. სფეროს გვერდებზე თარილის დასასრული 2—2. სფეროში ნომინა-

---

[6] Samogitiae, Livoniae Nec Non Svecorum, Gothorum, Vandalorumgue Hereditarius Rex—სამოგიტიის, ლივონიის და აგრეთვე მემკვიდრე მეფე სვაევბის, გუთების და ვანდალების.

[7] Sigismundus III Dei Gratia Rex Poloniae Magnus Dux Lithuaniae, Russiae, Prussiae—სიგიზმუნდ III ღვთის წყალობით მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ლიტვის, რუსეთის, პრუსიის.

[8] Moneta civitatis Gedanensis—ქალაქ გდანსკის მონეტა.

[9] დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ Marian Gumowski, Mennica Bydgoska, Topun, 1950, გვ. 112.

[10] Marian Gomowski, Mennica Bydgoska, Torun, 1950, გვ. 116.

[11] Sigismundus III Dei Gratia 3 (პოლტორაკი=1—1/2 გროში) Rex Poloniae Megnus Dux Lithuaniae—სიგიზმუნდ 3 ღვთის წყალობით მეფე პოლონეთის, დიდი მთავარი ლიტვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის აღმნიშვნელი ციფრი 24 (პოლტორაკი-ტალერის 1/24). რკალის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი: **MON NOV REG POL**[12] (ტაბ. სურ. 3).

საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების ამოსავალი წერტილი უნდა ვეძებოთ პოლონეთთან პოლიტიკურ კავშირში თუ არა, ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური მიზნების ერთობლიობაში მაინც, შემდეგ შავი ზღვითა და მდინარე დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობაში და ბოლოს XVII საუკუნის საქართველოში მოქმედ ფულის სისტემაში, ე. ი. როგორც პოლიტიკურ ასევე ეკონომიურ მომენტებში.

პოლიტიკური მომენტი, რომელმაც განსაზღვრა საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სამეფოს საგარეო პოლიტიკის ერთნაირი მიმართულება, თურქეთის მზარდ ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა. XVI საუკუნის დასაწყისისათვის ოსმანთა იმპერიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დაიპყრო აზოვის ზღვის სანაპიროები, კავკასიის ნაწილი და შემდეგ თავისი ექსპანსია უნგრეთის, ავსტრიისა და პოლონეთის ტერიტორიებზე გაავრცელა. ამასთან დაკავშირებით ევროპაში იქმნება მთელი რიგი ანტიოსმალური კოალიციები.

რაც შეეხება საქართველოს, ოსმალებმა დასავლეთ საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაიმორჩილეს[13] და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობასაც შეეცადნენ. საქართველო ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ევროპის სახელმწიფოებში თავის მოკავშირეებს ხედავდა და, როგორც ეს ზემოდ აღვნიშნეთ, თავის მხრივაც ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციებში მონაწილეობის მიღებას.

როგორც ირკვევა, ევროპის სახელმწიფოების და კერძოდ პოლონეთ-ლიტვის სამეფოს ანტიოსმალური მისწრაფებანი საქართველოში სათანადოდ შეუფასებიათ და მათთან მეგობრულ-პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების მტკიცე საფუძვლად მიუჩნევიათ. საქართველოსა და პოლონეთს შორის უშუალო კონტაქტის დამყარებას ხელი შეუწყო ევროპისაკენ მიმავალი გზის, შავი ზღვის სრუტეებიდან მდინარე დნეპრზე გადანაცვლებამაც. 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლის აღებით, გადაკეტეს შავი ზღვის სრუტეები და უმოკლეს გზად საქართველოდან ევროპაში პოლონეთ—ლიტვის ტერიტორიაზე გავლით მდინარე დნეპრი დარჩა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ევროპის სახელმწიფოებში მიმავალ ქართველ ელჩებს პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე უნდა გაევლოთ.

პოლონეთთან, როგორც თურქეთის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ერთეულთან, კავშირის დამყარების პირველი ცდა 1495 წელს მომხდარა. ქართლის მეფე კონსტანტინეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდის დროს ესპანეთისა და რომის პაპის გვერდით პოლონეთის სამეფოც ჰყოლია მხედველობაში. კონსტანტინე მეფის ელჩს კორნელს, პოლონეთის მეფე ალექსანდრე კაზიმირის-ძისათვის გაუცვნია თურქეთის საწინააღმდეგო გეგმა და იზაბელა კასტილიელისადმი განკუთვნილი წერილი უჩვენებია[14].

---

[12] **Moneta Nova Regni Poloniae**—პოლონეთის სამეფოს ახალი მონეტა.

[13] 1555 წ. ხელშეკრულებით თურქეთმა და ირანმა საქართველო ურთიერთშორის დაინაწილეს, აღმოსავლეთ საქართველო ერგო ერანს, ხოლო დასავლეთი კი თურქეთს.

[14] პროფ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველო პოლონეთის სიძველეთსაცავებში, გაზეთი „თბილისი“, 1959 6/VI, № 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთ-ლიტვის სამეფოსთან დაკავშირების შემდგომი ცდა XVII საუკუნის 30-იან წლებში მოხდა, რაც ემთხვევა ჩვენში სიგიზმუნდ III მონეტების გავრცელების პერიოდს. თეიმურაზ I, 1626 წელს, რომში ელჩად გაუგზავნია ნიკიფორე ირბახი, საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული. რომის პაპისათვის ქართველ ელჩს სარეკომენდაციო წერილები უთხოვია ესპანეთის, საფრანგეთის, ნეაპოლის, შვეციისა და პოლონეთის მეფეებთან. მისი თხოვნა რომში დაუკმაყოფილებიათ და 1628 წელს ნიკიფორე ირბახი ამ სახელმწიფოებში გამგზავრებულა[15].

უდაოა, რომ ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მისია ერანის ძალმომრეობისაგან თავის დახსნის მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ ეს ცდა რეალური არ იყო და ვერავითარი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა ევროპაში, რადგან ევროპის სახელმწიფოები და მათ შორის პოლონეთი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერანთან, როგორც თურქეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან.

სამეგრელოში 1639—1640 წლებში ელჩინისა და ზახარიევის ელჩობის აღწერიდან ირკვევა, რომ პოლონეთ-ლიტვის სამეფოსთან დაკავშირების აზრი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611—1654 წ.) კარზეც არსებობდა. მაგრამ XVII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით დადიანი რუსეთზე შეჩერებულა.

რაც შეეხება პოლონეთს, ისიც თავის მხრივ ცდილობდა დაკავშირებოდა თურქეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს: ავსტრიას, ერანს და სხვებს. ჩვენთვის ცნობილია პოლონელი ელჩების ხშირი მიმოსვლა ერანში. ერანში მიმავალ პოლონელ ელჩებს, როგორც ყველაზე უშიშარ და უმოკლეს გზაზე, ჯერ დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე უნდა გაევლოთ.

პიეტრო დელა-ვალეს მიერ 1627 წელს პაპი ურბან VIII-სადმი მიწერილ მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ პოლონელი ელჩები არა მარტო გზად გაივლიდნენ საქართველოს, არამედ გარკვეული დავალებებით მიდიოდნენ დასავლეთ საქართველოს მთავრობასთან.

„ორ მათგანს, ოდიშისა და გურიის მთავრებს, აქვთ სამთავროები შავი ზღვის პირას... თვითონ პოლშის ხელმწიფეს (ლაპარაკია სიგიზმუნდ III), როგორც ამბობენ აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიმოწერა... პოლშის ხელმწიფეს შეუძლიან კიდეც ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები“[17].

მაგრამ სიგიზმუნდ III არ შეეძლო დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის და არც ეცალა საამისოდ, რადგან მისი ფართო მაშტაბის საგარეო პოლიტიკა (ომები რუსეთთან, შვეციასთან და თურქეთთან) მარცხიანი აღმოჩნდა.

საქართველოსა და პოლონეთს შორის, ზემოთ აღნიშნულ დიპლომატიური მისიების გაცვლას და საერთოდ ერთმანეთში მიმოსვლას თან სდევდა ფულის საერთაშორისო მოძრაობა.

---

[15] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 92.

[16] С. А. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1939—1640 гг.), Москва, 1887, გვ. 350.

[17] ჟურნალი ივერია, ტფილისი, 1879, № 3, გვ. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების პოლიტიკურ მომენტებიდან უნდა დავასახელოთ კიდევ, დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა დნეპრის კაზაკებთან. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკავშირდება დნეპრის კაზაკებს[18]. სამეგრელოსა და გურიის მთავრებს, თურქეთზე სათარეშოდ წამოსულ კაზაკებისათვის მრავალჯერ შეუთავაზებიათ თავშესაფრად თავიანთი ტერიტორია და ნავსადგურები. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ პიეტრო დელა-ვალეს მოხსენებით ბარათიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილს: „ორ მათგანს, ოდიშისა და გურიის მთავრებს, აქვთ სამთავროები შავი ზღვის პირას... პოლშის ყაზახებს, რომელნიც ცხოვრობენ დნეპრის შავს ზღვასთან შესართავზე, დიდის სიყვარულით იღებენ თავიანთ ქვეყნებში, როგორც ქრისტიანებს, იგინი არიან თურქების დიდი მტრები... გარდა ამისა, როგორც მე გავიგონე, ეს ორნი ხალხნი ემოყვრებიან ერთმანეთს, ქართველებს თავის მხრივ შეუძლიანთ მათის ნავსადგურებით და უსაშიშო თავშესაფარ ადგილებით, რომელნიც აქვთ ზღვის ნაპირებზე, დიდად დაეხმარონ ყაზახებს მათ საქმეებში. ამით ქართველები ჩვენებისთვისაც გამოსადეგნი იქნებიან, თუ ჩვენ ოდესმე დიდი რამ საქმე დავიწყეთ, ზღვით ან ხმელეთით, ოსმალეთისა და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ“[19].

დასავლეთ საქართველოს სამთავროებისა და დნეპრის კაზაკების ურთიერთობის ცნობები პიეტრო დელა-ვალეს მოხსენებითი ბარათის გარდა დაცულია დომინიკანელების ორდენის ბერის პატრი ივანეს მოგზაურობის აღწერაში. პატრი ივანეს აფხაზეთის ერთ-ერთ ეკლესიაში უნახავს, რომ „ტრაპეზზედ იდგა ერთი თეფში სავსე ოქროსა და ვერცხლის ფულით. მღვდელს ვკითხე ეს ფული ვის შეუწირავს მეთქი, იმანაც მიპასუხა, რომ ყაზახები, რომლებიც დნეპრის მდინარით ნავებით შავ ზღვაში შემოდიან ოსმალების და თათრების დასარბევად, როდესაც მობრუნდებიან ნადავლით, ამ ეკლესიაში ლოცულობენ და სტოვებენ ფულსო“[20].

დასავლეთ საქართველოს სამთავროებსა და დნეპრის კაზაკებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გვერდით გამორიცხული არ უნდა იყოს ეკონომიური ურთიერთობაც. მით უფრო, რომ საამისო ცნობები შემონახულია სამეგრელოში ელჩინისა და ზახარიევის ელჩობის აღწერაში[21].

მდინარე დნეპრის სანაპიროები, ე. ი. კაზაკების დასახლების რაიონები XVII საუკუნის პირველ ნახევარში პოლონეთ ლიტვის გაერთიანებულ სამეფოში შედიოდა. ამიტომ იქ პოლონეთ-ლიტვის სამეფოს მონეტები იყო ბრუნვაში[22]. დნეპრის კაზაკებში პოლონური ფულის გავრცელებაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტი. სტეფანე ბატონის მეფობის დროს (1576—1586 წწ.) სამხედრო ძალების საჭიროების ზრდამ, პოლონეთის მთავრობა აიძულა მოეხდინა კაზაკე-

---

[18] საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისთვის, თბილისი, 1958 გვ. 183.

[19] ჟურნალი ივერია, ტფილისი, 1879, № 3, გვ. 57.

[20] მ. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144.

[21] „Февраля в 5 де выехали мы к Морю Чорному на конех. Епискуп Ондрей говорил да крестовой поп Гаврила сказал. есть де у нас река Рьян. Приезжали с Черново моря к нам казаки стали на устье и нашева де царства люди выходили и всякою торговлею с ними торговали“ (С. А. Белокуров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324).

[22] Спасский, Русская монетная система, Москва, 1957, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ნაწილობრივი ლეგალიზაცია. კაზაკების ზოგიერთი კატეგორიები პოლონეთის ჯარის შემადგენლობაში შეიყვანეს და სამსახურისთვის ჯამაგირს აძლევდნენ[23].

პოლონეთ-ლიტვის სამეფოში შემავალი მდინარე დნეპრის კაზაკებისა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა, თავის მხრივ ხელს უწყობდა კაზაკებში გავრცელებული პოლონური ფულის საქართველოში შემოსვლას.

საქართველოში პოლონური და საერთოდ უცხოური მონეტების გავრცელებაში დიდი როლი ენიჭება საგარეო სავაჭრო ურთიერთობას, რადგან ეს ურთიერთობა თავისთავად გულისხმობს ფულის გადახდას ან მიღებას უცხოეთიდან. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ პოლონეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა, ე. ი. საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების ეკონომიური მომენტი.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო გაუთავებელი ომიანობის გამო ეკონომიურ დაქვეითებას განიცდიდა. მაგრამ, როგორც ეს ევროპიელი მოგზაურებისა და რუსეთის ელჩების ჩანაწერებიდან ირკვევა, მეურნეობის ზოგიერთი დარგების დონე, კერძოდ მეაბრეშუმეობა, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი იყო.

პატრი პავლე მარია ფაიანცელის ცნობით: „საქართველოში კაცებს თათრულად აცვიათ და ტანისამოსი აბრეშუმისა აქვთ, რადგან აბრეშუმი ბლომად იშოვება იქ“[24].

არქანჯელო ლამბერტის სიტყვებით: „სამეგრელოში წინად თუთის ხეს არაფრად არ ხმარობდნენ. ახლა კი აბრეშუმის ჭიის საკვებად ხმარობენ და დიდად სარგებლობენ“[25].

რუსეთის ელჩების ტოლჩანოვისა და იევლევის ცნობით იმერეთში და სამეგრელოში „აბრეშუმის ხამ ძაფს დიდი რაოდენობით აწარმოებენ და იაფადაც ყიდიან, ფუთი თექვსმეტი—ჩვიდმეტი ოქრო ღირს“[26].

XVII საუკუნეში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ეკავა აბრეშუმს.

პიეტრო დელა-ვალე თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს „დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინოპოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმითა და სხვა რამეებით[27].

არქანჯელო ლამბერტის ცნობით „თურქთა გემები ყოველ წელიწადს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. თურქები მეგრელებისაგან იღებენ აბრეშუმს, თაფლს, ცვილს, ტილოს, ბზის ხეებს და სელის თესლს“[28].

ადამ ოლეარიუსი ირანის სატახტო ქალაქ ისპაჰანში, რომელზედაც აბრეშუმით ვაჭრობის საქარავნო გზა გადიოდა, სავაჭროდ ჩამოსულ ინდოელ, ჩინელ, თურქ, სომეხ, ჰოლანდიელ, ინგლისელ და იტალიელ ვაჭრებს შორის ქართველებსაც ასახელებს[29].

---

[23] შუა საუკუნეების ისტორია, ტომი II, თბილისი, 1949, გვ. 510.

[24] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.

[25] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 191.

[26] П о л и е в к т о в, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, 1650—1652, Тифлис, 1926, გვ. 189.

[27] ჟურნალი ივერია, ტფილისი, 1879, № 3, გვ. 57.

[28] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

[29] А д а м О л е а р и й, Подробное описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, Москва, 1870, გვ. 727.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული აბრეშუმის მაღალხარისხოვნებაზე მეტყველებს შეაბრეშუმეობით განთქმული ერანისათვის ხარკის გადახდა აბრეშუმით. ადამ ოლეარიუსის ცნობით XVII საუკუნეში სეფევიდების სახელმწიფო წლიურად 20 ათას საპალნე აბრეშუმის ხამ ძაფს აწარმოებდა—გილიანი იძლეოდა 8 ათას, მაზანდარანი 2 ათას, შირვანი 3 ათას, ყარაბახი 2 ათას და საქართველო და სომხეთი 5 ათას საპალნე აბრეშუმს[30].

როგორც ირკვევა ქართულ აბრეშუმს დიდი გასავალი ჰქონდა ერანისა და თურქეთის ბაზრებზე, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა აღმოსავლურ აბრეშუმს, რომელზედაც ევროპაში ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო.

პოლონეთის საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა აღმოსავლური აბრეშუმის შესყიდვას. ამ მიზნით მას გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა იტალიის ქალაქების შავი ზღვის ფაქტორებთან—კაფასთან, ტანასთან და სხვებთან. პოლონეთს ამ კოლონიებში გაჰქონდა ევროპული საქონელი: მატყლის ქსოვილები და ქარვა და ამის სანაცვლოდ ღებულობდა აბრეშუმს და სანელებლებს. მაგრამ 1475 წელს თურქეთის მიერ იტალიის ფაქტორებისა და საერთოდ ყირიმის აღებამ, დიდად დააქვეითა პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ვაჭრობა და XV საუკუნის დამლევს პოლონეთის სავაჭრო ურთიერთობის ცენტრებმა შავი ზღვიდან ბალტიის ზღვაში გადაინაცვლა.

აღმოსავლური საქონლის შეძენის პუნქტებიდან გამოდევნის შემდეგ, XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისში პოლონეთს აბრეშუმს აწვდიდა ინგლისი და ჰოლანდია ბალტიის ზღვით და ერანი კასპიის ზღვისა და ვოლგის გზით. მაგრამ 1618 წელს ევროპაში დაიწყო ოცდაათწლიანი ომი. ამ ომში ინგლისი და ჰოლანდია პოლონეთის საწინააღმდეგო ანტიჰაბსბურგთა ბანაკში აღმოჩნდნენ. ოცდაათწლიანმა ომმა დროებით დაარღვია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის მანამდე არსებული სავაჭრო ურთიერთობანი. ევროპის მნიშვნელოვან საზღვაო სავაჭრო გზებზე შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა. ესპანეთის სამხედრო ხომალდები თავს ესხმოდნენ ინგლისისა და ჰოლანდიის სავაჭრო ფლოტს[31]. დანიელი მეკობრეები, დანიის მეფის ქრისტიან IV ბრძანებით, ბალტიისა და თეთრ ზღვაში აკავებდნენ ჰოლანდიის სავაჭრო ხომალდებს[32]. ამრიგად პოლონეთი ოცდაათწლიანი ომის გამო ინგლისელ და ჰოლანდიელ ვაჭრებისაგან ვეღარ ღებულობს იმ რაოდენობის აბრეშუმს, რასაც იგი ადრე ღებულობდა.

გარდა ამისა, 1623 წელს სპარსეთის ყურეში გაბატონების შემდეგ შაჰაბაზმა შეწყვიტა კასპიისა და ვოლგის გზით აბრეშუმის გატანა პოლონეთში, რადგან ერანის აბრეშუმს ევროპისაკენ აფრიკის შემოვლით უფრო იაფი საზღვაო გზა გაეხსნა[33].

ასეთ ვითარებაში, ჩვენი ვარაუდით პოლონეთში უნდა დაინტერესებულიყვნენ საქართველოს აბრეშუმით. მით უფრო, რომ აბრეშუმით ვაჭრობაში, მოგების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის ადგილზე შესყი-

30 Адам Олеарий, Подробное описание путешествия голштинского посолства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, Москва, 1870, გვ. 890.

31 О. А. Вайнштейн, Россия и Тридцатилетняя война, Ленинград, 1947, გვ. 59,

32 იქვე, გვ. 63.

33 Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский Л. В. Строева, Л. М. Белецкий, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958, გვ. 273.

დვას. XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის ეკონომიურ ურთიერთობაზედ ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს პიეტრო დელა-ვალეს მოხსენებითი ბარათი და მოსკოვში ლევან II დადიანის ელჩის განცხადება, რომლებიც სათანადო კრიტიკული განხილვის საფუძველზე ამ სახელმწიფოების სავაჭრო ურთიერთობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

პიეტრო დელა-ვალეს ცნობით: „თვით პოლშის ხელმწიფეს როგორც ამბობენ, აქვს იმერეთის, ოდიშისა და გურიის მთავრებთან მეგობრობა და მიწერ-მოწერა. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიან"[34].

ახლა მივმართოთ 1638 წელს მოსკოვის საგარეო საქმეთა უწყებაში ჩაწერილ ლევან II დადიანის ელჩის გაბრიელ მოძღვარის განცხადებას. При нынешнем-де при Леонтье царе торги у них есть; а торгуют-де с турскими и кизылбашскими людми, да из иных земел торговые люди к ним морем приезжают, а покупают-де у них шолк, мел, воск, полотна и иные товары, которые у них есть[35].

დადიანის ელჩის განცხადებით სამეგრელოში XVII საუკუნის 30-იან წლებში თურქეთის გარდა, შავი ზღვით სხვა ქვეყნის ვაჭრებიც შემოდიოდნენ. ჩვენი ვარაუდით ეს ვაჭრები პოლონეთ-ლიტვის სამეფოდან უნდა ყოფილიყვნენ. თუნდაც იმიტომ, რომ შავ ზღვაში შემოსასვლელი ერთადერთი გზა, რომელიც თურქეთის გავლენის სფეროში არ შედიოდა, იყო პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე გამავალი დნეპრის გზა, და თუ კი ვინმე ამ გზით ისარგებლებდა და სამეგრელოში აბრეშუმის საყიდლად შემოვიდოდა, პირველ რიგში ეს პოლონელი ვაჭრები იქნებოდნენ.

ამრიგად XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის სამეფოს შორის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური ურთიერთობაც არსებობდა. ამ გზით საქართველოში პოლონური მონეტების გვერდით, პოლონეთ-ლიტვის სამეფოში მიმოქცევაში მყოფი სხვა ევროპული მონეტებიც შემოდიოდა, რასაც ადასტურებს პოლონური მონეტების განძებში ბრანდებურგის საკურფიუსტოს მონეტების აღმოჩენის შემთხვევები.

საქართველოში ევროპული მონეტების აღმოჩენებს უშუალო კავშირი აქვთ კათოლიკე მისიონერების საქმიანობასთანაც[36].

XVI საუკუნეში ევროპის რიგ სახელმწიფოებში რეფორმაციული მოძრაობის გამარჯვებით რომის კათოლიკურმა ეკლესიამ დიდი დანაკლისი განიცადა. რომის პაპის გავლენის სფეროს ჩამოცილდა ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი. კათოლიკური ეკლესია ამ დანაკლისის ანაზღაურებას აღმოსავლეთის ქვეყნების ხარჯზე ცდილობდა. ამიტომ რომი ინტენსიურად აგზავნიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში კათოლიკე მისიონერებს.

როგორც ირკვევა, კათოლიკე მისიონერებს რომის გარდა, პოლონეთ-ლიტვის სამეფოც აგზავნიდა, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა სიგიზმუნდ III მეფობაშიც. იეზუიტების მიერ აღზრდილი სიგიზმუნდ III რწმენით კათოლიკე იყო. მან აღადგინა თავის სამეფოში კათოლიკური რეაქცია და შემდეგ მიზნად დაისახა ბრძოლა ჩრდილოეთსა და დასავლეთში რეფორმაციასთან და აღმოსავლე-

---

[34] ჟურნალი ივერია, ტფილისი, 1879, № 3, გვ. 57.

[35] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг., Тбилиси, 1937, გვ. 149.

[36] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950, გვ. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში მართლმადიდებლობიანობასთან. ამიტომ ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია სიგიზმუნდ III მეფობის დროს პოლონელი მისიონერების შემოსვლა საქართველოში. მით უფრო, რომ საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლის გზებიდან ყველაზე უხიფათო პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე გამოვლით დნეპრის გზა იყო. აი რას წერს ამის შესახებ პიეტრო დელა-ვალე:

„პოლშიდან ამ საქმეს ბერები არ მოაკლდება, განსაკუთრებით ჯუზიტები, დომინიკანელები და კარმენიტანელი ფეხ-შიშველები. არც პოლშის ხელმწიფე (ე. ი. სიგიზმუნდ III) მოაკლებს თავის შემწეობას; იგი ფრიად კათოლიკეა და ღვთის მოყვარე და დიდის სიმხურვალით ეცდება ხელი შეუწყოს ამ მოსვლა-მისვლას. ამისათვის ყაზახების ხომალდები ბლომად იქნებიან, რომლითაც მოსვენებულად შეუძლიანთ საქართველოში წასვლა ჩვენებს, არა მარტო ბერებს, არამედ ეპიზკოპოზსაც, ნუნციოსაც და დესპანსაც“[37].

საქართველოში პოლონელი მისიონერების მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის პროფ. ი. ცინცაძე. ვლადისლავ IV (1632—1648 წწ.) საქართველოში გამოუგზავნია სამისიონეროდ დომინიკანელების ორდენის ბერი იან დე-ლუკა, რომელსაც თავის მეფისადმი გაგზავნილ რელაციაში საქართველოს აღწერილობა ჰქონია მოცემული[38]. მიხეილ თამარაშვილის ცნობით 1690—1738 წლებში იმერეთში მოღვაწეობდა პოლონელი მისიონერი ივანე გუტკოვსკი[39].

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ კათოლიკურ ლოცვა-კურთხევასთან ერთად მათ ევროპული ფულიც შემოჰქონდათ.

იმერეთსა და სამეგრელოში მისიონერად გამოგზავნილი ლუდოვიკე გრანჯეროსი 1615 წელს იეზუიტების ორდენის გენერალს წერდა: „დიდად განათლებულმა საფრანგეთის ელჩმა არაფერი დაზოგა ამ მგზავრობისათვის და მოგვცა ხუთასი ოქრო, რომელიც საჭირო იყო მისიონისათვის“[40].

1624 წელს რომიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ პატრი ივანეს წინამძღოლობით დომინიკანელების ორდენის ოთხი ბერი გაემგზავრა. პატრი ივანეს მოგზაურობის აღწერიდან ირკვევა, რომ მისიონერები პოლონეთის გავლით კაფაში მისულან, საიდანაც 1629 წელს პატრი ივანე აფხაზეთში, ჩერქეზეთში და სამეგრელოში გამგზავრებულა. აფხაზეთში მას ერთ-ერთ ეკლესიისათვის შეუწირავს პოლონელი ეპისკოპოსის მიერ ნაჩუქარი „ერთი ქისა“ (ე. ი. საფულე)[41], რომელშიც ჩვენი ვარაუდით პოლონური მონეტები იქნებოდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი პოლონური მონეტები, ძირითადად წარმოდგენილია სიგიზმუნდ III ორტებით, რომლებიც ჩვენში XVII საუკუნის პირველ ნახევარში შემოდიან. რა ცშეეხება მათ მიმოქცევის ქრონოლოგიურ საზღვრებს, იგი XVII საუკუნეს ცილდება, რასაც ადასტურებს სოფელ ჭალკათის განძის შემადგენლობა. ამ განძში სულთან აჰმედ III (1703 — 1730 წწ.) და მაჰმუდ I (1730—1754 წწ.) აყჩებთან თავმოყრილია 1622 და 1623 წლებში მოჭრილი სიგიზმუნდ III ორტები.

პოლონეთ-ლიტვის სამეფოში ორტების გარდა (ლაპარაკია ვერცხლის მონეტებზე) სხვა ნომინალებიც იჭრებოდა: სხვადასხვა ზომის ტალერები, გროშე-

———

[37] ჟურნალი „ივერია“, თბილისი, 1879, № 3, გვ. 59.

[38] პროფ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველო პოლონეთის სიძველეთსაცავეებში, გაზეთი თბილისი, 1959, 10, № 135.

[39] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221.

[40] იქვე, გვ. 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ბი, სოლიდები, შოსტაკები, ტროიაკები, პოლტორაკები და სხვები. მაგრამ რატომ მოხდა, რომ ამ ნომინალებიდან საქართველოში ძირითადად ორტებმა ჰპოვეს გავრცელება?

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავარკვიოთ თუ რა მონეტებით იკვებებოდა XVII და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სამონეტო ბაზარი. საქართველოში თავისი გავლენის გასამტკიცებლად თურქეთსა და ერანს შორის გაუთავებელი ბრძოლები მიმდინარეობდა და იმისდა მიხედვით, თუ ვის რჩებოდა გამარჯვება, სამონეტო ბაზარიც იმის ფულის ნიშნებით იკვებებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ერანულ-თურქულ მონეტების გვერდით, მათ ყაიდაზე მოჭრილი საკუთარი პროდუქციის ფულიც ტრიალებდა. ესენია:

| ერანული: | თურქული: |
|---|---|
| ნახევარმარჩილი—1 1/2 აბაზი | ონლიყი (უდრის აბაზს) |
| აბაზი | ბეშლიყი („—„ უზალთუნს) |
| უზალთუნი—1/2 აბაზი | ნინბეშლიყი(„ —„ შაურს) |
| შაური—1/4 აბაზი | |
| ბისტი—2,5 ბისტი=1 შაურს | |

XV საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთთან შეერთებამდის, ფულის ძირითად ერთეულს აღმოსავლეთ საქართველოში აბაზი წარმოადგენდა. შაჰ-აბას I დროინდელი აბაზიანის წონა დაახლოებით 8 გრ უდრიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აბაზის წონა თანდათან კლებულობდა და სულ უფრო „უახლოვდებოდა" ორტების წონას. ასე მაგალითად XVII საუკუნის დამლევისათვის აბაზის წონა 7,3 გრამამდე დაეცა. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ფულის ძირითადი ერთეულისა და ორტების წონითი თანაფარდობა უნდა წარმოადგენდეს ჩვენში ამ უკანასკნელის გავრცელების მიზეზს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ძირითადად თურქული მონეტები ბრუნავდნენ, რომელთაგან განსაკუთრებული გავრცელება წვრილ ნომინალებს — აყჩებს მიუღია. გარდა ამისა, როგორც ეს არქანჯელო ლამბერტის, ტოლოჩანოვის, იევლევისა და ტავერნიეს ცნობებიდან ჩანს სამეგრელოსა და იმერეთში ერანული აბაზიანებიც ყოფილა გავრცელებული.

„სომხებმა შემოიტანეს ირანის ფული აბაზები"[42]—წერს არქანჯელო ლამბერტი. მისივე ცნობით ლევან II დადიანს (1611—1654 წწ.) ზარაფხანა დაუარსებია, რომელშიც ერანთან ვაჭრობის მიზნით, აბაზიანის ყაიდის მონეტებს ჭრიდნენ.

რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთში მიმოქცევაში მყოფ ევროპული მონეტების დუკატებისა და ტალერების გვერდით, აბაზებსა და ნახევარაბაზებს ასახელებენ[43].

ტავერნიეს ცნობით ერანული სისტემის ფული იმერეთშიც იჭრებოდა. იგი აღნიშნავს, რომ 1660 წელს იმერეთის მეფემ მოჭრა ფული, რომელსაც ერთ მხარეზე სპარსული, ხოლო მეორეზე ქართული წარწერა ჰქონდა[44]. (სამწუხაროდ, ეს ცნობა ჯერ-ჯერობით ფაქტიური მასალით არ დასტურდება).

---

[41] მ. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144.

[42] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

[43] М. Полиевктов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 140

[44] ჟურნალი „მოამბე", ტფილისი, 1898, № 6, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ აღნიშნული წონითი თანაფარდობა, დასავლეთ საქართველოში ორტების გავრცელების თვალსაზრისით, აქაც შეიძლება გამოვიყენოთ. ხოლო რაც შეეხება ფულის ძირითად ერთეულს დასავლეთ საქართველოში, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, თურქულ-ირანული ფულის გვერდით, დიდი გავრცელება მიუღია ევროპულ მონეტებს, რაც დასტურდება წერილობითი ცნობებით და საკმაო რაოდენობის ფაქტიური მასალით. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც XVII საუკუნის I ნახევარში იმყოფებოდა სამეგრელოში, წერს: „ადგილობრივი მკვიდრნი უფრო აფასებენ უცხო ფულს, მაგალითად, უნგრულს, ცეკინოს და ესპანურ რეალებს"[45], ვიდრე ლევან დადიანის მიერ დაარსებულ ზარაფხანაში მოჭრილ აბაზიანებს.

საქართველოში ბრუნვაში მყოფ ევროპულ მონეტებიდან არქანჯელო ლამბერტი არ ასახელებს პოლონურ და ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოების მონეტებს, რაც საქართველოში გავრცელებულ უცხო მონეტების ზერელე აღრიცხვიდან გამომდინარეობს.

არქანჯელო ლამბერტისა და რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვის და იევლევის ცნობა საქართველოში ევროპული ფულის მიმოქცევის შესახებ თავისთავად გულისხმობს ჩვენში პოლონური მონეტების გავრცელებას. საქმე იმაშია, რომ ევროპაში ერთნაირი (ყოველ შემთხვევაში მიახლოებითი მაინც) სამონეტო სისტემა მოქმედებდა. ხშირად ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოები სპეციალური შეთანხმებით საერთო სამონეტო სისტემას ღებულობდნენ. მაგალითად, საქსონიის და ბრანდებურგის საკურფიუსტოებმა და ბრაუნშვეიგ-ლუნებურგის საჰერცოგომ 1667 წლის კონვენციით ერთნაირი წონისა და სინჯის 2/3 ტალერები შემოიღეს ბრუნვაში[46]. სახელმწიფოთა შორის ერთნაირი სამონეტო სისტემის შემოღება, ე. ი. ღირებულების ერთნაირი წონითი ნორმებისა და ერთნაირი ფულადი ერთეულის დაწესება, ნაკარნახევი იყო ურთიერთშორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობით.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ XVII საუკუნის პირველ ნახევარში პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოში მომქმედი ნომინალები: ტალერები, გროშები, დენარები, სოლიდები და სხვები. მაგრამ ეს ნომინალები პოლონეთის გარდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც იჭრებოდა. ასე მაგალითად; სოლიდებს გერმანიაში ოტონ I დროიდან მოყოლებული XV საუკუნის დასასრულამდე ჭრიდნენ. გროშები პირველად ბოჰემიაში მოჭრეს, ვენცესლავ II მეფობის დროს (1191—1194 წწ.), საიდანაც იგი შემდეგ საფრანგეთში გავრცელდა (Gros Tournois)[47]. ხოლო რაც შეეხება ტალერებს, მას ხომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებში ჭრიდნენ. ამრიგად, ევროპაში სხვადასხვა სახელმწიფოების მონეტები ადვილად ვრცელდებოდნენ ერთმანეთში და კარგად ეგუებოდნენ ერთმანეთს ბრუნვაში. გერმანული ტალერები ისევე იყვნენ პოლონეთში გავრცელებული, როგორც პოლონური ორტები გერმანიაში. სწორედ ამიტომ, ტა-

[45] არქანჯელო ლამბერტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

[46] Б. Шодуар. Обозрение русских и иностранных монет обращавшихся в России с древних времен, т. II, СПб. 1841, გვ. 81.

[47] А. Бутковский, Нумизматика, Москва, 1861, გვ. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერებთან ერთად ისევე შეეძლოთ ორტებს შემოსვლა, როგორც შემოდიოდნენ საქართველოში ორტებთან ერთად ბრანდებურგის საკურფიუსტოს მონეტები.

საქართველოში პოლონურ მონეტებს წინ უსწრებდა ევროპის სხვა სახელმწიფოების მონეტების შემოსვლა. ამიტომ პოლონური მონეტები, როგორც ევროპული სისტემის ფული, უცხო არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ბაზრებისათვის, რაც თავის მხრივ, ჩვენში პოლონური მონეტების გავრცელებისა და ბრუნვაში დაკანონების მყარ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოში ევროპული და მათ შორის პოლონური მონეტების გავრცელება თავისთავად გულისხმობს მათ მიერ საერთაშორისო ბრუნვის მომსახურებას. მაგრამ აქ ისმის კითხვა — პოლონური მონეტები საერთაშორისო მიმოქცევასთან ერთად ემსახურებოდნენ თუ არა შინაგან მიმოქცევასაც?

ამ საკითხის გასარკვევად უნდა მივმართოთ კვლავ არქანჯელო ლამბერტის ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი მკვიდრნი დუკატებსა და რეალებს ამჯობინებდნენ ლევან II დადიანის ზარაფხანაში მოჭრილ აბაზიანებს, რომლებსაც ლევან II დადიანი აჭრევინებდა სომეხი ვაჭრებისათვის ერანთან ვაჭრობის მიზნით, ე. ი. საერთაშორისო მიმოქცევისათვის. მაგრამ ამ ახლად მოჭრილ ფულზე უფრო მეტად ადგილობრივი მოსახლეობა აფასებდა ძველს, უკვე ბრუნვაში დამკვიდრებულს, ე. ი. შინაგან მიმოქცევაში მყოფ ვენეციურ და უნგრულ ოქროს დუკატებს და ვერცხლის ესპანურ რეალებს. თუ კი ოქროს დუკატები და ვერცხლის მსხვილი ნომინალები—რეალები შინაგან მიმოქცევას ემსახურებოდნენ, მაშინ მით უფრო იქნებოდნენ შინაგან მიმოქცევაში, რეალებთან შედარებით ვერცხლის მცირე ორტები. ჩვენს მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას ადასტურებს ლანჩხუთის რაიონის განძის შემადგენლობა—შინაგან მიმოქცევაში მყოფ თურქულ აყჩებისა და ორტების თავმოყრა.

ამრიგად XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვა ევროპული (ვენეციური, უნგრული, გერმანული და ესპანური) მონეტების გვერდით პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ სამეფოს მონეტებიც შემოდიან. ისინი მტკიცედ იკიდებენ ფეხს საქართველოს ფულად ბრუნვაში და მომსახურეობას უწევენ ფულის საერთაშორისო და შინაგან მიმოქცევას.

ზემოთ ჩამოთვლილ ევროპულ მონეტებისაგან განსხვავებით საქართველოში პოლონური მონეტები მხოლოდ XVII საუკუნის I ნახევარში შემოდიან. ვენეციური დუკატები XV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით უწყვეტ რგოლად მოედინება საქართველოში. ჩვენში აღმოჩენილ ესპანურ რეალებზე ფილიპე II, III და IV სახელებს ვკითხულობთ. ხოლო საქართველოში აღმოჩენილი პოლონური მონეტები კი ძირითადად 1621—1626 წლებში მოჭრილი სიგიზმუნდ III ორტების სახითაა წარმოდგენილი. უფრო გვიანდელი, ე. ი. სიგიზმუნდ III მომდევნო მეფეების მონეტებიდან, მხოლოდ იან კაზიმირის (1648—1668 წწ.) მონეტები ჩნდება, რომლის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა ცნობილი.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან საქართველოში პოლონური მონეტების შემოსვლის შეწყვეტის მიზეზი საქართველოდან პოლონეთში მიმავალი დნეპრის გზის დახურვაში უნდა ვეძებოთ. ამ გზით, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვას შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ხორციელდებოდა. საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის დამაკავშირებელი დნეპრის გზა XVII საუკუნის მეორე ნახევარში ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1648 წელს უკრაინაში დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, რომელიც დამთავრდა 1654 წელს უკრაინის რუსეთთან შეერთებით. ამავე წელს დაიწყო ომი უკრაინისათვის პოლონეთსა და რუსეთს შორის. ეს ომი დამთავრდა 1668 წელს უკრაინის გაყოფით, დნეპრის მარცხენა ნაპირი ერგო რუსეთს, ხოლო მარჯვენა პოლონეთს. მაგრამ ბრძოლები დნეპრის გზაზე ამით არ დამთავრებულა. 1672 წელს საქმეში ჩაერია თურქეთი, რომელიც დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინის დასაპყრობად 1681 წლამდე აწარმოებდა ბრძოლებს.

როგორც ვხედავთ, დნეპრის გზაზე XVII საუკუნის მეორე ნახევარში განუწყვეტელი ომები მიმდინარეობდა და ამ გზით პოლონეთსა და საქართველოს შორის მიმოსვლაზე და მით უფრო ვაჭრობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის დამაკავშირებელი დნეპრის გზის გაუქმების შედეგად ბოლო მოეღო ამ სახელმწიფოების ჯერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ ურთიერთობასაც, რაც თავის მხრივ, უნდა წარმოადგენდეს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში პოლონური მონეტების შემოსვლის შეწყვეტის მიზეზს.

Р. В. КЕБУЛАДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ ОБРАЩЕНИИ В ГРУЗИИ ПОЛЬСКИХ МОНЕТ

### Резюме

Документальным подтверждением политических и экономических связей Грузии с Польшей являются нумизматические памятники, находимые на территории Грузии, представленные в основном ортами Сигизмунда III чеканка 1621—1626 годов (табл. №№ 1—2). Наряду с ортами в Грузии был распространен и меньший номинал — полторак (табл. № 3).

Политическим моментом, обусловившим единство внешней политики Грузии и Польши, явилась борьба против возрастающей турецкой экспансии. На этой почве происходил обмен дипломатическими миссиями, что в свою очередь влекло за собой взаимный обмен денег.

Связи западно-грузинских княжеств с Днепровскими казаками, входящими в состав польского государства, также способствовали поступлению в Грузию распространенных среди казаков польских монет.

Поступлению в Грузию польских монет очень способствовали торговые связи этих государств. В первой половине XVII века во внешней торговле Грузии ведущее место занимал шелк. Грузинский шелк, кроме Турции и Ирана, Черным морем и р. Днепр мог попасть и в Польшу.

Появлению в Грузии польских монет предшествовало распространение здесь других европейских монет. Поэтому польские монеты, как чеканенные по европейской системе, не были чужды грузинскому рынку.

Упразднение дороги через р. Днепр во второй половине XVII века положило конец экономическим и политическим взаимоотношениям этих стран, что со своей стороны явилось причиной прекращения поступления польских монет в Грузию.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1



2



3

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1965
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1965
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გამრეკელი

# ისტორიული მასალები დვალეთიდან

დვალეთის ხეობათა შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია მისი უკიდურესი დასავლეთი ხეობა, ამ ხეობას შუა საუკუნეობრივი ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურით ეწოდებოდა ჟღელეს ხეობა. საგულისხმოა, რომ „ჟღელეს ხეობა“ — სახელწოდების ხმარება გვხვდება არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, არამედ ქართულ, კერძოდ რაჭულ, ფოლკლორშიც[1] და ხალხურ მეტყველებაში.

ამ სახელწოდებამ XIX ს. მოატანა; ის რუსულშიც გადავიდა და ერთხანს რუსულ ოფიციალურ საბუთებშიც იხმარებოდა жгельское ущелье-ფორმით. ამჟამად კი ეს ხეობა რუსულ და ოსურ ენებზე იწოდება მამისონის ხეობად (Мамисонское ущелье, Мамисон-ком). ხეობის წყლის ქართული სახელწოდებაა „ჟღელეს წყალი“, ხოლო რუსულად და ოსურად მას ამჟამად უწოდებენ Мамисон-дон. ჟღელეს-წყალის მარცხენა ნაპირის მთები საკმაოდ დამრეცი არიან და თვით ნაპირიც იმდენად ფართო დავაკებას წარმოადგენს, თუმც ალაგ-ალაგ ბორცვნარს, რომ წყლის გაყოლებით ხეობაში ახლო-ახლო მრავალი სოფელი და ნასოფლარია.

თავის ზემო ნაწილში ხეობა მამისონის უღელტეხილს აღწევს, ხოლო ქვემო ნაწილში—სოფ. ქვემო ზრამაგას. ამ ხეობის მთელ სიგრძეზე (21—23 კმ.) მიიმართება ე. წ. ოსეთის სამხედრო შარაგზა, რომელიც ბოლოს მამისონის უღელტეხილით გადადის რაჭაში. ამრიგად, ჟღელეს ხეობა ახლოა რაჭასთან და XIX ს. გაყვანილი შარაგზაც რომ არ იყოს, მაინც შედარებით ადვილსავალი გზით, უღელტეხილით არის მასთან უშუალოდ დაკავშირებული.

არსებობს რიგი ისტორიული მოწმობისა იმაზე, რომ დვალეთი შუა საუკუნეებში მეტწილად ქართლის თუ საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში შემოდიოდა და კულტურულ-ეკონომიურად პირველ რიგში ქართლთან იყო დაკავშირებული, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში დვალეთის დასავლეთ კუთხეს (ჟღელეს ხეობას) იჩემებდნენ იმერეთის მეფე და რაჭის ერისთავი[2].

ყოველივე ამის გამო არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ვივარაუდოთ წინა საუკუნეებში რაჭასა და ჟღელეს ხეობას შორის ცხოველი ურთიერთობა.

---

[1] შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 251; და ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთ., 1934, გვ. 81.

[2] ამაზე იხ. В. Гамрекели, Двалы и Двалетия I—XV вв., Тб., 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყღელეს ხეობაზე გაუვლია თავის 1869—1871 წწ. მოგზაურობის დროს ცნობილ კავკასიელ მოგზაურს ვ. პფაფს. თავის მოგზაურობის აღწერილობებში მას მოჰყავს რიგი საყურადღებო ცნობებისა და შენიშნავს: «Мамисон-дон принимает в себя многочисленные горные потоки. Замечательно, что часть этих потоков, как некоторые аулы, носят грузинские названия. Из этого можно заключить, что осетины, обитающие в этом ущельи, смешались с грузинами[3]».

«Жители («Мамисонского ущелья»—ვ. გ.) по типу, очевидно, смешаны с грузинами или имеретинами и речки большею частью носят грузинские названия[4]».

მაგრამ ვ. პფაფი არ წარმოადგენს ისეთ წყაროს, რომელსაც შეიძლებოდეს დანდობილად ვერწმუნოთ. მის მოგზაურობათა აღწერილობებში და სხვა დაბეჭდილ წერილებში, რომლებიც ძირითადში ოსეთს შეეხება, იმდენი უცნაური და შეუსაბამო მოსაზრებებია გამოთქმული, მოწოდებულია იმდენი ფაქტობრივად არასწორი ცნობა, რომ მისი ცნობები თუ მოსაზრებები ყღელეს ხეობის შესახებაც საეჭვო რჩებოდნენ და სარწმუნოდ ვერ ჩაითვლებოდნენ; მით უმეტეს, რომ ისინი ზერელე და ზოგად ხასიათს ატარებდნენ, ამიტომ ამ მხარის და საქართველოს წარსულის შესწავლის თვალსაზრისით ეს ცნობები შემოწმებას მოითხოვდნენ.

უფრო გვიან ლიტერატურაში ყრუდ იყო მოხსენებული რაღაც წარწერები სოფ. ქალაქში (ყღელეს ხეობაში). ქართული დამწერლობის ძეგლებზეც დვალეთში უფრო მკვეთრად წერდა 1950 წ. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატში[5] და შემდეგ, 1952 წ. გამოცემულ თავის პატარა წიგნში[6] ბ. ბიგულაევი. ის აღნიშნავდა, სახელდობრ, რომ «Надписи на грузинском алфавите обнаружены на стенах развалин древнего храма и на могильных камнях древнего кладбища в сел. Калак[7] . . ., მაგრამ ეს წარწერები ავტორს არ წაუკითხავს. ამავე წიგნის 65 გვ. მოცემულია ერთ-ერთი ამ წარწერის ასოთა მონახაზის ფოტოპირიც. ოღონდ იგი დაბეჭდილია თავდაყირა და როგორც შემდგომმა შემოწმებამ ცხადყო, შიგ გამოტოვებულია რიგი ასოებისა. ამ ნაკლთა მიუხედავად ეს ცნობა თავისთავად მეტად საყურადღებო იყო.

1958—1960 წწ. მივლინებით დვალეთში ყოფნისას შევეცადე, სხვა საკითხებთან ერთად, ზემოციტირებული ავტორების ცნობებიც შემემოწმებინა. ჯერ კიდევ დვალეთში ასვლამდე ქ. ორჯონიკიძეში, ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკურ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ქ. ალაგირში, რაიონულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შევკრიბე ზოგიერთი დამადასტურებელი ფაქტობრივი ცნობები საერთოდ დვალეთზე და კერძოდ, ყღელეს ხეობაზე, ხოლო ადგილზე სხვადასხვა მონაცემთა გაცნობამ უკვე თვალნათლივ დაგვარწმუნა, რომ მართლაც ყღელეს ხეობაში მრავალგვარ ფორმებში ვლინდება ქართული

[3] В. Пфафф, Путешествие по ущельям Сев. Осетии, ССОК, т. I, Тиф., 1871, გვ. 144.

[4] მისივე, Описание путешествия в Южную Осетию, Рачу, Большую Кабарду и Дигорию. ССОК. т. II, Тифлис, 1872, გვ. 163.

[5] Б. Б. Бигулаев, История Осетинского письма, Автореферат . . ., Дзауджикау (Орджоникидзе), 1950, გვ. 6 და 9.

[6] მისივე, Краткая история осетинского письма, Дз., 1952, გვ. 12—13; იხ. აგრეთვე გვ. 15—16.

[7] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი: აქ შეხვდებით XI ს. დროინდელ მოზრდილ (7 მ X 13 მ) ეკლესიის ნანგრევებს სოფ. თლისთან, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს სოფ. ქალაქში, ქართულ ტოპონიმებს, ქართული ონომასტიკის პარალელურ ონომასტიკურ ფორმებს და სხვ.

საერთოდ, დვალეთის და კერძოდ ჟღელეს ხეობის ტოპონიმიკას და ონომასტიკას, ვფიქრობთ, სხვა დროს შევეხოთ ვრცლად, ამ წერილში კი ვიფარგლებით ძირითადში სხვა რიგის ცნობების მოტანით.

სოფ. თლისთან არსებული ეკლესიის ნანგრევები შესწავლილი აქვს ხელოვნებათმცოდნეს ვ. დოლიძეს. მან დაწვრილებით აღწერა და გარკვეულად დაადგინა ამ ეკლესიის კუთვნილება XI ს. დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლთა რიგისადმი[8]. ამიტომ ჩვენ ამ ძეგლზე არაფერს ვიტყვით და პირდაპირ გადავდივართ სხვა ფაქტებზე.

ჟღელეს ხეობის აყოლებით, სოფ. თლის ზევით შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე არის სოფელი—პატარა დასახლებული პუნქტი, წოდებული ქამსხოდ. მთელი რიგი ფაქტების თანადამთხვევა საყურადღებოს ხდის ამ ადგილს. ადგილობრივი მკვიდრის ვიქტორ ჩელდიევის გამოკითხვიდან გავიგეთ, რომ სოფ. ქამსხო ყოფილა რევოლუციამდე და კიდევ უფრო ადრე „მუჯრავოვ" (resp. მორავოვ) გვარის ოსების სამოსახლო ადგილი. ამჟამად ისინი ვადასახლებულნი არიან მეზობელ, ქვევით მდებარე სოფ. ლისრი-ში (Лисри) და კიდევ უფრო ქვემოთ[9]. ვ. ჩელდიევმა მაჩვენა და დამათვალიერებინა „მუჯრავოვ"-თა საცხოვრებელი ციხე-კოშკი. ეს კოშკი სამსართულიანია და თავის კონსტრუქციით და პროპორციებით განსხვავდება ცნობილ ოსური საგვარეულო კოშკებისაგან (იხ. ტაბ. I, სურ. 1).

საფუძვლის ზომაა 7,4 მ×6.5 მ; უწინ I-ლი სართული ყოველდღიურად საცხოვრებელი ბინა ყოფილა, II-ე სართული—საზეიმო ბინას წარმოადგენდა, III სართული—ხეობის სამზერი და სამლოცველო ადგილი იყო. პირველ და მეორე სართულს სამხრეთ კედელში დატოვებული აქვს შესასვლელი—თაღიანი კარი. კოშკს გარშემო ფართოდ აქვს შემოვლებული კედლები. შუაში დარჩენილია სივრცე და ამ ფართობზე დგას რამდენიმე დაბალი და მცირე ზომის, სამეურნეო-საოჯახო დანიშნულების ნაგებობა.

ამ კოშკის ახლო—ახლად აშენებული სახლის პირველ სართულის წინა კედელში ჩატანებულ ერთ მოზრდილ ქვაზე (სიგრძე—105 სმ, სიმაღლე—32 სმ),

---

[8] ვ. დოლიძე, თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი—საქართველოსა და დვალეთის კულტურული ურთიერთობის ახალი საბუთი, სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. XXI, № 6, 1958.

[9] მართლაც როდესაც მე გზად სოფ. ლისრიზე მოვდიოდი, მკვიდრთა გამოკითხვიდან გაგებული მქონდა, რომ იქ ამჟამად სხვა გვართან ერთად მოსახლეობს მუჯრავოვ გვარის ოჯახებიც. ოსური ფონეტიკის თავისებურების (ო→უ) გათვალისწინებით, მაშინვე იგრძნობა ამ გვარის სახელში ფუძე „მოურავ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახე წარწერა, რომელზედაც მელაპარაკა ქ. ალაგირის მუზეუმის დირექტორმა სოხიევმა.

წარწერა შესრულებულია ამოკოდვით და ქართული მხედრული ასოებით (იხ. ტაბ. I, სურ. 2). ის იკითხება ასე:

ჩყლე

სალათასშ ბიზდი

ჩყლე=1835 წელს; სალათასშ—სალათას შვილი; აქ დროული იქნება დავიმოწმოთ ერთი ცნობა: 1821 წ. რუსული სამხედრო ხელისუფლების დავალებით კაპიტანი კადნიკოვი მცირე რაზმის და ვინმე ო. ჭიჭინაძის (მთარგმნელი) თანხლებით გადავიდა რაჭიდან მამისონის უღელტეხილით ქლელეს ხეობაში. თავის 1821 წლის 22. VI პატაკში ის ახსენებს სოფ. ქამსხოს «Канцхути»-ს ფორმით და ასახელებს აქაურ მოსახლეს ვინმე სალათა მოურავაშვილს (Салата Моуравашвили[10]). ვფიქრობთ, რომ ქვის წარწერაში მოხსენებული სალათა შეიძლება იყვეს იგივე სალათა მოურავაშვილი მოხსენებული კაპიტან კადნიკოვის პატაკში.

ბიზდი—მამაკაცის ოსური სახელწოდებაა და შეესატყვისება ქართულს „ბესარიონ“. ამრიგად გამოდის, რომ წარწერა შესრულებულია 1835 წელს და მასში მოხსენებულია სალათას შვილი ბიზდი. ქრონოლოგიური, ტერიტორიული და სახელის (სალათა) თანადამთხვევა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ბიზდი—ბესარიონი იყო შვილი 1821 წლის დოკუმენტში მოხსენებული სალათა მოურავაშვილისა. ჩანს, 1835 წელს ამ სახლის პატრონი ბიზდი მოურავაშვილი თავის გვარის ერთ-ერთი წარჩინებული წარმომადგენელი ყოფილა.

ამჟამად ამ სახლის, მურავოვთა (მორავოვთა) საგვარეულო კოშკის და ირგვლივ კარ-მიდამოს პატრონია ხსენებული ვიქტორ ჩელდიევი. მეტად ნიშნეულია გვარი „მოურავაშვილი“; მით უმეტეს, რომ ის დაკავშირებულია ისეთ კოშკთან, რომლის მსგავსი დვალეთში ცნობილი არ არის და რომელიც აშკარად განირჩევა ოსურ საგვარეულო კოშკებისაგან.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ გვარის სახელწოდება „მოურავაშვილი“ მომდინარეობს სამოხელეო თანამდებობის სახელწოდებისგან „მოურავი“. გვარების ამგვარი წარმომავლობა ხშირ მოვლენას წარმოადგენს; მაგალითად: ციხისთავი, გზირიშვილი, ნაცვ(ა)ლიშვილი, მელიქიშვილი და სხვ.

ქლელეს ხეობაში მოურავის სამოხელეოს არსებობა ადვილი დასაშვებია[11]; ცნობილია XVI—XVIII სს. ქართლ-იმერეთის მეფეებისა და რაჭის ერისთავების

---

[10] Акты Кавк. Археогр. Ком., ტ. VI, ნაწ. I, გვ. 688.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენზიები დვალეთზე. ისინი იჩემებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას დვალეთზე[12]. იმისგან დამოუკიდებლივ თუ რა მასშტაბისა იყო ეს მათი პრეტენზიები— ქართლ-იმერეთის მეფეები ცალ-ცალკე მთელ დვალეთს იკუთვნებდნენ თუ მხოლოდ მის სხვადასხვა ნაწილს, ცხადია, რომ რახან დამოწმებულია ამგვარი პრეტენზიების არსებობა იმერეთის მხრიდან, ისინი ყოველ შემთხვევაში უახლოეს ხეობას მაინც, ე. ი. ჟღელეს ხეობას მაინც უნდა შეხებოდნენ პრაქტიკულად. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ ჟღელეს ხეობაში იქნებოდა მეფის თუ ერისთავის დანიშნული მოხელეც მოურავი. აქედან შემდეგში წარმოდგებოდა გვარი მოურავაშვილი. მოვლენათა ასეთი რიგი ადვილად გასაგებს ხდის „მოურავოვთა“ კოშკის არსებობასაც, მის თავისებურებასა და წარმომავლობას. და შებრუნებით, ამ კოშკის და „მოურავაშვილი“-ს გვარის აქ არსებობა ემოწმება თავის მხრივ წერილობით ისტორიულ ცნობებს, რომ ქართლ-იმერეთის მეფეები თავის სუვერენულ უფლებებს ავრცელებდნენ დვალეთზეც.

დასასრულ ღირსშესანიშნავია, როგორც ენობრივი ფაქტი, სოფლის სახელწოდება „ქამსხო“, მაგრამ ამის განხილვა განზრახული გვაქვს სხვა შემთხვევაში, საერთოდ დვალეთის ტოპონიმიკასთან ერთად.

სოფ. ქამსხოს ზემოთ, ჟღელეს-წყლის აყოლებით 1 კმ დაშორებით ამავე ხეობაში არის სოფელი, სახელდებული „ქალაქ“-ად. პირველ რიგში ეს სოფელი ყურადღებას იქცევს თავისი სახელწოდებით. ადგილობრივი მოსახლეები ოსურ და რუსულ მეტყველებაშიც სოფლის სახელად ხმარობენ „ქალაქს“ ( Калак—Калакн). სხვა სახელწოდება ამ სოფელს არცა აქვს. სახელის ქართულ ხასიათს ადგილობრივ ყველა ცნობს და აღიარებს. მაღალ ხეობის პატარა სოფლისათვის სახელის „ქალაქი“-ს მინიჭება თავდაპირველად უცნაურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს სახელწოდება არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგანაც დიდი კავკასიონის ქედის გაყოლებით ჩვენ არა ერთხელ ვხვდებით სახელწოდებას „ქალაქი“. სახელდობრ:

1. ისტორიულ დიდოეთში, კახეთის ჩრდ-აღმოსავლეთით, სოფელი თლიადალ ცნობილია მეორე სახელითაც „ქალაქი“; XIX ს. ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში ის აღნიშნულია არა ერთხელ სახელწოდებით „Калаки“

2. დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში ცნობილია ნასოფლარი „ქალაქეთი“

3. მდ. დიდი ლიახვის ზემო წელზე, მაღრან-დვალეთში, ცენტრალურ სოფლის ედისის მისადგომთან არის ნასოფლარი, რომელსაც მკვიდრი მოსახლენი უწოდებენ „ქალაქა“ (Калак).

---

[11] იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები. ტ. II, თბ., 1897; ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1950; ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინოვის გამოც., სპბ, 1854; T. A. G ü l d e n s t ä d t's, Reisen nach Georgien und Imerethi . . herausgegeben. von julius von Klaproth. Berlin, 1815.

[12] აზრის დასაზუსტებლად დავუმატებთ: აქაურ მოურავში ჩვენ ვიგულებთ არა მთელი დვალეთის მოურავს, არამედ უფრო პატარა მოხელეს—ჟღელეს ხეობის მოურავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ზემო რაჭაში სოფ. ღლოლასთან გორაკზე არის ნაციხარი და ნაეკლესიარი. ამ ნანგრევებს და ადგილს ადგილობრივი მოსახლეები უწოდებენ ზედაქალაქი (var. ზედ ქალაქი).

5. მდ. ქსნის აუზის ზემო ნაწილში, ჟურთის ხეობაში XVIII ს-ში დამოწმებულია სოფელი ქალაქი[13].

ვფიქრობთ, რომ ძიებას შეუძლია გამოავლინოს დიდ კავკასიონის ხეობებში „ქალაქი" სახელწოდების არსებობის კიდევ სხვა შემთხვევებიც. ყველა მოხსენებულ მაგალითში ჩვენ გვაქვს ისეთი ტერიტორია, სადაც შუა საუკუნეებში ქართული ენის ხმარება გავრცელებული იყო და რომელიც საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკურ წრეში შემოდიოდა. ამრიგად, მაღალმთიან ზოლში დასახელებულ პუნქტებისათვის „ქალაქი" სახელწოდების მინიჭება ქართულ ტრადიციასთან ჩანს დაკავშირებული. მაგრამ სოფ. ქალაქი საგულისხმოა სხვა მხრივაც. სოფ. ქალაქში შემონახულია დღემდე უცნობი ნაგებობის ნანგრევები. ეს ნანგრევები: დაზიანებული კოშკები, საცხოვრებელი სახლები, კედლები და სხვ., რომლებიც გორაკის ზედაპირს ფარავს, არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი.

უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მთის კონცხის ბოლოში არის ქვათა წყობა 2 მეტრზე მეტი სიმაღლის; შიგ ამოშენებულ ნიშში აწყვია ცხვრის რქები, ჯამის ნატეხები, ქვიდან უხეშად გამოკვეთილი ცხვრის და ცხენის თავები და სხვ. ეს ქვათა წყობა სალოცავს წარმოადგენს და მოსახლენი ამას უწოდებენ „ძილეს ძუარ".

ადგილობრივ მკვიდრთა სიტყვით, მათ თავის მამაპაპათაგან გაუგონიათ, რომ ეს სალოცავი „ძილეს-ძუარ" აგებულია ასიოდე წლის წინ, მანამდე აქ ნანგრევები მხოლოდ ქვის გროვას წარმოადგენდნენ. ადგილის მოწმენდის და ამ სალოცავის აგების დროს ნახულ იქნა ნანგრევში 1/2 მეტრის სიგრძის ოქროს ჯვარი და სხვა საეკლესიო ნივთები. ეს ნივთები შემდეგ ვიღაცას მოეპარა და უკვალოდ დაიკარგნენ. იმ მოხუცების ცნობით აქ სულ ძველად ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ჩრდ. ოსეთის ასსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ აღნუსხულ ძეგლთა სიაშიც (1958 წ.) შეტანილია სოფ. ქალაქში მდებარედ «Остатки здания древней церкви».

გარეშემო ნანგრევთა კედლების დათვალიერებით ვერ მოვნახეთ საკურთხევლის აბსიდი; კედლები ჰქმნიან ოთხკუთხა ფორმებს. სალოცავს უკან სათავსოს კედლებს შიგნიდან ეხლაც ემჩნევა, რომ ქვედა ფენა მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლის დონემდე ხსნარით არის ნაგები; ქვები შეწითლებულია, თიხაში ნახშირის კვალია; ეს ადგილი უნდა იყოს ნახანძრალი ან ბრძოლის დროს დანგრეული და დამწვარი.

კედლების ზემო ნაწილი კი ქვების მშრალ წყობას წარმოადგენს და უფრო გვიანდელი გაკეთებული ჩანს.

თუკი მართლა აქ ეკლესია ყოფილა ამ საუკუნენახევრის წინ ან კიდევ უფრო ძველად, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ კავკასიონის ქედის ამ სიღრმეში, რაჭის თემის უშუალო მეზობლობაში არსებული ეს

[13] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალ. ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია ქართული წარმომავლობის იქნებოდა. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ სალოცავის სახელწოდება.

ჩრდ. ოსეთის ასსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილების ხსენებულ სიაში ეს სალოცავი მოხსენებულია «Дзилесы дзуар» სახელწოდებით. ქ. ალაგირის მუზეუმის დირექტორი თ. ბ. სოხიევი (1938 წ.) ამ სალოცავს ორი სახელწოდებით აღნიშნავდა „ძილეს ძუარ“ და ხალდ მაშიჯ ძუარ“. ეს მეორე სახელწოდება საკუთრივ ოსურია და ოსურად ნიშნავს „დანგრეულ კოშკის სალოცავს“. როგორც ამიხსნეს ასეთი სახელწოდება წარმოდგა იმის გამო, რომ სალოცავის ახლო (30-იოდე მეტრის მანძილზე) სხვა ნანგრევებს შორის დგას დანგრეული კოშკიც. ამ კოშკის დანგრევას ადგილობრივი მკვიდრნი ქართველებს, ქართველების ლაშქრობას მიაწერენ; თითქოს ქართველებს ზარბაზნის სროლით დაენგრიოთ ის. სხვა რაიმე უფრო დამაზუსტებელი ცნობები ამ კოშკის დანგრევაზე ადგილობრივ ვერაფერი შევკრიბე. სახელდობრ იმის დადგენაც ვერ მოხერხდა, თუ როდის დაინგრა ეს კოშკი: რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, თუ მანამდე.

ქართულ საისტორიო წყაროებში (ს. ჩხეიძე, ვახუშტი) არის ცნობა 1711 წელს დვალეთში და, კერძოდ, ძილეს ხეობაში, წარმატებით ლაშქრობაზე. არის უფრო გვიანდელი ცნობაც.

1772 წლის 7 ივლისს კუდაროზე გავლისას ი. ა. გულდენშტედტმა თავის დღიურში ჩაიწერა შემდეგი: „კუდარო წონასთან ერთად დარბეულ იქნა ამ სამი წლის წინ იმერეთის თავადებისაგან; ამიტომ ყველა საბრძოლო კოშკი ნახევრად დანგრეული იყო. ის (კუდარო—ვ. გ.) ეკუთვნის ოსურ თემს დვალეთს... თავადი... ჯაფარიძე რაჭის ერისთავთან ერთად იჩემებენ ბატონობას ორივე ოსურ თემზე, დვალეთზე და მაფსუანზე“[14].

აქ მოხსენებული როგორც ორი თემი „დვალეთი და მაფსუანი“, ანუ მამისონი, სწორედ ძილეს ხეობას შეიცავენ. შეიძლება თუ არა სოფ. ქალაქის კოშკის დანგრევა დავუკავშიროთ ერთ-ერთ მოხსენებულ ლაშქრობას, ამის დაბეჯითებით თქმა არ ხერხდება, მაგრამ ეს არც გამორიცხულია.

სალოცავის ერთი სახელწოდების „ხალდ მაშიჯ ძუარი“-ს მნიშვნელობა, როგორც ითქვა, სავსებით ნათელია და ასევე ცხადია მისი გვიანდელი—XIX ს. დროინდელი, ყოველ შემთხვევაში XVIII ს. არა უადრესი წარმოშობა.

ადგილობრივი და მეზობელ სოფლების მკვიდრნი, საერთოდ, ამ სალოცავს უწოდებენ „ძილეს ძუარ“ ( var ძივლეს-ძუარ) და მხოლოდ ერთ გამონაკლის შემთხვევაში (ახალგაზრდამ), „ძილეს-ძუარ“-ის პარალელურად ხმარებული იქნა „ხალდ მაშიჯ ძუარ“—სახელწოდებაც.

დიდი ხანია საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ოსურ ენაში მკვიდრად შესული სიტყვა „ძუარ“ ქართული „ჯვარი“-საგან წარმოდგა, ხოლო „ძილეს“ (Var. ძივლეს) ერთგვარი მოფიქრების და ჰოჰმანის შემდეგ ქართულ „ძლევის“ დავუკავშირეთ. ამრიგად საფიქრებელია, რომ „ძილეს ძუარ“ ქართულ „ძლევის-ჯვარი“-საგან უნდა მომდინარეობდეს. ამ მოსაზრების სიმართლეში ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდით, როდესაც ვნახეთ ამ სალოცავთან რამდენიმე ქართულწარწერიანი ქვა და მოვახერხეთ მათი წაკითხვა.

[14] Güldenstädt, დასახ. შრომა, გვ. 140.

ეროვნული

სახელდობრ, სალოცავის წინა კედელში ჩატანებულია ორი ქვა ქართული წარწერებით, სალოცავს უკანა მხრიდან კედელშივე ჩატანებული აქვს ერთი ქვის მონაპობი რამდენიმე ქართული ასოთი და სალოცავის წინ მიწაზე დაგდებულია გრძელი ქვა, ასევე ქართული წარწერით. ოთხი ქართული წარწერიანი ქვის ეს თავმოყრილობა მნიშვნელოვანი ფაქტია.

აქ წარმოდგენილ წარწერებზე (იხ. ტაბ. III. ტაბ. IV) სათქმელი გვაქვს შემდეგი:

1. პირველი ქვა (ტაბ. II, სურ. 1) გდია მიწაზე „ძილეს ძუარ“ სალოცავის წინ, მის მარცხენა კუთხისაგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე (ეს არის სწორედ ის წარწერიანი ქვა, რომლის მონახაზიც თავდაყირად არის წარმოდგენილი ბ. ბიგულაევის ხსენებულ წიგნის 65 გვერდზე). ის წარმოადგენს მთის ფიქალის მონოლითს, ყველა მხარეზე დამუშავებულია და გასწორებული, მაგრამ განსაკუთრებით სწორია, პირდაპირ გასიპულია ის მხარე, რომელზეც წარწერაა. ქვის ზომებია: სიგრძე — 154 სმ, სიმაღლე — 19 სმ, სიგანე — 35 და 40 სმ სხვადასხვა კიდეზე.

წარწერა არ არის ღრმად ამოჭრილი, უფრო ზედაპირულია, უსწორმასწოროა და შესრულებულია არაოსტატებული ხელით. ანგარიშგასაწევია ქვის ჯიშიც, რომელიც აძნელებდა უთუოდ მასზე წარწერის შესრულებას. ქვის ზომები და ის გარემოება, რომ წარწერა შესრულებულია გვერდზე და ეს მხარე განსაკუთრებით გასიპულია, ხოლო დანარჩენი გვერდები უხეშად არის გათლილი, გვაფიქრებინებს, რომ ეს ქვა არ უნდა იყოს საფლავის ქვა და ის ნაგებობის კედლებში იქნებოდა ჩატანებული.

რასაკვირველია, წარწერის შინაარსის შესაბამისად ასეთ ნაგებობად საგულისხმებელია ეკლესია. შესაძლებელია ეს წარწერა გაკეთებული იყოს არა ეკლესიის აგების დროს, არამედ უფრო გვიან; ამის შესაძლებლობას გვაფიქრებინებს წარწერის ზედაპირულობა და შესრულების ტექნიკურად დაბალი დონე (ეკლესიის აგებისას, მატერიალური სახსრების და მუშა-ოსტატების მობილიზაციის პროცესში, ბუნებრივია, მოველოდოთ უფრო ხარისხოვან წარწერებს). წარწერის მეტი წილი იკითხება გარკვევით, მაგრამ ზოგიერთი ასოები თუ ხაზები დაზიანების გამო ორჭოფულია. წარმოდგენილ წარწერას (სურ. 4) ქარაგმების გახსნით ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ქრისტე შეიწყალე იოანე გ(?) დიდებაი ძლევის ჯვრის წმინდაო ძვ(?)॥?? ვრა მიქელისძე დიდებაჲ წმინდა იოანე შეიწყალე იოვანე.

წარწერა, ჩანს, ამ ქვით ამოიწურება და სხვა ქვაზე არ გადადიოდა. ამრიგად ეს ჩვეულებრივი ქართული—ქრისტიანული შემავედრებელი წარწერაა, როგორც თავის ფორმულებით („ქრისტე შეიწყალე“, „დიდება“, „წმინდა“, „შეიწყალე“), ასევე საკუთარი სახელებით (იოანე, მიქელისძე, იოვანე).

2. მეორე წარწერიდან ქვა (სურ. 5) ჩატანებული არის „ძილეს-ძუარ“ სალოცავის კედლის საწყობში წინა მხრიდან. მიწიდან მეტრზე ცოტა მეტი სიმაღლის დონეზე. ეს ქვა პირველზე უფრო მომცრო ზომისაა: სიგრძე—58 სმ, სიმაღლე—18—19 სმ.

ქვის ზედაპირი მეტად უსწორმასწოროა. ქვის ჯიში და არასწორი სიბრტყე მეტად ხელშემშლელი ყოფილა წარწერის წესიერად შესრულებისათვის. ეს წარწერა კიდევაც შესამჩნევად უფრო მდარეა და უწესო. ვიდრე დანარჩენი სხვა წარწერები და ამიტომ მათზე უფრო ძნელი საკითხავია. არც ასოთა მოყვანილობით და ამოკოდვის ხასიათით არ ემსგავსება ის დანარჩენ წარწერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი თხოვნით ამ წერილში მოტანილ ეპიგრაფიკულ ძეგლებს გაეცნო ქართულ ეპიგრაფიკაზე დიდი ხნის მომუშავე თ. ვ. ბარნაველი[18]. კერძოდ წარმოდგენილ მონახაზის (სურ. 6) საფუძველზე თ. ბარნაველი ამ წარწერაზე შემდეგს შენიშნავს: „წარწერა ოთხსტრიქონიანი ყოფილა, მაგრამ პირველ სტრიქონიდან შერჩენილია მხოლოდ ბოლო სამი ასო Ⴛ͞ႿႱ ძლევის ჯვრისა. მეორე სტრიქონის დასაწყისის ასოები Ⴗ.͞Ⴟ გაურკვეველი რჩება. წარწერის შერჩენილი ნაწილი შეიცავს ერთი პირის ვედრებას და იკითხება ასე:

. . . . . . . ძლევის ჯვრისა
ბჯ დაბის ძლევის ჯვრისა (გ) წმიდაო გიორგი
ამისი მწერალი ბაშარული (ან სხვა რაიმე გვარი) გიორგი შეიწყალე“.

3. წინხსენებულის გვერდით აქვე კედელში ჩატანებულია კიდევ ერთი წარწერიანი ქვა (სურ. 5). ქვის ჯიში იგივეა რაც პირველი ქვისა, წინა მხარე, რომელზედაც წაზრწერაა ამოკვეთილი, სრულიად სწორია, ბრტყელია. ამ ქვის ზომები ასეთია: სიგრძე—90 სმ, სიმაღლე სხვადასხვა კიდეზე 11 და 15 სმ. წარწერა ღრმად არის ამოჭრილი; ცალკეული ასოთა სიდიდე თითქმის თანატოლია და სტრიქონებში გაწყობილი არიან ბევრად უფრო წესიერად, ვიდრე პირველ ორ ქვაზე. ეს წარწერა შესრულების ტექნიკით თვალსაჩინოდ განსხვავდება პირველ ორ წარწერისაგან და ბევრად უფრო ხარისხიანია. ქვა სალოცავის კედელში თავდაყირად ჩაუტანებიათ და წარწერის წასაკითხავად აუცილებელია მისი გადმობრუნება.

ეს გარემოება უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ ეს წარწერიანი ქვა თავდაპირველად სხვაგან იყო გამოყენებული, სხვა დანიშნულებისა იყო; ხოლო სალოცავის კედელში მოჰყვა უფრო გვიან; მასთან მოხვდა აქ იმ პირთა ხელით, რომელთაც ამ წარწერის კითხვა არ იცოდნენ.

წარწერა ორსტრიქონიანი (ტაბ. III, სურ. 3) და ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

დიდებაჲ ძლევის ჯვარს დიდებაჲ წმინდა გიორგი

გოგაჲ შეიწყალე ძლევის ჯვარო გ͞ჲ სგჲ͞ა შეიწყალე.

მეორე სტრიქონის ბოლოში დაქარაგმება გჲ სგჲა დარწმუნებით ვერ ამოვხსენით და ვტოვებთ ასევე; აშკარაა მხოლოდ რომ აქ ვილაცის სახელი (და ეგებ გვარიც) უნდა იყოს, რომლის შეწყალებასაც ითხოვს წარწერა.

შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ ეს წარწერა ამ ერთი ქვით ამოიწურება და სხვა ქვაზე არ გადადიოდა.

პირველი პირის სახელი, რომლის შეწყალებასაც ითხოვს წარწერა იკითხება: „გოგა“. ამგვარი სახელი რომ არსებობდა წინად, ამას უეჭველად მოწმობს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარები გოგაძე, გოგავა, გოგაშვილი, და დვალეთის ჩრდილოეთით წეის ხეობაში მობინადრე გვარი გოგაევ.

4. ამავე სალოცავის უკანა კედელში ჩატანებულია ქვის გრძელი მონაპობი, რომლის ვიწრო გვერდზე შემორჩენილია რამდენიმე ასო (ტაბ. IV, სურ. 1). მონაპობის მიხედვით დაისკვნება, რომ ქვა დაახლოებით თუ მეტი არა 2/3 მეტრისა მაინც იქნებოდა სიგრძით. ამის შესაბამისად სავარაუდებელია წარწერაც მრავალსიტყვიანი უნდა ყოფილიყო.

[18] ჩვენი თხოვნით მანვე შეასრულა აქ წარმოდგენილი სამი ეპიგრაფიკული ძეგლის ასოთა მონახაზები, ფოტოსურათების და ადგილზე (სოფ. ქალაქში) გაკეთებული ჩანახატების საფუძველზე. გაწეულ დახმარებისათვის და მოცემულ დასკვნისათვის პატივცემულ თ. ბარნაველს ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის მონაპობზე დარჩენილია ექვსი ასო: ჯ ? გნდზ. ასოები შესრულებულია ამოკოდვით, საკმაოდ წესიერად და მკვეთრად. ასოები როგორც თავის მოხაზულობით, ასევე ამოკვეთილობით ემსგავსებიან მესამე ქვის ასოებს. ეს განსაკუთრებით ემჩნევა ასოებს: ჯ, გ. დ..

გარშემო დაყრილი ქვების ზედაპირულმა დათვალიერებამ სხვა წარწერიანი ქვები ვერ გამოავლინა, მაგრამ მათი არსებობა უთუოდ სავარაუდებელია.

როგორც უკვე ითქვა, შინაარსეულად პირველი სამი წარწერა ერთგვარი ხასიათის არის — ეს სავედრებელი წარწერებია. სამთავეში გვხვდება რიგი ერთგვარი ქარაგმებისა, ასოთა კომპლექსების და გამოთქმებისა. მაგრამ სამივე ქვის წარწერების ტექნიკური შესრულება და ასოთა მოხაზულობა გარკვევით განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ წარწერების შესრულება სხვადასხვა დროს ეკუთვნის (ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ პატარა ადგილს, როგორც სოფ. ქალაქია, ერთდროულად მომსახურებოდა ქვაზე წერის რამდენიმე ოსტატი), თუმცა ერთმანეთზე დიდი პერიოდით დაშორებული არ უნდა იყვეს; ეს პერიოდი სავარაუდებელია პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნით მიახლოებით ერთნახევარი საუკუნის ფარგლებში.

ეს სხვადასხვაობა უფრო მკვეთრად ვლინდება პირველსა და მესამე წარწერებს შორის, რადგანაც როგორც უფრო ვრცელნი, ისინი გვაწვდიან მეტ შესადარებელ მასალას.

ტექნიკური სხვადასხვაობა წარწერების შესრულებაში მდგომარეობს იმაში, რომ: პირველ ქვაზე წარწერა ზედაპირულია, თითქოს ნაკაწრ-ნაფხაჭნია, ასოთა სიღრმე 2—3 მმ არ აღემატება, ხოლო მესამე (და მეოთხე) ქვაზე ასოთა ხაზები ღრმად არის ამოკოდილი; ასოების ზომებს (სიდიდეს) პირველ წარწერაში დიდი ნაირობა ახასიათებს, მესამე, (და მეოთხე) წარწერაში წარმოდგენილი ასოები კი თითქმის ერთგვარი სიდიდისანი არიან; სტრიქონების ხაზები პირველ ქვაზე მეტად დაკლაკნილია, ხოლო მესამე, (და მეოთხე) ქვაზე ეს ხაზები ბევრად უფრო სწორია.

დასასრულ ყურადღებას იქცევს პირველ წარწერაში პირველი სტრიქონის დასაწყისში და შუაში ჯვრის გამოსახულებათა სიმრავლე (სამ-სამი). მათ აქვთ უთუოდ სიმბოლიურ-საკრამენტალური მნიშვნელობა. ასეთივე მნიშვნელობისა შეიძლება იყოს პირველი სტრიქონის სულ პირველი ნიშანი Ψ. ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე ასეთ ნიშანში ხედავს ქართველების საღვთო სიმბოლოს—ხარის თავის—მთავარი ნაწილების ხაზოვან განსახიერებას[16]. იბადება კითხვა: „ძილეს-ძუარ"-თან ქვაზე ამოჭრილი Ψ ნიშანი ქართველ მთიელთა ტრადიციებიდან ხომ არ მომდინარეობს? დანარჩენ წარწერებს არც ერთი ამ სიმბოლური ნიშანთაგანი, ჯვარი თუ ქარი, არ გააჩნიათ. ამრიგად პირველი და მესამე წარწერა მრავალი ნიშნის მიხედვით თვალსაჩინოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან.

ასევე ცალკედ ვაყენებთ ჩვენ მეორე წარწერას. არც შესრულების ტექნიკური მხარე, არც პალეოგრაფიული ნიშნები არ გვაძლევენ საფუძველს მივიჩნიოთ ის იმავე დროისად, იმავე ოსტატის შესრულებულად, რაც პირველი ან მესამე წარწერებია.

რაც შეეხება მეოთხე წარწერას—ასოებს ქვის მონაპობზე, ეს წარწერა როგორც შესრულების ტექნიკური მხრით, ასევე პალეოგრაფიულად ახლო დგას

[16] В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, см. сборн. „Вопросы этнографии Кавказа", Тб., 1952, გვ. 318.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მესამე წარწერასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარწერები მესამე და მეოთხე ქვაზე შეიძლება ერთი დროისანიც კი და ერთი ოსტატის შესრულებული იყვნენ.

სოფ. ქალაქის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღებასთან დაკავშირებით ვ. თ. ბარნაველმა ასეთი დასკვნა მოგვცა: „ძეგლებისათვის დამახასიათებელია ႢႿႬႻ ასოების დაწერილობა... გვიანი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მონახაზი აქვს Ⴟ ასოს, რომლის მარჯვენა ჯვარედინი ფეხი ზემოთკენ არის აზიდული კავის მსგავსად, რაც სრულიად უცნობია ადრეული და მოწიფული შუა საუკუნეებისათვის.

ასევე გვიანი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოხაზულობისაა Ⴌ ასო თავხაზის ზუსტი, მოკლედ მარჯვნივ გაზიდული, ნახევარწრიულად მორკალული თავხაზით...

განსაკუთრებით საყურადღებოა „ი“ ასოს დაწერილობა. იგი წარმოადგენს გადაბრუნებულ მხედრულ „ი“ ასოს ı, ან უბრალოდ ზევითკენ გახსნილ კუთხის ხაზებს. „ი“ ასოს ასეთი დაწერილობა არ გვხვდება მოწიფულ შუა საუკუნეებში, არ გვხვდება იგი არც XIV—XV საუკუნეებში. მისი გამოჩენა გარჩეულ წარწერებში მოწმობს ამ წარწერების შესრულებას უფრო გვიანდელ ხანაში, სახელდობრ, არა უადრეს XVI საუკუნისა, უფრო კი XVI ს. დამლევს ან XVII ს. ფარგლებში“.

თ. ვ. ბარნაველის ამ დასკვნასთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგს შევნიშნავთ. ისტორიული კონტექსტი არ გამორიცხავს XVI ს. ქვეყნის ხეობაში ქართულ ქრისტიანული მრწამსით აღბეჭდილი ეპიგრაფიული ძეგლების შექმნის შესაძლებლობას. მაგრამ უფრო მართებულად მიგვაჩნია პალეოგრაფიული ნიშნების შესაბამისად, რომ ხსენებული წარწერები დიფერენცირებულად დათარიღდეს. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული უნდა იყოს ჩვენი შეხედულებით მესამე და მეოთხე ქვა, შემდეგ, მეორე ქვა და ყველაზე გვიანდელად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველი ქვა.

1962 წლის მივლინების დროს ჩვენ ვნახეთ „ძილეს ძუარ“ სალოცავის ნიშში კიდევ ერთი წარწერიანი ქვა. მკვიდრ მოსახლეებს ის შემთხვევით აღმოეჩინათ ამავე წლის გაზაფხულზე მახლობელ ქვათა გროვაში. წარწერა შესრულებულია ამოკოდვით უსწორმასწორო ფორმის და მომცრო ზომის ფილის გვერდზე. ფილის ნატეხის ზომებია: სიგრძე—48 სმ, სიგანე—20 სმ, სისქე—შუაში 7 სმ; ხოლო ნაპირებზე 3,5—4 სმ. თვით წარწერის სიგრძე არის 45 სმ, ხოლო ასოების სიმაღლე—3—3,5 სმ. წარწერა შედგება 18 ასოსაგან (ტაბ. IV, სურ. 2): **ბ||ეშ?აშრმვნტსთ:ქთნტშ** ასოები წესიერად და მკვეთრად არის ამოჭრილი; წარწერას ეტყობა დაოსტატებული ხელი. თავის შესრულების ტექნიკით და ხარისხით, ეს წარწერა ახლო დგას მესამე და მეოთხე წარწერებთან. ასოთა დიდი უმეტესობა ასომთავრულია. ორიოდე არის ნუსხური. როგორც ითქვა ფილა მთელი არ არის და ნატეხს წარმოადგენს; ამის გამო წარწერაც არ არის სრული სახით შემორჩენილი. წარწერა ჯერ წაკითხული არა გვაქვს და ამიტომ რაიმე ინტერპრეტაციებისაგან თავს ვიკავებთ.

ეპიგრაფიკულ ძეგლებს გარდა, მოსახსენებელია კიდევ „ძილეს-ძუარ“ სალოცვის ნიშში შენახული ტუფიდან უხეშად გამოკვეთილი ცხოველთა თავების ორი ცალი. ერთი თავი მიაგავს ცხვრის თავს, მეორე კი თითქოს ცხენის თავი უნდა იყოს. ქვის ჯიში და ნახელავი ადგილობრივი უნდა იყოს. ამ სალოცავიდან პირდაპირი ხაზით ასიოდე მეტრის მანძილზე მეზობელ მთის ფერდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე სასაფლაოა, სადაც აღმართულია ასეთივე ტუფის ქვიდან ნაკეთები მრავალი დიდი ზომის ჯვარი, ხოლო ნახელავის (ცხვრის და ცხენის თავების) მეტისმეტი პრიმიტიულობა წარმოუდგენელს ხდის, რომ ის შემოზიდვის საგანი ყოფილიყო.

საგულისხმო ანალოგიებს წარმოადგენს მთიულეთ-გუდამაყრის სალოცავები, სადაც ასევე გვხვდება ცხვრის სკულპტურული გამოსახულებანი[17]. უეჭველია, რომ ქღელეს ხეობაშიც სოფ. ქალაქში ნახული სკულპტურული გამოსახულებანი დაკავშირებული უნდა იყვნენ წარმართულ სარწმუნოების ტრადიციებთან. ამ კუთხეში მკვიდრობენ სხვა ისეთი ფაქტებიც, რომელთა უშუალოდ ქართული წარმართული ტრადიციებიდან წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. სახელდობრ: სოფ. ქალაქის ცოტა ზევით, ამავე ხეობაში, და სოფ. ქღელეს (ოსურად— Згъил, რუსულად Згил) გადასწვრივ მთაზე არის სალოცავი, წოდებული „სანთხოს (var სანთხოს) კუვანდონ". ამ სალოცავთან, სათანადო რიტუალის შესრულებით, ამჟამადაც იხდიან დღეობას. დღეობა აქ იმართება თიბვის დაწყების წინ და დაკავშირებულია სწორედ თიბვასთან (1958 წ. ჩემს აქ ყოფნისას დღეობა გაიმართა ივლისის 27-ს, კვირა დღეს).

კუვანდონ—ოსური სიტყვაა და ნიშნავს სალოცავს, სამლოცველოს; ხოლო სანთხოს (var სანხთოს — ქართულ სალმრთოსაგან უნდა მოდიოდეს (ქართული მ-ს ოსურში ხშირად ნ შეენაცვლება). მაშასადამე, „სანთხოს კუვანდონ" იგივეა, რაც „სამღვთოს სალოცავი". „სანთხოს" აქ საკუთარ სახელის ფუნქციაშია.

ნიშნეულია, რომ მთიულეთ-გუდამაყარშიც დამოწმებულია წარმართული ხასიათის დღეობის „თიბვის სამღთოს" არსებობა და საერთოდ „სამღვთო"-ს ხმარება როგორც წარმართული ღვთაების საკუთარი სახელისა[18].

ამრიგად ქღელეს ხეობაში და, მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხეობებში დამოწმებულ „სამღთო"-ში ჩვენ ვხედავთ სრულ დამთხვევას როგორც ფუნქციონალურს, ასევე ტერმინოლოგიურს. ერთდროულად ფუნქციონალური და ტერმინოლოგიური დამთხვევის სხვა ფაქტიც არსებობს. ჩვენ ვგულისხმობთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თემურ-წარმართული რელიგიის ტრადიციებიდან კარგად ცნობილს და ოსურ ენაშიც დამოწმებულს კულტის მსახურის სახელწოდებას—„დეკანოზი".

„Dekanoz" служитель культа, состоящий при дзуаре (святилище) жрец. Из груз. dekanozi····у горцев (мохевцев, пшавов, хевсур) человек состоящий при святилище»[19].

ამრიგად, ტერმინები „სალვთო" და „დეკანოზი" წარმოადგენენ ქრისტიანობის და წარმართობის ერთგვარი სინკრეტიზმის ფაქტებს, რომლებიც თანაბრად გავრცელებული ყოფილან დვალეთსა და ხევი-მთიულეთ-გუდამაყარში. ეს ფაქტები მოწმობენ დვალეთში ქართული წარმართულ-მთიური ტრადიციების ოდინდელ გავრცელებულობას.

სალოცავ „ძილეს-ძუართან" დაკავშირებით მოხსენებული სიძველეები (ეპიგრაფიკა, ნაქანდაკარი, ტერმინები) ცხადლივ მოწმობენ შემდეგს: 1) რომ ძილეს-ძუარ სალოცავის ადგილას მოგვიანო (XV—XVII) საუკუნეებში არსებო-

---

[17] В. Бардавелидзе, დასახ. შრომა, გვ. 304.

[18] იქვე, გვ. 305.

[19] А. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М—Л., 1958, გვ. 362; იხ. აგრეთვე Вс. Ф. Миллер, Осетинско-русско-немецкий словарь т. I, Л., 1927, გვ. 494.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა ქართული ქრისტიანული საკულტო ნაგებობა; 2) რომ ამ ეკლესიას ეწოდებოდა „ძლევის ჯვარი“; 3) რომ სალოცავის სახელი „ძილეს-ძუარ“ მიიჩნევა „ძლევის ჯვარი“-სგან წარმოშობილად; 4) რომ ეკლესია მოქმედებდა თუ მეტი არა ერთნახევარ საუკუნეს მაინც; 5) რომ ამ მიდამოში ქრისტიანობა ადრე უფრო დახვეწილი იყო, ხოლო გვიანწარმართული ელემენტები შეერია; 6) რომ ქართული კვალი ქღელეს ხეობაში ვლინდება არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებით, არამედ, და რაც უფრო საგულისხმოა, წარმართულთემურ რწმენებთან დაკავშირებულ ფაქტებშიც.

აქ იჭრება საკითხი ქართველ მთიელთა და ოსების ხალხური წეს-რწმენათა ურთიერთ დამოკიდებულებაზე; მაგრამ ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ და ვრცელ კვლევას, რაც ამ წერილის ამოცანად არ დაგვისახავს.

В. ГАМРЕКЕЛИ

## ИСТОРИЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ ИЗ ДВАЛЕТИ

Резюме

В статье представлены некоторые исторические материалы происходящие из Мамисонского (Жгельского) ущелья. В частности, представлены эпиграфические памятники из сел. Калаки; дается чтение этих надписей и сделана попытка их датировки XVI—XVII веком. Надпись из сел. Камсхо увязывается с некоторыми данными о фамилии Моуравашвили. В работе представлен и лексический материал: название «Дзилесы дзуар» производится от грузинского названия церкви «Дзлевис-джвари»; «Санхтос кувандон» от грузинского «сагвто» и др.

В целом публикуемый материал служит свидетельством наличия в прошлом грузинских элементов в Мамисонском ущельи.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1



სურ.2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 3



სურ. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 8



სურ. 9

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1963
ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ზაქარაია

# XVI—XVIII საუკუნეების სასახლეები

ძველ ქართულ საცხოვრებელ სახლებს საერთოდ და კერძოდ სასახლეებს არა ერთი ნაშრომი, თუ სტატია მიეძღვნა, მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ბევრია გამოსავლენი და შესასწავლი. ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო სურათის აღსადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ საცხოვრებელთა თავისებურებების დადგენას, როგორც ამა თუ იმ ისტორიული პროვინციის, ისე მთლიანად საქართველოს. საცხოვრებელში აშკარად ვლინდება კლასობრივი საზოგადოების ფენების თავისებურებანი. შერჩენილი ძეგლები საშუალებას რომ გვაძლევდეს ყოველი ეპოქის ნაგებობები მთლიანობაში წარმოვიდგინოთ, მაშინ სოციალური განფენის თავისებურებათა წარმოჩენა ნაგებობებში ძნელი არ იქნებოდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ შერჩენილ ფრაგმენტებში მაინც შეიმჩნევა, ზემოთქმულთან ერთად, ქვეყნის ეკონომიური, თუ პოლიტიკური მდგომარეობაც. საცხოვრებელ სახლს, საზოგადოების ქვედა თუ ზედა ფენის წარმომადგენელი აგებდა კონკრეტულ პირობებში აუცილებელ მოთხოვნილებათა შესაბამისად. მომდევნო თაობას არსებულში შესაბამისი ცვლილებები შეჰქონდა, ან იგებოდა ახალი.

შუა საუკუნეებში სასახლეები, ცხადია, ერთნაირი არ იქნებოდა. სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს განსხვავებული სასახლეები ექნებოდათ, ასე მაგალითად, იყო სასახლე მეფის, თავადის, აზნაურის, კათალიკოსის, ეპისკოპოსის, წინამძღვრის და სხვ. ამასთანავე, მეფეს ჰქონდა საზამთრო, საზაფხულო და სანადირო სასახლეები, მაგრამ ასე სხვადასხვა დანიშნულების სასახლეები ყველა ფენის წარმომადგენლებს როდი ექნებოდა[1].

ჩვენ, წლების განმავლობაში, სხვა საკითხებთან ერთად ვსწავლობდით და ვაგროვებდით საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებულ მასალებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ათეული ნაგებობა, რომელიც მეტნაკლებად შევისწავლეთ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, არც ერთი არ არის თავდაპირველი სახით მოღწეული. თანაც, მათი ტერიტორია ნანგრევებითაა დაფარული. მათი გამოვლენა და არსებული ხარვეზის შევსება ნაწილობრივ შეუძლია არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას, რომელიც მომავლის საქმეა. ამჟამად, თითოეული მათგანის მონოგრაფიულად შესწავლამდე, მოკლედ ვაქვეყნებთ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე ძეგლს, რომელთა მიხედვით ზოგიერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

---

[1] სასახლეებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ვრცლადაა გაშუქებული ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში: მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, 1946, გვ. 5—32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ალვანის "ცხრაკარა"

ზემო და ქვემო ალვანს შორის, სოფლებიდან მოშორებით, ჩრდილოეთით, მდებარეობს ნაგებობათა კომპლექსი, რომელთაგანაც გამოირჩევა სასახლის ნანგრევი. იგი მდებარეობს მაღალ მთაზე და გადაჰყურებს ალაზნის დაცემულ ხეობას. აქედან ყოველ მხარეს წარმტაცი სურათი იშლება.

სასახლე გეგმით მარტივია,—ერთი გრძელი სწორკუთხედი (შიგნითა ზომები: 24,1×8,3 მ.) შიდა დაყოფის გარეშე. მოკლე მხარეები ყრუ კედლებით მთავრდება, ხოლო გრძელი მხარეები თაღედებითაა დამუშავებული (სურ. 1).




სურ. 1. ალვანი. სასახლის გეგმა

სასახლის გრძელი მხარეები თაღებით კი არის დამუშავებული, მაგრამ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩრდილოეთის მხარეზე, ე. ი. იმ მხარეზე, რომელიც ეზოსა და ეკლესიისკენაა მიმართული კარის მსგავსი ექვსი ვიწრო სარკმელია განლაგებული. მოპირდაპირე მხარეს კი, ე. ი. იმ მხარეს, რომელიც ალაზანს გადაჰყურებს ექვსი განიერი და მაღალი სარკმელია ჩამწკრივებული (ტაბ. 1). ასეთი გადაწყვეტით ხუროთმოძღვარმა თავისი სწორი მიდგომა და გემოვნება გამოამჟღავნა. მან ხაზი გაუსვა პირველ და მეორე ხარისხოვან მხარეებს. შიგ მყოფთ საშუალება ეძლეოდათ დამტკბარიყვნენ ალაზნის ველის სილამაზით. აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით[2], ეს სასახლე ოფიციალური მიღებებისათვის აუგია ლევან კახთა მეფეს (1520—1574 წწ.). ამ 200 კვადრატული მეტრის მქონე დარბაზს, ინტერიერის სათანადო მორთვისას უდავოდ საზეიმო იერი ექნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მეფეს, რომელიც ამ სასახლეს აგებს, იქვე მდგარ ნათლისმცემლის ეკლესიის მსგავსად ამ ნაგებობის კედლებიც ფრესკული მხატვრობით დაეფარა.

სასახლე ნაგებია აგურით (კვადრატული აგურის გვერდები 22—24 სმ. სისქე კი 5 სმ.). ფლეთილი ქვა გამოყენებულია მხოლოდ ცოკოლში. ნაგებობის შიდა და გარე მორთულობაც აგურის წყობითაა მიღებული. ყველა სარკმელი და შიგნით გვერდის კედლებში მდებარე ნიშები ისრული თაღებითაა გადახურული.

[2]. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси. 1959, გვ. 570—571.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ თაღების ისრული ფორმა ისეთი შემართული კი არ არის, როგორც ეს მიღებული იყო ადრეულ საუკუნეებში, არამედ ისეთია, როგორიც გვხვდება XVI—XVIII საუკუნეების არქიტექტურაში. იმავე ეპოქაზე მიუთითებს თაღების ჩასმა მაღალ სწორკუთხედებში, როგორც ამას ვხედავთ სასახლის შიგნით და ფასადებზეც. ანალოგებად კი შეიძლება დავასახელოთ იმავე მეფე ლევანის მიერ აგებული გრემის ეკლესია, ნინოწმინდისა და ანჩისხატის სამრეკლოები[3] და სხვ.

ალვანის ცხრაკარა გეგმითა და მხატვრული გადაწყვეტით ერთგვარ შუალედ რგოლს წარმოადგენს VIII—IX საუკუნეების კახეთის სასახლეებსა და გვიანი საუკუნეების ქართლ-კახეთის სასახლეებს შორის. შემდეგი დროის ამ განსახილავი ძეგლებიდან მასთან საკმაო ბევრ საერთოს პოულობს ძალისა, ნული და კოდისწყარო.

## 2. ლენინგორი (ახალგორი)

ახალგორის ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ნაგებობები მრავალმხრივაა საინტერესო. მთავარი ანსამბლის სასახლე სხვებზე დიდი ყოფილა, მაგრამ მას შემდეგში იმდენი გადაკეთება განუცდია, რომ დღეს მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. უკეთ შერჩენილი ქვედა სართულის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ოთახს ისეთი თაღოვანი გადახურვა აქვს, როგორიც გავრცელებული იყო XVII ს. სასახლეებში (ძალისა, თელავი[4] და სხვ.). სასახლე ნაგებია იმავე საუკუნის მეტი წილი სასახლეების მსგავსად აგურით.

თუ რეზიდენციის მთავარი სასახლე კოშკებშემოვლებულ გალავანში იდგა, იგივე არ შეიძლება ითქვას მეორე ანსამბლის სასახლეზე. აქ სასახლე უშუალოდ გალავანში ყოფილა ჩართული.

მეორე ანსამბლი ძალიანაა დაზიანებული. არსებულ ნანგრევებში ძირითადად ორი ფენა ჩანს. თავდაპირველად აქ მდგარა სასახლე გალავნით და ერთი კოშკით (სურ. 2). შემდეგში ანსამბლის გაზრდა გამხდარა აუცილებელი. ამ მიზნით ოთკუთხა გალავნის სამ კუთხეში ახალი კოშკები ააგეს, ხოლო მეოთხე კუთხეში ადრევე მდგარი კოშკი გადააკეთეს. ამ კოშკებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისა უშუალოდ სასახლეს დაუკავშირეს.

პირველი ანსამბლის სასახლე მაღლობიდან დაჰცქეროდა ხეობას, ამიტომ მას ფრონტი მდინარისკენ, ხეობისკენ აქვს მიმართული, ხოლო მეორე სასახლე დაბლა დგას, ამიტომ მისი ფრონტი ხეობას ჰკვეთს; იგი ერთი ფასადით ხეობას აღმა შეჰყურებს, მეორეთი კი გაშლილ ხეობას დაჰყურებს.

სასახლე ორსართულიანი ყოფილა. ნაგებობის ფრაგმენტალობის გამო გეგმის მხოლოდ მოხაზულობა იკითხება. ნაწილობრივ შერჩენილი ჩრდილო კედელი სასახლეზე მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა.

სასახლის პირველი სართული დამხმარე სდგომი ყოფილა, მეორე კი უფრო საზეიმო იერს ატარებს. სასახლეს პირველ სართულში შესასვლელი უნდა ჰქონოდა დასავლეთის ვიწრო მხრიდან (გეგმაზე გვიან გაჭრილი კარია ნაჩვენები) პირველ სართულს, როგორც დამხმარე სადგომს, მცირე განათება ჰქონია.

[3] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ნ. ს ე ვ ე რ ო ვ ი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936, გვ. 137—143.

[4] ლ. რჩეულიშვილი. XVII ს. სასახლე ძალისაში, ქართული ხელოვნება, ტ. 5, 1959, გვ. 229.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილო კედელზე სამი სარკმელია მოთავსებული (სურ. 3, ტაბ. 11). ერთი ან ორი ფანჯარა შეიძლებოდა ყოფილიყო დასავლეთის კედელში. დანარჩენ კედლებში ფანჯრების არსებობა არ არის მოსალოდნელი, რადგან ციხის გარეთ გამავალ კედლებში, მუდმივი საშიშროების გამო, ასე დაბლა ფანჯრებს არ დაატანდნენ.

ამ სადგომის იმავე ჩრდილო კედელში, თითქმის თანაბარი ინტერვალით, თერთმეტი ნიშაა განლაგებული. ეს დიდი ზომის ნიშები ისრული თაღებითაა გადახურული (სურ. 3, ტაბ. 11), მოსალოდნელია ასეთი ნიშები ყოფილიყო მოპირდაპირე კედელშიც. ასეა გადაწყვეტილი ნულის ციხის ქვემოთ მდგარი სასახლის ტიპის ორსართულიანი შენობა. ხოლო ფორჩალისის (ალგეთის ხეობა, ქვემო ქართლი) სასახლეში ნიშები მხოლოდ ერთ მხარეზეა, რადგან მეორე მხარეს სქელი კედლებით ღრმა უბეებია შექმნილი.




სურ. 2. ლენინგორი. ციხე-დარბაზის გეგმა

როგორც ვნახეთ, XVII—XVIII საუკუნეების სასახლეების პირველი სართულებში ასეთი გადაწყვეტა ზოგჯერ გვხვდება. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს ე. წ. დამხმარე სართულები საკმაოდ მაღლებია. კერძოდ, ახალგორის სასახლის ქვედა სართულის სიმაღლე არანაკლებ 3,5 მეტრისა იყო (იატაკს ამჟამად ნანგრევები ფარავს და სიმაღლე ზუსტად არ დგინდება).

სასახლის მეორე სართულის ჩრდილო კედელში, თითქმის თანაბარი ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერვალით, ოთხი სარკმელია განლაგებული. სარკმლებს შუა დიდი ნიშებია. ასეთივე ნიშა სამია უკანასკნელ სარკმელსა და კარს შორის.

კედლის ზედა ნაწილი მონგრეულია, ამიტომ არ დგინდება არც სართულის სიმაღლე და არც კარ-ფანჯრებისა და ნიშების დამთავრება. მოსალოდნელია, რომ ქვედა სართულის მსგავსად, აქაც ისრული თაღები ყოფილიყო.

მეორე სართულის ფანჯრები განიერი და მაღლებია. მათი ქვედა დონე თითქმის იატაკს უთანასწორდება. ერთი შეხედვით ესენი კარები გვეონებათ, მაგრამ სინამდვილეში ფანჯრებს წარმოადგენენ., აქ რომ კარები ყოფილიყო, მაშინ სასახლეს გარედან აივანი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ფასადს აივნის არსებობის კვალი არ ემჩნევა. კარის მსგავსი ასეთი ფანჯრები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა XVI—XVIII საუკუნეების შიდა ქართლში და კახეთში. ერთ ასეთ მაგალითს ვხედავთ იქვე, პირველი ანსამბლის პრიზმული კოშკის ზედა სართულზე. ასეთივე გადაწყვეტას ვხვდებით XVII ს. კოდისწყაროს, ნულის და ძალინას სასახლეებში. ასევე ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე იმავე ქსნის ხეობის წირქოლის ციხე-დარბაზში და ქსნის ციხეში (მთავარ კოშკში). მსგავს გადაწყვეტას შიდა ქართლის გარდა ვხვდებით XVI ს. შუა ხანების ალვანის (კახეთი) „ცხრაკარაშიც“[5].



სურ. 3. ლენინგორი. სასახლე. განაკვეთი ჩრდილოეთით

იატაკიდან დაწყებული სარკმლები არ არის გვიან საუკუნეებში გამოგონილი, ეს არქიტექტურული ხერხი ადრე შუასაუკუნეებში ჩანს შემუშავებული.

პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ასეთი გადაწყვეტა ჯერ კიდევ 20-იან წლებში შენიშნა კახეთის ზოგიერთი სასახლის განხილვის დროს[6]. განხილული VII—IX, XI საუკუნეების ძეგლებიდან შეიძლება დავასახელოთ: კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ნეკრესი, ჰერები, იყალთოს აკადემია და სხვ.[7]. ამ სხვადასხვა დანიშნულებისა და მასშტაბის ნაგებობებში ყველგან შეიმჩნევა ერთი პრინციპი, რომ მეორე სართულებს პარადული დანიშნულება ჰქონდათ და ოსტატები ცდილობდნენ ისინი რაც შეიძლებოდა ნათელი ყოფილიყვნენ.

ახალგორის სასახლე გალავანთან ერთად ნაგებია რიყის ქვით, კირის დუღაბზე. აგური არსებულ კედლებში არ გვხვდება სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა.

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ამ ანსამბლის რეკონსტრუქციის დროს სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მიშენებული იქნა კოშკი. ეს კოშკი

[5] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959, გვ. 570—571.

[6] გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

[7] ეს ძეგლები ვრცლად აქვს განხილული გ. ჩუბინაშვილს ახლახან გამოსულ ნაშრომში Архитектура Кахетии, 1959, გვ. 542—582.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალავნის სხვა კუთხეებზე მიშენებული კოშკებისაგან ბევრად არ განსხვავდება. მათთან ერთად ესეც საბრძოლო-საცხოვრებელია (სურ. 2).

სწორკუთხა გეგმის მქონე ეს კოშკი სამსართულიანი ყოფილა სამივე სართულს კოშკის მხარეს კარი აქვს. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ სასახლე ან სამსართულიანი ყოფილა, ან არა და სასახლეს ბანური გადახურვა ექნებოდა და სწორედ მას უკავშირდებოდა კოშკის მესამე სართული. ეს უკანასკნელი ვარიანტი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

კოშკის პირველ სართულს შესასვლელის პირდაპირ ორი ფანჯარა აქვს და კედლებში მოთავსებულია სწორკუთხა ნიშები. მეორე სართულზე შესასვლელის პირდაპირ ბუხარი მდებარობს. კედლებს ქვედა რიგზე მიჰყვება ძირს ლახრილი სათოფეები, ხოლო ზედა რიგზე ნიშებში განლაგებულია თითო და ორმაგი სათოფეები. მესამე სართულის კედლებიდან ქვედა ნაწილებია გადარჩენილი, სადაც რამდენიმე სათოფე ჩანს. ბუხარი კი მდებარეობს გვერდითი ჩრდილო კედელში.

კოშკი, სასახლის მსგავსად, ნაგებია რიყის ქვით. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი.

ეს ანსამბლი მთლიანად დიდ მსგავსებას იჩენს ახალგორის მთავარ ანსამბლთან და მასთან ერთად XVII ს. თარიღდება[8].

### 3. ძალინა

ისტორიული შიდა ქართლის დასავლეთის ნაწილში, ფრონეს ხეობაში (ვახუშტის მიხედვით „ფცის წყალი“) მრავალი საინტერესო ძეგლი მდებარეობს. მათ შორის ერთ-ერთი უკეთესი ობიექტია ძალინა. ამ ადგილას ხეობა შედარებით გაშლილია და მარჯვენა შეფარდებაზე. მაღლა განლაგებულია ნაგებობათა ნანგრევები. პირველი მათგანი რამდენიმე ფენოვანი ციხეა, ხოლო მეორე—ციხე-დარბაზი. აქ მხოლოდ ციხე-დარბაზს განვიხილავთ.

ციხე-დარბაზის ანსამბლი შესამჩნევადაა დაზიანებული (ტაბ. III). ნანგრევების სახით მოღწეულია სასახლე კოშკით და ეკლესია. სასახლის აღმოსავლეთით ჩანს გალავნის კვალი და დასავლეთით თითქოს დამხმარე ნაგებობების კვალიცაა.

სასახლე და კოშკი ერთი ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი და ერთდროულად ნაგებია. ისინი კარგად მოფიქრებული გააზრებული და შერწყმულადაა ნაგები. ანსამბლი შესაძლოა მტრის ხელით იყოს დანგრეული. წელში გაწყვეტილ ფეოდალს ნაგებობის მთლიანად აღდგენა ვერ მოუხერხებია. დასუსტებული მეპატრონე მაინც აცოცხლებს კერას, აღდგენს სასახლეს, მაგრამ მხოლოდ სანახევროდ. მან გადარჩენილ ჩრდილო ნახევარს სამხრეთით აუგო ახალი კედელი და ორი პატარა და ორი მოზრდილი ოთახი გამოუვიდა. ამასთანავე, როგორც ეტყობა, იმავე ხანებში, კოშკზე მცირე ზომის დამხმარე სათავსო მიაშენა ჩრდილოეთით. ამჟამად ამ გადაკეთება-მინაშენებს არ ვეხებით, ჩვენ გვაინტერესებს თავდაპირველი სასახლე კოშკით[9].

---

[8] ფ. გორგოჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, გამ. ზ. ჭიჭინაძის, თბილისი, 1913, გვ. 306; პ. ზაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, გვ. 190—195.

[9] აქ წარმოდგენილ გეგმაზე სასახლის აღმოსავლეთის ცენტრალური ნაწილის ლოჯიაკებით, აღდგენილი სახითაა მოცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის გეგმა სწორკუთხედშია მოთავსებული (გარე ზომებია 23,2×14,0 მ). სასახლე ერთსართულიანი იყო (სურ. 4). ჩრდილო კედლის ზედა ნაწილი და სახურავის საყრდენი სვეტი, დარჩენილი იმავე მხარეს კედლების გადაკვეთაზე, მიუთითებს ორკალთიან გადახურვაზე (სურ. 6, ტაბ. III).

სასახლის შიდა გადაწყვეტა ზედმიწევნით არ დგინდება სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის დაზიანების გამო. როგორც ეტყობა, აქ ოთხი ოთახი და თითქოს ორი დარბაზი უნდა ყოფილიყო. შეიძლება აქ სხვა ვარიანტის წარმოდგენაც. კერძოდ, ორი დარბაზი კი არა, არამედ — ერთი დარბაზი და ერთიც ლოჯია (ამ მეორე სათავსოზე ჩვენ ადრეც ვწერდით: „Не исключен..., что это помещение не имело наружной стены и было решено как лоджия"[10]).

სასახლეს სადარბაზო შესასვლელი ექნებოდა. მოსალოდნელია, ასეთი შე-




სურ. 4. ძალინა. ციხე-დარბაზის გეგმა

სასვლელის არსებობა აღმოსავლეთით ცენტრში მდებარე სადგომის შუაში. ასეთ გადაწყვეტას ჩვენ ვუშვებთ იმისგან დამოუკიდებლად იგი დახურული იყო თუ ღია[11].

[10] П. Закарая, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида—Картли XVI—XVIII вв. მუზეუმის მოამბე. ტ. XIX—A და XXXI—B, 1957, გვ. 240

[11] სასახლეს XVIII ს. რესტავრატორმა, როგორც ეტყობა, ადრე ცენტრში მდებარე შესასვლელი გადმოანაცვლა ჩრდილოეთით და კიბე მიაშენა მე-2 ოთახის განაპირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის დასავლეთის სადგომები ანფილადურად იყო განლაგებული. განაპირა ოთახები (პირველი და მე-3) დარბაზს (მე-5) უერთდება სამ-სამი ღიადით. შუა ღიადები განაპირა ღიადებზე ორჯერ განიერია. როგორც ეტყობა, საჭიროების შემთხვევაში სამივე სადგომი ერთიანი ხდებოდა. ჩვეულებრივ დღეებში კი ჰსუბუქი კარები გაჰყოფდა, ან სულაც ხალიჩებს ჩამოაფარებდნენ.

სასახლის ინტერიერში, თავის დროზე, ალბათ, საკმაო როლს თამაშობდა ის ხის სარტყლები, რომელიც კედლებს ირგვლივ უვლიდა ორი მეტრის სიმაღლეზე. ასეთივე სარტყელი ყოფილა იატაკის დონეზეც. ალაგ-ალაგ კოჭები შეკრულია პერპენდიკულარულადაც.

მსგავს მოვლენას ვხვდებით (სურ. 5—7, ტაბ. III) იმავე რაიონში მდებარე ნულის სასახლეში. როგორც ეტყობა, ქართლის ამ უბანზე მომუშავე ოსტატებს, თუ ოსტატს აუცილებლად მიაჩნდა აგურის შენობისათვის კონსტრუქციული სარტყლის შექმნა. სინამდვილეში კი ასეთი შემკვრელის აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან ეს კედლები ახლაც დგანან ხის სარტყლის გარეშე. თუმცა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კედლები, როდესაც სველი იყო დროებით საჭიროებდნენ დამატებით სიმაგრეს. ასეთ შემკვრელებს ვხვდებით გვიანფეოდალური ხანის კოშკებში და მცირე ეკლესიებში. მაგრამ ამას ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საშენ მასალად ნახმარია რიყისქვა ან ფლეთილი ქვა. დანაბარი ზომის ბრტყელი აგურისაგან ნაგები ერთი მეტრის სიგანის მქონე კე-




სურ. 5. ძალინა. ციხე-დარბაზი. გახაკვეთი აღმოსავლეთით

დლებს, ვფიქრობთ, ასეთი სარტყელი მაინცდამაინც არ სჭირდებოდა. ამასთანავე, ფაქტია, რომ ეს სარტყელი ოსტატმა კონსტრუქციული მიზნით გააკეთა. მას უდავოდ, სეისმური დანიშნულებაც ექნებოდა. სხვა მხრივ, დეკორატიული დანიშნულება მას ვერ ექნებოდა, რადგან შიდა კედლები შელესილი იყო და ხის კოჭი არ ჩანდა, გარედან კი სარტყელი კედლის სიბრტყეში იყო და არც თუ კარგად შესამჩნევი იქნებოდა.

უკეთ შერჩენილი ჩრდილოეთის ოთახები თითქმის თანატოლებია. კოშკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მდებარე ოთახი ოდნავ მოგრძო სწორკუთხედია (28 კვ. მ.), ხოლო მეორეს კვადრატული გეგმა აქვს (25 კვ. მ).

1-ლი ოთახი კოშკს კარით უკავშირდება. კარის არეშივე იწყება კოშკის ზედა სართულებთან მაკავშირებელი კიბე.

პირველი ოთახის კედლები პილასტრებით და თაღებით თითქმის ერთნაირადაა დამუშავებული. ყველა მხარეს სამ-სამი თაღია და მხოლოდ მოპირდაპირეები იმეორებენ ერთმანეთს (სურ. 7). ამათგან დასავლეთისა და აღმოსავლეთისაზე თანატოლი თაღებია, ხოლო ორ დანარჩენ კედელზე შუა თაღები განიერებია, ხოლო გვერდითები კი ვიწროები( ზომებით ორ წინა კედელს იმეორებს). ეს კედლის თაღები ფორმებით და ზომებით იმეორებენ ერთმანეთს, თორემ გადაწყვეტით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი თაღის შიგნით გასასვლელია მოწყობილი, ზოგში —ორიარუსიანი სარკმელი, ზოგშიც ნიშები, ერთგან კი ბუხარია.

ამ ოთახის მსგავსად, სხვა ოთახებს და დარბაზს თავ-თავიანთი ბუხარი ჰქონიათ. ამჟამად ადგილზეა 1-ლი მე-2 და მე-5 სათავსოების ბუხრები, ხოლო სამხრეთის ოთახებში ნაწილობრივ ჩრდილოეთის მხარის ანალოგიური გადაწყვეტა იქნებოდა.

თავისთავად ბუხრები ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. ბუხარს შეისრული თაღი ამთავრებს. თაღის ზედაპირი აგურების წყობით ქიმივითაა შეერილი. ქიმი ზემოდან ქვემოთ მცირდება და გვერდის ხაზებს უერთდება. ასეთი გადაწყვეტა დეკორატიულობას მატებს ინტერიერს. ბუხრების ასეთი მორთვა ძალიან არქიტექტორის მიერ უნდა იყოს შემუშავებული, რადგან იგი სხვაგან არსად გვხვდება. თითონ კი იმავე ფორმას იყენებს იქვე კოშკის ბუხრებზეც.

სასახლის მე-2 ოთახის ოთხივე კედელი თითქმის თანატოლი სამ-სამი თაღითაა დამუშავებული. ცენტრებში სამხრეთით და დასავლეთით მომიჯნავე სათავსოებთან მაერთებელი კარებია. ჩრდილოეთით ცენტრში ისევ ბუხარია. მის გვერდზე კი, წინა ოთახის მსგავსად, მაღალი ორიარუსიანი ფანჯრებია. ასეთივე ფანჯრებია აღმოსავლეთის კედელშიც. ამ ფანჯრების ქვედა ნაწილი XVIII ს-ში სასახლის გადაკეთების დროს ამოუშენებიათ. არ არის გამორიცხული, რომ 1-ლი ოთახის მეორე და მე-2 ოთახის მარჯვენა ფანჯარა მაშინვე ყოფილიყო სანახევროდ ამოვსებული. ასეთის შთაბეჭდილებას სტოვებს ის თხელკედლიანი ამოქოლვა, რომელიც დღემდეა შერჩენილი. აღმოსავლეთით მდებარე სარკმელი კი გვიან შესასვლელად გადაუკეთებიათ. ამ ახალი დანიშნულებისათვის კი გარედან კიბე იყო საჭირო. დაზიანებული სახით ეს კიბე ახლაც დგას. დანარჩენ თაღებში ორიარუსიანი ნიშებია. როგორც აქ, ისე სხვაგანაც ნიშების ორიარუსიანობას ღებულობენ შენობის ირგვლივ გამავალი ხის სარტყლებით.

მოპირდაპირე სამხრეთის მხარეს მდებარე ორ ოთახსაც თუ მთლიანად ანალოგიურად არა, დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტა უნდა ჰქონოდა. მე-3 ოთახს დარბაზთან (მე-5) პირველის მსგავსად სამი ღიადი თუ აერთებდა. ყოველშემთხვევაში ასე სჩანს შერჩენილი განაპირა კედლების მიხედვით. მე-3 და მე-4 ოთახებს შორის გამავალი კედლის დარჩენილი ფრაგმენტი მიგვითითებს, რომ შუაში გასასვლელი იყო, ხოლო გვერდებზე—თაღები ორიარუსიანი ნიშებით. ასევე, ორიარუსიანი ნიშები მეორდება მე-3 ოთახის დასავლეთის კედელში, მხოლოდ ეს ნიშები უფრო მაღლაა ვიდრე სხვაგან. ამ ოთახის სამხრეთის კედელი არ არსებობს. დასავლეთის კედლის ბოლოს მიხედვით კი აქ სხვა კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯრების დონეზე არც კარი და არც ფანჯარა არ ყოფილა. აქეთ ეტყობა განსხვავებული გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო.

მე-4 ოთახი სხვებზე მეტადაა დაზიანებული, მაგრამ ეტყობა, რომ მე-2 ოთახის ანალოგიურად იყო გადაწყვეტილი.

სასახლის დარბაზს ვრძელი ოთხკუთხა გეგმა აქვს. მისი ფართობი 50 კვ. მ აღემატება. დარბაზის ვიწრო ბოლოები, როგორც უწინაც აღვნიშნეთ სამ-სამი ღიადით აკავშირებს დარბაზს მომიჯნავე ოთახებთან. დარბაზს ლოჯიასთან თავდაპირველად ხუთი ღიადი აერთებდა. თუ ხუთივე ღიადი იატაკამდე არ დადიოდა მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შუაში კარი იყო, ხოლო გვერდით ორ-ორი ფანჯარა იქნებოდა. ფანჯრები სხვების მსგავსად აქაც ორიარუსიანი იქნებოდა. ასე მრავალრიცხოვანი ღიადი იმავე ხანებში არ მოსწონებიათ და ორი მათგანი ამოუშენებიათ. რის შემდეგაც დარჩენილა შუა და განაპირა ღიადები.

დარბაზის დასავლეთის კედელი აღმოსავლეთის ანალოგიურად ხუთ მონაკვეთადაა დაყოფილი. ამათგან გვერდითი ორ-ორი თალი თანატოლებია და ვიწროებია, ხოლო შუა სიგანით შესამჩნევად აღემატება დანარჩენებს. ვიწრო განაპირა თალებში ისევ ორიარუსიანი ნიშებია, სადაც ქვედა რიგი ზედა რიგზე ღრმაა. შუა თალის ცენტრი უკავია ბუხარს. მის გვერდით მდებარე თალებში ქვემოთ ისევ ნიშებია, ზემოთ კი ფანჯრები.




სურ. 6. ძალინა. ციხე-დარბაზი. განაკვეთი დასავლეთით

დარბაზის მომიჯნავე აღმოსავლეთის მე-6 სათავსო სიგრძით დარბაზის ტოლია, ხოლო სიგანით ცოტათი ნაკლები. ეს სათავსო კარებით უერთდება მომიჯნავე სათავსოებს ბოლოების ვიწრო კედლებში. კარების გვერდებზე ისევ ორიარუსიანი ნიშებია. ამ სათავსოს აღმოსავლეთის კედელი მთლიანად მოშლილია და მისი ადგილი სანახევროდ მოკავებული აქვს გვიან აშენებულ კედელს. სათავსოს ასეთი დაზიანების გამო ზედმიწევნით ვერ ირკვევა მისი დანიშნულება და მასთან ერთად არქიტექტურული გადწყვეტაც. ჩრდილოეთის მხარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლის ზედაპირი ისე ბრტყლად არის დამუშავებული, რომ სათავსოს სამ მხარეს არსებული კედლის ფრაგმენტებზე არ შეიმჩნევა სხვა სათავსოების მსგავსად (იმავე დონეზე) კამარისა და თაღის ქუსლების ნაშთები. რაც თავისთავად იმას მოწმობს, რომ განსხვავებით დანარჩენ სათავსოებთან ამ სათავსოს ბრტყელი გადახურვა ჰქონია და წინიდან ღია ყოფილა. ასეთი ცალმხრივ ღია აივანი მეტად კარგ კომპოზიციას შექმნიდა. სასახლეც საცხოვრებლად საკმაოდ მოხერხებული იქნებოდა[12].

თუ ამ ლოჯიის არსებობას საეჭვოდ მივიჩნევთ, მაშინ აქაც დარბაზი უნდა წარმოვიდგინოთ და ფასადის კომპოზიცია მარტივი იქნება, დაახლოებით ისეთი, როგორც ეს ჩვენ ადრევე წარმოვადგინეთ ერთ-ერთი ვარიანტის სახით[13] (ძეგლზე შემდეგი დაკვირვების შედეგად ეს ვარიანტი უარვყავით).



სურ. 7. ძალისა. ციხე-დარბაზი. პირველი ოთახის ინტერიერი.

დარბაზების გადახურვის სისტემა საეჭვო არ უნდა იყოს. შერჩენილ ოთახებში და დარბაზში თითქმის ყველგან ჩანს, რომ გადახურვა კამაროვანი იყო. კვადრატული გეგმის მქონე ოთახებში შეისრულ კამარების გუმბათებს მიახლოებული ფორმა ექნებოდათ, რადგან მოხრა ოთხივე კუთხიდან ამოდიოდა. თავის-

[12] ლ. რჩეულიშვილი, რომელიც სპეციალურ მონოგრაფიას უძღვნის ძალისას სასახლეს, აქ მხოლოდ ლოჯიის არსებობას გულისხმობს (იხ. „XVII ს. სასახლე ძალისაში“, ქართული ხელოვნება, ტ. 5, 1959, გვ. 221—230).

[13] П. Х. Закарая, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли XVI–XVIII вв. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX–A და XXI–Б, 1957, სურ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად კამარა პილასტრებზე გადამავალ საბრჯენ თაღებზე ეყრდნობოდა. კამარის თითოეულ მონაკვეთზე აგური ნაწყობია თევზიფხურად. ასეთი წყობა საერთოდ დამახასიათებელია გვიანი საუკუნეებისათვის. დათარიღებული ძეგლებიდან დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტაა ბოლნისის სიონის რესტავრირებულ კამარებზე[14] (XVII ს. მეორე ნახევარი), ანჩისხატის სამრეკლოს კამარებზე[15], (XVII ს. მეორე ნახევარი) და სხვ.

აღნიშნული სადგომებისაგან განსხვავებული გადახურვა ექნებოდა მხოლოდ ლოჯიას[16]. როგორც აღვნიშნეთ, ლოჯიას ბრტყელი, კოჭოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

სასახლის კედლები შიგნით მთლიანად ჩამოძარცულია, ამიტომ ძნელი სათქმელია მოხატული იყო თუ არა. ნალესობის კვალი კი შეიმჩნევა, რაც თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ სასახლის შიდა კედლები შელესილი იქნებოდა.

სასახლის ნაწილი მაღალი კოშკის სახით ხუთსართულიანი ყოფილა (სურ. 4, 5, 8). როგორც აღვნიშნეთ, იგი სასახლეს კარით უერთდება და იმავე კარის არეში იწყება ზედა სართულებთან მაკავშირებელი კიბე.

კოშკის პირველი სართული დამხმარეა, მეორე და მესამე საცხოვრებელ-საბრძოლო, მეოთხე მხოლოდ საბრძოლოა, მეხუთე კი დასასვენებელი ფანჩატურია.

პირველი სართულის იატაკში ქვევრებია ჩაყრილი. ამ ქვევრების გამოყენება შეიძლებოდა, როგორც ღვინისათვის, ისე წყლისათვის. საფიქრებელია, რომ იქ ერთიც იქნებოდა და მეორეც. სითხის შემოსასხმელად დასავლეთის კედელში კერამიკული მილი ჰქონდათ დატანებული. ამ დატანებული მილის გაგრძელებაზე მოეწყობოდა ხის ღარები. ასეთი მაგალითები სხვაგანაც გვხვდება. ქართლში შეიძლება დავასახელოთ ქვიშხეთის გორაზე ცალკე მდგარი კოშკი და ქემერტის კოშკი, ხოლო კახეთში—ზემო ხოდაშნის კოშკთან დაკავშირებული მარანი.

კოშკის პირველი სართული სანოვაგის შესანახავადაც გამოდგებოდა. მის კედლებში მცირე ნიშებია და ნათდება მაღლა მდებარე ერთი სარკმლით. სართულს ბრტყელი კოჭოვანი გადახურვა ჰქონია.

მეორე სართულს ნახევარსფერული გუმბათოვანი გადახურვა აქვს. კედლებში ბლომადაა ცალმაგი და ორმაგი სათოფეები. ბუხარი ჩრდილო კედელში მდებარეობს.

მესამე სართულის კედლებიც დაქსელილია სათოფეებით; მეორის მსგავსად ფანჯარა აქაც ერთია, ისევ სამხრეთით. ბუხარიც ისევ ჩრდილოეთითაა, ხოლო ქვედასთან შედარებით იგი უფრო მცირეა და კოხტა. როგორც ეს იყო მიღებული XVII—XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთში ეს ბუხრებიც სწორკუთხედებშია ჩასმული. თანაც ბუხრებს თაღები ისეთი შვერილ-დეკორატიული აქვთ, როგორიც სახახლეში იყო.

ამ კვადრატულ ოთახსაც გუმბათოვანი გადახურვა აქვს, მაგრამ ქვემოთ თუ გუმბათის ზედაპირი სწორი იყო, აქ დეკორატიულია. კვადრატიდან წრეზე გადასვლა კონსტრუქციულად ღრმა ტრომპებით ხდება. გუმბათის ზედაპირი რვა

[14] Г. Н. Чубинашвили. Болнисский Сион, Тбилиси, 1940, გვ. 113—115, სურ. 84.
[15] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი,
[16] აქვე ვიძლევით სასახლისა და კოშკის რეკონსტრუქციის პროექტს. ამ ჩრდილო-აღმოსავლეთის ხედზე ჩვენს მიერ მცირე რამ არის დამატებული (სურ. 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრტყელი სხივით არის დამუშავებული. გუმბათის ქვემოთ გამავალი თაღები და მათზე გადასული სხივები გემოვნებით დამუშავებული დეკორატიული ელემენტია. სართული ნათდება აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ფანჯრებიდან.

მეოთხე სართული შედარებით დაბალია, 2,40 მ. არ აღემატება და მისი გადაწყვეტაც ისეთია, რომ იგი მხოლოდ საბრძოლო უნდა ყოფილიყო. ქვედა ორი სართული კი ძირითადად საცხოვრებელი იყო, მაგრამ მათ თავდაცვითი ფუნქციებიც საკმაოდ ჰქონდათ მინიჭებული. ამ სართულს ოთხივე კედლის ცენტრში მოზრდილი ფანჯრის მაგვარი ხვრელები აქვს დატანებული. ამ ხვრელების დანიშნულება მარტო სათავსოს განათება კი არ იყო, არამედ ისინი ფაქტიურად სალოდეს და საზარბაზნეს როლსაც შეასრულებდნენ. მაგრამ, ვფიქრობთ, მთავარს მაინც დაზვერვისათვის ხელისშეწყობა წარმოადგენდა. სულ ზედა სართული დაზვერვისათვის მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გამოდგებოდა, მაგალითად ზაფხულის თვეებში, თანაც მაშინ, როდესაც მტერი შორს იყო. მეოთხე სართული კი ამ საქმისათვის გამოდგებოდა მთელი წელი (მას საკუთარი ბუხარიც აქვს დასავლეთის კედელში). საჭიროების შემთხვევაში ხვრელები ხის სქელი დარაბებით დაიხურებოდა. ასეთ შემთხვევაში თავდაცვა გაგრძელდებოდა კედლებში განლაგებული სათოფეებიდან.




სურ. 8. ძალინა. კოშკის გეგმები

კოშკის მეხუთე სართულს უფრო საზეიმო იერი აქვს (სურ. 5, 6, ტაბ. III). აქ იქნებოდა ყველაზე უკეთესი დასასვენებელი ადგილი. ეს მაღალი, გუმბათოვანი სადგომი ღიაა სამ მხარეს. განიერი და მოხდენილი თაღებიდან ხეობის წარმტაცი ხედით დღესაც ტკბება ადამიანი. სართულის დასავლეთის კედელში ბუხარია მოთავსებული, მის გვერდებზე კი ორმაგი სათოფეებია. ამ მხარეს მთის ფერდობია, ამიტომ მოახლოებული მტერი შედარებით კარგად გამოჩნდებოდა და თავდაცვის შემთხვევაში ეს კედელიც არ იქნებოდა უქმად.

სართულის გუმბათოვანი გადახურვა, ისეთი დეკორატიული არ არის, როგორც ეს მესამე სართულშია, მაგრამ მაინც საკმაო ლაზათი დაჰკრავს. კვადრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ისევ ღრმა ტრომპით ხდება. აგურის გუმბათის სფეროზე აქაც რვა სხივია, მაგრამ რელიეფი შედარებით დაბალია, ამიტომ სიმკვეთრეც ნაკლები აქვს.

კოშკი, განსხვავებით სასახლისაგან, რომელიც მთლიანად აგურითაა ნაგები, ქვის შენობაა (ტაბ. III, IV). ფასადები ფლეთილი ქვითაა ნაგები, ინტერიერში კი ნახმარია აგური. ინტერიერში აგური ძირითადად გამოუყენებელია კონსტრუქციულ ადგილებში, კერძოდ ყველა გუმბათი აგურითაა ამოყვანილი (აგურის ზომები: სასახლეში და აქ ერთნაირია 21×21×4; 22×22×4 სმ.).

კოშკში და სასახლეში გამოყენებული თაღები ისრული ფორმისაა. ასეთი ფორმის თაღები დამახასიათებელია საერთოდ XVI—XVIII სს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისრული ფორმის თაღების ჩასმა სწორკუთხედში, როგორც ამას ადგილი აქვს ბუხრების გადაწყვეტისას და კოშკის ფანჩატურის ფასადებზე. მართალია, ასეთი გადაწყვეტა ქართლ-კახეთში გვხვდება XVI ს. შუა წლებიდან[17], მაგრამ უფრო ხშირად იყენებენ XVII ს. მეორე ნახევარში. ასეთის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ანჩისხატის სამრეკლო[18], ბოლნისის სიონი (რესტავრაცია), ანანურის ნაგებობები[19] და სხვ.



სურ. 9. ძალისა. ციხე-დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტი

ძალისას ციხე-დარბაზზე ისტორიულ ცნობებში არაფერია შერჩენილი, არც ნაგებობებს აქვთ წარწერები. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ფეოდალური საქართველოს უკანასკნელ პერიოდში ფალავანდიშვილების რეზიდენცია ძალისა-

[17] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართ. არქიტექტურის გზები, 1936, გვ. 137.

[18] იქვე, გვ. 141.

[19] პ. ზაქარაია, ანანურის არქიტექტურული ანსამბლი, 1953, ნახ. 50, ტაბ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყო[20]. საფიქრებელია, რომ მათი რეზიდენცია ადრევეც აქ იქნებოდა და ეს ნაგებობებიც მათი კუთვნილი უნდა იყოს.

ვახუშტი ბაგრატიონი კი XVIII ს. პირველი ნახევრისათვის იძლევა ასეთ ცნობას: „ძალინას არს ციხე და სასახლე"[21]. როგორც ჩანს, ძალინას ნაგებობებს კარგად იცნობდა ვახუშტი. ძალინას ქვედა ნაგებობა, რომელიც ჩვენ თავშივე ვახსენეთ, ციხეა, აქ კი სასახლეა. თუ ის კვალი, რომელიც სასახლის გარეთ ჩანს გალავნის, ციხის კედლების ნაშთია, მაშინ ეს ანსამბლი ტიპიური ციხე-დარბაზი იქნება[22].

ძალინას ანსამბლის აგების თარიღს ჩვენ გზადაგზა არა ერთხელ შევეხეთ. ყველა მაჩვენებელს XVII საუკუნისკენ მივყავართ. ასეთია უპირველეს ყოვლისა ნაგებობის მასშტაბი და კომპოზიცია. იგი არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ადრეულ საუკუნეებში. იგი დამახასიათებელია XVI საუკუნისა და შემდეგი პერიოდისათვის. სასახლე და მასთან დაკავშირებული კოშკი ყველაზე მეტ ანალოგიას სწორედ XVII ს. ნაგებობებში პოულობს. ასეთებიდან შეიძლება დავასახელოთ ახალგორის მთავარი ანსამბლი, კოდისწყარო, თელავი, დუშეთი (ყარანგოზაშვილების კოშკი), ყორნისი, ანანური და სხვ.

## 4. ყორნისი

ფრონეს ხეობის დასაწყისში, მცირედ გაშლილი ადგილას მდებარეობენ სოფლები ყორნისი და წორბისი. აქედან მეორე უშუალოდ ფრონეზეა, ხოლო ყორნისი იმავე სახელის მატარებელ მცირე მდინარის ორივე მხარეზეა (ყორნისის წყალი იქვე ახლოს შეერთვის ფრონეს). ამჟამად ყორნისის ტერიტორიაზე რვა კოშკი დგას. ყველა ისინი ერთ ეპოქაში უნდა იყვნენ წარმოშობილნი, კერძოდ XVII საუკუნეში. აქ კოშკების სიმრავლე ვახუშტისაც შეუნიშნავს. იგი წერს: „ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა"[23]. ვახუშტის ცნობაში იგულისხმება XVIII ს. ოციანი ან ოცდაათიანი წლების ამბავი. ლეკების „შემუსრვა" კოშკების მიმართ კატასტროფიული არ უნდა ყოფილიყო, თორემ ისინი დღემდე ასეთი სახით ვერ მოაღწევდნენ. შეკეთების შედეგად ეს კოშკები შემდეგშიც იმოქმედებდნენ.

ისტორიულ ცნობებში ისიც არაა შერჩენილი თუ ვის ეკუთვნოდა ეს მხარე ან კუთხე. აქ ბოლო ხანებში ხერხეულიძეები ცხოვრობდნენ და შესაძლოა ადრეც მათივე სამფლობელო იყო[24].

მდ. ყორნისის მარჯვენა ნაპირას საკმაოდ მაღლა, მთის ფერდობზე გაშლილი ყოფილა ფეოდალის ციხე-დარბაზი. ნანგრევებში შეიძლება გაირკვეს, რომ აქ მდგარა სასახლე კოშკით, მის სამხრეთით—სასახლის ტიპის ნაგებობა (მისგან მხოლოდ დასავლეთის კედელია დარჩენილი), ჩრდილოეთით ასიოდე მეტრის

---

[20] იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ტ. I. თბილისი, 1936, გვ. 24; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოც. თ. ლომოურის, თბილისი, 1941, გვ. 92.

[21] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 80.

[22] ვახუშტი ბაგრატიონი, მის მიერ 1735 წელს შედგენილ რუკაზე ძალინა მცხოვრებ ფეოდალს „უმცირეს თავადის" ნიშნით აღნიშნავს.

[23] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 79.

[24] ვახუშტის რუკაზე (1835 წ.) ყორნისში მცხოვრები ფეოდალი „უუმცირესი თავადის" ნიშნითაა აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო ზომის შენობა და ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა ეკლესია. ამ ნაგებობებიდან ამჟამად მხოლოდ სასახლისა და კოშკის ნანგრევებს განვიხილავთ.

სასახლე კოშკთან კიბითაა დაკავშირებული. ასეთი ორიგინალური კავშირი სხვაგან არ შეგვხვედრია (სურ. 10, 11, ტაბ. V). მართალია, ისინი ერთდროულად არიან აგებულნი, თუ ცალ-ცალკე, ამის ზედმიწევნით დადგენა არ ხერხდება, მაგრამ ეტყობა ასეთი კომპოზიციის შექმნა სურდათ დამკვითსა და არქიტექტორს. დავუშვათ, რომ კოშკი იდგა და სასახლე მერეააშენეს( კიბე სასახლესთან კონსრუქციულადაა დაკავშირებული). ამ შემთხვევაში მათ არაფერი უშლიდა, თუ შენობას უშუალოდ კოშკს მიადგამდნენ და კოშკის პირველ სართულში კარს გაჭრიდნენ. თუ ავიღებთ მეორე შემთხვევას, ე. ი. სასახლე იდგა და კოშკი მერე ააშენეს. ამ შემთხვევაშიც არაფერი უშლიდა, რომ კოშკი შენობისათვის უშუალოდ მიედგათ და მათ შორის კავშირიც პირველ სართულში ყოფილიყო. ყოველგვარ ლოგიკურ მსჯელობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სწორედ ასეთი გადაწყვეტა დაუსახავთ მშენებლებს. ჩვენ გვაქვს მაგალითი იქვე მახლობლად ძალინაში, სადაც კოშკი და სასახლე ერთიან ნაგებობას წარმოადგენენ (სურ. 9). ყორნისში კი მათ შორის კავშირი კიბით ხდება, თანაც, სასახლის პირველი სართული კოშკის მეორე სართულს უკავშირდება. მტრის თავდასხმის შემთხვევაში კოშკში შეიხიზნებოდნენ და კიბეზე ამოსულ მტერს შედარებით ადვილად მოიგერიებდნენ[25].

სასახლე გრძელი სწორკუთხა შენობაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა ეს ნაწილები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, (ეს დარბაზი შესაძლოა კიდევ ორად იყო გაყოფილი, მაგრამ ნანგრევებში კარგად არ ჩანს), ერთის ფართობი დაახლოებით 120 კვადრატულ მეტრს უდრის, მეორე ნაწილისა კი 25 მეტრია.




სურ. 10. ყორნისი. ანსამბლის გეგმა

სასახლის კედლებიდან ნაწილობრივ შერჩენილია ფერდობზე მიშენებული დასავლეთისა და სამხრეთისა. ამ ფრაგმენტებით ირკვევა, რომ კედლები ისრული თაღებით ყოფილა დანაწევრებული. თაღები ახლო-ახლოსაა ერთმანეთთან. კედლის თაღებს შორის მდებარე პილასტრებზე გადადიოდა კამარის საბჯენი თაღები. დარბაზის მოკლე კედლებზეცაა თაღები. ჩრდილო-დასავლეთისა და სამხ.

[25] აქვე სურ. 12. წარმოდგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი საერთო მასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ-აღმოსავლეთის შერჩენილი კუთხეების მიხედვით დგინდება, რომ დარბაზის გადამხური კამარა გრძივი კედლებიდან ამომავალ თაღებზე ეყრდნობოდა, ხოლო მოკლე კედლებიდან ამომავალი თაღები გრძივი კედლების პირველივე თაღთან წყდება. ასეთი გადაწყვეტა გვხვდება XVII ს. ისეთ სასახლეებში, როგორიცაა ახალგორის (მთავარი ანსამბლის სასახლე), ნულის, ძალინას და სხვ. ყორნისის სასახლის კედლები ნაგებია აგურით და ფლეთილი ქვით, თაღები და კამერები კი მთლიანად აგურია.

სასახლეს მეორე სართული არ ჰქონია, ამიტომაც მისი პირველი სართული ქვის კიბით უერთდება კოშკის მეორე სართულს. კიბე ჯერ მიჰყვება სასახლის ვიწრო კედელს, შემდეგ უხვევს და თაღით ებჯინება კოშკის კედელს. კიბე განიერია და გვერდებზე მას ორმოციოდე სანტიმეტრის სიგანის კედლები ჰქონია. ნანგრევებში არ ჩანს ეს კედლები. მხოლოდ მოაჯირი იყო, თუ ბოლომდე




სურ. 11. ყორნისი. ციხე-დარბაზი. განაკვეთი დასავლეთით

აჰყვებოდა. თუ ამ უკანასკნელ ვარიანტს მივიღებთ მაშინ კიბის უჯრედი დახურული წარმოგვიდგება. უფრო მოსალოდნელია, რომ კიბე ღია ყოფილიყო, გვერდებზე მოაჯირით.

კიბის საწყისი, რადგანაც გარეთაა, ამიტომ ეზოდან პირდაპირ შეიძლებოდა მოხვედრა კოშკში. სასახლიდან გამოსულიც იმავე კიბით ავიდოდა კოშკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილავი კოშკი გამოირჩევა არა მარტო ყორნისის კოშკებში, არამედ იგი ერთ-ერთი სრულყოფილი ნაგებობაა გვიანი შუასაუკუნეების საქართველოსთვის. სამწუხაროდ, ნიადაგის გამოფიტვის გამო, ფერდობზე მდგარ ნაგებობას აღმოსავლეთის მხარე მორღვევია. კოშკი ამჟამად ისე გამოიყურება თითქოს იგი შუაზე გაჭრესო. დარჩენილი დასავლეთის ნახევრის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ თავდაპირველ ნაგებობაზე.

კოშკი შვიდსართულიანი ყოფილა, რაც თავისთავად იშვიათი შემთხვევაა. სართულშუა გადახურვა მოწყობილი იყო ხის კოჭებზე. მხოლოდ უკანასკნელ სართულს ჰქონია კამაროვანი გადახურვა. ასეთი შერეული გადახურვა დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გვხვდება XVII ს. ზოგიერთ სწორკუთხა კოშკში, როგორიცაა: ყაზბეგი (ჩოფიკაშვილების კოშკებში), კარატკაუ, ახალგორი, ძალიანა, წინარეხი[26] (1679 წ.) ნორიო და სხვ. ხოლო რაც შეეხება XVIII ს. ცილინდრულ კოშკებს, აქ მას უფრო ხშირად იყენებენ.

რაც შეეხება ყორნისის კოშკის გადახურვის ფორმას, იგი კამაროვანი იყო (ღერძით ჩრდილო-სამხრეთით). თავისთავად კამარა კი რთული ყოფილა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე ერთიანი თაღებია მოხაზული. ორ დანარჩენ



სურ. 12. ყორნისი. ციხე-დარბაზი. რეკონსტრუქციის პროექტი

გვერდს კი ორი გამბჯენი თაღი აერთებდა (ტაბ. V, VI). იმავე მხარეებზე სამ-სამი კედლის თაღია, რომელთაგანაც კუთხეებისა აფრებს მოგვაგონებს. ასეთი რთული გადაწყვეტა დამახასიათებელია XVII ს. ძეგლებისათვის, როგორიცაა იქვე მდგარი სასახლე, ძალიანა და სხვ.

კოშკის შერჩენილი დასავლეთის ნაწილის მიხედვით შემდეგი სურათი იქმნება. პირველი სართულის კედლები ყრუ ყოფილა, მხოლოდ კერამიკული მილით წყარო შემოდის დასავლეთის კედელში. ამ სართულის იატაკი მიწითაა და-

[26] ვ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVII—XVIII სს, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, 1947, გვ. 207—211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარული. იმიტომ არ ჩანს შიგ წყალსაცავი იყო მოწყობილი, თუ ქვევრები. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ორივე ერთად ყოფილიყო. კოშკში წყლის შემოყვანა, ან საერთოდ ციხის წყლით მომარაგება აუცილებელი იყო. ეს საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული პირობების მიხედვით წყდებოდა. მაგალითად, იქ სადაც მდინარე ახლოს იყო კეთდებოდა გვირაბი (აწყური, ხერთვისი, თმოგვი, გრემი, ხულუტი სნო და სხვ.), ხოლო თუ შესაძლებლობა იყო წყალი შემოჰყავდათ წყალსადენით (ანანური, ქსანი, ძამა, მძოვრეთი, წირქოლი, სხვილო და სხვ.). არის შემთხვევა, როდესაც შიგ ციხეში აქვთ წყარო (მატანი). იყენებენ ჭებსაც, რომელიც დაბალ ადგილებში ეწყობა ჩვეულებრივად კოშკში (მუხრანი, ქსოვრისი, პატარძეული და სხვ.). რაც შეეხება უშუალოდ ანალოგიას ყორნისისათვის ვხვდებით ხეითში (XVIII ს. პირველი ნახევარი), აქ წყარო მოწყობილი იყო კოშკის გარე კედლის ნიშში და ამავე დროს შიგნითაც. განსხვავებით ყორნისთან ხეითში წყარო უფრო კეთილმოწყობილი იყო. მილის წინ ნიშაში მოზრდილი ნიჟარაა ჩამაგრებული. ამას გარდა, წყლის მარაგი შეიძლებოდა დაეგროვებინათ იქვე იატაკქვეშ ჩალაგებულ ქვევრებში.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ადგილას წყაროს წყლის არსებობამ ალბათ გადამწყვეტი როლი შეასრულა ყორნისის ციხე-დარბაზისათვის ადგილის შერჩევაში. აქ მცხოვრებნი წყლით უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ, როგორც მშვიდობიან დროს, ისე გარემოცვის შემთხვევაშიც.

კოშკის მეორე სართულის ჩრდილო კედლის შუაში სწორკუთხა შესასვლელია. ამ კარს ადგება გარედან კიბე, რომელიც კოშკს აკავშირებს, როგორც სასახლესთან, ისე ეზოსთან. კარს, როგორც ეტყობა, გვერდებიდან იცავდა სათოფეები. ერთი მათგანი ამჟამადაც ადგილზეა. სათოფეები ყოფილა მოპირდაპირე კედელშიც. დასავლეთის კედლის შუაზე ბუხარია, რომლის თავზეც ორი პატარა ნიშაა. მესამე სართულზეც ბუხარი იმავე მხარესაა (ერთიც და მეორეც ისრული თაღითაა გადახურული). დანარჩენ კედლებზე სათოფეები ყოფილა. მეოთხე სართულზე ბუხარი სამხრეთითაა, ხოლო სათოფეები კი ყოველ კედელშია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოშკი ფერდობზე დგას და გორის შემაღლება დასავლეთითაა. ამიტომ ოსტატი სათოფეს მხოლოდ მეოთხე სართულზე აკეთებს, როდესაც იგი აცდა გორის შემაღლებას. ამ მხარეზე სათოფეები, ან სხვა ხვრელები, რომ დაეტანებინა, მაშინ საშიში იყო ფერდობზე მდგარ მტერს შიგ მყოფნი არ დაეზიანებინა. მეხუთე და მეექვსე სართულების კედლებშიც ცალმაგი სათოფეებია განლაგებული. ორივე სართულის დასავლეთის კედელში საპირფარეშოები ყოფილა. ზედა მხოლოდ ნიშაა, ქვედა კი გარედან შვერილია, რომლის კონუსური მასა ხის კოჭებზე ეყრდნობა .მეექვსე სართულზე ჩრდილოეთით ბუხარია, სამხრეთით ცენტრში კი კარი ყოფილა შვერილ აივანზე გასასვლელად .ხის კოჭებზე მოწყობილ აივანს სამ მეტრამდე სიგანე ჰქონია (კოჭების ბუდეები ფასადზე კარგად ჩანს). ეს აივანი მიმართულია ქვემოთ ხეობებისაკენ. სწორედ აქეთ მხარეზე იშლება იშვიათი სანახაობა, ამიტომაც აივნისათვის შერჩეულია სამხრეთის ფასადი. მეშვიდე, კამაროვანი სართულის კედლებშიც სათოფეებია. კოშკის შერჩენილ ნაწილში ფანჯრები არ ჩანს ,ისინი, როგორც ეტყობა, აღმოსავლეთის კედელში იქნებოდა განლაგებული.

როგორც ვნახეთ, ეს კოშკი თავდაცვითია, მაგრამ მასში საცხოვრებელი ელემენტები ცოტა როდია. ფაქტიურად ესეც სასახლეა. მხოლოდ ვერტიკალური გადაწყვეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკს, ისე როგორც სასახლეს თარიღი არა აქვს. მათი დათარიღება მხოლოდ ანალოგიებით შეიძლება. პირველ დამთარიღებელ მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ ციხე-დარბაზისათვის ადგილის შერჩევა, როდესაც ფეოდალის ბუდე მთის წვეროებიდან შედარებით დაბლა ჩამოდის. ასეთის მაგალითებს ვხედავთ სწორედ XVII ს. ახალგორში (ქსნის ერისთავების რეზიდენციაში), მძოვრეთში (საციციანოში), მუხრანში და სხვაგან.

მეორე მომენტი, რომელიც იმავე ეპოქაზე მიგვითითებს კოშკის ფორმა და გადაწყვეტაა. იმავე ხანაზე მიგვითეთებს მხოლოდ ცალმაგი სათოფეების გამოყენება და ისიც მცირე რაოდენობით[27].

სასახლეც იმავე ხანის ძეგლებში ჰპოულობს ანალოგებს. კერძოდ, ნულის, ძალინას და კოდისწყაროს სასახლეებში.

## 5. ნული

ნულის ციხე-დარბაზი მდებარეობს ფრონეს (ვახუშტის მიხედვით „დვანისწყალი“) ხეობაში, მდინარიდან სამხრეთით თითქმის ერთ კილომეტრზე.

ციხე-დარბაზი განლაგებულია გორაკზე, რომელიც ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შედარებით ადვილად მისადგომია, მაგრამ სამხრეთიდან ნულის ხევი ღრმაა, იქიდან ამოსვლა ძნელია.

ციხე-დარბაზი მეტად რთული ნაგებობაა. იგი არ არის ერთბაშად წარმოშობილი, არამედ თანდათანობით ნაზარდია, რის გამოც რამდენიმე ფენას შეიცავს. აქ არის კოშკი, რამდენიმე გალავანი, ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, სასახლე და სხვ.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული წყაროები ისე მწირია, რომ არ ირკვევა, თუ რომელი ფეოდალი ცხოვრობდა აქ[28]. ცხოვრება კი მას მეტად მოუსვენარი, ბობოქარი ჰქონია. თანაც, საქმე იმაშია, რომ ცხოვრება აქ ხანოკლე კი არა ყოფილა, არამედ იგი საუკუნეები გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, მათი ცხოვრების კვალი ისტორიაში არსად ჩანს. ერთადერთი ცნობა, უკეთ ფაქტის აღნიშვნა, რომ ნულში ციხეა, ეკუთვნის ვახუშტის. იგი ერთგან თავის „გეოგრაფიაში“ დვანისწყლის ხეობის აღწერისას წერს: „აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულის-კევი. არს ნულს ციხე“[29]. ამ ცნობებიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში ნულში მომქმედი ციხე ყოფილა.

ნულის ანსამბლიდან ამჟამად შევეხებით მხოლოდ იმ სასახლეს, რომელიც მდებარეობს ციტადელის შუაში.

ეს სასახლე სხვა იმ დროინდელი სასახლეებისაგან განსხვავდება, ორიგინალურია. როგორც ეტყობა, ეს ნაგებობა არ ყოფილა განკუთვნილი საცხოვრებლად, მას უფრო სადღესასწაულო იერი აქვს[30]. ფეოდალს საცხოვრებელი სახლები აღმოსავლეთით, ქვედა ეზოში ჰქონდა .აქ კი ციხე-დარბაზის მისაღები, პარადული ნაწილი იქნებოდა.

[27] П. Закарая. Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли XVI—XVIII вв. მუზეუმის მოამბე. ტ XIX-A და XIX-B, 1957, გვ. 175

[28] ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წ. შედგენილ რუკაზე, მის მიერ სამ კატეგორიად დაყოფილ თავადებიდან („დიდებული“, „უმცირესი“ და „უუმცირესი“) აქ ცხოვრობს „უმცირესი თავადი“.

[29] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 79.

[30] სასახლის გეგმა მცირედ აღდგენილი სახით გვაქვს წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლე, როგორც ეტყობა, ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელთაგან ორი აივანია (სურ. 13). ორი დანარჩენიდან ერთი მცირე ზომის ოთახია, მეორე კი—დიდი დარბაზი.




სურ. 13. ნული. სასახლის გეგმა

სასახლის დიდი დარბაზი ორმოცდაათ კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. მას გადახურვა არ აქვს შერჩენილი, მაგრამ ეტყობა, რომ ამ დარბაზს კამაროვანი გადახურვა ჰქონია. (აქვე ვიძლევით დარბაზის აღდგენის პროექტს სურ. 14). კედლების ზედა ნაწილებში ასეთი გადახურვის მანიშნებელი ფრაგმენტებია შერჩენილი. კარგად ჩანს საბჯენი თაღებისა და კამარის საწყისები. ზოგან ისიც შეიმჩნევა, რომ კუთხეებში კამარა აფრისებურ მომრგვალებას აკეთებდა. თანაც საინტერესოა ის კონსტრუქციული დეტალის აღნიშვნა, რომ კამარის ქუსლიდანვე ოსტატი აგურებს სწორედ კი არ აწყობს, არამედ თევზიფხურად. კამარა დაყრდნობილი ყოფილა ჩრდილო-სამხრეთით გამავალ საბჯენ თაღებზე (იხ. დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტი სურ. 14). სახურავს კი კრამიტი ჰფარავდა (ნანგრევებში ბლომადაა კრამიტის ნამტვრევები).

დარბაზში შესასვლელი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ყოფილა. ამათგან მთავარი აღმოსავლეთისა იქნებოდა, რადგანაც აქეთკენაა გალავანში შესასვლელიც. ეს გასასვლელი თითქმის ოთხი მეტრის სიგანისაა, რაც გამოწვეული უნდა იყოს ნახევრად ღია აივანთან უშუალოდ დაკავშირების მიზნით. სასახლის ნანგრევებში კარგად არ ირკვევა შესასვლელის გადაწყვეტა, მაგრამ ყველა მონაცემებით დასავლეთის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. მის გვერდით კი ისეთივე ორიარუსიანი სარკმელი იქნებოდა, როგორიც სხვაგანაცაა. დასავლეთით მდებარე მცირე გასასვლელი დარბაზს აკავშირებდა პატარა ეზოსთან და ციხის ლონჟონთან.

დარბაზის სამი კედელია შერჩენილი; მეოთხე—სამხრეთის კედელი კი მთლიანად დანგრეულა. არსებული კედლები ოთხიოდე მეტრის სიმაღლეზეა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შერჩენილი. კედლები მთლიანად ნაგებია აგურით (ზომები: 22×22×4; 23×23×5 სმ). კედლებს 1,5 მეტრის სიმაღლეზე ხის სარტყლები შემოუყვებოდა (ტაბ. VII—VIII). ამ სწორკუთხა კვეთის მქონე ხის სარტყლებით შეკრულია კედლის თითოეული მონაკვეთი, რომელსაც ჰქონის კარ-სარკმლები. კედლებს ხის სარტყლები შემოუყვება აგრეთვე იატაკის დონეზეც. ხეების ჩაყოლება კედლებში სიმაგრის მისაცემად შუა საუკუნეების ნაგებობებში ხშირად გვხვდება. ეს კონსტრუქციული სარტყელი გარეთ კი არ იყო, როგორც ეს ამ ძეგლშია, არამედ კედლის შიგნით ჩამალულად. იგი ნალესობით იყო დაფარული. ნულის შემთხვევის ზუსტ ანალოგიას ვხვდებით ძალისას სასახლეში.

დარბაზის ინტერიერი საინტერესოდ ყოფილა გადაწყვეტილი. სისტემა ყველგან ერთია—კედლების დამუშავება პილასტრებით და მათი დამაკავშირებელი კედლების თაღები. მართალია, კედლების დამუშავების სისტემა ერთია, მაგრამ არქიტექტორი სიმეტრიას არ მისდევს. მაგალითად, ჩრდილოეთის კედელზე თაღები სიმეტრიულადაა განლაგებული, მაგრამ ფანჯრები ასიმეტრიულადაა მოთავსებული (ტაბ. VII). აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე კი არც თაღებია სიმეტრიულად განლაგებული და კარ-სარკმლებიც სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. სამხრეთის კედელი თაღების განლაგების მხრივ, ალბათ, მოპირდაპირეს იმეორებდა, მაგრამ სარკმლები კი მოსალოდნელია ოთი კი არა ოთხი ყოფილიყო. ჩვენს მიერ აქვე მოცემული რეკონსტრუქციის პროექტში ვუშვებთ, რომ სამხრეთის მხარეს ხუთი მალი იყო ოთხი პილონით (იხ. გეგმა).



სურ. 14. ნული. სასახლე. დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტი

შუა თაღი დანარჩენებზე განიერია და აქ უნდა ყოფილიყო კარი; ხოლო გვერდებზე მდებარე ორ-ორი სხვების მსგავსად ორიარუსიანი სარკმლები იქნებოდა.

როგორც ჩანს, დარბაზს ერთადერთი ბუხარი ჰქონია ჩრდილოეთით. იგი მოთავსებულია განიერ ცენტრალურ თაღში.

დარბაზის კედლის თაღებით შექმნილი ნიშები ორიარუსიანია. მეორე იარუსს ჰქონის ხის შემკრავი სარტყლები (ტაბ. VII და სურ. 14). თავის დროზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც კედლები შელებილი და შეიძლება მოხატულიც იყო მაშინ საშენ მასალათა სხვაობა შეუმჩნეველი დარჩებოდა.

სასახლის მცირე დარბაზი რვაგვერდაა. ოთხ მოპირდაპირე მხარეს კარ-ფანჯრებია განლაგებული, ოთხ დანარჩენში კი—ბუხარი და ნიშნები. ეს სადგომი თითო კარით უკავშირდება მომიჯნავე აივნებს, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით მაღალი ორიარუსიანი სარკმლები გადაჰყურებს ხეობას (აქ იატაკი მიწიდან ოთხ მეტრზე მაღლაა). ბუხარი სწორედ ამ ფანჯრებს შორის არის მოთავსებული.

ამ სათავსოს ნიშებიც ორიარუსიანია, მაგრამ ქვედა ნიში განიერი და ღრმაა, ზედა კი პატარა. ამ შემთხვევაშიც ქვედა იარუსის გადამხურავად ისევ ხის სარტყელია გამოყენებული.

გადახურვა ამ სადგომსაც არ შერჩენია, მაგრამ არსებული ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ გადახურვა წახნაგოვანი გუმბათით ყოფილა. (აქვე ვიძლევით დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტს .სურ. 15). კედლების შელესვის კვალი აქაც კარგად ჩანს .ნალესობა სქელია. არ არის გამორიცხული, რომ ნალესობაზე ორნამენტი ყოფილიყო გამოსახული, ისე როგორც ეს ხშირად გვხვდება XVII—XVIII სს. ნაგებობებში (მუხრანი, ქსანი, მარტყოფი და სხვა).



სურ. 15 ნული. სასახლე. ოთახის რეკონსტრუქციის პროექტი.

როგორც ადრევეც აღვნიშნეთ, სასახლეს ორი აივანი უნდა ჰქონოდა. ერთი მათგანი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში. იგი გარეთკენ ორივე მხარეს ღიაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აივანი დახურული უნდა ყოფილიყო. გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურვა დაეყრდნობოდა ხის სვეტებზე. აივნიდან კიბე ჩადის ძირს, რომლიდანაც გადავდივართ ეკლესიასა და სასახლეს შორის მდებარე კიბეზე, იქიდან კიეზოში და ა. შ.

სასახლის სამხრეთის მხარეზე დარბაზის მთელი ფრონტი ლოჯიას ჰქონია მოკავებული. გარეთ მხარეს, ალბათ, ხის სვეტებიანი მოაჯირი იქნებოდა (სურ. 16) ამ მაღლობიდან ხეობის საუკეთესო ხედი იშლება.

ეს ნაგებობა ნულის ანსამბლის სხვა ნაგებობებისაგან განსხვავდება გადაწყვეტის ლაკონიურობით, გეგმის კომპაქტურობით და რაც მთავარია მხატვრულობით.



სურ. 16. ნული. სასახლე. რეკონსტრუქციის პროექტი.

ნულის სასახლე ბევრ საერთოს პოულობს, როგორც ძალინას, ისე კოდისწყაროს სასახლესთან. ნაწილობრივი მსგავსება ჩანს აგრეთვე ყორნისის სასახლესთან. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული მსგავსება ძალინას სასახლესთან. ეს შეეხება უფრო მეტად ინტერიერების გადაწყვეტას, კარსარკმელების მოწყობას, კონსტრუქციებს და სხვ., აქედან გამომდინარე მისი დათარიღება ანალოგიებთან ერთად ხდება XVII საუკუნით.

## 6. კოდის-წყარო

მდ. ნარეკვავის ზემო ნაწილში, სოფ. მჭადისჯვრიდან დასავლეთით სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი კოდის-წყარო. ამ სოფლის ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს ნასოფლარი. ამ ნასოფლარის ნანგრევებში უკეთაა გადარჩენილი დიდი ზომის ოთხკუთხა კოშკი. მის სიახლოვეს მდგარი სასახლე მეტადაა დაზიანებული, ხოლო ნასოფლარზე აქა-იქ ნაგებობათა მხოლოდ ნაკვალევია.

ნანგრევების მიხედვით ირკვევა, რომ აქ საკმაოდ ძლიერი ფეოდალი ცხოვრობდა. კერძოდ, თუ ვინ ცხოვრობდა ამაზე არაფერს ამბობს ისტორიული წყაროები და არც—გადმოცემა. გვიანფეოდალური ხანის შიდა ქართლის დაყოფის მიხედვით კი ეს ტერიტორია მუხრანბატონებს ეკუთვნოდათ. ცხადია, აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით მუხრან-ბატონთა რეზიდენცია კი არ იყო, არამედ შესაძლოა იმავე გვარის სხვა წარმომადგენლის სამყოფი ყოფილიყო[31].

ანსამბლი მთლიანად მცირექანობიან ზედაპირზეა განლაგებული. დაქანება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა .სასახლე კი მთლიანად სამხრეთითაა ორიენტირებული.

სასახლე დიდი ზომის (სიგრძე 15 მ., სიგანე 8,5 მ) ორსართულიანი შენობა ყოფილა. სამწუხაროდ, იგი ისეა დანგრეული, რომ მეორე სართულის კი არა პირველი სართულის გეგმაც არ აღსდგა სრულად (სურ. 17).

სასახლის პირველ სართულში, რამდენადაც ნანგრევებში ამის გარკვევა ხერხდება, ექვსი თუ შვიდი სადგომი ყოფილა. სადგომები სხვადასხვა ზომისაა. სამხრეთის ნაწილში ოთხი სადგომია. შუაზე (№ 2) სხვებზე მოზრდილი დარბაზია, მის გვერდებზე კი თანატოლი დარბაზებია (№ 1 და 3). მათ გაგრძელებაზე აღმოსავლეთით ვიწრო და გრძელი დარბაზია (№ 4). თუმცა, დღეს ამის კვალი არ ჩანს, მაგრამ ლოგიკური იქნება, თუ ამ დარბაზის გაგრძელებაზე ჩრდილოეთით მცირე ზომის სადგომს წარმოვიდგენთ (№ 7). იმავე ჩრდილო ხაზზე შუაზე გრძელი, მოზრდილი დარბაზია (№ 6), ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში კი შედარებით მომცროა (№ 5).




სურ. 17. კოდის-წყარო. სასახლის გეგმა.

სადგომების კედლები ერთი სისტემითაა დამუშავებული. პილასტრებს შუა შეისრულთაღოვანი ნიშებია. ნიშებს თითქმის შუაზე ჰყოფს კოჭები, რომლებიც თავისთავად თაროების როლს შეასრულებდა. კედლის ნიშების ორიარუსიანობა გვხვდება ძალინაში და ნულში. ნიშები მცირე ათსანტიმეტრიანი შეღრმავები-

[31] ვახუშტი ბაგრატიონი თავისი „გეოგრაფიაში“ არ იხსენიებს კოდისწყაროს, ხოლო 1735 წ. შედგენილ რუკაზე მას დატანილი აქვს რომლის წინ დასმული პირობითი ნიშნის მიხედვით აქ ცხოვრობდა „უმცირესი თავადი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაა პილასტრებზე გამბჯენი თაღები გადადის. ამ თაღებზე კამარები იყო დაყრდნობილი (სურ. 18). კამარები ისე, როგორც კედლის თაღებიც ისრული ფორმისა უნდა ყოფილიყო. მე-6 დარბაზის გადახურავა განსხვავდება ზოგიერთისაგან ბოლოების გადაწყვეტით. აქ ორ-ორ უჯრედში კამარები საპირისპირო მიმართულებით ამოდის. აგურის წყობა კამარის მოხრას შესაფერისად მიჰყვება. ასეთი გადაწყვეტა გვხვდება XVII—XVIII სს. ნაგებობებში.

სადგომებში სხვადასხვა ზომის თითო ან ორ-ორი ბუხარია. თითო ბუხარია მე-5, მე-7 დ მე-4 სადგომებში. პირველ დარბაზში ერთი ბუხარი სამხრეთის კედელშია და ერთიც—აღმოსავლეთით. შესაძლოა, ასევე ყოფილიყო გადაწყვეტილი მე-3 დარბაზიც, მაგრამ იქ ამჟამად კედლების მეტი წილი მოშლილია და მხოლოდ სამხრეთითაა შერჩენილი. მე-6 გრძელი დარბაზის ჩრდილო კედელში ბოლოებისკენ თითო ბუხარი მდებარეობს .მე-2 დარბაზშიც ორი ბუხარია, მხოლოდ ისინი მდებარეობენ მოპირდაპირე კედლებში ერთ ხაზზე. ბუხრები ზომებით მცირედად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სადგომებში შესასვლელების საკითხი, ნაგებობის დაზიანების გამო, სისრულით არ ირკვევა. მთავარი შესასვლელი საფიქრებელია აღმოსავლეთით ყოფილიყო. მე-7 ოთახის კუთხეში დარჩენილია შესასვლელის ერთი მხარე. არსებული ფრაგმენტის მიხედვით თაღოვანი შესასვლელი გარედან სწორკუთხა ჩარჩოში ყოფილა ჩასმული. ასეთი გადაწყვეტა ჩვეულებრივია XVII—XVIII სს. ძეგლებისათვის. მე-5 ოთახს დასავლეთით ჰქონია შესასვლელი. ამ ოთახსა და მე-6 ოთახს კარი აერთებდა. იქვე კარის არეში ჩრდილოეთით სათადარიგო გასასავლელია. შესასვლელის ასეთ მოწყობას, ე. ი. როდესაც ერთი გასასვლელი მეორე გასასვლელის არეშია და თანაც კედლების გადაკვეთის კვანძში, ანალოგია არ გააჩნია.

სასახლის დანარჩენ სადგომებს გარედან კარები ჰქონდათ თუ არა არ ირკვევა. კერძოდ, 1-ლ დარბაზს სამხრეთის მხარეს ამჟამად ორი გასასვლელი აქვს, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რომ თავდაპირველად აქ კარები ყოფილიყო. არსებულ კედლებს ეტყობა, რომ ამ ღიადების კედლების შუაზე ხის სარტყელი შემოუყვებოდა. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აქ ორიარუსიან სარკმლებთან უნდა გვქონდეს საქმე (აქვე ნაჩვენებ ამ დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტზე სწორედ ასე გვაქვს აღდგენილი ეს მხარე). მაგალითად ძალინას სასახლის ჩრდილოეთის ორ ოთახში და შესაძლოა სამხრეთის ანალოგიურ ოთახებშიც (იქ დაზიანების გამო კარგად არ იკითხება) მსგავს გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე.. ზუსტად ასეთი მდგომარეობაა ძალინას იმ ოთახში, რომელიც უშუალოდ კოშკს უკავშირდება, ხოლო გვერდის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოთახის ორივე გარე კედელშიც ანალოგიური გადაწყვეტაა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ოთახს, რომლის ფართი 25 კვადრატიული მეტრია გარედან ოთხი შესასვლელი ჰქონოდა. შემდეგში ამ ოთხი შესასვლელიდან სამი სანახევროდ ამოშენებულია და ზემოდ ფანჯრებია დატოვებული. აქ, შესაძლოა, კონსტრუქციულ ხერხთან გვქონდეს საქმე და ამოშენება გვიან კი არ მომხდარიყოს, არამედ მაშინვე, მშენებლობის პროცესში.

კოდის-წყაროს მე-2 დარბაზს თითქოს ანალოგიური გადაწყვეტა უნდა ჰქონოდა. აქ გვერდითი კედლების გარეთ გამავალი ნაწილები ისეა დამუშავებული, რომ ან აქაც სარკმელები იყო, ან მთლიანად ღია იქნებოდა. ამ ბოლო ვარიანტის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს დარბაზის სიღრმე. ძნელი წარმოსადგენია ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოჯია, რომლის სიგანე, ე. ი. ფრონტი, სიღრმეზე ორჯერ ნაკლები იყოს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აქ ლოჯიას არსებობას თუ დავუშვებთ, მაშინ გამართლება უნდა მოვუძებნოთ შიგნითა იმ ორ ბუხარს, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ გვერდით კედლებში მდებარეობენ.




სურ. 18. კოდის-წყარო. განაკვეთი ჩრდილოეთით

სასახლის მე-3 დარბაზის კედლების დიდი ნაწილის დაზიანების გამო მის გადაწყვეტაში მეტი გაუგებრობაა. შერჩენილი სამხრეთ-დასავლეთის ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ კუთხეში ისევ კედლის მთელ სიმაღლეზე ორიარუსიანი სარკმელი უნდა ყოფილიყო. სამხრეთის კედლის შუაში ბუხარია. იქვე კედლის სიღრმეში ნახევარწრედ მოხაზული ნიშაა. დარჩენილია მისი ძირი და ორიოდე მეტრის სიმაღლეზე საკვამლეს მსგავსი კვადრატული ხვრელი. აქ თუ ბუხარს წარმოვიდგენთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ იგი მოწყობილი იყო ღრმა ნიშის შიგნით. ასეთი გადაწყვეტის ანალოგიები კი არ გაგვაჩნია. შესაძლოა აქ სულ სხვა გარემოებასთან გვქონდეს საქმე. ზოგჯერ გვიანი საუკუნეების ნაგებობებში ვხვდებით ხაროებს. ასეთია, მაგალითად აჩაბეთის ციხეში, არახვეთის ერთ-ერთ სახლში, რომელიც თავისთავად სიმაგრეს წარმოადგენს. ცოტათი განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ლორისთავში (ქვემო ქართლი, გუდარეხთან ახლოს). აქ მაღალ კოშკს მესამე სართულამდე მიდგმული აქვს კონტრფორსის მსგავსი მასა. მის შიგნით კონუსისებური სიცარიელეა: ზედა თავი იმდენად ვიწროა, რომ ქვემოდან რაიმეს ამოტანა გაძნელდებოდა. მისი დანიშნულების ზუსტად გარკვევა ძნელდება. ასევე ძნელია კოდისწყაროს სასახლეში კედლის შიგნით სიცარიელის დატოვების ახსნა.

პირველი დარბაზის დასავლეთის კედლის სამხრეთის ნაწილში ღრმა უბეა დატანებული. მას სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. იგი თავისებურ დიდ განჯინას უნდა წარმოადგენდეს. ამ დარბაზის ინტერიერის აღდგენის ცდა წარმოვადგინეთ აქვე (სურ. 19). საერთო გადაწყვეტით ასეთივე იქნებოდა სასახლის სხვა დარბაზებიც.

სასახლის მეორე სართულზე ასასვლელად ორი მუდმივი კიბე ყოფილა. ერთი მათგანი გარედან იყო მოწყობილი, ხოლო მეორე—შიგნიდან. პირველი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში შესასვლელით აღმოსავლეთიდან, მეორე კი—პირველი დარბაზის დასავლეთის კედელში ორივე კიბე მოთავსებულია სქელი კედლების სიღრმეში.

შენობა ძირითადად ნაგებია აგურით, რიყის ქვის გამოყენებით (ზომები: 23×23×4; 23×23X5 სმ.).

როგორც აღვნიშნეთ კოდისწყაროს მშენებლებზე არაფერი ვიცით. სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის თარიღზე მხოლოდ ანალოგიებით შეიძლება მსჯელობა. მისი ანალოგიები ისევ შიდა ქართლშია. ასეთებია: ძალინა, ნული და ყორნისი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალური გადაწყვეტა აქვს, მაინც ბევრი რამეა საერთო. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ კომპოზიციური ერთიანობა, ინტერიერისა და ექსტერიერის გადაწყვეტა, მასალა და სხვ. ყველა ეს მომენტი XVII საუკუნის არქიტექტურისათვისაა დამახასიათებელი.



სურ. 19. კოდის-წყარო. სასახლე. დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტი

7. ტბისი

ალგეთის ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს, სოფ. ტბისიდან დასავლეთით არის მოზრდილი ნასახლარი, რომელიც ე. თაყაიშვილის მიხედვით[31], ამლივია[32], ხოლო ჩვენ კი ადგილობრივ გვითხრეს, რომ ეს არის ძველი ტბისიო, ნასოფლარი ამლივი ეკლესიით ქვემოთკენააო. ბარათაშვილების ერთი შტოს — გოსტაბაშვილების რეზიდენცია ზედმიწევნით არ არის დადგენილი. შესაძლოა აქ იყო მათი რეზიდენცია.

ნასოფლარი საკმაოდ დიდია. აქ მაღალი მთის სამხრეთ კალთებზე დგას მოზრდილი ეკლესია ორმაგი გალავნით და სამრეკლოთი. ქვემოთ სამხრეთ დასავლეთით დგას კოშკი საცხოვრებელი შენობით. აქვე ახლოსაა გრძელი შენობის ნანგრევი. ამათ გარდა ირგვლივ სხვადასხვა ზომისა და ფორმის მრავალი ნაგებობის კვალი ჩანს. მათში გამოირჩევა სასახლის ტიპის ნაგებობა, რომელიც მასშტაბით მცირეა იგი შესაძლოა ერთ-ერთი სასახლეთაგანი იყოს და არა ერთადერთი.

---

32. Е. Такайшвили, Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. 1, Тифлис, 1904, გვ. 4—9.

33 იმავე აზრს იზიარებს გ. ჯამბურია თავის ნაშრომში: ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლეს გარე კონტური კვადრატულია (10,5×10,5 მ.). მისი ქვედა სართული ერთი დარბაზისა და ერთი აივნისაგან შედგება (სურ. 20). ასეთივე განლაგება ყოფილა მეორე სართულზედაც, მაგრამ იქ კედლების ქვედა ნაწილის მეტი არაფერია დარჩენილი.




სურ. 20. ტბისი. სასახლის გეგმა

სასახლის პირველი სართულის დარბაზი გეგმით გრძელი სწორკუთხედია. მის კედლებში განლაგებულია სხვადასხვა ზომის ნიშები. აღმოსავლეთით შუაზე ბუხარია მოთავსებული. სამხრეთის კედლის ცენტრში კარია აივნიდან შემოსასვლელი. აივნის მოკლე გვერდები კედლებითაა შემოფარგლული, წინიდან კი მთელი ფრონტი ღიაა. ასეთი ცალმხრივ ღია აივნები დამახასიათებელია ქართული საცხოვრებელი სახლებისათვის დაწყებული შორეული წარსულიდან, დამთავრებული უკანასკნელი საუკუნეებით. ტბისის სასახლის აივანს გვერდის კედლებში ნიშა აქვს დაყოლებული. დასავლეთის კუთხეში კი კარია. რადგანაც აივანი ერთი მხრივ ღია იყო, ამიტომ ამ კარის დატანება აუცილებელი არ იყო, მაგრამ მისი არსებობა მოძრაობას უფრო მარჯვეს ხდიდა.

სასახლე ნაგებია ფლეთილი ქვით, მაგრამ საკმაო გემოვნებით. შიდა კედლები კი შელესილი ყოფილა.

ამ სასახლის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო მომენტი, რომელიც სხვაგან არ გვქონდა,—ეს სასახლე არის დათარიღებული: იქვე მახლობლად მდგარი ეკლესიის დასავლეთის კედელზე არის 1683 წლის ვრცელი წარწერა, რომლის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი იკითხება ასე: „...ბარათაშვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გოშტაშაბის ძემან პაპუნამან, თანამეცხედრემა ხვარამზემ, შვილმან ჩვენმან გოშტაშაბ, ძეთა და ასულთა ჩემთა, რომელმან აღვაშენე საყდარი ესე და სამ-რეკლო საძვალედ ჩვენდა... და შევამკე პალატი(თ) და (სენაკი(თ)..."[34].

ამ წარწერაში ნახსენები პალატი უნდა იყოს ის ნაგებობა, რომელიც ჩვენ განვიხილეთ. იგი აუგია 1683 წ. პაპუნა ბარათაშვილს. ეს პიროვნება საკმაოდ ცნობილია XVII ს. მეორე ნახევარში. ის ხუთ მეფეს კეთილად ემსახურა და გოსშტაშაბიშვილების შტოს ყველაზე მეტი შესძინა, მაგრამ იგი დიდი ფეოდალი მაინც ა რ არის[35]. რაც კარგად ჩანს ,არა მარტო ისტორიულ წყაროებში, არამედ ტბისის ნაგებობების მასშტაბში. ამასთანავე ტბისის ნაგებობებში (ეკლესიაში, კოშკში, სხვადასხვა სახლებში) ჩანს ეპოქა მისთვის დამახასიათებელი სტილით.

## 8. საბუე

სოფ. საბუე მდებარეობს კახეთში მდ. ინწობას სამხრეთით. სოფლის ერთ-ერთ უბანში, უშუალოდ მდინარის ნაპირზე განლაგებული ყოფილა ჯორჯაძეების ციხე-დარბაზი. მას XIX ს. ფუნქციის დაკარგვის შემდეგ შესამჩნევი ცვლილებები განუცდია. ახალი პირობების შესაფერისად გადაუკეთებიათ სასახლეც, რის გამოც თავდაპირველი სახის დადგენა მთლიანად ვერ ხერხდება.

ციხე-დარბაზის აღმოსავლეთის მონაკვთის შუა ნაწილში სასახლე დგას. იგი სამსართულიანი ყოფილა.

სასახლე გეგმით გრძელი სწორკუთხედია (სურ. 21). მას სიგანეზე ვიწრო-ტალანი ჰყოფს. სასახლის ერთად-ერთი შესასვლელი ამ ტალანშია ჩრდილოეთიდან. ტალანიდან ორივე მხარეს დარბაზებში გასასვლელად კარებია მოწყობილი. დარბაზებიდან განსხვავებით ტალანი კამაროვანი გადახურვითაა. კამარის ბოლოში იწყება 40 სანტ. სიგანის და ერთი მეტრის სიგრძის მილი. ეს მილი ადის მესამე სართულის იატაკამდე, სადაც იგი მთავრდება კიბის უჯრედის ბოლოში.

სასახლის სამი სართულიდან პირველის გარე კედლები მთლიანად ყრუ ყოფილა (ერთი კარია მხოლოდ ტალანში). მეორე სართულის კედლებში კი ფანჯრებიცაა განლაგებული და სათოფეებიც. მესამე სართულის კედლებში კი მეტია სათოფეები. როგორც ეტყობა, პირველს სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონდა, მეორე უფრო საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, მესამე კი—დაცვისათვის.

სასახლის სამივე სართული ტალანითა და მის ზემოთ მდებარე კიბის უჯრედით ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. აქედან აღმოსავლეთით მდებარე ოთახის ფართობი 23 მეტრია, მეორე კი—28 მ.

პირველი სართულის ორივე ოთახი თითქმის ერთნაირადაა გადაწყვეტილი. გარე ვიწრო კედლებში ბუხრებია მოთავსებული. აღმოსავლეთის ოთახის ბუხრის გვერდებზე და სამხრეთით ღრმა და განიერი ნიშებია მოთავსებული. ასეთივე ნიშები ორ-ორია მეორე ოთახის გვერდით კედლებში (შემდეგში ეს ნიშები გაუნგრევიათ).

მეორე სართულის დარბაზებიც ქვედას მოხაზულობას იმეორებენ, მაგრამ გადაწყვეტა კი განსხვავდება ერთმანეთისაგან. დასავლეთის ოთახის ჩრდილო

---

[34] ე. თაყაიშვილი, მით. შრომა, გვ. 7; გ. ჯამბურია, მით. შრომა, გვ. 51.

[35] გ. ჯამბურია, დას. შრომა, გვ. 41—52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლის შუაზე ბუხარია. მის გვერდებზე და მოპირდაპირე მხარეს ორიარუსად სწორკუთხა სარკმლებია განლაგებული. მათი გადაკეთების გამო ფანჯრების თავდაპირველი ფორმები კარგად არ ირკვევა. ამჟერად ისინი ქვემოთ და ზემოთაც პარალელურგვერდებაა და ქვედა დიდია ზედაზე. შესაძლოა, აქ გადაკეთებასთან გვქონდეს საქმე და ქვედა რიგზე ფანჯრები კი არ ყოფილიყო, არამედ ნიშნები. ასეთი ნიშნები მოთავსებულია სამ კედელში გარდა ბუხრიანისა.




სურ. 21. საბუე. სასახლის გეგმა.

განსხვავებით ამ დრბაზთან, მეორე დარბაზში ბუხარი არ არის, ხოლო იქ თუ სათოფეები არ იყო—აქ ბლომადაა. ცალმაგი სათოფეები განლაგებულია სამივე გარე კედელში. თითო მოზრდილი ფანჯარა მდებარეობს აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. თითო ნიშაა ყველა კედელში, გარდა აღმოსავლეთისა. ნიშები სხვადახვა ზომისაა.

მესამე სართულის კედლებიდან დარჩენილია მხოლოდ სამხრეთისა, ისიც დაწყებული ტალანიდან ვიდრე დასავლეთის ბოლომდე. კედელში შერჩენილია სწორკუთხა მაღალი და განიერი ნიშები .მათ შუა განლაგებულია ცალმაგი და ორმაგი სათოფეები. როგორც ადრევეც აღვნიშნეთ, ქვედა სართულებზე უფრო მეტად ეს სართული უნდა ყოფილიყო თავდასაცავად განკუთვნილი. შენობა ნაგებია რიყის ქვით, კარებში აქა-იქ აგურის გამოყენებით (აგურის ზომები: 19×19×5, 20×20X5 სმ.).

საბუეს სასახლე ორიგინალური ნაგებობაა. მას უშუალო ანალოგია არ გააჩნია. გრძელი სწორკუთხა გეგმა ტალანით თითქმის თანაბრადაა გაყოფილი. სამივე სართულზე მარჯვენა და მარცხენა სათავსოები დანიშნულებით მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ხოლო სართულები ფუნქციებით უფრო გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავებული უნდა ყოფილიყო. ზუსტად ასეთი გადაწყვეტა, მართალია, სხვაგან არ გვხვდება, მაგრამ ზოგადად იგივე გადაწყვეტაა სხვა სასახლეებშიც.

სასახლეებში დიდი ფანჯრების მოწყობა არ არის იშვიათი. იგი ხშირად გვხვდება გვიანი საუკუნეების სასახლეებშიც, მაგრამ სათოფეები კი იშვიათად გვხვდება. ასეთის მაგალითს ვხედავთ წირქოლში და ნულში (ციხის ქვედა ნაწილში), ამ მაგალითებს განაპირობებდა საცხოვრებელი სახლის მოთავსება გალავნის განაპირას, ხოლო რაც შეეხება ციხეებში მდგარი კოშკური ტიპის სახლებს, მათთვის სათოფეები აუცილებელია, რის მაგალითებსაც ვხვდებით ბოჭორმაში, მანავში, ველისციხეში და სხვ.

საბუეს სასახლეს თარიღი არა აქვს. იგი და ციხე-დარბაზიც არსად არაა მოხსენებული. საერთო ნიშნებით ეს მცირე მასშტაბის სასახლე შეიძლება დათარიღდეს XVII ს. მეორე ნახევრით, ან მომდევნო საუკუნის დასაწყისით. ამ საერთო ნიშნებიდან უპირველს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გეგმის სიმკვეთრე, კომპოზიციის ლაკონურობა, მარტივი სათოფეები და სხვ.

## 9 ფორქალისი

ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ფარცხისის პირდაპირ მდებარეობს ნასოფლარი, რომელსაც ადგილობრივ ფორქალისს უწოდებენ. ასეთი სახელის მქონე სოფელი ძველ საბუთებში მოიხსენება[36]. როგორც ეტყობა ,აქ ბარათაშვილების ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი ცხოვრობდა.

ფეოდალის ნასახლარი მეტადაა დაზიანებული. ნანგრევებში ჩანს დიდი და პატარა შენობების ნაშთები. შედარებით უკეთაა შენახული მცირე ზომის ორი ეკლესია, რომელთაგან ერთი იქვე დგას აღმოსავლეთის მონაკვეთში, მეორე კი დასავლეთითაა ცოტათი მოშორებით.

ნასახლარში გამოირჩევა შედარებით მოზრდილი ნაგებობა, რომელიც ფეოდალის სასახლეს უნდა წარმოადგენდეს[37]. ეს ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა, მაგრამ ამჟამად ძალიანაა დაზიანებული და თანაც რაც არის ისიც თითქმის მიწითაა დაფარული. ეს გარემოება ხელს გვიშლის, რომ იგი მთლიანობაში წარმოვიდგინოთ. მას აქ ზოგად ხაზებში აღვწერთ და მოგვყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ორიგინალური გადაწყვეტა აქვს.

სასახლის პირველი სართული შედგება დარბაზისა და აივნისაგან (სურ. 22). გრძელი, სწორკუთხა დარბაზის ჩრდილო ნახევარი ორი შვერილი კედლით სამ მონაკვეთადაა გაყოფილი. დასავლეთის მონაკვეთში აივნიდან კარია. იქვე გვერდზე ბუხარია მოწყობილი. მოპირდაპირე სამხრეთის კედელში ღრმა ნიშებია ჩამწკრივებული, რომლებიც თავის დროზე, შესაძლოა, განჯინებს წარმოადგენდა. ასეთი განჯინები გვხვდება XVII ს. სასახლეებში ახალგორში (მეორე ანსამბლში), ნულში და სოფ. დარბაზშიც (ქვემო ქართლი).

მეორე სართული კი ერთი დარბაზისა და აივნისაგან შედგება (სურ. 22). დარბაზი ერთიანია და ქვედას მსგავსად შვერილებით არაა დაყოფილი. კედლები ქვედასთან შედარებით თხელია და ნიშები არ არის. კედლებს ზედა ნაწილი მორღვეული აქვთ და ფანჯრები არ ჩანს სამხრეთისა და დასავლეთის

---

36 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. I, წ. 1, 1920, გვ. 69—70.

37 აქ. მცხოვრები ფეოდალი, როგორც ეტყობა, მცირე თავადთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს. ფანჯრები არც აივნის მხარეს უნდა ყოფილიყო. ერთად-ერთი დასამ-ვები მხარეა აღმოსავლეთისა, რომლის კედლებიც არ შერჩენილა. პირველ სართულსაც აქეთ მხარეს უნდა ჰქონოდა ფანჯრები. დარბაზი კარით დაკავში-რებულია აივანს. კარის ორივე მხარეს აივანზე თითო ბუხარია მოთავსებული.



სურ. 22. ფორჩალისი. სასახლის გეგმა.

დარბაზის მცირე ნაწილს ჩვენ აივანი პირობით შევარქვით, რადგან სინამდვი-ლეში არ ვიცით თუ რას წარმოადგენდა. ზედა სართული თითქმის დანგრეუ-ლია, ხოლო ქვედა სრთული მიწითაა სავსე და არაფერი ჩანს. ფორმით და დიდ დარბაზთან შედრებით აივანს ჰგავს, მაგრამ ღია აივანს ბუხრები მაინცდა-მაინც არ სჭირდებოდა. თავისთავად კი ასეთი გრძელი და ვიწრო (13,0 X 2,6 მმ). დახურული სათავსო მეტად მოუხერხებელი იქნებოდა.

სასახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეებში ცილინდრული კოშკები ჰქონია მიდგმული. აქეთ მხარეს ფერდობია და ისე-დაც დარღვეული კოშკები თითქმის დაფარულია. მეორე ნაწილის მიხედვით ირკვევა, რომ კედლებში სათოფეები ყოფილა განლაგებული. კარები არ ჩანს. უნდა დავუშვათ, რომ ისინი მაღლა იქნებოდა განლაგებული და უშუალოდ დარბაზს დააკავშირებდა კოშკებთან.

როგორც ადრევეც აღვნიშნეთ, სასახლე ორიგინალურია გეგმით და კომპო-ზიციით რაც მთავარია, სხვადასხვა ფუნქციის ნაგებობებია დაკავშირებული ერთმანეთთან. ფაქტიურად ეს ნაგებობა სასახლეცაა და სიმაგრეც.. ფეოდალს, რომელიც აქ დასახლდა, ეტყობა, არ ჰქონდა იმდენი საშუალება, რომ ცალკე აეგო სიმაგრე და სასახლე და ამიტომ ისინი შეაერთა. ანსამბლს კაპიტალური გალავანიც არ ჰქონია. ყველაფერი ეს არა მარტო ფეოდალის ხელმოკლეობაზე მიუთითებს, არამედ — ეპოქის თავისებურებაზეც. მტერი ყოველთვის იყო მო-სალოდნელი და ამიტომ სიმაგრის გარეთ ცხოვრება შეუძლებელი იყო. ჩვენ სხვაგან ერთხელ აღგვინიშნავს, რომ XVII ს. ბოლო და განსაკუთრებით XVIII ს. მეტად მოუსვენარი ხანაა. მტრის მოლოდინში მუდამ მზად უნდა ყო-ფილიყვნენ და სიმაგრედ აქციეს ეკლესიები, სახლები და წისქვილებიც კი. ამ ხანაში უნდა იყოს აშენებული განსახილველი ნაგებობაც. მის შესახებ ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული წყაროები არაფერს ამბობენ, ხოლო ნანგრევების მიხედვით თარიღის უფრო დაზუსტება შეუძლებელი ხდება.

## დასკვნა

განხილული სასახლეები, როგორც ვნახეთ, დაზიანებულია და ამიტომ შეუძლებელი ხდება მათი პირვანდელი სახით წარმოდგენა. არ მოგვეპოვება უკეთ შერჩენილი შესადარებელი ნაგებობები და არც მათი პროექტები გადაურჩა მრავალ ნგრევა-ოხრებას. ისტორიულ წყაროებშიც, რამდენიმე შემთხვევის გარდა, თითქმის არაფერია მათზე ნათქვამი. ძეგლების უმრავლესობის თარიღებიც მიახლოებითია. ყველაფერი ეს ხელს გვიშლის მრავალი საკითხის განზოგადოებაში, მაგრამ ზოგიერთი საყურადღებო დასკვნის გამოტანა მაინც ხერხდება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სასახლეთა განლაგება. ამ შემთხვევაში ისინი არ ღალატობენ ძველ ტრადიციებს და ადგილები შერჩეულია ისე, რომ ყველგან საუკეთესო ხედი იშლება. გვიანი საუკუნეების სასახლეები არ არის წამოდგმული არც მთის მწვერვალებზე[38] და არც დაბლობში, ჩავარდნილ ადგილას. მეტ შემთხვევაში სასახლეებისათვის ირჩევენ მთის ფერდობებს, ან შემაღლებებს. დღესაც მნახველი ალტაცებაში მოჰყავს ძალისას სასახლის კოშკის ფანჩატურიდან გარემო ლანდშაფტს. ასეთივე მდგომარეობაა ნულში, ალვანის „ცხრაკარაში“, საბუეში და სხვ.

ამ მიმზიდველი ბუნების ალსაქმელად ხუროთმოძღვარი სპეციალურად ზრუნავს. თუ შენობა ორსართულიანია, მაშინ მეორე სართულის ფანჯრები განიერი და მაღლებია. ხოლო როდესაც სასახლე ერთსართულიანია, მაშინ მაღალი ფანჯრები აქვე ეწყობა.

სასახლეების სადარბაზო ნაწილებში მაღალი და განიერი ფანჯრების არსებობა ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნეების კახეთის სასახლეებისათვის შემჩნეული აქვს პროფ. გ. ჩუბინიშვილს. ამ საკითხს მკვლევარი ვრცლად ეხება და მას მიიჩნევს, როგორც იმ პერიოდის სასახლეებისათვის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტას[39].

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი გადაწყვეტა XVI—XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთის სასახლეებისთვისაცაა დამახასიათებელი. ფანჯრები, კარების მსგავსად იატაკიდან იწყება და თითქმის ჭერამდე აღწევს. მათ სიგანეც შესაფერისი აქვთ. ასეთი გადაწყვეტის კარგ მაგალითებს იძლევიან ალვანის „ცხრაკარა“, ახალგორი, ძალისა, ნული და კოდის-წყარო. ამ ფანჯრების გადამხური თაღები, როგორც ეს გავრცელებული იყო განსახილავ ეპოქაში, შეისრული ფორმისაა. ადრეულ საუკუნეებში კი ნალისებური ან ნახევარწრიული ფორმა ჰქონდათ.

VIII—IX საუკუნეების კახეთის სასახლეებისათვის გ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს მხოლოდ ორსართულიანობას. გვიან საუკუნეებში კი, განსხვავებით

---

[38] გვაქვს ისეთი მაგალითები, როდესაც ახალი სასახლეები დაკავშირებულია ძველ ციხეებთან, რომელთაც მთის მწვერვალები უჭირავთ. ასეთ შემთხვევაში ახალი სასახლეებიც იქვეა ჩაშენებული, მაგრამ ეს გამონაკლისია, მშენებლებს არჩევანი არ ჰქონდათ (ბოჭორმა, წირქოლი, მანავი და სხვ.).

[39] გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, 1923, გვ. 110, 113, 117 და სხვ.; მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 578.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველისაგან, მეტი მრავალფეროვნებაა. გვხვდება ერთი, ორი, სამი და მეტი სართულიანი სასახლეები. ჩვენ მიერ ზემოგანხილულ სასახლეებში ერთსართულიანებია: ძალინა, ყორნისი, ნული და ალვანის „ცხრაკარა". ორსართულიანი სასახლეებია: ახალგორი, კოდის-წყარო, ტბისი და ფორჩალისი. სამსართულიანი სასახლე კი მხოლოდ ერთია — საბუე. ასეთი სურათია აქ წარმოდგენილ ძეგლებში, მაგრამ საერთოდ ჩვენ მიერ აღრიცხულ ამ ეპოქის სასახლეებში მეტი წილი ორსართულიანია, ამიტომ გავრცელებულ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ ორსართულიანობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასახლე ერთსართულიანია დამხმარე, საცხოვრებელი და სადარბაზო სათავსოები ალბათ იქვე ეწყობოდა. უფრო კი მოსალოდნელია, რომ დამხმარე სათავსოები სასახლეს გარეთ იქნებოდა. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, რომ „ცხრაკარას" დიდი დარბაზი ასეთი დანიშნულების სათავსოებად ყოფილიყო დაყოფილი; იგი მხოლოდ სადარბაზო იყო.

სასახლე, როდესაც ორი ან მეტი სართულიანია, მაშინ სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები გაცილებით უკეთ ლაგდება. ასეთ ნაგებობებში პირველ სართულს ყოველთვის ეტყობა, რომ იგი დამხმარეა. საცხოვრებელი და სადარბაზო სათავსოები ჩვეულებრივად ზედა სართულებში ეწყობოდა. ასეთი გადაწყვეტის დროს მეორე სართული სიმაღლით ბევრად სჭარბობდა ქვედას.

იგივე მიზეზები განაპირობებდა ფასადების გაფორმებას, თუ კომპოზიციურ გადაწყვეტას. პირველი სართულის კედლებში კარებს გარდა, მხოლოდ რამდენიმე მცირე ზომის სარკმელი გვხვდება. მეორე სართულზე კი მაღალი და განიერი სარკმლებია ჩამწკრივებული. აქ სიმსუბუქე და ჰაეროვნება იგრძნობა.

ასეთი სიმსუბუქე და ჰაეროვნება იგრძნობა აგრეთვე ისეთ ერთსართულიან სასახლეებში, როგორიცაა ძალინა, ნული და „ცხრაკარა". მაგრამ მათში არ არის ის იმპოზანტობა, რომელიც ორსართულიან სასახლეებს ახლავს.

სასახლეების მასების კომპოზიციაზე როდესაც ვწერთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის სასახლეები, რომლებიც უშუალოდ კოშკებთანაა დაკავშირებული. განხილულებიდან ასეთებია ძალინა და ყორნისი, პირველში კოშკი და სასახლე ერთმანეთზეა მიდგმული და ერთ მთლიანს წარმოადგენს, ხოლო მეორეგან მათ კიბე აკავშირებს, რითაც არანაკლებად ორიგინალური კომპოზიცია იქმნება. ორივეგან კი დაბალ და გრძელ მასებს მაღალი ვერტიკალური აგვირგვინებს.

მსგავსი კომპოზიცია ყოფილა მძოვრეთშიც (XVII ს. ანსამბლი. ძამას ხეობა) მაგრამ იქ კოშკთან მთავარი სასახლე კი არ არის დაკავშირებული, არამედ სხვა საცხოვრებელი სახლი[40].

კოშკთან დაკავშირებულია, თუ მთლიანად კოშკოვანი კომპოზიციაა შექმნილი 1754 წ. აგებულ აბისის (ტრონეს ხეობა) ციხე-დარბაზში[41].

კოშკებთანაა დაკავშირებული აგრეთვე აქვე განხილული ფორჩალისის სასახლე, მაგრამ კომპოზიცია განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

---

[40] П. Закарая, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли XVI–XVIII вв. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, გვ. 236—238.

[41] პ. ზაქარაია, საამილახოროსა და ზემო ქართლის სადროშოს XVI—XVIII სს. ციხე-დარბაზები. აკადემიის მოამბე, ტ. XX, № 1, 1958, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასადების გადაწყვეტაზე, როდესაც საუბარია აქ იგულისხმება მასების შეხამება, ელემენტთა განლაგება და საერთო კომპოზიციური სახე. ხოლო რაც შეეხება დეკორს, შეიძლება ითქვას იგი სასახლეებში სულ არ არის. ის რაც იმ დროის საკულტო არქიტექტურას ახასიათებს საერო არქიტექტურაში არ გამოიყენება.

განსხვავებული მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ინტერიერში. ამჟამად ჩამოძარცულ კედლებზე არაფერი შეიმჩნევა, მაგრამ უნდა დავუშვათ, რომ შელესვის ზემოთ ზოგჯერ მაინც მხატვრობა იქნებოდა. ფრესკული მხატვრობის ნიმუში შერჩენილია დღევანდელ ახმეტაში (ისტორიულ უტოში) მეფის სახლთუხუცესი გრიგოლ ჩოლოყაშვილის მიერ 1755 წ. აგებულ ციხე-დარბაზის მთავარ კოშკში.

მხატვრობასთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ჩუქურთმის გამოყენება ინტერიერის ხის ნაწილებზე. ადრე საუკუნეებში ხეზე კვეთის ხელოვნება, რომ მაღალ დონეზე იდგა ამის არა ერთი მაგალითი ვიცით[42]. გვიან საუკუნეებში ხის დამუშავება ასეთ სიმაღლეზე არ იდგა, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული იყო[43]. ამ მხრივ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ნინოწმინდაში ეპისკოპოს ტუსისშვილის მიერ 1774—1777 წლებში აგებული სასახლე[44].

აქვე უნდა შევეხოთ გადახურვის საკითხსაც. რამდენიმე სართულიან შენობებში სართულშუა გადახურვა ჩვეულებრივ გვხვდება ხის, ჰორიზონტული. განსახილავ ნაგებობებიდან კი ძალისაში, ნულში, ყორნისში და კოდისწყაროში გამოყენებული იყო კამაროვანი გადახურვა. ამათგან პირველი სამი ერთსართულიანია, მეოთხე კი — ორსართულიანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოთხივე ეს სასახლე ნაგებია აგურით. კამარების ფორმები და ხერხები კი, როგორც ეს თავ-თავის ადგილას გვქონდა მოყვანილი ისეთივეა, როგორც ამას ვხვდებით იმავე ხანის ტაძრებში, სამრეკლოებში და ზოგიერთ კოშკში, რაც თავის-თავად სიმპტომატურია.

განხილული სასახლეების კედლების საშენ მასალად გამოყენებულია აგური, რიყისა და ფლეთილი ქვა. შემაკავშირებლად კი ყველგან კირის დუღაბია ნახმარი.

სასახლეების გეგმარების მხრივ არ არის ერთიანობა, განხილულ ძეგლებში ყველაზე მარტივი გეგმა აქვს ალვანის „ცხრაკარას". აქ არის დაუნაწევრებელი ერთი დიდი სწორკუთხედი. ფაქტიურად ასეთივე გადაწყვეტაა ახალგორშიც (შემდეგში იქ სასახლე უერთდება კუთხის კოშკს, რითაც მისი გეგმარება რთულდება). გრძელი სწორკუთხედია ყორნისის სასახლეც, მაგრამ იქ ჩრდილო მხარეს ერთი მცირე ოთახია გამოყოფილი.

მარტივია, მაგრამ ამავე დროს მოხდენილადაა გადაწყვეტილი ტბისის სასახლე. სწორკუთხა დარბაზს ერთ-ერთ გრძელ მხარეზე უერთდება გვერდებდახურული აივანი. ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ფორქალისის მეორე სართულზე (ნანგრევებში აივნის საკითხი კარგად ირკვევა).

---

42 Н. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1958, ტაბ 22—139.

43 იქვე. ტაბ. 1—20.

44 ლ. რჩეულიშვილი, საბა ტუსისშვილისეული სასახლე სოფ. ნინოწმინდაში, „ქართული ხელოვნება", 3, 1950, გვ. 237—247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიგინალური გადაწყვეტა აქვს ძალისას. აქ კოშკის ჩაუთვლელად ექვსი სათავსოა, რომლებიც ორივე ღერძზე სიმეტრიულად ლაგდება. სათავსოთა სიმრავლის მიუხედავად ყველაფერში სიმკვეთრე და სიცხადეა. ორ რიგზე ანფილადურად განლაგებული დარბაზები, რომლებიც მაღალი კამარებით იყო გადახურული, უდავოდ, კარგი სანახავი იქნებოდა.

განხილულ სასახლეებში ყველაზე რთულია კოდისწყარო. იგი შვიდი სათავსოსაგან შედგებოდა თანაც სათავსოები სულ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულებისაა, მიუხედავად ამისა, გეგმა მეტად კომპლექსური და ლაკონურია. მეტად სამწუხაროა, რომ ეს სასახლე დანგრეულია, თორემ მისი სახით ჩვენ გვექნებოდა გვიანფეოდალური ხანის საერო ხუროთმოძღვრების ნამდვილად ბრწყინვალე ნიმუში. იმ ეპოქის ფეოდალთა სასახლეებში ანალოგიური ნაგებობა, ან უკეთ რომ ვთქვათ ტოლფასოვანი ნაგებობა ამჟამად არ მოიპოვება.

ნულის სასახლე, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, საცხოვრებლად არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; მას საზეიმო იერი აქვს. აქ რვაგვერდა ოთახი თითქოს კულისებია, ხოლო თვით დარბაზი მისაღებია სადღესასწაულო შემთხვევებისათვის. ნულის ციხე-დარბაზის კერძო შემთხვევაში ასეთი სასახლის არსებობა დასაშვები და გამართლებულია, რადგან საცხოვრებლად განკუთვნილი სასახლე ციხის ქვედა ნაწილში მდებარეობდა. ამასთან, შედარებით პირველს ანსამბლში ცენტრალური ადგილი ეჭირა. იგი გადაჰყურებდა მთელ მიდამოს.

ანალოგიური შემთხვევა უნდა გვქონდეს ცხრაკარაშიც. ამ ვრცელ და ნათელ დარბაზს მხოლოდ საზეიმო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

სხვებისაგან განსხვავებული შემთხვევა გვაქვს საბუეში. სამსართულიანი სასახლე სიგრძეზე ორ სიმეტრიულ მონაკვეთადაა გაყოფილი. ისინი ერთმანეთისაგან ქვემოთ ტალანით და ზემოთ კიბის უჯრედით არიან გამოყოფილნი. მეორე სართულში კიბე გონივრულად არის ჩართული. აქ განხილული სასახლეების გეგმები და კომპოზიციები, როგორც ვნახეთ, მრავალფეროვნებით ხასიათდება. ისინი იქნება ერთი, თუ მრავალდარბაზიანი, ერთსართულიანი, თუ მრავალსართულიანი ყველგან ჩანს სიცხადე, ლოგიკურობა და ლაკონიურობა.

განხილულ სასახლეებში ლოჯია-აივნების საკითხი ყველგან ვერ არის მთლიანად გარკვეული. მაგალითად, ტბისის მცირე ზომის სასახლეს აივანი პირველ და მეორე სართულზე ერთმანეთის ზემოთ ჰქონდა. ეს აივნები ღიაა მხოლოდ ერთ მხარეს, კერძოდ სამხრეთისკენ. ფორქალისსაც აივანი ორივე სართულზე უნდა ჰქონოდა, მაგრამ კონკრეტულად თუ როგორ იყო გადაწყვეტილი არ ჩანს. ნულში და ძალისაში კი სხვა სურათი უნდა ყოფილიყო. ერთსართულიან ძალისის სასახლეში გრძელი ფრონტის მხარეს ღრმა და განიერი ლოჯია იყო. მას სულ სხვა იერი ექნებოდა ვიდრე, ვთქვათ, ტბისისა და ფორქალისის ვიწრო აივნებს, რომლებსაც ფასადების მთელი სიგანე ჰქონდათ მოკავებული. ნულის სასახლეს კი ორი აივანი უნდა ჰქონოდა. ერთი მათგანი მთავარი იყო და იგი გადაჰყურებდა სამხრეთით ხეობას. ეს ლოჯია, როგორც ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი მხრიდან იყო ღია. მეორე აივანს კი ჩრდილო-აღმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთის კუთხე ჰქონდა მოკავებული და იგი ორმხრივ ღია. პირველი მათგანი დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა, მეორე კი გარედან შემოსასვლელია და იგი დაკავშირებული იყო სასახლის ორივე ნაწილთან. თანაც, ეს აივანიც კარგი იქნებოდა დასასვენებლად საღამოს საათებში, მზის ჩასვლამდე.

მოყვანილ მაგალითებით და საერთოდ სხვა ნანგრევებშიც კარგად ჩანს, რომ საქართველოს, როგორც სამხრეთის ქვეყანას, აივანი ყოველთვის ესაჭიროებოდა და მას მრავალფეროვნად იყენებდა.



ალვანი „ცხრაკარა“, ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. I

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინგორი, სასახლე შიგნიდან.



ძალისა. ციხე-დარბაზი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. III

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძალინა. ციხე-დარბაზი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყორნისი. კოშკი აღმოსავლეთიდან.



ყორნისი. კოშკის ზედა ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი სასახლე შუენიან

ტაბ. VII

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნულ. სასახლე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ იოსელიანი

# რუსთველოლოგიურ ლიტერატურული აზროვნების ისტორიიდან

## (იონა ხელაშვილის თხზულების „სარკე სულიერი მემხოლოეთის“ ავტოგრაფის აღმოჩენის გამო)[1]

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის იონა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართული კულტურის მკვლევართა შორის ყოველთვის იწვევდა ცხოველ ინტერესს.

ხელაშვილის ლიტერატურულ-სამეცნიერო მემკვიდრეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სახელობითი სია ნაშრომებისა, რომელიც თვით ავტორის, — იონა ხელაშვილის მიერ უნდა იყოს შედგენილი. ხელაშვილის ლიტერატურული ნაშრომების სია დაცულია საქართველოს მუზეუმში (იხ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი № 279), საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში და ასეთივე სია დაცულია ლენინგრადშიაც.

დასახელებული სიების საფუძველზე ფიქრობენ, რომ მათში იონა ხელაშვილის ლიტერატურული და სამეცნიერო მემკვიდრეობა სრულყოფილად უნდა იყოს ასახული. სიაში დასახელებულია 41 თხზულება რომელთაგან რიგის მიხედვით 22-დ მითითებულია „სარკე სულიერი მემხოლოეთი“ (სიმოკლისათვის ჩვენ „მემხოლოეთა სარკეს ვუწოდებთ)[2], ი. ხელაშვილი ზოგჯერ „მემხოლოეთა წიგნსაც“ ხმარობს.

მართალია ზემოთ მითითებული სიების მიხედვით ჩვენ დანამდვილებით ვიცოდით, რომ იონა ხელაშვლი ავტორი იყო „მემხოლოეთა სარკესი“, მაგრამ თვით ამ ძეგლის შესახებ, მის შინაარსობრივ რაობაზე მკვლევარებს დღემდე წარმოდგენა არ ჰქონდათ. რაც აიხსნება იმით, რომ ამ ძეგლის არსებობაზე არავითარი ცნობა არ მოეპოვებოდათ, იგი მიუკვლეველი იყო და აღმოჩენის იმედებიც თითქოს ნაკლებ არსებობდა. ბუნებრივია, ეს გარემოება გავლენას ახდენდა და ქმნიდა საგრძნობ დაბრკოლებას იონა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული სიზუსტით შესწავლისათვის.

---

[1] მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საჯარო სხდომას 1949 წლის 11 მარტს.

[2] მთლიანი სახელწოდება ამ წიგნისა კი ასეთია: „წიგნსა ამას ეწოდების მემხოლოეთა სარკე სულიერი გინა ხელის-ხელ მძღოლი“ (იხ. თვით ძეგლი და აქვე წარმოდგენილი წინასიტყვაობის ტექსტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1947 წელს ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმის მხარეში სამეცნიერო მიზნებით მოგზაურობისას შესაძლებლობა მქონდა, სხვათა შორის, შემესწავლა ლეჩხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ლიტერატურული და მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლები. ამ კოლექციათა შესწავლისას ვიპოვეთ იონა ხელაშვილის დღემდე ფაქტიურად უცნობი თხზულების „მემხოლოეთა სარკეს" ხელნაწერი ტექსტი, დაწერილი თვით იონა ხელაშვილის მიერ. ხელნაწერი ცალკე წიგნადაა დაცული და წარმოადგენს ავტოგრაფს.

„მემხოლოეთა სარკეს" დასახელებული ხელნაწერი დაწერილია მხედრულად, მხოლოდ კიდურ ასოებად გამოყენებულია ასომთავრული. ხელნაწერის ზომა 5—8 სმ-ს უდრის და შეიცავს 219 გვერდს. ხელნაწერი დაწერილია შავი მელნით, „კიდური ასოები წითურით", ჩასმულია მუყაოს ყდაში და იკითხება გარკვევით. ხელნაწერის სათაური: „წიგნსა ამას ეწოდების მემხოლოეთა სარკე სულიერი გინა ხელის-ხელ მძღომი" — სხვა ხელითაჟ მიწერილი პირველი გვერდის ზედა არშიაზე.

ხელნაწერის ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იონა ხელაშვილის თხზულებათა სიაში დასახელებული „მემხოლოეთა სარკე" არ არის ორიგინალური ხასიათის ნაწარმოები, არამედ იგი გადმოკეთებული, გადმოქართულებული, გადმოთარგმნილია იონა ხელაშვილის მიერ რუსულიდან: „Зерцало духовное"-დან, რომელსაც გარდა იმისა, რომ წინ უძღვის იონა ხელაშვილის საკმაო და ვრცელი წინასიტყვაობა, ამასთანავე ტექსტში გზა და გზა შეტანილი იონა ხელაშვილის საკუთარი დაკვირვებანი და მაგალითები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან. მაგალითად, ხელნაწერის 83—84 გვერდებზე სხვათა შორის აღნიშნულია: „და დიდსა რუსეთსა და ეგრეთვე საქართველოის ათთორმეტნი ღვთიურნი მემხოლოენი და საკუთარნი წმინდანი მემხოლოენი მთა-წმინდასა შინა მთარგმნელი ახლისა და ძველისა აღთქმისა..," და სხვა. მაგალითების მოყვანას აქ ვერ გავაგრძელებთ, ძეგლში ისინი მრავლად მოიპოვებიან. ყველაფრით დასტურდება, რომ იონა ხელაშვილმა თარგმნა, გადმოაკეთა „Зерцало духовное" რუსულიდან ქართულად, იგი შეავსო ქართველი წმიდა მამების, ქართველ გამოჩენილ მეხხოლოენის, შესახებ არსებული სამაგალითო ცნობებით. მაგალითად, ათონელ ქართველ მამათა წარმომადგენლებით და სხვა.

რამდენადმე ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ იონა ხელაშვილი „მემხოლოეთა სარკეს" ასახელებს საკუთარ თხზულებათა საერთო სიაში, როგორც ორიგინალურს, თუმცა იონა ხელაშვილი „მემხოლოეთა სარკეს" წინასიტყვაობაში გარკვევით წერს, რომ მან აღნიშნულ ნაწარმოებს დაუწერა მხოლოდ წინასიტყვაობა: „რომელმან დავწერე წინასიტყვაობა მემხოლოეთა წიგნისა" (იხ. დანართი). იონა ხელაშვილი მის მიერ გადმოკეთებულ ამ ნაშრომის დასასრულს გვაუწყებს: „დავწერე წიგნი ესე დიდის პეტრეს ქალაქსა შინა წელსა 1835-სა იულისს 12-სა" აქვე შენდობას ითხოვს მკითხველთაგან, რომ ეს წიგნი „დავწერე უცებმან. უკე თუ შეცდომა იხილოთ, მომიტევეთ".

ამ საერთო შენიშვნების შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევჩერდეთ თვით ძეგლის რაობაზე და რამდენადმე, მის მოკლე შინაარსზეც.

„მემხოლოეთა სარკე" გარკვეული მსოფლმხედველობის ერთი მთლიანი დასრულებული გამოკვლევაა. ძეგლიდან გარკვევით ჩანს ავტორის კლერიკალური მსოფლმხედველობა, იგი ამასთანავე აქტიური მებრძოლია საერო მწერლობის წინააღმდეგ და ეწევა უკანასკნელთა ულმობელ განქიქებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, რატომ ეწოდება ამ თხზულებას „მემხოლოეთა სარკე“, ან რა შინაარსი გაატარა ავტორმა ამ ცნებაში? „მემხოლოე“ ძველი ქართული სიტყვაა და გამოხატავს ბერ-მონაზნურ ცხოვრებას, განდეგილის, მარტოდ (მხოლოდ) მყოფელი წმინდა მამის, მეუდაბნოეს ცხოვრებას.

სიტყვა „მემხოლოე“ წარმოქმნილია. მისი ძირია ხ ო ლ, აქედან ხოლ-ო ან მ-ხოლ-ო-საგან განმარტებით მ ა რ ტ ო. ამ მნიშვნელობით დაუმოწმებია საბას ეს სიტყვა გამოსვლათა წიგნიდან, რომელშიაც, მართლაც, გვაქვს ასეთი ადგილი: „ნუუკუე იგი ხ ო ლ ო შევიდა მარტო“ (გამოსვლ., ა. შანიძის გამოც., თბ., 1947, 21, 3). მხოლოდან წარმოქმნილია: მხოლოება, გამხოლოება, მხოლოებითი (რუს. единый, одинокий, единственный, уединение). თვით სიტყვა მემხოლოვე, ჩუბინაშვილის სამართლიანი განმარტებით, ნიშნავს: განმხოლოებულს, განმარტოებულს, განცალკევებულს, განდეგილს ან მეუდაბნოეს (რუს. „отшельник уединенный“). დ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვს ანტონ კათალიკოსის ნაშრომიდან: „მარტრიკა ცხოვრება წმინდათა ქართველთა მოწამეთა“ 2,43,1,287, 1,193). ჩანს, სიტყვა პოპულარული ყოფილა იმ ხანად. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, წიგნი მემხოლოეთა ნიშნავს: წიგნი განმარტოებულთა, განცალკევებულთა, განდეგილთა, მეუდაბნოეთა, მწირთა, იქნებ ბერთა.

იონა ხელაშვილი მემხოლოეთა სურათის (სარკის) წარმოსახვით როდი კმაყოფილდება; იგი ამ თხზულებას მებრძოლ ხასიათს აძლევს და განიხილავს სასულიერო და საერო ლიტერატურულ მიმდინარეობათა ბრძოლას მაშინდელი თვალსაზრისით.

„მემხოლოეთა სარკის“ წინასიტყვაობაში (რომლის ტექსტი თან ერთვის წინამდებარე წერილს) იონა ხელაშვილი ანგარიშს ასწორებს ბერძნულ, ირანულ და ქართული საერო მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებთან.

ებრძვის რა იონა ხუცეს-მონაზონი საერო მწერლობას ესოდენ ფართო მასშტაბით, კერძოდ, შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გვაუწყებს: „რ უ ს თ ჳ ე ლ ი გ მ ი რ თ ა ს ა ჰ ს წ ე რ ს, რ ო მ ე ლ ი დ ასასრულ ზღაპრად უწოდებს თვით [illegible] დამთხზული“ (ხაზგასმა ჩვენია ა. ი.).

იონა ხუცეს-მონაზონი სიბრძნის დასაბამად საღვთო წიგნს მიიჩნევს. რადგან მხოლოდ ამ წიგნთა წყალობით „ეძიებს ადამიანისაგან დაკარგულსა სამოთხესა“ მორწმუნენი კაცობრიობისთვისო.

იონას დიდად აფიქრებს ის ფაქტი, რომ მკითხველთა სიმპათიები უკანასკნელად საერო წიგნებმა და მწერლებმა მიიპყრეს. და საერო მწერლებიც შეუდარებლად გამრავლდნენ. იგი წერს: „აჰა ჰსწერენ ერისა კაცნი რავდენიცა არიან განვაჭრებულნი საწიგნესთა შინა ნდებარენი კნინლა და ურიცხვნი, რომელნი მიუთხრობენ ჴორციელთაგან დაწერასა თჳსსა...“

ხორციელ, ერისკაცული ზრახვა-მისწრაფებების ამსახველი საერო მწერლობა, გასული საუკუნის 30-იან წლებში ბუნებრივია აძევებს და დევნის სასულიერო წიგნებს. ეს ფაქტი აწუხებს იონას და მოწოდებით მიმართავს სასულიერო მწერლობის წარმომადგენლთ; „ესე რა უკეთუ ერისკაცნი ამრავლებენ წიგნთა რაოდენ, ჩვენ სულიერთა თანა გვაძს განმრავლება“, ანდა „სულიერი წიგნთა განმრავლება საჭიროდ არს“. — იმეორებს კატეგორიულად იგი, რადგან საერო წიგნები ჰმრავლდებიან მრავალთა მწერალთაგან, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა წიგნებს შინა კნინლა და ერთიცა ლექსი არ იპოვების ახალი-სა ალთქმისა" (იხ. წინასიტყვაობა.). გრძნობს რა ესოდენ სავალალო და შეუწყნარებელ მდგომარეობას სასულიერო მწერლობის დარგში. ავტორი მიზნად ისახავს „მეცნიერულად" დაასაბუთოს სასულიერო მწერლობის, ანუ „მემხოლოეთა" მოღვაწეობის, კაცობრიობის ამ მხსნელ წიგნთა, უპირატესობანი კაცობრიობის წარმწყმენდ საერო, ხორციელ მწერლობასთან დაპირისპირებით. ამავე დროს თავგამოდებით იცავს მემხოლოეს საერო მწერლობისა და მის მიმდევართა თავდასხმისაგან: „რომელნიმე იტყვიან, მემხოლოენი უნაყოფონი არიანო და უქმად მჭამელ პურისა" (იხ. ხელნაწერი, გვ. 81). ამის საწინააღმდეგოდ იონა გვაუწყებს: „მემხოლოეთაგან დაიწერნენ კანონნი (Siç) სჯულისა. ნათესაობისა და მონათლულთა და მომნათვლელთა, აგრეთვე ლოცვისა და მარხვათა კანონნი და ეკლესიისა ტიბიკონნი. ...მემხოლოეთა, წმინდათა მამათა, დასწერეს და შვიდთა მსოფლიო მამათა დაამტკიცეს" (უპასუხებს ავტორი, იხ. ხელნაწ., გვ. 84—85).

მემხოლოენი ამოებისაგან განმდგარნი, ხალხისა და მათი ცხოვრების, ხალხთა ბედნიერების მოტანისათვის იღწვიან. იონა წერს: — „მემხოლოენი არღარა არიან სოფლისაგანნი, რომელთა არა უვის მეუღლე პირქვე და სიმამრი და სიდედრი და მხარენი მეუღლეთანი, მეორედ არა უსხედან ძენი და ასულნი თვისნი და სძალნი. მესამე არა თვის სიძენი და ქვისლნი" (იხ. გვ. 129—130). ამრიგად, მემხოლოენი არა ჩვეულებრივ სასულიერო მოღვაწეებად არიან წარმოდგენილნი, არამედ უმეტესად დაყუდებული ასკეტის სახეს მოგვაგონებენ.

იონა ხუცეს-მინაზონი ახასიათებს რა მემხოლოეთა პიროვნებას და ფუნქციებს, მაგალითისათვის მიუთითებს ათონის ივერიის მონასტრის გამოჩენილ მოღვაწეებზე. იგი წერს: „დიდსა რუსეთსა და აგრეთვე საქართველოს ათორმეტნი ღვთიურნი მემხოლოენი და საკუთარნი წმინდანი მემხოლოენი მთაწმინდასა შინა მთარგმნელნი ახლისა და ძველისა ალთქმისა. აჰა შეინახე განმკითხველნო მემხოლოეთა, რათა არა გეწიოსთ მეორე სიკვდილი" (იხ. გვ. 83—84),

ავტორის განმარტებით ირკვევა, „მემხოლოენი" მარტო ქრისტიანული სამღვთო მწერლობისა და კულტის მსახურნი კი არ არიან, არამედ საერთოდ კულტისა და სასულიერო მწერლობისათვის გამოჩენილი და თანმიმდევარი მსახურნიც. იმის განურჩევად ისინი ემსახურებიან ქრისტიანობას, მაჰმადიანობას, ბუდიზმს თუ სხვას. იონა ხუცეს-მონაზონი ამის შესახებ წერს: „ესერა მემხოლოენი ქვიშათა ზედა დაწერილთა წიგნაკებთა ებრაელთა ტალმუდთა, ისმაიტელ-სარკინოებათა ყურანსა, ინდოეთა ბრამანთა წიგნაკთა, თება დალაილამა წიგნაკთა, კიტაიულთა წიგნაკებთა..." (იხ. გვ. 85—86).

იონა ხუცეს-მონაზონის დასკვნით — „მემხოლოენი მსხვერპლნი არიან მამულისა, სარწმუნოებისა და სჯულისა შეგინებისათვის, უკეთუ ცოდვისა ძლით დაიპყრას უსახურმან მძლავრობითა, მემხოლოენი განამტკიცებენ ერსა ქადაგებითა" (იხ. გვ. 200). მაგ. იოანეს აზრით „სომეხნი განზეულნი იმწყესებიან მემხოლოეთაგან, დამცველნი ქრისტინობისა" (იხ. გვ. 70—71).

იონა ხუცეს-მონაზონის აზრით ასეთია პატრიოტული ფუნქციები, რომელსაც მემხოლოენი თავისი ერის წინაშე ასრულებენ.

ძეგლის 150 გვ. — 6 ვიდრე 196 — გვ-მდე, საგანგებოდაა მსჯელობა ლუთერის მოძღვრების ძირითად დებულებებზე და კითხვა-მიგებით წარმოდგენილია ამ მოძღვრების ძირითადი სტრუქტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია მოკლედ იონა ხუცეს-მონაზონის მიერ გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილი ნაწარმოების „შემხოლოეთა სარკეს“ შინაარსობრივი აღნაგობა.

ჩვენი აზრით, ძეგლი, საერთოდ, და მისდამი წამძღვარებული წინასიტყვაობა, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი შეიძლება იყოს ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, რამდენადაც მასში ჩამოყალიბებულია ზუსტად და ფართო ერუდიციით „შემხოლოეთა“ ცხოვრება და მათი მწერლობის დაპირისპირება საერო მწერლობასთან.

რასაკვირველია, ეს მოტივი ქართულ მწერლობაში არაა ახალი, იგი ძველია. მისი დასაწყისი შორეულ წარსულშია, მაგრამ ირკვევა, რომ ანალოგიურ მდგომარეობას, სავსებით ორიგინალურ ფორმებში, ადგილი კიდევ ჰქონია მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და ისიც პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის, რომელთაც ვოლტერინულად განწყობილი, ახალი ევროპული, პროგრესული ფრანგ-განმათავისუფლებელთა იდეებით გატაცებული მეცნიერი ბატონიშვილები იოანე, დავითი, თეიმურაზი და სხვანი ედგნენ სათავეში.

ცნობილია, რომ მაშინდელ პეტერბურგელ ქართველ მეცნიერებს უშუალო კავშირი ჰქონდათ რუს და ევროპელ მოწინავე მეცნიერებთან. ამ მხრივ საყურადღებოა აკად. მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილის სამეცნიერო ურთიერთობანი (იხ. საქ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული აკად. მარი ბროსეს არქივი).

ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიის მთელ რიგ ძირითად დარგებს როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ენის მეცნიერულად შესწავლის საქმეს.

პეტერბურგის დასახელებულმა სამეცნიერო წრემ მოახერხა და მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოსთან და ამდენად სამეცნიერო საქმიანობაში ჩააბა დაინტერესებული ადგილობრივი მკვლევართა დიდ ნაწილი. დღისწესრიგში დაისვა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და სხვ.

ირკვევა, რომ ყოველივე ეს ზეაღმავალი, სამეცნიერო ეროვნული წამოწყებანი არ შეუწყნარებია და ბრძოლა გმოუცხადებია პეტერბურგში მცხოვრებ მხცოვან მოღვაწეს იონა ხუცეს-მონაზონს. სასულიერო მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი იონე კვლავინდებური სიმკაცრით, კლერიკალური გესლით აგრძელებს ბრძოლას საერო მწერლობის კერძოდ, რუსთველის გენიის წინააღმდეგ. კიდევ მეტი, იონა ხუცეს-მონაზონი ამ დროს, როგორც თხზულების წინასიტყვაობიდან დავრწმუნდით, „ამტკიცებს“ სასულიერო მწერლობის, როგორც კაცობრიობის მხსნელის, დაკარგული სამოთხის დამბრუნებელი მწერლობის უპირატესობას საერო მწერლობასთან შედარებით იოანე ხელაშვილი ანდერძში გვაუწყებს: „მოიხსენეთ მკითხველთა წიგნისა ამის, რომელი დავსწერე უცებმან უკეთუ რაჲმე შეცდომა იხილოთ მომიტევეთ იონა ხუცესსა მონაზონსა, რომელი ვესავ ლოცვითა თქვენთა წმინდანო მამანო საუკუნოდ ცხოვრებად ჩემდა, დავსწერე წიგნი ესე დიდის პეტრეს ქალაქსა შინა. წელსა 1835-სა იულისს 12-სა“.

* * *

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ იონა ხელაშვილის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის საფუძვლების ზოგიერთ საკითხზე ძეგლის — „შემხოლოეთა სარკესთან“ მიმართებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები თითქოს შესწავლილია ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართა მიერ, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ აუხსნელია და ბურუსით მოცული რჩება.

იონა ხელაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თავისი ღრმა კვალი დააჩნია ეპოქამ, საქართველოს უაღრესად მღელვარე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელშიც იგი მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იმყოფებოდა.

ნაადრევად დაობლებულ იონას ბედმა არგუნა მეფე ერეკლეს მზრუნველი ხელით სამეფო სასახლესა და საქართველოს მაშინდელ საგანმანათლებლო უმნიშვნელოვანეს ცენტრებში იმ დროის კვალობაზე საფუძვლიანი განათლება მიეღო — ბოდბეში, აქედან თელავისა და თბილისის სახელგანთქმულ სემინარიაში. ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ბერმონაზნულ ცხოვრებასთან ერთად ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა მაშინდელი საქართველოს სახელმოხვეჭილ ლავრა-მონასტრებში. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა იონას ასეთი ცხოვრება; მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს უფლისწულთა და მსხვილ ფეოდალთა შინაფეოდალური ქიშპისა, უცხო დამპყრობთა ამაოხრებელი შემოსევებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მძაფრად გაუარესების შედეგად ქვეითდება და ეცემა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება, რაც მისი დამოუკიდებლობის არსებობის მოსპობით დამთავრდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან ახალი ხანა დაიწყო იონა ხელაშვილის ცხოვრებაში. იგი ქართველ ბატონიშვილებთან ერთად რუსეთში გადასახლდა და სრულიად ახალ გარემოცვაში, პეტერბურგში, ბატონიშვილებისავე დახმარებით გააღრმავა თავისი ცოდნა ღვთისმეტყველების, რიტორიკის, ღრამატიკისა და ლოღიკის მეცნიერებათა დარგებში. 1809 წელს იონა ხელაშვილი იმპერატორ ალექსანდრე 1-თან დავით ბატონიშვილის შუამდგომლობით ალექსანდრე ნეველის სახ. აკადემიაში ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში იქნა მიღებული. აკადემიის სკოლური გავლენა აშკარად ეტყობა იონეს თხზულებას „ღვთისმეტყველება სამნაწევდი“, რომელიც აკად. კ. კეკელიძის შენიშვნით, პროფესორთა ლექციების მიხედვითაა შედგენილი[3].

იამბიკო, რომელიც ქართველ ბატონიშვილებს მიუძღვნიათ იოანესათვის (იხ. კეკელიძე, გვ. 371, წ, კ. ფონდის ხელნაწ. № 279) ასახავს იოანეს კლერიკალურ კონცეფციას. აი ერთი ადგილიც:

„იონა ბერსა, მონაზონთა გჳრგჳნსა,
ახალ რიტორსა, ღვთისმეტყველების ჭურსა,
წიგნთა ხელმხებსა, ქადაგების ავჳსონსა
და ყოფაქცევით ძველმამათა შენადარსა
მონაზონების კანონთა სრულ დამცველსა“.

ამ იამბიკოში მოცემულია იონას მსოფლმხედველობის კრედო, რომელიც სავსებით ასახულია „მემხოლოეთა სარკეში“, როგორც მებრძოლ კლერიკალის შეხედულება.

იონა მარტო ქართული ნიადაგის ამსახველი როდია თავისი დრომოჭმულ

---

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლერიკალურ შეხედულებაში, არამედ უმეტესად რუსულისა, რადგან იგი რუსულ სკოლაზეა აღზრდილი და დავაჟკაცებული.

ვინაიდან დღემდე იონა ხელაშვილის „მემხოლოეთა სარკე“ მიუკვლეველი და გამოუყენებელი იყო, ამიტომ მიიპყრო მან ჩვენი ყურადღება. მით უმეტეს რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მას არ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა არ გააჩნდეს, თუ გნებავთ როგორც უკანასკნელ აკორდს, სასულიერო ქართული მწერლობის გალაშქრების ყველაზე უფრო სერიოზულ მაგალითს საერო მწერლობისა და კერძოდ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ.

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ უკვე 1835 წელს ესოდენ მოგვიანებით, როცა „მემხოლოეთა სარკე“ დაიწერა, მხცოვანი იონა ხელაშვილი ანგარიშმიუცემლად იცავს სასულიერო მწერლობას საერო მწერლობის უპირატესი გავლენისაგან. იონა აღშფოთებულია იმით. რომ საერო მწერლობა ხალხში უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს და ყოველნაირად ცდილობს „დაასაბუთოს“ სასულიერო მწერლობის უპირატესობა საეროსთან შედარებით. ამდენად მწერლობის აღორძინების პერიოდში „მემხოლოეთა სარკეს“ დიდად განსწავლილი ავტორი, იონა ხელაშვილი, თანამედროვეობისაგან მეტისმეტად ჩამორჩენილ, საკმაოდ დრომოჭმულ. უკვე რეაქციულ მოვლენად ქცეულ, ხუცური კონცეფციის თავდადებულ ქადაგად გვევლინება.

ცნობილია, რომ პეტერბურგის ქართული სკოლა, რომელსაც მეცნიერი ბატონიშვილები ედგნენ სათავეში თეიმურაზ ბაგრატიონის მეთაურობით, სრულიად საწინააღმდეგო კონცეფციით ხელმძღვანელობდა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ახლო თანამშრომლობით (რომლის საპატიო წევრადაც თეიმურაზი იქნა არჩეული) ქართველოგიის ძირითადი დარგები: ისტორია, ენათმეცნიერება, ლიტერატურის ისტორია და სხვა, უკვე კვლევის ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული პრინციპით ისწავლებოდა. ამ მუშაობაში თეიმურაზ ბატონიშვილმა უდიდესი დახმარება გაუწია ფრანგ მეცნიერს მარი ბროსეს (რომელიც თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა თავს), რასაც, ცნობილია, თუ რამდენ დიდი შედეგი მოჰყვა.

იონა ხელაშვილს თითქოს მაინც უნდა განეცადა ამ სკოლის გავლენა, რამდენადაც იგი ქართველ ბატონიშვილებთან განუყრელად იყო დაკავშირებული, მაგრამ „მემხოლოეთა სარკედან“ ყველაზე უფრო მკვეთრად ჩანს, რომ იგი სრულიად სხვა შეხედულებასა და სხვა ლიტერატურულ შემოქმედებით გზას ადგა. ამასთანავე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იონას პეტერბურგში თავისი მიმდევრებიც ჰყავდა, ასე, რომ იონა მარტო არ უნდა ყოფილიყო მაშინ.

მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, იონა ხელაშვილთან ახალთაობიდან ზედმიწევნით დაახლოებული ყოფილა ს. დოდაშვილი. იონა ხელაშვილი ყოფილა მაღალ-პატრიოტული გრძნობების მძლედ შთამაგონებელი, ასევე მატერიალურად ხელშემწყობი და სულიერი მოძღვარი პეტერბურგში მცხოვრებ სწავლამოწყურებულ დიდად ნიჭიერ ჭაბუკ დოდაშვილისა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობითვე, იონა ხელაშვილმა დოდაშვილს დიდი თანხა გადასცა და დაავალა: „უნივერსიტეტში სწავლის შესრულების შემდეგ დაბრუნდი შენს სამშობლოში, შენს საქართველოში. იქ შენ უნდა გახსნა ქართული სტამბა, გამოსცე ქართული გაზეთ-ჟურნალი, გახსნა თბილისში სასწავლებელი სკოლა, ასევე სიღნაღში. ეცადე, რომ იქ ინგილოებში ქართული სწავლა შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანოთ და ისინი როგორმე თავის ცნობიერებაზე მოვიდნენ. შეიგნონ მათ, რომ იგინი ქართველები არიან“ და სხვა.

მართლაც, ჭიჭინაძისავე ცნობით, „სოლომონი მალე დაბრუნდა საქართველოში, დასახლდა თბილისში, აქ ადგენს იმ დროის ქართველებში სხვადასხვა საამხანაგო წრეებს, იწყებს ქადაგებას და ცდას იმის შესახებ, რომ ქართველი ერი როგორმე გამოაფხიზლოს და მამულიშვილობით აღაფრთოვანოს“[4].

ამრიგად, პეტერბურგში მცხოვრები იონა ხელაშვილი ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სოლომონ დოდაშვილთან და როდესაც უკანასკნელი საქართველოში მოდიოდა, საგანგებო დავალებებს აძლევდა მას ერისა და ქვეყნის სამსახურისათვის. ეს გარემოებანი რასაკვირველია ოდნავადაც არ ასაბუთებს იონას და დოდაშვილის მსოფლმხედველობის რაიმე სიახლოვეს

1832 წ. შეთქმულთა საქმეების გამოძიებისას, კერძოდ ს. დოდაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ჩანს ეჭვი აიღეს იონა ხელაშვილზედაც, როგორც სოლომონ დოდაშვილის უახლოეს მოძღვარ-მზრუნველსა და დიდად დაახლოვებულ პირზე. ამით შეიძლება აიხსნას განმარტება, რომელსაც დოდაშვილი იძლევა გამოძიებისას ხელაშვილისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ; დოდაშვილი, სხვათაშორის, უჩვენებს: „ბერ-მონაზონი იონა ხელაევს და წინამძღვარ ტარასის ჩემთან არასდროს არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო საუბარი არა ჰქონიათ, მე მათგან არაფერი გამიგონია“[5].

თავისთავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არ არსებობდა პეტერბურგის ქართველ მეცნიერთა კოლონის ერთიანი სკოლა და ერთიანი მიმდინარეობა. შინაგანი ბრძოლა და აზრთა ჭიდილი უცხოეთშიაც უნდა გაგრძელებულიყო.

იონა ხელაშვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის რუსთველის წინააღმდეგ „მომაკვდინებელ“ ბრძოლას აწარმოებდა, სწორედ ამ დროს თეიმურაზ ბატონიშვილი, აკადემიკოსი მარი ბროსე და ფალავანდიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენაზე გაცხოველებით მუშაობდნენ და უკვდავი პოემის აკადემიურ სტამბურ გამოცემას ამზადებდნენ, რაც მალე კიდეც განახორციელას (1841 წ.)[6]

ასეთია რამდენიმე შენიშვნა შემოკლებით, რომელიც წამოიჭრა იონა ხელაშვილის „მემხოლოეთა სარკის“ განხილვასთან დაკავშირებით.

„მემხოლოეთა სარკეს“ დაწერის შემდეგ იონას დიდხანს აღარ უცოცხლია ორი წლის შემდეგ, — 1837 წ. გარდაიცვალა.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, საიდან მოხვდა იონა ხელაშვილის მიერ 1835 წელს პეტერბურგში დაწერილი „მემხოლოეთა სარკეს“ ავტოგრაფი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამ საკითხზე ჩვენ ვერც ხელნაწერში, ვერც სხვა წყაროებში ვერავითარ განმარტებას ვერ შევხვდით.

სავარაუდოა კი, რომ ეს ხელნაწერი ცაგერში მოხვდა სამეგრელოს მთავრის დადიანის ოჯახის მეშვეობით, რომელთაც მაშინდელ პეტერბურგთან და იქ მყოფ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

საქართველოს საისტორიო არქივის ძველი საბუთების ფონდში დაცულ პოლიევქტოზ კარბელაშვილის პირად არქივში ჩვენ წავაწყდით ერთ სა-

---

[4] ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1919, გვ. 4.

[5] იხ. 1832 წ. შეთქმულების დოკუმენტები გოზალიშვილის რედაქციით, 1935, გვ. 397.

[6] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა გაიოზ იმედაშვილის რედ., თბილისი, 1960, გვ. 039.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყურადღებო ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ იონა ხელაშვილს „ცაგერის მეტაფრასტში“ შემავალ 55 სხვადასხვა სახელწოდების სადღესასწაულო წიგნში შეტანილი „დამასკელისა სიტყვაი ყ ˝ დ ქებულია შობისათვის იოსესი ჩვენისა ქესსა“[7]. ეს სამუშაო შესრულებულა „ნეტარისაგან იონა ხუცესისა და მონაზონისაგან“ „დიდითა გამოწვლილვით“-აო — ნათქვამია ანდერძში.

იონას მიერ გამოწვლილივით შედგენილი დამასკელის სიტყვები იესო ქრისტეს შობასთან დაკავშირებით „ცაგერული მეტაფრასტის“ 80—91 გვერდებზე ყოფილა დაწერილი. სულ ეს მეტაფრასტი კი შეიცავს 381 გვერდს და ის მსგავსად ქრისტეს შობის დღესასწაულისა, წელიწადის სხვადასხვა 55 სასულიერო სადღესასწაულო ამბავთა საკითხავ კრებულებს შეიცავს,

ხომ არ გვაფიქრებინებს ეს ფაქტი, რომ იონა ხუცეს-მონაზონი საერთოდ კავშირში იმყოფებოდა ცაგერის მხარესთან და ცაგერის მაშინდელ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებთან; ეს და მრავალი სხვა სადაო საკითხიც ამ ძეგლთან დაკავშირებით შემდგომი კვლევა-ძიებით გადაწყდება ტექსტის „მემხოლოეთა სარკეს“ პუბლიკაციასთან დაკავშირებით.

---

[7] იხ. საქ. ცენტრ. არქივში ძველ საბუთების განყოფილებაში დაცული პ. კარბელაშვილის არქივი, რვეული 14. ფურც. 161—163, სადაც აღწერილია ცაგერის მეტაფრასტის შედგენილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წიგნსა ამას ეწოდების მემხოლოეთა სარკე სულიერი გინა ხელმძღომი

## წინასიტყვაობა

წიგნსა ამის მკითხველნო, მრავალთა ქელყვეს წიგნებთა წერად ერისაგანთა დასწერენ წიგნებთა რომელთა შინა არა არს დაწერილ მარჯუჱნით მგუჱმელთადმი მარცხენისაცა...

აჰა ესე რა ჰსწერენ ერისა კაცნი რავდენიცა არიან განვაჭრებულნი საწიგნესთა შინა მდებარენი კნინლა და ურიცხვნი, რომელნი მიუთხრობენ ჴორციელთაგან დაწერასა თჳსსა, ვითარცა წიგნნი ღომერისა გრძნობასა და წიგნი კვიტო კურციოსისა მაკედონელისასა მეტყველებს და რუსთუჱლი გმირთასა ჰსწერს, რომელი დასასრულ ზღაპრად უწოდებს თვითუჱ და მთხზუჱლი. აგრეთვე ქილალა და მანი, რომელი გონნიეს წამკითხველსა განმდიდრებად თვისსა, გარნა აღმოკითხვისა შემდგომ არა თუ საუკუნოდ განამდიდრებს, არამედ ჟამიერადაც გლახაკვე არს ამ სახედვე ყარამანიანი ეჩვენების განმაგრილებლად თავისა თვისსა, გარნა ჯაბანივე არს უსიბრძნო მკითხველი, რომელსა დასაბამად სიბრძნის წიგნი გონია მკითხველსა განმაგრძობელად თვისისა, რომელი ეცვალების სიზმრად განღვიძებულისა. ესე რა უკეთუ ერისკაცნი ამრავლებენ წიგნთა რაოდენ, ჩვენ სულიერთა თანა გვაძს განმრავლება.

დასასრულ ხორცთა ვნებაებთა შინა, დამწერთა წიგნებისა, სულისა წმიდისა ბრძანება არა რაჲ უპყრიეს, პირუელად ძიება სასუფევლისა ლოცვით, მარხვით და ქველისმოქმედებით — მსახურება მაღლისა; არამედ ქუეყანისაგანნი ქუეყანისასასა მეტყველებენ, მით რამეთუ ერისკაცთაგან დაწერილნი, არა ასწავებენ სასუფეველისათვის დაგლახაკებასა, მდიდართ, არცაღა გზასა იწროსა ზედა სვლასა სასუფეველად მიმყვანსა ხორცთა მიკვდინებით ქრისტეს ვნებაებისა აღრჩევითა და მოწამეობისა ღვაწლებით. ამისათვის ერის კაცთაგან ხორცეულად დაწერილნი წიგნები დაყენებულ არს შებად, წმიდისა ეკკლესიასა შინა თვნიერ სულისა წმიდისა დაწერილნი, რომელნი მრავლდებიან მრავალთა მწერალთაგან, რომელთაც წიგნებთ შინა კნინლა და ერთიცა ლექსი არ იპოების ახლისა აღთქმისა და არცაღა ძველისა.

და უფროსღა ზღაპრისა წიგნებთა შინა, რომელნი უცებთ ჰაბუკთ, გონიერთ გოლმანანად, გარნა არიან ამაონი წიგნნი სიბერისა, ნაღველ დააბზინდა და დამამწარებელ სიცოცხლისა და წარწყმედილი ამიერ და მიერ ორგანივ გამკვეთ ცხოვრებისაგან; ესე რა სწერენ ხორციელნი ხორციელთათვის, ხორციელთა სიტყვათა და საქმეთა განმრავლებად, რითამცა იქებოდენ კაცთაგან, და განმდიდრენცა თავისითა წიგნებისა განჭრდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა წიგნები ერისკაცთა ბრძენთაგან დაწერილნი, რომელნიცა ადიდებენ ღმერთსა, იგინი სულიერთცა კაცთა საუნჯე არიან სულისა წმიდისა ნიჭებით, დაწერილნი ერისა დაცვად, კეთილ მსახურებასა შინა მსახურებითა — ღვთისა და ცხებულისა მისისა შეყვარებად თვისისა და მოყვასთა, და მამულისა შვილთა ყოველთავე.

ხოლო სულიერნი მწერალნი სულისაგან წმიდისა სწერენ სიყვარულითა ღვთისათა შეყვარებად, არა თუ მხოლოდ მოყვასთა, არამედ მტერთცა ვითარცა ბრძანა მან წმინდასა სახარებასა შინა. ამისთვის სულიერთა წიგნნი აღმატებულ არიან ხორციელთა წიგნებთა ზე. მით რამეთუ სულიერნი ქადაგებანი, და წიგნნი ღვთის მეტყველებანი არიან, ესე იგი ნებასა ღვთისასა ასწავებენ აღსრულებად და ცოდვათდატევებათ, და მშვიდობით და იაფობით ცხოვრებასა თითოეულთა თვისისა პირისა ოფლებითა, და სინანულით აღსრულებასა, და წარსვლასა სასუფეველსა შინა ღვთისასა და მართალთა ქებით აღსრულებასა. საკვდილისაგან გარდაცვალებად უკვდავსა ცხოვრებასა შინა. ამისთვის სულიერთ წიგნებთა განმრავლება საჭიროდ არს. ესერა დასაბამითაგან წმიდანი სულიერნი სწერენ წიგნებთა მსახურებად სულიერთა, და მოწაფეთა მათთვის რომელ არიან ერნი კეთილ მსახურნი. აჰა მეცა შეუდეგ კვალსა წმიდათა მამათასა, წმიდათა მოციქულთა შედგომილთასა, რომელმან დავწერე წინა სიტყვაობა, მემხოლოეთა წიგნისა, რომელსა უპყრიეს სოფლით გამოსვლა, ესე იგი, ცოდვათა დატოვება, და არა სიყვარულისა, რომელ არს სოფელი ესე იგი, კეთილმსახურნი უბრალოებით მცხოვრებნი მამანი და დედანი, მეფე, და მთავარნი მისნი, და მსაჯულნი და მხედრობანი, რომელთათვის მემხოლოენი მუხლთ მოდრეკისა, ოფლებით ილოცვენ, რათა სიყვარულითა ღვთისა, და ურთიერთისათა მშვიდობით ცხოვრობდნენ, მყუდროებასა შინა იაფობით განმდიდრებულნი, ქვეყნისა მუშაკნი ნაყოფთა გამოღებითა ჰაერშეზავებულითა:

მემხოლოენი ათიათასთა, ასიათასთა, ორასიათასთა და სამასი ათასთაგან, ორნია, გინა სამნი გამოსრულნი სოფლით, რომელნიმე დიდ სიყვარულითა ქრისტესით, და ვიეთნიმე, დიდ ფრიად შეძრწუნებულნი, საუკუნო სატანჯველთაგან, და სხვანი დიდთა ცოდვათა თვისთა მცნობელნი დაუტევებენ ცოდვათა თვისთა, პირებთა და ადგილებთა დატევებით და გამოვლენ სოფლით, რათამცა დიდ ფრიადისა სინანულებით, და სულიერისა მოძღვრისა კანონებთ აღსრულებით მამნა (sic) ყოფილი ცოდვათა ექმნას მადლით ძე ღვთისა დღე და ღამე დამბანი ცრემლთაგან, სარეცელთა თვისთა მგლოვიარე საუკუნო ნეტარებისათვის.

აჰა გვესმის მემხოლოეთა რომელ დიდი პავლე სიჭაბუკესა შინა იყო შეცთომილ, რომელმან იხილა ძე ღვთისა, და მყის მოიქცა, და დაუტევა ქრისტიანეთა წიხვნა დეზისა და იქმნა ჭურ რჩეულ, ხოლო სიბერესა შინა, დიმა სამეოცდა ათთაგანი დეემონა კერპით, საუკუნოდ. ამისთვის წმიდანი მამანი სწერენ, სახედ პავლე და სიბერეთა შინა ივლტოდეთო დიმასგან, და ნიკოლოზისაგანო, დაუძინებელი მტერი ეშმაკი, რათმცა წმიდა ყოფით სოფელიცა ლოცვითა თქუენით, წმიდა ჰყოთო მოსავი სიწმიდისა თქუენისა.

მემხოლოეთა თანა გვაქვს წმიდათა მამათ ლოცვისა შეწევნა. რომელთა ლოცვით, არღა უკუნ ვიქცევით ცოდვისა მიმართ, ვითარცა ცოლი ლოთისა. ლოცვით აბრაამისათ ლოთი განერა:—მემხოლოენი ესე რომელნი განვედით იწროსა გზასა ზედა, მონასტერსა შინა შესვლითა, ამისთვის აღთქმული აუცილებ·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად თანა გვაქს მონასტერსა შინა დადგრომა და მუნ აღსრულება ყრმა ყოფით და უკანასკნელობისა აღრჩევით და მსახურებით წინამძღვრისა დამორჩილებით, რომელი მღვიძარებს სულთა თვის, რათმცა ვივლტოდეთ უპირველესისა ცოდვისაგან, რომელ არს ურჩება, პირველ მშობელთი.

და მეშხოლოე რომელიცა სოფლისაგან განვიდა იწროსა გზასა ზედა ქრისტეს ვნებაებით, შემდგომად ჯვარცმულისა თანა ჯვარცმითა ხორცთა თვისთა ვნებაებით მოკვდინებითა, უკეთუ უხილავისა მტერისაგან მოიწყინოს მონასტერი და მარტო მყოფობა კელიასა შინა, და არა რბიოდეს ლოცვა წირვისა სმენად, უადრეს ძმათა, და არა გამოდიოდეს, უკანასკნელ ყოველთა ძმათა შემდგომ წირვა ლოცვისა, არამედ ისწრაფოდეს გულსა შინა თვისსა სოფელსავე შინა შემოსვლად ფართო გზით ხარისხისათვის, ანუ საჴლითი საჴლად მიმოსვლისათვის გინა სიყვარულისათვის ნათესავთა და მეცნიერთა და თვინიერ წინამძღვარისა რონინებდეს აქა და იქი, რომელი ვინძი მონასტერსაცა ამდიდრებდეს, არა შეერაცხების ღვაწლად, არამედ დაშვრების ამაოდ; მამებით მეშხოლოე, და არა საქმეებითა, რომელსა ეგონოს თავი თისი მკვდარ ქრისტესი, გარნა ჯაბან არს, წინა მსაჯულისა მტერისა თვისსაგან ყვანებული ქალაქებთა, სოფლებთა, და დაბებთა შინა, რომელსა არღა ექმნების მოუკლებელი ლოცვა და წირვა და მუხლთ დრეკა ეგოდენნი ვითარცა ბრძანებს კანონნი, რომელი სიმძიმე ექმნების სხვათაცა უქმობად.

ხოლო მეშხოლოე რომელი განათლებულ იყოს წმიდისა სახარებითა ღვთის მეტყველებითა და უწყიდეს ფილასოფისა მსახურება ღკთის მეტყველებისად, და იყოს წმიდა. და მოღვაწე დიდ ფრიად მშვიდ, მდაბალ და მორჩილ, შიშით ღვთისათა და აქვნდეს გარეშეთაგან წამებაცა კეთილი და უწოდოს მეფემ და მისგან დადგინებულთა მწყემსი მთავართა, რჩეულ ჰყონ აღსვლად ხარისხსა ზედა მათისა ლოცვისა მინდობით, იქმნების მორჩილ მბრძანებულთა, რომელსა განაძლიერებს ლოცვა მათი მორჩილსა, და დამწყსის რწმუნებულთა სულისა თვისისა დადებით, რომელი მეშხოლოობისა კანონთავე აღასრულებს ვიდრე სიკვდილამდე, და იქმნების ცხონებულ ცათა შინა.

მეშხოლოემან, რომელმანცა ხარისხისათვის წარავგოს ვეცხლი საიდუმლოდ, გინა განცხადებულად, იგი არა თუ მეშხოლოე არს, არამედ მსგავს სიმონისა, რომელი გონებდა ვეცხლითა მოვაჭრებასა, სულისა წმიდისასა. რომელი უძვირეს ეშმაკთა წარწყმდა. ეგრეთუ ხარისხის მომვაჭრებული წარწყმედების, და ორგანვე განიკვეთების, ვითარცა ამპარტავანი, და დიდების მოყვარე ეშმაკი, ანუ იქადდეს გვარსა, სიმდიდრესა, და სიმდიდრისა სიბრძნესა, გინა საქმეთა, და ღვაწლთა წარწყმედების ამპარტავნებითა თვისით: — მეშხოლოე რომელიც თავსა თვისსა უწოდს, უჭმარ მონად ვინძი, დიდ ფრიად საკმარცა — იყოს, და იგონებდეს სიკვდილსა და სამჯავროსა ქრისტესსა, და სასუფეველსა შინა მხიარულებასა და დღითი დღე სურს ხორცთა თვისთაგან განსვლა და მისვლა ქრისტეს თანა. ესე ვითარსა დაუთრგუნავს მტერი ეშმაკი, რომლისა სულისა გონებასა ველარ მისდრეკს ვნებისადმი, და ვერცლა გულსა განუბოროტებს მაწყინებლებთ ზედა, არამედ მგლოვარებით ეძიებს ადამისაგან დაკარგულსა სამოთხესა, რომელი მეორისა ადამისაგან განმზადებულსა სასუფეველსა იგონებს მარადის, ამისათვის არღა რაი ესმის ქვემთრევი ნებსით დაყრუებულს. რომელსა უკეთუ ხარისხად აწვევდნენ. ევლტის თვისა, თვისისა უძლურად და სულელად და უმეცრად მწოდებელი, მოსურნე დაყუდებისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

А. ИОСЕЛИАНИ

# ПО ПОВОДУ НЕИЗВЕСТНОГО ПРОИЗВЕДЕНИЯ ИОНЫ ХЕЛАШВИЛИ «САРКЕ СУЛИЕРИ МЕМХОЛОЕТИ» (СОКРАЩЁННО «МЕМХОЛОЕТА САРКЕ — «ЗЕРКАЛО ДУХОВНОЕ»)

Резюме

Литературное и научное наследство выдающегося грузинского писателя и общественного деятеля Ионы Хелашвили представляет многосторонний интерес.

Ясное представление о весьма плодотворной литературной деятельности Ионы Хелашвили дает дошедший до нас именной список трудов Ионы, общее количество которых достигает 41-го[1].

Хотя до нас дошел полный именной список произведенный Ионы Хелашвили, но до сегодняшного дня мы не имели никакого представления относительно названного в этом списке (по порядку 22-ым) произведения Ионы «Мемхолоета Сарке»[2] считали его утерянным.

В 1947 г. летом, во время поездки в Рача-Лечхуми с научной целью, в Цагерском Краеведческом музее нами обнаружен названный в списке произведений Хелашвили.

Рукопись-автограф, сохранившийся отдельной книгой размером 5×8 см и содержит 219 стр. В результате его текстуального изучения подтверждается, что Иона Хелашвили перевел с русского, вернее, переделал по грузински и пополнил новыми оригинальными материалами «Зерцало духовное», которому Иона предпослал пространное предисловие (прилагается к настоящей статье).

Этот труд написан Ионой в Петербурге в 1835 году. Иона сообщает: «Написал книгу эту в городе Петра Великого в 1835 году 12-го июля». Известно, что большую часть своей жизни Иона провел вместе с грузинскими царевичами в России.

В предисловии Иона рассматривает с клерикальных позиции, мировых корифеев духовной и светской литературы и среди них касается гениального произведения Шота Руставели «Вепхис ткаосани» («Витязь в тигровой шкуре»).

Вопрос о том, отткуда могло попасть «Зерцало духовное» в Лечхумский край, и в частности, в Цагерский краеведческий музей, пока что остается невыясненным.

Вместе с этим заслуживает внимания еще один факт. В хранящемся в историческом архиве Грузии, личном архиве П. Карбелашвили нами найдено достойное внимания указание из которго выясняется, что в сборник «цагерис метафрасти» Ионой Хелашвили было (внесено) включено составленное с выборкой «Слово Дамасского о рождении высокочтимого Иисуса Христа»[3].

---

[1] См. фонд общества № 279 распространения грамотности, Музея Грузии. Аналогичный список хранится в Центрархиве Грузии также в Ленинграде.

[2] Полное название этого памятника таково: «Книга это называется зеркало духовное или духовное руководство».

[3] См. Отдел древних документов, Личный архив П. Карбелашвили, тетрадь 14, л. 161—163.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Не наводят ли эти факты на мысль, что своим литературным интересом Иона Хелашвили был связан с Лечхумским-Цагерским краем? Надеемся, что это и другие связанные с этим памятником исследовательские вопросы будут разрешены в результате последующих исследований в связи с публикацией текста[4].

---

[4] Приношу глубокую благодарность покойному акад. К. Кекелидзе, коллективу научных сотрудников институту таистории грузинской литературы им. Руставели академии наук Грузии, и проф. Ал. Глонти, которые оказали мне помощь своими дельными замечаниями.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, т. XXIV—B, 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯალაბაძე

# სამიწათმოქმედო იარაღები ფშავში

ფშავი ტერიტორიულად არაგვის ხეობაშია განსახლებული. გვიანდელი მისი განსახლება ამ ხეობის ფარგლებს გასცდენია. ფშაველები ჯერ ივრის ხეობაში, ხოლო შემდეგ ერწო-თიანეთშიც ჩასახლებულან. ამ ორი მიკრო რაიონიდან უფრო ადრე ივრის ხეობაში გადასახლებულან, ხოლო ერწო-თიანეთში მათი ჩასახლება მასიურად XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულა. ამავე საუკუნის მიწურულში ფშაველებმა დაიწყეს გადასახლება შირაქის ველზე და იქ ოდესღაც ჟამთა სიავისაგან აოხრებული და ჩამკვდარი მეურნეობა ხელახლა აღორძინეს. ფშაველთა დიდი ნაწილი საცხოვრებლად გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ისეთ რაიონებში, სადაც მიწათმოქმედებისა და მეცხვარეობისათვის ხელშემწყობი გარემო ეგულებოდათ, სახელდობრ: წითელწყაროს, ყვარლის, ახმეტის, დუშეთის და მცხეთის რაიონებში.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ფშავი უშუალოდ ფშავის არაგვის ხეობაში ყოფილა განსახლებული, იგი წერს „ხოლო ხევსურეთის აღმოსავლეთის მთასა იქით არის ფშავი, რომელსაც შუა უდის არაგვი და მოერთვიან ხევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. და ვინაიდგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა და კლდითა და ტყითა, ამისათვის იმყოფებიან მშვიდად და სიმწირისათვის მონობენ ვისაც უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ. ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული, სამხრით მთა ამასა და თიანეთ შორისი. ჩრდილო კავკასი ამასა და ღლიღვს შორისი. დასავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული. სამხრეთ ამასა და ხევსურეთს შორის. არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა ხეობათა (ფშავ-ხევსურეთს) ფხოელნი და აწ უწოდებენ ესრეთ“[1]. წერილობით წყაროებში ფხოელთა შესახებ ზოგი რამ ცნობები მოგვეპოვება, სახელდობრ, ფეოდალური საქართველოს მესვეურებს მთაზე ფეოდალური ხელისუფლების გავრცელებისა და ბატონობის განმტკიცებისათვის არაერთხელ უცდიათ ფხოვის დამორჩილება[2], მაგრამ ეს მცდელობა როგორც ჩანს მცდელობად რჩებოდა.

შუა საუკუნეებში ქართულ ფეოდალურ ხელისუფლებასა და თემური წყობილების სტადიაზე მდგომ მთას შორის ბრძოლა ხან რელიგიურ სამოსელ-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 93.

[2] ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 125, 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ეხვეოდა, ხან კი, როცა მთიელთა ბრძოლით მორჩილებაში მოყვანა ჭირდა, საქართველოს ფეოდალური სამეფო დამოყვრების გზასაც რჩებოდა.

ფშავში, როგორც სახნავ-სათესი მიწა, ისე საბალახოები სათემო სარგებლობის საგანს შეადგენდა, მაგრამ იგი ამავე დროს სახელმწიფოს მფლობელობაში იყო მოქცეული, რისთვისაც ფშაველები გარკვეულ გადასახადს იხდიდნენ. მაგ. ეკატერინე ბატონიშვილი (მეფე ერეკლეს ქალი) 1802 წლის 6 ივნისს ჩვენებაში იუწყება, რომ ფშაველებისა და თუშებისაგან საბალახოებიდან შემოდიოდა 800 ცხვარი, რომელთაგან მეათედი ე. ი. 80 ცხვარი ჩემზე მოდიოდაო[3]. რას უხდიდნენ ფშაველები სახელმწიფოს მიწით სარგებლობისათვის ამის შესახებ ჩვენ რაიმე მასალა არ გაგვაჩნია. გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით „გადასახადი მთელ სოფელზე მოდიოდა, რომელსაც შემდეგ ოჯახების შეძლებისდაგვარად ანაწილებდნენ ადგილზე — თემის წევრებზე“.

ბერი ეგნატაშვილის ცნობების მიხედვით, ქართლ-კახეთის ცალკე სამეფოებად ჩამოყალიბების შემდეგ ფშავი ორ წყლამდე კახეთის სამეფოში შედიოდა, ხოლო ორწყლის ქვემოთ — არაგვის ხეობის ფშავი ქართლის სამეფოს გამგებლობაში ყოფილა[4].

დღეისათვის ფშავი სამად განიყოფება, წინა ფშავი, რომელიც გუდრუხიდან ორწყლამდე ვრცელდება, ორწყლიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე (ქისტეთის საზღვრებამდე) უკანა ფშავია. მესამე ნაწილი ფშავისა ივრის ხეობაზე მოდის და ფშაური მოსახლეობა ვრცელდება თიანეთამდე სოფლებში.

აქედან ფშაველთა ყველაზე ადრინდელი ნამოსახლარები და მათი მკვიდრი სამყოფელი ბუდე-უკანა ფშავია, სადაც ყველაზე მტკიცედ არის დამკვიდრებული ძველი რელიგიური თუ სოციალური ხასიათის რწმენა წარმოდგენები და საიდანაც დრო და დრო მოსახლეობის ნამატი ეშვებოდა ხეობების ქვედა ტანისაკენ. უმეტესობა ნამატისა გადადიოდა ივრის ხეობაში, საიდანაც, ვახუშტის მიხედვით, ფშაველები „იზრდებოდნენ“. დღევანდელი განსახლების მიხედვით, წინა და უკანა ფშავი 36-მდე სოფლით არის წარმოდგენილი, ივრის ხეობაში კი 10 სოფელზე მეტია ფშაველებით დასახლებული. თითოეული მეკომური ერთიმეორისაგან ცალკე საკარმიდამო დასახლების კომპლექსით გამოიყოფა, რომელიც არც თუ ისე მარტივი აღნაგობით წარმოგვიდგება (დაქანილ სახურავიანი საცხოვრებელი სახლი და მის ქვედა ნაწილში პირუტყვის სადგომი ფშაური სახლის ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ზედა ნაწილში კი სარძეე, სამეურნეო ბანი, მის ახლოს კალო, საბძელი, საზაფხულო გომური, საცხვრე, ფურნე და სხვა დანიშნულების ნაგებობანი).

ფშაური სოფლების ძალზე მცირე რაოდენობა მთის ძირა ვაკობზე მოდის, რომელთაც ადგილზე „ბარის სოფლებსაც“ უწოდებენ. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ ძველად ფშაურ სოფლებში კომლთა მეტ რაოდენობას უცხოვრია. მაგ. მათურაში მ. მაჩაბლის ცნობით 32 კომლს უცხოვრია ს. მაკალათიას მიხედვით 27 კომლს, ხოლო დღეისათვის იქ 8 კომლი მოსახლეობს. ღრმად მოხუცთა გადმოცემით, მათურაში მოსახლეობა 70 კომლამდეც აღწევდაო. ჩვენ იქ მრავალი მიტოვებული ნასახლარი ვნახეთ, რაც საერთო მაჩვენებელია ადგილობრივი მოსახლეობის სიმრავლისა. მათურის ანალოგიუ-

---

[3] Акты Кавказского Археографического общества, 1, გვ. 210.

[4] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება გვ. გვ. 348—349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სურათია შუაფხოშიც, სადაც მ. მაჩაბლის მონაცემებით 32 კომლს, ხოლო ს. მაკალათიას ცნობით 26 კომლს უცხოვრია, დღეისათვის შუაფხოში 9 კომლი მოსახლეობს. კაწალხევში 1800 წლისათვის 100 კომლს უცხოვრია[5], ხოლო XX საუკუნის დასაწყისისათვის 35 კომლს. მოსახლეობის შემცირების ანალოგიური სურათია ფშავის სხვა სოფლებშიც. მხარის წამყვანი მეურნეობის გასათვალისწინებლად ამ გარემოებას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს.

ფშავში სახნავ სათესად გამოსადეგი ნიადაგები ქვიშრობებისა და თიხნარების სახით წარმოგვიდგება. ნაწილობრივ არის შავმიწა ნიადაგებიც. დაფერდებული მდებარეობის წყალობით სახნაურების სისტემატიური დამუშავების შედეგად და იმის გამო, რომ ძნელი ხდება სასუქის შეტანა, სახნავ-სათესები ჩამორეცხილია. ამ გარემოებას ერთგვარად ხელი შეუწყო ბოლო ხანებში მეცხვარეობის სწრაფმა აღმავლობამ, რაც დაფერდებული ნიადაგების ეროზიას დიდად ავითარებს.

ფშავში სასოფლო მიწები მდებარეობის მიხედვით სამად განიყოფება „მთის", „ბარის" და „ჭალის" მიწები. მიწების მდებარეობის გამოსახატავად ხშირად ხმარობენ პურეული კულტურების სახეებს იმის მიხედვით თუ სად რა მოდის, მაგ. „სასვილეს" ქვეშ მთის სახნავ სათესი იგულისხმება. „საქერე" მთის ქვემო ზოლის გამომხატველია, „საწმინდარის" ქვეშ კი „კარისა" და „ჭალის" მიწებს ვარაუდობენ. მიწებს განასხვავებენ მდებარეობის მიხედვით, მაგ. ნაკვეთს თუ მზე ადგას, „პირმზითს", ხოლო ჩრდილოვანს „ჩრდილიანის" სახელით აღნიშნავენ.

სახნავ-სათესი მიწით სოფლის ყველა მოსახლე სარგებლობდა. სათემო მიწა ნაწილდებოდა თითოეულ კომლზე. ანგარიში არ ეწეოდა ოჯახის შემადგენლობას.

მთხრობელთა გადმოცემით, სასოფლო მიწა სათემო მიწის შემადგენელი ნაწილია. ფშავში სულ 12 თემს ასახელებენ[6]. რამდენიმე წელიწადში ერთხელ სათემო მიწები ნაწილდებოდა ეგრეთწოდებულ აღლუმებად. აღლუმის ქვეშ იგულისხმება მიწის თანატოლი რაოდენობით განაწილება გვარებზე თემში შემავალი სოფლების მიხედვით ე. ი. თემში იმდენი აღლუმი იგულისხმებოდა, რამდენი გვარიც იყო თემში შემავალ სოფლებში. მიწა აღლუმის შიგნით ნაწილდებოდა ოჯახების მიხედვით კომლზე. თუ აღლუმის შიგნით რაიმე ცვლილება მოხდებოდა, მაგ. კომლთა რიცხვის ზრდა-კლებასთან დაკავშირებით მაშინ აღლუმის შიგნით მიწა ხელახლა უნდა გადანაწილებულიყო. აღლუმის მთლიანი ამოწყვეტა ან გადასვლა, საცხოვრებელი ადგილის მიტოვება იწვევდა მთლიანად აღლუმის მიწების ხელახალ სათემო ბჭობის საგნად ქცევას. კომლზე მიწის განაწილება მინდობილი ჰქონდა სოფლიდან გამოყოფილ სამეულს, რომელთაგან ერთი „მწერალი" ყოფილა.

სოფლის რჩეულნი მიწებს ისე ანაწილებდნენ, რომ თითოეულ კომლს რგებოდა როგორც მთის, ისე კარის და ბარის მიწები. მიწის საზომ ერთეულად აღებული იყო 10 საჟენიანი საბელი. „საბელის" ქვეშ იგულისხმებოდა, აგრეთვე მიწის ისეთი ფართობი, რომელიც სიგრძით 6, ხოლო სიგანით 1 საბელს (10 საჟენი) ზომას შეადგენდა. „საბელის" აღნიშნულ ზომას ასე გამოხატავდნენ, „ერთ საბელში ექვსი გადაშლაა, გადაშლა 1 კვადრატული საბელია ე. ი. 10 საჟენი საბელის კვადრატში ერთი გადაშლაა".

---

[5] Акты, т. I, გვ. 532.

[6] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII. 1956. გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირებულების თვალსაზრისით (იგულისხმება მიწის საღალოდ გაცემის დროს), „მთის“ ერთი საბელი, „ბარის“ ნახევარ საბელს ედრებოდა. როცა ოჯახს მიზომილი მამული არა ყოფნიდა, შეეძლო იგი გაეზარდა ტყის გატეხვის ხარჯზე. ამ გზით შემატებულ მიწას „საკუთარ ნაყვერ-ნატეხსაც“ ეძახდნენ და იგი დროებით ე. ი. სასოფლო მიწების განაწილებამდე ახოს მომპოვებლის მოხმარებაში რჩებოდა, თუ ასეთ ნატეხს სასოფლო მიწების გადანაწილება მოუსწრებდა, მოპოვებული ახო საერთო განაწილებაში შეჰქონდათ, ხოლო მის მომპოვებელს განსხვავებული ზომის ნაკვეთს აძლევდნენ, რომელსაც „საამაგო“ ეწოდებოდა. საამაგო სასოფლო მიწების მეორე განაწილებამდე რჩებოდა, შემდეგ კი საამაგოც საერთო განაწილებაში ექცეოდა[7].

მიწის განაწილების დროს კარის მიწები, ე. ი. მიწის ის ნაკვეთი, რომელზედაც დასახლებული იყო კომლი და საკარმიდამო ნაკვეთის სახით გააჩნდა სათემო გადანაწილებაში, როგორც მიწის რაოდენობის ერთეული ხვდებოდა, მაგრამ მიწა მაინც მის მფლობელს, მასზე დასახლებულს რჩებოდა. მიწის ამ ნაკვეთზე ფშაველი „დიდ ამაგსა სწევდა, მას ნაკელს აყრიდა, აპატივებდა და სხვას როგორ დაუთმობდა, სხვა კომლს აქ როგორ შემოუშვებდითო“. კარის მიწა ოჯახის გაყრილობის დროს ნაწილდებოდა განაყართა შორის, მთისა და ჭალის მიწებს კი ოჯახის გაყრილობისას ვერ გაანაწილებდნენ.

ოჯახის გაყრილობა სასოფლო-სათემო მიწების ხელახლად განაწილებას იწვევდა. სათემო განაწილებაში იყო მოქცეული სათიბებიც. მიწის განაწილებაში მონაწილე ერთეული კომლი ყოფილა, რომელიც იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ოჯახის შემადგენლობა კომლი შეიძლებოდა ძლიერიც ყოფილიყო და სუსტიც. სადაც მეტი მუშახელი ტრიალებდა ოჯახს მეტი მიწის დამუშავების შესაძლებლობა ჰქონდა, ასევე მწყემსობითა და პირუტყვის მოშენებით შეეძლო ამ ოჯახს მეტი შემოსავალი გაეჩინა. ძლიერი ოჯახები გარდა „ნაწილარი“ მიწისა ამუშავებდნენ სუსტი მეკომურების მიწებს „თესლაღებით“, ან „სანახევროდ“ მიწის გაპატივების ნიადაგზე. ძლიერი ოჯახი თავისი ხარსახვნელით მოხნავდა და თავის თესლს დათესავდა. როცა კალოობას მოათავებდნენ, ძლიერი მის მიერ სათესლედ გაღებულ ხორბლის რაოდენობას აიღებდა დანარჩენს კი მიწის პატრონს შუაზე გაუყოფდა თანაბრად. უფრო გვიან მიწის გაქირავება სცოდნიათ ფულზედაც.

ფშავში მოწმდება სხვისი მიწით სარგებლობის მეორე წესიც, რომელიც თესლაღების წესისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში მიწის მფლობელი აქირავებს მიწას იმავე მიზეზებით, რომ მას არ შესწევს შესაძლებლობა მიწის დამუშავებისა დამოუკიდებლად ან მიწა სუსტ მოსავალს იძლევა და მასზე გაწეულ ხარჯებს, თუ დიდი რაოდენობით ნაკელი არ მიეცა, ვერ ანაზღაურდება. დამქირავებელი მიწას ნაკელს აყრიდა, დანარჩენი სამუშაოების ყველა სახეობაში დამქირავებელი და გამქირავებელი ტოლძალოვნად მონაწილეობდნენ, თესლსაც ორივე გამოიღებდა და მოწეულ მოსავალსაც თანასწორად გაინაწილებდნენ თურმე. ასეთ შეამხანაგებაში, როგორც ჩანს ნაკელისა და მიწის ღირსება დროებით ტოლძალოვნად გამოდიოდა. საგულისხმოა,

---

[7] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის (1959 წ. გვ. 316) ერთ მუხლში აღნიშნავს, რომ ვინც ტყეს გატეხავდა და სახნავ-სათესად აქცევდა, მას შეეძლო 4 წლის განმავლობაში აღნიშნული ნატეხი გამოეყენებინა. ოთხი წლის შემდეგ ნატეხი მიწა გადადიოდა საერთო სათემო მიწების კატეგორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ფშაურ მიწათმოქმედებაში ნაკელს ნიადაგების სახნავი ფენის ეროზიისაგან დაცვის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ფშავის განსაკუთრებული კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედებისათვის ფართო გასაქანს არ იძლეოდა, ამიტომ ფშავლის მეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი ეჭირა მესაქონლეობის კულტურას. ფშაურ მესაქონლეობაში ადრეული ხანისათვის წამყვანი ადგილი მსხვილფეხა მესაქონლეობას უნდა ჰქეროდა. გვიანი ხანისათვის მიწათმოქმედებასა და მსხვილფეხა მესაქონლეობას გვერდში ედგა წვრილფეხა მესაქონლეობის ისეთი აღმავალი დარგი, რომელიც თანდათან ფშაველის სამეურნეო ეკონომიკაში წამყვანის ადგილს ჩემულობდა. მეურნეობის ამ აღმავალმა დარგმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში (XV—XVIII სს.) ფშაველთა მეურნეობაში საკმაო ადგილი დაიჭირა, ხოლო XIX საუკუნეში მეურნეობის ამ დარგმა, როგორც მიწათმოქმედებას ისე მსხვილფეხა მეცხოველეობას ძირი მოუთხარა და თანდათანობით შეავიწროვა.

ფშავში მეცხვარეობის განვითარებამ შეამცირა სახნავ-საძოვრები და სათიბი ფართობები, რომელიც ხანგრძლივი ზამთრის პირობებში პირუტყვის ბაგური კვებისათვის იყო ხოლმე გამოყენებული. ამ ნიადაგზე ადგილობრივნი ამცირებდნენ მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობას. ეს სურათი დღეისათვის კარგად არის წარმოდგენილი თვით ადგილზე. ყოფილი სასვილე სახნაურები მხოლოდ საძოვრებად არის გადაქცეული, ძალზე უმნიშვნელო ნაწილი ითესება საწმინდე და საქერე ზონაში.

როგორც ზემოთ ითქვა, ფშავში თემური სარგებლობის წესებს ჰქონდა ადგილი. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია მ. მაჩაბელმა, როცა იგი თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურ ყოფას სწავლობდა[9]: იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწის გადანაწილების თემური წესი ახალი შემოღებულია, მაინც ფშავში თემური სარგებლობა მიწისა ძველ ტრადიციებზეა აგებულიო[10]. ილ. ჭავჭავაძეს ერთ თავის წერილში განხილული აქვს საქართველოში თემური მიწათმფლობელობის საკითხები და აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მთის რაიონებში მიწის თემური სარგებლობის წესის შემოღება არ იუცხოვეს, იმიტომ რომ აქ ძველადაც მიწის თემური მფლობელის ეს წესი იყო გაბატონებულიო[11]. ფშაური მიწათმოქმედების საკითხებთან ერთად მიწის თემური მფლობელობის საკითხებს შეეხო ს. მაკალათია. იგი წერს მე-19 საუკუნემდე ფშავი თემურ წყობილებით ცხოვრობდა და მიწაც ფშავის 12 თემზე იყო განაწილებული. მიწის კერძო ინდივიდუალური საკუთრება აქ არ არსებობდა და თემში შემავალ ოჯახებს მიწა თანაბრად უნაწილდებოდა. ცხვარ-საქონელიც განსაზღვრული ყავდათ და ქისტ-ჩეჩენ-ლეკების შიშით მომთაბარეობასაც ვერ ეწეოდნენ"[12] პირველ რიგში ჩვენ ამ უკანასკნელ წინადადებაზე უნდა შევნიშნოთ, რომ შუა საუკუნეებში ფშაველთა მომთაბარეობა დადასტურებული ფაქტია თვით ს. მაკალათიას დასახელებულ ნაშრომში

[8] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ფშაველებსა და ხევსურებს ლევან კახთა მეფესთან ცხვრის საძოვრებზე შეთანხმება ჰქონიათ.

[9] М. Мачабели, Економический быт гос. крестьян Тианетского уезда Тбилиской губерний, МИЕКБГКЗК, т. V, 1887.

[10] იქვე, გვ. 362.

[11] ჭავჭავაძე, თხზულებანი, XIII, გვ. 210.

[12] ს. მაკალათია, ფშავი, 1931, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანილი ისტორიული ცნობით, რომ, როცა ფშავ-ხევსურები კახეთს აღარა მორჩილებდნენ, ლევან კახთა მეფემ „დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა რათა ცხოვარი მათნი უვნოდ მძოვარ იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულება“ და სხვ.[13] თუ ამ გარემოებას დავუშვებთ, რომ ფშაველები მომთაბარე მეცხვარეობას ეწეოდნენ, მაშინ უნდა ისიც დავუშვათ, რომ მეცხვარეობას აქ გლეხის შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა. ცხადია, მეურნეობის ეს დარგიც თემური სათიბ-საძოვრების გარემოში ტრიალებდა.

პ. გუგუშვილის აზრით, „რეფორმამდელ საქართველოში სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასა შედგებოდა საბატონო და სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებიდან, ცხადია, აქ თემური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის გადმონაშთები დაცული იქნა უპირატესად სახელმწიფო გლეხთა შორის[14]. ფშაველებიც სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში იყვნენ მოქცეულნი. მიწით სარგებლობის წესები მათ ძველი თემური შემორჩათ. მიუხედავად იმისა, რომ ფშავში სახნავ-სათესი მიწების საერთო რაოდენობა ძალზე მცირე ნაწილს შეადგენდა, დიდი ყურადღება ეთმობოდა სათიბებზე სათემო მფლობელობის შენარჩუნებასა და მისი სათემო სარგებლობის საკითხს.

მე-19 საუკუნეში ფშავსა და თუშეთში სწრაფი ტემპით ვითარდება მანამდე შინამრეწველობის ფარგლებში მოქცეული მეცხვარეობა. მეურნეობის ეს დარგი განსაკუთრებით სწრაფ ალმავლობას განიცდის გასული საუკუნის 70—80-იან წლებში და მის შემდეგ. XIX ს. 80-იან წლებში მარტო ფშავის ცხვრის რაოდენობა 71 ათასს აღემატებოდა[15]. მეცხვარეობის განვითარებამ გარკვეული გავლენა მოახდინა, როგორც მეურნეობის სხვა დარგებზე, ისე ფშაველთა ყოფაზე. ამ მეურნეობის განვითარებით მოძლიერებული ფშაველი გლეხი, რომელმაც ფეხი შედგა ნატურალური მეურნეობის ფორმიდან კაპიტალისტური ხასიათის ფინანსურ ორომტრიალში, ცხვრიდან ფულად შემოსავალს ისევ საქონელშივე აბანდებს, ჩარჩულ მევახშეობას იწყებს და მებატონეთაგან მიწის შესყიდვით ბარში მამულებს იჩენს. ამის საუკეთესო მაგალითია უკანასკნელი საუკუნის მეორე ნახევარში ფშაური მოსახლეობის მოძრაობის სურათი. მარტო 1879 წლისათვის ფშავიდან გასახლდა 125 კომლი[16]. პირველ რიგში ფშავს ტოვებდნენ ცხვრის დიდი რაოდენობის მფლობელნი, შემდეგ კი მათი მიბაძვით საშუალო სიძლიერის მეცხვარეები.

ფშაველთა მასიური დაშვება მთიდან სამიწათმოქმედო რაიონებში მ. მაჩაბელს განსაკუთრებითა აქვს აღნიშნული, რომ შეძლებული მეცხვარე ფშაველები მეტ სარგებელს მიწათმოქმედებაში უფრო ხედავენ, ვიდრე მეცხვარეობაში და ამდენად ისინი ცხვრის გარკვეული ნაწილის გაყიდვით თავად-აზნაურთაგან მიწებს იძენენო[17].

ამ გზით წავიდნენ ფშაველი ცნობილი ძლიერი მეცხვარეები: შუაფხოდან ჩარბოდაშვილები, ჭიჩოდან ნადირაშვილები (გუგუდაანი) და სხვანი. ეს ნადირაშვილები შემდეგში 30 ათასამდე ცხვრის პატრონნი შეიქმნენ. შემოსავლით შეიძინეს ვენახები სახნავ-სათესი, ააშენეს თბილისში ლამის სათევი გომურე-

[13] იქვე, გვ. 18.

[14] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. II, 1956, გვ. 396.

[15] ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 40.

[16] М. Мачабели. დასახელებული შრომა, გვ. 343.

[17]. М. Мачабели. დასახელებული შრომა, გვ. 429.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, თრიალეთში შეიძინეს შვიცის ჯიშის 500 ძროხისაგან შემდგარი ფერმა და გასაბჭოებამდე ადგილზე შვეიცარული ყველის წარმოებას ეწეოდნენ. სხვა საშუალო შეძლების მეცხვარეების რიცხვი მე-19 საუკუნის მიწურულისათვის ფშავის სოფლებში თანდათან მატულობდა და მათი უმეტესობაც თანდათან ეშვებოდა ბარისაკენ, შორდებოდა მამაპაპეულ კუთხეს. მეცხვარეობის შემდგომი წინსვლა სახნავ-სათესი მიწის ღირსებას აუფასურებდა და ადგილობრივი გლეხობა ძირითადად შეძენილი ხორბლეულით აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო სურათს იძლევა ფშაური მოსახლეობის ამსახველი სტატისტიკა სხვადასხვა დროისათვის.

| № | მაღაროს თემის სოფლები | 1870 წლის-ათვის იყო კომლი | 1930 წელს | 1960 წელს |
|---|---|---|---|---|
| 1 | აფშო | 33 | 34 | 19 |
| 2 | კაწალხევი | 35 | 35 | 32 |
| 3 | კუშეშა | 9 | 20 | 11 |
| 4 | ხომი | 28 | 34 | 7 |
| 5 | შარახევი | 17 | 28 | 14 |
| 6 | ყოფჩა და ქალილო | 11 | 13 | 17 |
| 7 | მაღარო | 18 | 14 | 36 |
| 8 | ინო | 10 | 6 | 2 |
| 9 | გუდარახი | 9 | 7 | 3 |
| 10 | კუდო-ხილიანი | 55 | 37 | 48 |
| 11 | ჩარგალი | 58 | 49 | 50 |
| 12 | გომეწარი | 45 | 46 | 55 |
| 13 | მიგრიაულთა | — | 40 | 28 |
| 14 | არბაჩხანი | 4 | 8 | 7 |
| | ს უ ლ | 331 | 356 | 329 |

| №№ | უკანა ფშავის თემი | 1870 წელს | 1930 წელს | 1960 წელს |
|---|---|---|---|---|
| 1 | უძილაურთა | 19 | 16 | 9 |
| 2 | ხოშარა | 11 | 7 | 5 |
| 3 | მისრიანთ კარი | 3 | 21 | — |
| 4 | შუაფხო თხილიანა | 32 | 26 | 17 |
| 5 | წითელაურთა | — | 9 | 1 |
| 6 | მუქო | 4 | 6 | 3 |
| 7 | მათურა | 33 | 26 | 7 |
| 8 | ახადი | 17 | 19 | 6 |
| 9 | ცაბაურთა ბეტის რდილი | 27 | 21 | 3 |
| 10 | არახიჯა | 12 | 6 | 4 |
| 11 | ქუთხი | 3 | 3 | 2 |
| 12 | ჭიჩო | 10 | 6 | 2 |
| 13 | გოგოლაურთა | 35 | 21 | 7 |
| 14 | ვანხევი | 13 | 10 | 1 |
| 15 | ბულაალაურთა | 5 | 5 | 1 |
| 16 | უკანაფშავი ელიაგზა | 18 | 26 | 3 |
| | ს უ ლ | 242 | 230 | 70 |

ფშავში სახნავი ფართობის გაზრდა ხდებოდა ტყის გატეხვის-მოახოების შედეგად, რასაც „ახოს გამოღებას“ უწოდებდნენ. ფშაველი მეურნის დაკვირვებით, ახოს მოსაპოვებლად ამჯობინებდნენ წიფლის ნადგომ ტყეს. შერჩეულ ადგილზე წინასწარ ხის ძირებს „შემოყვერავდნენ“, აღნიშნულის შედეგად ხეები გახმებოდა და შემდეგ მას გაჩეხავდნენ. საწვავი შეშისა და საშენი მასალისათვის საჭირო რაოდენობას გაიტანდნენ, შემდეგ ძირებზე ნარჩენ ტოტებს და ფოთლოვან ფიჩხს „მიჯებირავდნენ“. (ე. ი. თავს მოუყრიდნენ) და მერე ცეცხლს მისცემდნენ.

ხის შემოსაყვერად 8 სმ სიფართის ოვალურპირიანი საყვერი იარაღი იხმარებოდა. მას ორი სახელური გააჩნია და „ორხელსაც“ უწოდებენ (ამ იარაღის ანალოგიურებს იყენებდნენ ხის მოხელენი). ვისაც ორხელი საყვერი არ გააჩნდა, ის ხეს ცულით შემოუკეჭნიდა ძირს ირგვლივ, რომ ქერქში წვენის მოძრაობა შეწყვეტილიყო.

ახალ მოახოებულ-გამოღებულ მამულს „ნაყვერ-ნაჩეხს“ უწოდებდნენ, ხოლო ცოტა დროის გავლის შემდეგ მას ახოს სახელით იხსენიებდნენ, თან დაატანდნენ იმის სახელსაც ვის მიერაც ეს მიწა იქნა გამოღებული. ამასთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგის დასამუშავებლად გამოყენებული იყო, როგორც ხელით სამუშაო ისე გამწევი ძალით მომუშავე იარაღები. ხელით სამუშაო იარაღებიდან მნიშვნელოვანია: „ქარჩი“ და „ცულქარჩი“, რომელთაც იყენებდნენ როგორც ახალი ალების საქმეში, ისე ტყეში ან ტყის ნაპირებში ნატეხი მიწის დამუშავების დროს, მამულში ტყის სიახლოვის გამო ამოზრდილი ნაბარტყის ამოსაკაფავად.

როგორც ქარჩი, ისე სამეურნეო ხასიათის ლითონის სხვა იარაღები ადგილობრივ მჭედლებს უმზადებიათ. მჭედლობა ფშავში საკმაოდ განვითარებული დარგი ყოფილა. ხალხის გადმოცემით ფშავის მიდამოებში უძველესი მჭედლები დევები ყოფილან. რომელთაც საკვეთი უჭედიათ. მათთან სახნის-საკვეთის დასაკვეთად მხოლოდ ქალები მიდიოდნენ. დევების გადაშენების შემდეგ მჭედლობა შეუსწავლიათ ადგილობრივთაც. რომელთაგან პოპულარობით სარგებლობდა თამარ მეფის მიერ „მისრეთიდან“ გადმოყვანილი მჭედელი მისრიაშვილი. მთხრობელთა გადმოცემით „თამარ მეფეს მისრეთზე გაუვლია იქ მისრეთელ მჭედელს თამარის ცხენი დაუნალია. თამარ მეფეს მჭედლის ნახელავი მოსწონებია და იგი თან წამოუყვანია. შემდეგში მჭედელი მისრიანთ კარში დაუსახლებია (თამარღელის ახლოს, უკანა ფშავში) და საომარი იარაღების კეთება დაუვალებია“. მჭედელ მისრიაშვილის ნახელავს ხალხი წრთობის ხარისხით გამოიცნობდა თურმე. „მის ნაკეთებ ხმალს დაახვევდნენ და საცერში ჩადებდნენ. იქიდან ამოიღებდნენ და ხმალი მაინც სწორად დგებოდაო“. ხალხურ პოეზიაში მის ნაჭედი ხმლის ღირსების გამოსახატავად ნათქვამია:

„რა გასჭრის კუის ბაკანსა
დედალ მისრულის მეტიო“.
ანდა „ხმალმა თქვა მისრეთს ნაკვერმა,
მისრეთს მისრიამ გამკვერა.
ამამამღერა პატრონმა,
ჩამაგო, ჯვარი დამწერა“—და სხვ.

სამეურნეო იარაღების მჭედლები ყოფილან ჩარგალში, მაღაროში, შუაფხოში, კაწალხევში, ბაბუკთა სოფელში და სხვ.

მჭედლებს რკინის შოვნა უჭირდათ, დამკვეთი თვითონ შოულობდა რკინას. იარაღის გამოსაჭედი რაოდენობის ნახშირიც თვით უნდა გამოეწვა და მიეტანა. როცა მჭედელი იარაღის დამზადებას დაიწყებდა დამკვეთიც ეხმარებოდა საბერველის დაბერვასა და გამოკვერვაშიც კი. იგივე მჭედლები ამზადებდნენ ხატის სალუდე ქვაბებს და სპილენძის ნავებს ლუდისათვის, აწარმოებდნენ ლუდის დაზიანებული ქვაბების შეკეთებასაც.

ფშავში მჭედლობის ხელოვნების შესწავლის საკითხისათვის საინტერესო ისტორიული დოკუმენტია შემონახული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკის ძეგლთა ფონდში, რომელიც 1944 წელს აკად. ღ. ნ. ბერძენიშვილს სოფ. გომეწრიდან ჩამოუტანია. ადგილობრივთა თქმით ეს წარწერიანი ქვა ყელყვითელას ციხეზე ყოფილა. წარწერა სიპ ქვაზეა ნუსხა ხუცურით, რომელსაც ეპიგრაფიკოსი ვ. ცისკარიშვილი ასე კითხულობს: „ესე ქელი მე მოშელმა დავწერე გოგლეურმა სამას ორმოცი საჴნისი ვძიე მიქლაორისა მიზღოს... მათ კაცი მოკლეს შაბიდა მართალსა მეფე მეფე შერისხდა და . . .“[18]

[18] ვ. ცისკარიშვილი, XI საუკუნის ორი ეპიგრაფიული ძეგლი ხელნაწ. 1959, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული წარწერა მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველყოვლისა უნდა ითქვას, რომ წარწერა ადგილობრივია და ფშავის გარემოს ეკუთვნის, წარწერაში მოხსენებული გოგლეური იგივე გოგოლაური სოფლის სახელია უკანა ფშავში. გომეწარში, საცა აღნიშნული ქვა იყო ნაპოვნი, შემორჩენილია გვარი მახაური იგი შეიძლება ძეგლში მოხსენებული „მიქლაორის“ სახეცვლილ ფორმას წარმოადგენდეს.

ძეგლში მოხსენებული სახნისი შესაძლებელია უშუალოდ ამ იარაღს არა გულისხმობდეს, არამედ მისი ღირებულების ექვივალენტს ვარაუდობდეს ისე, როგორც რაჭაში ნიკორწმინდის XI საუკუნის ძეგლში სახნისი ფულის ღირებულების ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. აქაც ეს ძეგლი XI საუკუნის აქეთ აღარ მიდის. რაჭა ძველი დროისათვის რკინის ჭედვის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, ამას ასაბუთებს ჩვენი დროის ეთნოგრაფიული გამოკვლევები და მდიდარი არქეოლოგიური გათხრები. ფშაური მჭედლობისათვის მხოლოდ მითიური გადმოცემები გაგვაჩნია, ფშავის ტერიტორიაზე დევკერპებს ისე, როგორც რაჭველ „რკინის კაცებს“ მჭედლობის ხელოვნება სცოდნიათ და სახნის-საკვეთი უჭედიათ. ამ გადმოცემებს ხალხში იმდენად ღრმადა აქვს ფესვი გადგმული, რომ ეჭვს გარეშეა ფშაური მეტალურგია მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო. გადმოცემაში დაცულია ერთი საგულისხმო ადგილი— დევებს სახნის-საკვეთის მჭედლებად აღიარებს და ქალებს კი მათთან ამ იარაღისათვის მიმსვლელ-დამკვეთ პირებად. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს შრომის სქესობრივი ნიშნის მიხედვით დანაწილებაზე, როცა მთაში მეტალურგია მეურნეობის წამყვანი დარგის სახით გამოდიოდა და მამაკაცთა შრომითი მოსაქმეობას შეადგენდა. ამ დროს ქალები სახნის-საკვეთით მიწას ამუშავებდნენ.

ფშავში გამოყენებული ქარჩი აგებულობით ხელეჩოს წააგავს. ხასიათდება ტლანქი დამუშავებით. სიმაღლე ქარჩისა 20—24 სმ-ია. სამუშაო პირის სიგანე 8—10 სმ. (სურ. I ა.) ფშაური ცულ-ქარჩი (სურ. I გ.) კომბინირებული სამუშაო იარაღია. რომელიც ორი ფუნქციის მატარებელია, ასრულებს როგორც ცულის, ისე ქარჩის მოვალეობას.



სურ. 1.

ფშაური ქარჩისა და ცულ-ქარჩის ანალოგიურები გავრცელებულია აგრეთვე მთიულეთსა და გუდამაყარში. აქაც ამ იარაღების ფუნქცია იგივეა, რაც ფშავში. სახელდობრ, მას დიდი გამოყენება აქვს ახოს სისტემაში და ტყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი მდებარეობის სიახლოვეს გავრცელებული სახნაურების მოხვნის დროს. მთხრობლის გადმოცემით ტყის ახლოს მდებარე სახნავის ნაპირ-ყურეში ხემ ფესვით ბარტყის გატანა იცოდა, როცა ხნავდნენ გუთნის დედას ცულ-ქარჩი წელში ჰქონდა გარჭობილი და ხვნის დროს ხის ნაბარტყს ამოფესვამდა. მიწის ნაკვეთის ნაპირ-ყურის კარგ დამუშავებაზე ბევრად ყოფილა დამოკიდებული მოსავლიანობის დონე. ამ გარემოებამ ფშაურ პოეზიაშიც ჰპოვა თავისი ასახვა.

„მამული მოხან ნაპირ-ყურითა,
მაშინ გაძღება შვილი პურითა".

მამულის ნაპირ-ყურით კარგად დამუშავების საქმეში ცულ-ქარჩი გუთნის დედის თანმდევი იარაღი ყოფილა. ვინც ხვნის დროს ცულ-ქარჩის სათანადოდ არ აფასებდა და მიწას ნაპირ-ყურით არ მოხნავდა მას მოსავალიც ნაკლები მოსდიოდა. მიწა მას პასუხობდა „ვერ მამხან ნაპირ-ყურითა, ვერც მე გაგაძღე პურითაო".

ცულ-ქარჩის ტიპის სამეურნეო იარაღის გავრცელება საქართველოს სინამდვილეში მთის ტყიანი რაიონის მოსახლეობაზე მოდის. მაგვარი სამეურნეო იარაღის ტიპს განეკუთვნება დმანისის რაიონში ნაპოვნი ბრინჯაოს ნისკარტიანი ცული[19], რომელსაც განსხვავებით ფშაური ცულ-ქარჩისა, ყუაზე აზის კონუსური ფორმის ნისკარტი. დასახელებული ცულის ნისკარტი შესაძლებელია იგივე მოვალეობას ასრულებდა, რასაც ფშაური ცულ-ქარჩის ყუაზე დასმული ოდნავ წაბრტყელებული ქარჩის პირი, ე. ი. ცულით ჩაჭრილი ფესვების მიწიდან ამოყრას.

ფშავში სათოხნი კულტურებიდან ლობიოს შემდეგი ჯიშები ითესებოდა: ლობიოს „წვრილ წითელი", „წვრილ შავი", „სარის ლობიო" (ლობის ლობიოსაც უწოდებენ) და „ზღვის ლობიო". ლობიო სხვა მარცვლეულთან შერეულად ითესება კარისა და ჭალის მიწებში, დაჩერკვნის შემდეგ ერთხელ, იშვიათ შემთხვევაში ორჯერაც სცოდნიათ გათოხვნა.

სათოხნად იყენებდნენ ბრტყელ ოთხკუთხა „ქართული და მხრებდაქნილ „იმერულ" თოხს. უკანა ფშავში ხმარებაში ყოფილა ქისტური თოხი, რომელსაც ქისტები „ცელის" სახელით იცნობდენ. ქისტური თოხის ფშავში დადასტურებული ტიპი ჩვენ მიერ დამოწმებული იქნა თერგის ხეობაშიც[20].

ქისტურ თოხს იყენებდნენ, როგორც სიმინდ-ლობიოს ისე კართოფილის მოვლის საქმეში. იგი მსუბუქია და მარჯვე სახმარი ყოფილა დიდი ლუმელებიდან ლადარის გამოსახვეტად.

ზემოთ დასახელებული თოხის ფორმები, რომელთაც ადგილზე მსგავსად ქიზიყისა, ერთს „ქართულს", ხოლო მეორეს „იმერულს" უწოდებენ ეს სახელები იმდენად ნიშანდობლივია, რომ არ შეიძლება სინამდვილეს არ გამოხატავდეს. იმდენად, რამდენადაც მხრებდაქნილი თოხები დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან დღემდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო მკვიდრად გამოიყურება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ოთხკუთხა ტიპის თო-

---

[19] Д. Коридзе. Новые находки медних орудий в Квемо Картли, Советская археология, № 1, 1958, გვ. 134—135

[20] გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. XXII—Б. 1961, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხები კი პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სარგებლობს უპირატესობით.

* * *

ფშავში გავრცელებული სახვნელი იარაღის ძირითადი სახეობა ეგრეთწოდებული „ფშაური გუთანი", რომელიც პროფ. გ. ჩიტაიას მიერ დაფიქსირებული იქნა იორის, ფშავის არაგვის და თეთრი არაგვის ხეობებში[21]. ჩვენს მიერ ფშაური გუთნის გარდა ივრის ხეობის ბარის სოფლებში და ნაწილობრივ არაგვის ხეობის ფშაურ სოფლებში დამოწმებული იქნა დიდი გუთნის არსებობისა და გამოყენების ფაქტებიც, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

ფშაური „აჩაჩა-გუთანი" შედგება: მხრის, ვერქვანის, ქუსლის, ხმალის, სახნისისა და საკვეთლისაგან (სურ. № 4). ფშაური აჩაჩა-გუთანი შედარებით საქართველოს სხვა რაიონებში გავრცელებული კავისა და ორხელის ტიპის სახვნელებთან თავისი აგებულებით ყველაზე უფრო მძიმე და დიდი ზომის სახვნელი იარაღია. მასში ჩვეულებრივ ორი უღელი ხარი იბმოდა, ყოფილა შემთხვევები, როცა ან ორ უღელზე ნაკლები გამწევი ძალაც შეუბამთ. მ. მაჩაბელი ფშაურ აჩაჩს ადარებდა ალექსანდრეპოლის მაზრაში გავრცელებულ „აროროს"[22]. გ. ჩიტაია კი ამ სახვნელს ადარებს მესხურ „აროროს", იგი იქვე აღნიშნავს, რომ ფშაური აჩაჩა-გუთანი ქსნური გუთნისა და რაჭული სახვნელის მსგავსად ფერდობის დასამუშავებელ სახვნელ იარაღს წარმოადგენსო[23].

ფშაური აჩაჩა-გუთანი რთული აგებულებით არ ხასიათდება. მისი ქუსლი შედგება ტანის „საშვრიესა" და „ყურებისაგან". გამოყვანილ ქუსლს დიდი ზომის სოლის ფორმა აქვს, რომელსაც ბოლოში ყურები აქვს, მისი სიგრძე 96 სმ-ია. ქუსლისათვის არჩევენ მაყალოს ან იფანის მასალას, რომელიც დამუშავების შემდეგ ზოგჯერ კერის თავზე ბოლოშიც გამოუყვანიათ. ქუსლს უკეთდებოდა ორი ვერტიკალური ჭრილი ხმალსა და ვერქვანის ჩასადგმელად.

აჩაჩის მხარი იფნის ან მაყალოსაგან მზადდებოდა, სიგრძით 270 სმ. აღწევდა. წინ თავი ოდნავ აღერებული ჰქონდა, რომელიც „საბმელის" გასაყრელი ნაჩვრეტით ბოლოვდებოდა. მხარს ორი ვერტიკალური ნაჩვრეტი უკეთდებოდა ხმალსა და საკვეთლის ჩასადგმელად. მისი ბოლო კი ისე იყო წათლილი, რომ ვერქვანში გაყრილიყო. მხარის საშუალებით ხდებოდა ვერქვანსა და ხმალს მაღლა აწევა, ან დაბლა დაშვება, რომლის შესაბამისად ხდებოდა ხვნის სიღრმის რეგულირება. აჩაჩის ვერქვანი მუხის ტოტისაგან მზადდებოდა, რომელსაც ერთი სწორი ღერი და ამ სწორ ღერზე ორი განივი პატარა ტოტი გააჩნდა. ამ ტოტებით გუთნისდედა თავისი ძალის მოქმედებას სახვნელს გადასცემდა და სახნავი კვალის მიმართულებასა და სიღრმის რეგულირებას წარმართავდა. ვერქვანი ერთი თვით ქუსლში იყო ჩადგმული, მასში გამაგრებული იყო მხარის ბოლო. ვერქვანზე დაკიდებული იყო ქარჩი და საფხეკი. ეს უკანასკნელი გამოყენებული იყო გუთნის კბილას გასაწმენდად. ვერქვანის სიმაღლე 48-58 სმ-ს აღემატებოდა.

[21] გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI., გვ. 63.

[22] **М. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, т. V, МИЕКБГКЗК, გვ. 441.**

[23] გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუთნისხმალა მუხის, მაჟალოს, ან იფნისაგან მზადდებოდა, იგი 10 სმ სიგანის და 4 სმ სისქის, 50 სმ სიმაღლის ფიცარს წარმოადგენდა, რომელიც ამოტარებული იყო ჯერ ქუსლში, შემდეგ მხარში. ხმალა ქუსლში გახეშილ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. მხარში კი მისი აწევ-დაწევა სოლის შემწეობით ხერხდებოდა.

სახვნელს რკინის ნაწილებიდან სახნის-საკვთელი გააჩნდა, რომელსაც ადგილობრივი მჭედლები ამზადებდნენ ან მეზობელი რაიონებიდანაც შემოჰქონდათ. ფშავში გავრცელებული ხალხური გადმოცემებით, სახნის-საკვეთლები ძველად დევ-კერპებს უკეთებიათ. ფშაური სახნისი ორფარიანია, ხასიათდება ტლანქი დამუშავებით, საერთოდ ფშაური მჭედლური ნახელავი მოკლებულია სინატიფეს, ნაკლებ დახვეწილია. ხელადის ზედაპირი ოღროჩოღროიანია, ნივთი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფშაურ- აჩაჩა-გუთანს საკმაოდ მოზრდილი საკვეთელი ესაჭიროებოდა. საკვეთლის სიგრძე 45—47 სმ. აღემატებოდა. საკვეთელი აგებულების მიხედვით ტოლფერდათა ტიპს მიეკუთვნება. საკვთელის რეგულირება ხდებოდა მხარში სოლების საშუალებით. საკვეთლის სწორი დაყენება მუშაობას აადვილებდა და მოქმედებდა ხვნის დონეზე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფშაური სახვნელი ზომით და წონით აღემატება კავისა და ორხელას ტიპის იარაღებს. პროფ. გ. ჩიტაიას აღნიშნული აქვს რომ „ოთხკუთხა ფშაური სახვნელი ისეთი გამძლე და ღონიერი იარაღია, რომელიც იხმარება მძიმე მიწების დასამუშავებლად“[24].

ზოგადსამეცნიერო ლიტერატურაში სახვნელი იარაღების აგებულებიდან გამომდინარე კლასიფიკაციის მიხედვით ფშაური იარაღი ოთხმხრიანი სახვნელია. ოთხმხრიანი სახვნელების წინაპარი კი სამმხრიანი სახვნელია. საქართველოს ფარგლებში, როგორც სამმხარიანი სახვნელების, ისე ოთხმხარიანი სახვნელების მრავალსახეობასთანა გვაქვს საქმე და ამდენად ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის მოსაზრება ოთხმხრიანი სახვნელის საქართველოში გარედან შემოტანის შესახებ მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

ფშაურ სახვნელში ყევარი ხარი იბმოდა, სახვნელის მხარი ისე იყო მოხრილი, რომ დაბოლოება საძირის უღელზე ყოფილიყო მიბმული, ხოლო გაწრილობის კუთხეში მოთავსებულ ნაჩვრეტზე გამობმული იყო შოლტკავები, რომლითაც წინა ხარის უღელი უკავშირდებოდა სახვნელს. ფშაური სახვნელის კომპლექსში მნიშვნელოვან გარემოებასა აქვს ადგილი, რაც ხარის შესაბმელი უღლების ტოლმეტობაში გამოიხატება. ცნობილია, რომ ფრთიანი გუთნით მუშაობის დროს გუთნის საძირში არჩევდნენ ღონიერ და ღინჯ ხარებს. ამას იმით ხსნიდნენ, რომ ხარს საძირეში მეტი ჯაფა ჰქონდა. ანალოგიური ფაქტი მოწმდება ფშაურ სახვნელშიც. საძირის ხარს მეტი ძალა ადგებოდა, ვიდრე გუთნის სიმძიმის წევის ძალიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულ წინა ხარს. იმისათვის, რომ ეს წინააღმდეგობა გათანაბრებულიყო, საძირის უღელი გრძელი კეთდებოდა, წინა უღელი კი მოკლე. ჩვეულებრივ მათ ზომებს მტკაველებში გამოხატავდნენ და ამბობდნენ „წინა უღელი 10 მტკაველი, უკანა 12 მტკაველი უნდა ყოფილიყო“. ჩვენს მიერ ველზე წარმოებული ანაზომებით, საძირის უღლის სიგრძე 3 მეტრია, წინა ხარის უღლისა კი 230 სმ.

---

[24] გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948, მიმომხილველი I, გვ. 376.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ველზე აღნიშნულ საკითხს ვსწავლობდით, მთხრობელები ამას ხსნიდნენ სხვადასხვანაირად ერთნი აღნიშნავდნენ, რომ უღლის სიგრძე ხელს უწყობს მეხრის მოძრაობას ხართან მუშაობის დროს უღელთან მისვლაში და წინა ხარის მოარშიებაში". მეორეთა აზრით „გრძელი უღლის გარეშე სახვნელი მიწას ვერ მოეკიდება, მიწის ზედაპირს მოუცურდება, მიწაში არ გაჩერდება". ეს უკანასკნელი ახსნა უფრო ახლო დგას სინამდვილესთან. აქ მნიშვნელობა აქვს გამწევი ძალის რეგულირებას, ძალის მოქმედების თანაბარ განაწილებას. ფშაური გუთნით მუშაობის ეს თავისებურება განსაზღვრავდა და ამავე დროს გამოყოფდა მეზობელ რაიონებში გავრცელებული მსუბუქი სახვნელების უღლების ზომებისაგან.

ფშავში ხვნა-თესვა ორ სეზონში წარიმართებოდა: გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) და ზაფხულში (ივლის-აგვისტო). ადგილობრივნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება თესვა ადრე გაზაფხულზე მოესწროთ:

„მარტმა რომ არა ხნასო
მარტო აპრილმა რაღა ჰქნასო"—ამბობდა მეურნე ფშაველი.

პირველად ხვნას ხატის მიწების მოხვნით იწყებდნენ და შემდეგ თავის სახნავ-სათესში გადადიოდნენ. ხვნა ხატის მამულში ორშაბათს იწყებოდა.

ფშავში მიწის დამუშავებაზე, სახელდობრ ხვნაზე მეხრედ ხშირად ქალები გამოდიოდნენ. გუთნის დედებად კი ძირითადად მამაკაცები. ყოფილა შემთხვევა, როცა გუთნის დედობას ქალებიც წარმართავდნენ. მეხრე ქალები სოფელში სხვა გვარის გუთნისდედასთან მოჯამაგირედაც შედიოდნენ და მთელ სეზონში ერთად მუშაობდნენ. მოჯამაგირეობის საკითხს უფრო ვრცლად ქვემოთ შევეხებით.

ფშაველებით დასახლებულ ივრის ხეობის სოფლებში და არაგვის ხეობის ქვედა ზოლის ფშაურ სოფლებში გარდა ფშაური აჩაჩისა, გამოყენებული ყოფილა ქართული დიდი გუთანი.

ივრის ფშაველთა შორის ქართული დიდი გუთნის გამოყენებაზე მითითებული აქვს მ. მაჩაბელს. მისი ცნობით ივრის ხეობის სოფელ არტანში დიდ გუთანს იყენებდნენ[25]. გ. ჩიტაიას მიერ 1939 წელს დიდი გუთანი დამოწმებული იქნა ივრის ხეობის სხვა ფშაურ სოფლებშიც[26].

1952 წელს მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპედიციის მიერ სოფ. ქებოტაში შეძენილი იქნა ქართული დიდი გუთნის იშვიათი ეგზემპლარი — საანეული გუთანი. იმავე წელს ჩვენს მიერ სოფ. ქებოტაში დამოწმებული იქნა ადგილობრივი ძველებური საანეულო ხის გუთნით მიწის ხვნა ტრაქტორის წევის საშუალებით. ამჯერად ტრაქტორზე მიბმული იყო ქართული გუთნის ფამფალაკი მოკლე შოლტით და მასზე მიბმული ხის გუთანი. ადგილობრივნი აღნიშნულ გარემოებას იმით ხსნიდნენ, რომ „ნიადაგები გამოფიტული იყო და რკინის მსუბუქ გუთანს ვერ უკიდებდნენ. ხის დიდი გუთანი კი მძიმეა და მიწაში კარგად ჯდებაო".

1959 წლის მივლინების დროს ჩვენ ველარ შევხვდით ქართული დიდი გუთნით მუშაობის ფაქტებს. სამაგიეროდ, ხალში მდიდარი მასალა მოიპოვება, რადგან დიდი ხანი არ არის გასული რაც ამ იარაღით ხვნას მიანებეს თავი.

[25] М. Мачабели, დასახელებული შრომა, გვ. 442.

[26] გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრებილი მასალის მიხედვით გუთნის ნაწილებია: „რვილი“, „კბილი“, „ხმალი“; „ხელკუდი“, „ფთე“ „მანჭები“ (დიდი და პატარა), „კაკაბი“, „ყვავი“; „ღირღიტა“, „გორგოლები“ (ველისა კვალისა). „ფამფალაკი“, „შოლტკავი“,-ჩხა“, „ჯამბარა“, „ღვედი“, „სამალდეები“.

გუთნის დამზადება გამართვა ყველას არ შეეძლო. ადგილმდებარეობა ტყიანია და საგუთნე მასალის პოვნა იოლი ყოფილა. ამიტომ აღნიშნავენ მთხრობელნი, „თუ გუთნიდედა ბეჩავი არ იყო იმას სამი სხვადასხვა ზომის გუთანი უნდა ჰქონოდა“. საზაფხულო ხვნისათვის მსუბუქი სახვნელი გამოუყენებიათ. ამ დროს მიწა რბილი იყო და გამწევი ძალაც ნაკლები სჭირდებოდა. საგაზაფხულო დიდ გუთანში 6 უღელ ხარსა და კამეჩს აბამდნენ. ასეთ გუთანს „საახალთესლე გუთანს“ ეძახდნენ. „საანეულო გუთანი“ ყველაზე უფრო დიდი ზომისა იყო“. ანეულობას მიწა გამოგვალულია და თუ არა მძიმე გუთანი მიწა დაისხლეტავდა და არ მოეკიდებოდა. ანეულის გუთანს შესაფერისი სახნისსაკვეთელი უნდოდა და გამწევი ძალაც მეტი ესაჭიროებოდა 10—12 უღელი ხარი და კამეჩი“. (მთხრობელი პეტრე ხვთისოს ძე აბრამიშვილი, 81 წლისა, სოფ. ახალსოფელი, თიანეთის რ-ნი, 1959 წ.). საშემოდგომო ნათესებისათვის, რომელსაც აქ „ნაოშებს“ უწოდებენ, საგაზფახულოსა და საანეულო გუთანს შორის გარდამავალი ზომის ე. ი. საშუალო სიდიდის გუთანი ყოფილა გამოყენებული, რომელსაც „სანაოშე“ გუთანს უწოდებდნენ.

იგივე მთხრობელი, ძველი გუთნის დედა პეტრე აბრამიშვილი გადმოგვცემს „ხვნისათვის სამჯურა გუთანი იყო საახალთესლე, სანაოშე და საანეულო. ესენი ზომებით სხვადასხვა იყო, მაგრამ რკინის შეძლება ძნელი იყო და ერთი რკინით ხმარობდნენ. „სამჯურა“ დიდი გუთანი ჩვენს მიერ სხვა სოფლებშიაც იქნა დამოწმებული.

სახვნელის ნაწილების დამზადების საქმეში ზომის ერთეულად მტკაველს ასახელებდნენ. მაგ., რვილის დასამზადებლად აღებულ თელის, „იფნის ან მუხისა და მაყალოს მასალას ჯერ გატუსავდნენ, მერე დახვრეტდნენ. ხელკუდისათვის გაკეთებული მჭდიდან ხმალის ნაჩვრეტამდე 4 მტკაველი უნდა გადაეზომათ, ხმალის ნაჩვრეტიდან საკვეთლის ნაჩვრეტამდე ერთი მტკაველი. საკვეთლიდან ყვავამდე 5 მტკაველი, ყვავიდან წვერამდე 3 მტკაველი უნდა დარჩენილიყო. იფნის ხმალას 3 მტკაველი უნდა ჰქონოდა სიგრძე, კბილას სიგრძე 5 მტკაველი სისქე 1 ვერშოკი, სიგანე 1 მტკაველი.

ხელკუდი იფნის, თელის ან მაყალოსაგან მზადდებოდა. სიგრძით 5—6 მტკაველი. დაბლიდან 1 ციდაზე უკეთდებოდა ჭრილი რვილის თავის შესადგმელად. ყვავი და კაკაბი შინდისა მზადდებოდა. მანჭის სიდიდე 3 მტკაველი ყოფილა, შოლტკავი ორადლნახევარი. ფამფალაკის სიგრძე 7 მტკაველი.

გუთნის დამფალაკზე მოწყობილი იყო სამტოტა ჩხა, რომელზედაც ჩვეულებრივ ცული იყო დამაგრებული. იგივე ჩხა გამოყენებული იყო ველის გორგოლის ჩხაზე დასაკიდად. როცა გამოგვალულ მიწას ხნავდნენ ველის გოგორას მოხსნიდნენ და ჩხაზე დაკიდებდნენ თურმე. ველის გოგორა ზომით 6 ვერშოკი, ხოლო კვალისა — 12 ვერშოკი ყოფილა.

გუთნისათვის გამწევი ძალის დასაკავშირებლად ძველად გამოყენებული ყოფილა საყევრები; ხოლო შემდეგ ღვედების გამოყენება დაუწყიათ, რომელსაც ხევსურები წნავდნენ. საყევარი ოთხ არშინიანი სიგრძის თავსა და ბოლოს დახვრეტილი ლატანი ყოფილა, რომელიც უღელთან წნულების საშუალებით მიიბმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვნას სამი სამუშაო პერიოდის მიხედვით შესაფერისი სიდიდის ქართული გუთნით შესაფერისი შრომის ორგანიზაციაც ახლდა, რასაც მთის ზოლში მოსახლე ფშაველები „მანდავს“ უწოდებდნენ, ხეობის ქვემო ზოლში მცხოვრებნი კი — „ამბაზს“.

მანდავი ‖ მონდავი ‖ მოდგამი ‖ ამბაზი ხვნა-თესვის სამუშაოებზე შეკრებილი დროებითი გაერთიანებაა, რომლის შემადგენლობა მუშაობას წარმართავს წლის სამ სხვადასხვა დროს გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე, თითეული სამუშაო სეზონის ხანგრძლიობას განსაზღვრავს, მოდგამში მონაწილეთა შემადგენლობა როგორც ადამიანების, ისე ცოცხალი გამწევი ძალის და ინვენტარის სახით.

მოდგამი იქმნებოდა როგორც მარტივი უღელი ხარით მომუშავე სახვნელით მუშაობისას, ისე ქართული დიდი გუთნით მუშაობის დროს. ფშავში დამოწმებულია შემთხვევები, როცა უკანა ფშავის თემში ნიადაგების მკვეთრი დაფერდების გამო სახვნელში ყევარი ხარის შებმა ჰქონდა და უღელ ხარს აბამდნენ. უღელი ხარით მომუშავეთა ამხანაგობა მარტივი გაერთიანების სახით იყო წარმოდგენილი აქ თითო ხარით შედიოდნენ მოდგამში და აჩაჩისათვის საჭირო რკინის ნაწილებიც თითო ნაჭერი შეჰქონდათ ამხანაგობაში. ასეთ მარტივ შეამხანაგებაში იარაღზე დღეები არა ნაწილდებოდა, ერთურთს დღეების თანატოლი რაოდენობით ეხმარებოდნენ. ასეთ მანდავს ფშავში „ხელნაცვლობაც“ რქმევია[27], ხელნაცვლობა, როგორც ტერმინი ფშაური მოდგამობის შინაარსს შესანიშნავად გამოხატავს. ხელნაცვლობაში მონაწილენი ერთურთს ხელს უნაცვლებდნენ. ე. ი. ფაქტიურად ეხმარებოდნენ იმიტომ, რომ ისეთივე თანატოლი დახმარება მათგანაც მიეღოთ, ვისაც ეხმარებოდნენ. ყველა შემთხვევაში, როცა მანდავის ერთი წევრი გაზაფხულზე მეტს მოხნავდა, სამაგიეროდ მეორე ანეულში აანაზღაურებდა. მიწის თემური სარგებლობის პირობებში ფშავში თითოეულ კომლს უწევდა დაახლოებით 4—6 ფშაური დღიური, ე. ი. ორ დესეტინაზე ნაკლები. ექვსი დღიურიდან გაზაფხულის კულტურებისათვის დაახლოებით ნახევარი მოდიოდა, ნახევარი კი ეჭირა საანეულო კულტურებს. ასე რომ 6 დღიურის დამუშავება მოდგამობის 10 დღიან პერიოდში თავსდებოდა. ჩვენი შესწავლილი მასალების მიხედვით ორხელის მოდგამიც კი, სადაც ყევარი ხარით წარმოებდა მუშაობა, 10—12 დღიან თაობას[28] არ სცილდებოდა. ამიტომ დაუჯერებლად გვეჩვენება მ. მაჩაბლის ცნობა, რომელიც წერს: При двухпарной запряжке составляется товарищество при чем ало равняется 43-дням. Пахар получает 7 рабочих дней, погонщик 6 рабочих дней, 24 рабочих дней лемех 3 рабочих дней, резец 3 рабочих дней итого 43 рабочих дней [29]. ეს მონაცემები არ არის სწორი. მ. მაჩაბელისავე მიხედვით ფშავში სახნავ-სათესი მამული თუ კომლზე ორ დესეტინასაც ძლივს აღწევდა, საკითხავია, რად უნდოდათ ფშავლებს ასეთი ხანგრძლივი ალო? იქვე, წინა გვერდზე მ. მაჩაბელი იძლევა თიანეთის მაზრაში დიდი გუთნით მუშაობასთან დაკავშირებულ მოდგამობაში დღეების განაწილების ცხრილს და საერთო ჯამში მოდგამის ალო 23 დღეს არ აღემატე-

[27] ალ. რობაქიძე, მოდგამი, როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 409.

[28] თარბა-ხვნის ერთი სეზონის განმავლობაში შემავალი დღეების რაოდენობაა.

[29] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 441.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ს. მაჩაბელს ქართლისათვის, სადაც დიდი გუთნით მუშაობა სწარმოებდა, ალოს ხანგრძლიობა 22—30 დღემდე აქვს დადგენილი[30], ჩვენს მიერ ველზე შეკრებილი მონაცემების მიხედვითაც დიდი გუთნით მუშაობასთან დაკავშირებული ალო 35 დღეს არ აღემატებოდა, მაშინაც კი, როცა გუთანში 10—12 უღელი, ხარზე 1 დღეს ხნავდნენ და „ანეულის თაობა ამოყავდათ".

უღელხარიან ხვნასთან დაკავშირებული მონდავის ანალოგიურად წარიმართებოდა ხოლმე ყევარი ხარით მომუშავე მოდგამობაც მონდაობის ამ ფორმაში, რომელიც ფშაური არჩაჩა გუთნით მუშაობას არ ჰქონია ადგილი. რომელიმე მათგანის მიერ ზედმეტი დღეების მითვისება არ ხდებოდა.




სურ. 2.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოდგამობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების შესწავლამ ნათელყო, რომ მარტივ სახელთან დაკავშირებული მოდგამი მარტივი შემადგენლობისაა და ამ ორგანიზაციის მუშაობა ხელმონაცვლეობის პრინციპზეა აგებული. ცნობილი ახალციხური მოდგამობა, რომელიც დიდი გუთნით მუშაობასთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ არ შეიცავდა ექსპლოატაციის გამოაშკარავებულ ნიშნებს. მოდგამის წევრები იმდენ დღეს ამუშავებდნენ თავის მიწაში მოდგამის სახვნელს, რამდენის მოხვნაც მათ უნდოდათ[31]. ანალოგიურ გარემოებას ჰქონდა ადგილი ინგილოურ მოდგამშიც[32]. ხვნის დღეების განაწილებაში გუთნეულის შემადგენლობაში მონაწილეობის მიხედვით ნორმირების მარტივი ფორმა იქნა აღწერილი თ. ჩიქოვანის მიერ წალკელ ურუმთა ყოფაში[33] ფშავში დიდი გუთნით მუშაობასთან დაკავშირებულ

[30] С. Мачабели, Эк. быть Гос крестьян Тбилисского уезда, Тбилиской губерний, МИЕКОГКЗК, V. ч. I, 1887. გვ. 237.

[31] Ал. Хаханов, Обичай в Грузии при паханис, эо. № 4, М. 1891, გვ. 192.

[32] გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960, გვ. 86.

[33] თ. ჩიქოვანი, კოლექტიური შრომის ფორმა ხვნა-თესვის დროს წაწალკელ ურუმებში, 1953 წ. (ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგამში კარგად არის წარმოდგენილი მარტივი ფორმიდან; სადაც ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი ექსპლოატაციის ნიშნები რთული ფორმისაკენ გარდამავალი მონაცემები. შესწავლილი მასალების მიხედვით საკვლევი რაიონის ორ უბანში ივრისა და არაგვის ხეობის ფშაურ სოფლებში, დამოწმებული დიდი გუთნის მოდგმიდან ივრის ფშაველთა მოდგამობა უფრო რთული შედგენი-



სურ. 3.

ლობისაა. დღეების დანაწილება გუთნეულის შემადგენლობაზე და გუთნის ინვენტარზე უფრო დიფერენცირებულია და ნორმირებული, ვიდრე არაგვის ხეობის ფშავში. მაგ. არაგვის ხეობის ფშაურ სოფლებში დიდ გუთნის მოდგამში დღეები შემდეგი სახით იყო ნორმირებული:

გუთნის დედისათვის 2 დღე უნდა ეხსნათ, აქედან ერთი დღე გუთნისა ივარაუდებოდა—ეს იმ შემთხვევაში, როცა გუთნის დედისა იყო გუთნის რკინის ნაწილები: სახნისი და საკვეთელი. უღელ ხარს 1 დღე ეძლეოდა, ე. ი. ხარებზე სულ 8 დღე მოდიოდა. თითო მეხრეს თითო დღე, სულ 4 მეხრეს 4 დღე უწევდა. როცა ანეულის ხვნას აწარმოებდნენ, ამ პერიოდში დღის ორი მეხრე ღამის მეხრეობასაც ეწეოდა, რისთვისაც თითოეულ მათგანს დამატებით ნახევარ-ნახევარ დღეს აძლევდნენ, ე. ი. ორ მეხრეს 1 დღის ხვნას. დიდი გუთნის მოდგამში საქართველოს ბარის რაიონების ანალოგიურად იყო უხარო წევრის აყვანის შემთხვევებიც. ეს უკანასკნელი ღამის მეხრეობასაც ეწეოდა, რისთვისაც 1,5 დღეს ღებულობდა. ასეთ მეხრეს მონდავში სხვის ხარზე შესულს ეძახდნენ და „ხმელი მეხრეს“ სახელითაც ყოფილა ცნობილი. ყოველივე ამის შედეგად, ხვნის ერთ სეზონში დიდი გუთნით მორიგება დღეებისა 12—13 დღემდე ხანგრძლივდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გუთნით აქ სამივე სეზონში ტარდებოდა ხვნა, ასე რომ სამივე სეზონში მონდავის თითოეულ წევრს — 6—8 დღის ხვნა უწევდა, რაც სრულიად საკმარისი იყო 2—3 ჰექტარი მიწის დასამუშავებლად. ფაქტიურად ფშავში მიწის ამ რაოდენობას არავინ არ ფლობდა. ამიტომ ხშირი იყო ხელმოკლე უხარო გლეხების მიერ ალოს შესყიდვის შემთხვევები რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის 3—5 მანეთს არ აღემატებოდა. ალოს ფასი მერყეობდა ხვნის სეზონის მიხედვით. ანეულის ალო შედარებით მეტად ფასობდა, ვიდრე გაზაფხულის ან შემოდგომისა. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რაც არაგვის ხეობის ფშაური სოფლების დიდი გუდნით მოდგამს ახასიათებდა. იქ მოდგამის წევრებს სადილ-სამხარი თავთავისთვით მიჰქონდათ.

ფშაური მონდავობის განსხვავებული ვარიანტის სახით წარმოგვიდგება ივრის ხეობის მონდავობა. სახელდობრ, ამ განსხვავებას იძლევა დღეთა განაწილების სტრუქტურა. აქ ხვნა-თესვაც წლის სამ დროში წარიმართებოდა და ალოთა ხანგრძლიობა 22—30 დღემდე აღწევდა[34]. სხვადასხვა დროს ჩაწერილი მასალის მიხედვით ალოში დღეების განაწილება შემდეგი სახით ყოფილა წარმოდგენილი:

| მ. მაჩაბლის მიხედვით, | გ. ჩიტაიას მიხედვით. | ჩვენი მასალებით |
|---|---|---|
| 1. გუთნისდედას 2 დღე | გუთნისდედას 1 | გუთნისდედას 2 |
| 2. ღამის მეხრეს 2X2 | ღამის მეხრეს 3X2 | ღამის მეხრეს 2X2 |
| 3. დღის მეხრეს 3X1 | დღის მეხრეს 4X1 | დღის მეხრეს 3X1 |
| 4. უღელ ხარს 10X1 | უღელ ხარს 12X1 | 10 უღელ ხარს 10X1 |
| 5. სახნისის პატრონს 1 | ღვედს 1 | საკვეთელს 1/2 |
| 6. საკვეთელ ჯამბარისა 1 | ჯამბარა აპურს და | სახნისს 1 |
| 7, აპეურებს 1 | უღლებს 1/2 | ღვედს 1 |
| 8. სათადარიგო 1 | საკვეთელს 1/2 | სამალდ-ჯამბარის 1 |
| | სახნისს 1 | |
| სულ — 23 დღე[35] | სულ — 26 დღე[36] | სულ — 22,5 დღე ც |

სამივე შემთხვევაში დღეების განაწილების ცხრილი, მხოლოდ ანეულის ხვნის დროიდან არის აღებული. საახალთესლე ხვნის დროს 6 უღელი ხარი ებმოდა და ღამის მეხრეებიც არ იყო, ასე, რომ ალო ამ დროს 6 დღით ნაკლები ხანგრძლიობისა გამოდიოდა, ვიდრე ანეულის ხვნის დროს.

აღსანიშნავია მოდგამის წევრთა შორის ერთგვარი წინააღმდეგობის ნიშნები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თვითეული მონაწილე ცდილობდა მოდგამში ინვენტარის რაღაც წილით შესულიყო. გუთნისდედას გარდა გუთნისა და სახნისის მეტი ინვენტარით მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ. თუ გუთნისდედა სხვა დანარჩენი ინვენტარით მოდგამში შესვლას მოიწადინებდა, მას ხარს არ აუბამდნენ. ეს გარემოება ძალიან კარგად ახასიათებს კაპიტალიზმის ხანის საქართველოში ბარის რაიონებში გავრცელებულ მოდგამსაც. მაშასადამე, მოდგამში ინვენტარის თაობაზე ალოს ნორმირება ხდებოდა და ეს თავის

[34] მ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 440; გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფ. ექსპედ., გვ. 64.

[35] მ. მაჩაბელი, დასახ. შრომა, გვ. 440.

[36] გ. ჩიტაია, დასახ. შრომა, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრით მოდგამის წევრთა შორის ცვლიდა სახვნელ იარაღთან მოდგამის წევრთა დამოკიდებულების ხასიათს, მოდგამის წევრთა თანაბარუფლებიანობას ბოლო ელებოდა და მოდგამის წევრის მონაწილეობის დონეს მისი ინვენტარი და გამწევი ძალა საზღვრავდა. ამ ვითარების შედეგი უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურულისათვის დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი კანონთა კრებულ-



სურ. 4.

ში შეტანილი ერთ-ერთი მუხლი, სადაც მოდგამის წევრთა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხია წარმოდგენილი. იქ ვკითხულობთ: „При изделивании нивы, ярмо составляется из известного каличества волов, как часто случается, не все одному, принадлежат хозяину, а от сего и бывает, что во время пашни один у другого в соре убивает волов“ და სხვ[37].

მოდგამში წევრთა შორის ყრუ ბრძოლა ამ ნიადაგზე თანდათან მატულობდა. 80—90-იან წლებში, როცა საქართველოში რკინა გაიაფდა, ხოლო



სურ. 5.

გამწევი ძალა გაძვირდა, მოდგამში დღეების განაწილება მეხრეებს აღარ აკმაყოფილებდათ და გუთნისდედისაგან მოითხოვდნენ თითო ხვნის დღე უღელი ხარის ნაცვლად თითო ხარზე დაეწესებინათ. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომ ქართული პრესა ამაზე საგანგებოდ ჩერდებოდა და იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთ სოფლებში აიძულეს გუთნისდედები, რომ დათმობაზე წასულიყვნენ და გამწევ ძალაზე დღეთა განაწილების ძველი წესი შეეც-

[37] დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, ად. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, 1959, გვ. 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალათ[38]. ფშაური დიდი გუთნის მოდგამში ფშაველები ცდილობდნენ ახალ — სახვნელთან დაკავშირებული მოდგამობის ტრადიციული წესები შეენარჩუნებინათ, მაგრამ ამ მცდელობას არ შეიძლებოდა რაიმე დაბრკოლებად გადაქცევა, რომელიც შეაჩერებდა მოდგამის განვითარებას. მოდგამი თანდათან ხდებოდა ექსპლოატაციის საშუალება მოძლიერებული ფშაველი გლეხის ხელში. მთაში თუ მის ბორკილად მიწის თემური მფლობელობა რჩებოდა, ის თავისი



სურ. 6

ქონებრივი მდგომარეობის წყალობით, რომელიც მას მეცხვარეობამ შეუქმნა, ბარში ეშვებოდა და იქ სავაჭრო მიწათმოქმედების ორომტრიალში ებმოდა.

ფშავში, მთის ზოლში, ნახნავის მძრალად დაგდების წესი არა სცოდნიათ. ეს მხოლოდ ივრის ფშაველებს გამოუყენებიათ, რასაც აქ „დაგდებული მძრალის“ სახელით იხსენიებდნენ.

მოხნულს იმავე დღეს თესავდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა ხორბლეულის სათესლე მასალის შერჩევას. სათესლე ხორბალს მოსავლის აღებისთანავე ცალკე „კოდში“[39] ინახავდნენ. იცოდნენ მიწის ფართობზე ხორბლის სახეობათა მონაცვლეობა და გარდა ამისა სცოდნიათ თესლმონაცვლებაც. სათესლე ხორბალს ერთი სოფელი მეორეს უცვლიდა, ან ერთი სოფლის შიგნით ქვიშრობ ადგილებზე მოწეულ ხორბალს უცვლიდნენ თიხნარ ადგილებზე მოწეულ

---

[38] ბ-შვილი, ჩვენებური გუთნის წესები, „დროება“, № 73.

[39] კოდი დიდი ზომის ხის მორისაგან მზადდება, საამისოდ იყენებენ დგნალს, რომელიც იოლი დასამუშავებელია და მღრღნელი ნაკლებად ეტანება. კოდის დასამუშავებლად იყენებდნენ შალაფს, გრძელტარიან სატეხს და ცულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორბალში. ფშაველ მეურნეთა დაკვირვებით: „ხამ ადგილზე თესლი პირველ წელიწადს კარგ მოსავალს იძლეოდა, შემდეგ კი ისევ ცვლა სჭირდებოდა".

სცოდნიათ აგრეთვე (უმთავრესად ფშავის ქვედა ზოლში) შერეული თესლის თესვა. დიკასთან ახლისა ან ქერდიკისა, მაგრამ ამ ხერხს მიმართავდნენ იშვიათად. ფშაურ დღიურ ნახნავზე ითესებოდა 1 კოდი ხორბალი (აქაურ კოდში 10 ლიტრია, ლიტრში 12 გირვანქაა, ე. ი. 1 კოდი 3 ფუთია). მოსავალი მოდიოდა ერთი ხუთად. იყო შემთხვევები, როცა ძალზე დაბალ მოსავალს იღებდნენ, მაგ., ერთი ორად ან ერთი — სამად. უკანაფშავში შედარებით წინაფშავ-




სურ. 7.

თან, საერთოდ, დაბალ მოსავალს იღებდნენ. აქ საშუალო მოსავალი ერთი ოთხს არ აღემატებოდა. ფშაველ მეურნეთა აზრით „ოჯახმა თვითეულ მჭამელ სულზე უნდა დათესოს ერთი კოდი ხორბალი". ქართლში თითოეულ სულზე წელიწადში 25 ფუთ ხორბალს ითვალისწინებდნენ და ხვნა-თესვის მინიმუმს ამ ნიშნის მიხედვით იღებდნენ. ქართლელი მეურნე თითოეულ სულზე გათვალისწინებულ 25 ფუთში ვარაუდობდა აგრეთვე ოჯახში ამ ერთ სულზე როგორც სტუმრის, ისე შინაური საქონლის ქათმის, ღორის და ძაღლისათვის გასაწევ ხარჯებსაც. ფშავში, იქ, სადაც ხვნა-თესვისათვის გლეხობას მეტი ფართობის მოხვნის საშუალება გააჩნდა, ერთ კოდს სასტუმროსაც თესავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმროდ გარკვეული რაოდენობის ფართობი ითესებოდა ჩერქეზებშიაც. ვ. ჩურსინის ცნობით, ჯერ კიდევ 1859 წლისათვის ჩერქეზთა ზოგიერთ ოჯახს წესად ჰქონია მიწის განსაკუთრებულ ნაკვეთში დაეთესა სასტუმრო ღომი და სტუმრის ცხენისათვის ჭვავი[40].

თესლის მიწაში დაფარვისათვის იყენებდნენ როგორც კბილიან ფარცხს (წინა ფშავში), ისე ფარცხს. ფარცხის ზომა ორ მეტრს არ აღემატებოდა. ფარცხის „ისრებზე“ ხის წმინდა ტოტებს ჩაუბამდნენ, რასაც ადგილზე „გაში“ ეწოდებოდა. მუშაობის პროცესში ფარცხს ამოძრავებდნენ ისეთივე წესით, როგორც სახვნელს, დაბლიდან ზემოთ გარდიგარდმო სვლით.



სურ. 8.

დათესვის შემდეგ თესლი მიწაში „დაყივდებოდა“ (ღივს გამოიტანდა), ამოჯეჯილდებოდა, მუხლში შევიდოდა და „დაორსულდებოდა“. დაორსულების შემდეგ პური დამწიფებას იწყებდა. დამწიფებული პურის აღება ფშავში ორი საშუალებით სწარმოებდა: ხელით გლეჯვით და ნამგლით, ხელით პურეულის გლეჯა იმ შემთხვევაში გამოუყენებიათ, როცაყანა ძალზე დაბალი და თხელი იზრდებოდა, რასაც ხშირი გვალვები იწვევდა და მოგვალულ პურსაც ეძახდნენ. ხელის დაზიანებისაგან დასაცავად ყანის გლეჯის დროს თათმანებს იცვამდნენ. ნაგლეჯი ყანა ძნელად იკვროდა იმავე წესით, როგორც ეს ნამგლით მკის დროს ხდებოდა. პურეულის ასაღებად გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივი მჭედლების დამზადებული, ისე მეზობელ რაიონებიდან შემოტანილი ნამგლები.

ნამგლით მუშაობაზე კაცებთან ერთად ქალებიც გამოდიოდნენ. ყანის მმკელი მარცხენა ხელის სამ თითზე იკეთებდა ხის სათითებს, იცვამდა „სამ-

---

[40] Вл. Чурсин. Очерки по этнографии Кавказа, ст. 41, „Кавказ“, 1859, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავებს“, რომელიც ტოლისაგან ყოფილა ამოკერილი. უხმარიათ ტყავის ან სელის წინსაფარიც. ყანის მკელები მკას იწყებდნენ მიწის ქვედა მხრიდან და თანდათანობით მაღლა მიდიოდნენ.

ყანის მომკელი ორი ხელეური ერთ ძნად იკვროდა. ძნას ფშავში „მაჭლეურს“ უწოდებენ. წინა ფშავში ტერმინ „ნამჭლეურსაც“ (ნამჭლეური — ნამუჭი — მუჭიდან წამომდგარი ტერმინია) ხმარობენ და სამსამად დაწყობილ ძნას გულისხმობენ. შედარებით ქერისა და პურის ძნასთან სვილის ძნა მხოლოდ ერთი მუჭეულისაგან შედგებოდა. სვილის ღერების სიმაგრის გამო მისი ლეწვა არ შეიძლებოდა. მას ვერც პირუტყვის საკვებად იყენებდნენ, ამიტომ მარცვლის გამოსაცალკავებლად მის ბერტყვას აწარმოებდნენ. მარცვლის გამოცალკევების შრომის თავისებურება აპირობებდა სვილის ძნის სიდიდეს. ბერტყვისათვის ყოველთვის ხელმარჯვე გამოდიოდა თითო ხელეური. ბერტყვა ფიცარზე, ქვაზე ან ლასტზე სცოდნიათ. პური და ქერი კი პირუტყვის ფეხით ილეწებოდა. ქერისა და პურის ძნები რამდენიმე ხელეურისაგან იყო შედგენილი.

ფშავში გარდა ჩვეულებრივი ერთი მხრიდან მოყოლებული მკისა სცოდნიათ მკა შეჯიბრით, რომელსაც „ხევურ მკას“ უწოდებდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მომკელები ყანას ერთად მიადგებოდნენ, მაგრამ თითოეული თავის კუნჭულს აირჩევდა. ეს კუნჭული მესვეურის აჭრილი ან მისი მითითებული უნდა ყოფილიყო სამკალი ყანისავე ფარგლებში. რადგან ფშავში ყანა თხელი მოდიოდა, დაყოფით ანუ ხეური მკის დროს მომკალს ბევრი სირბილი უხდებოდა, რაც ფშაველ მეურნეს არ მოსწონდა. აღნიშნული წესით მკასთან დაკავშირებით ფშავში შემონახულია ხალხური ლექსი.

„წინამხრელებ შემაილეს
ყანის მკაში ხეურაო,
გავრბივარ და გამოვრბივარ,
ამან დამასნეულაო“.

ფშაური ძნები საერთოდ მცირე მოცულობისა გამოდიოდა. ძნა წონით 1 კგ-საც ძლივს აღწევდა, მაშინ როცა ქართლში 4 ძნიდან ერთი ჩანახი (8 კგ.) პურის გამოლეწვა შეიძლებოდა.

განსაკუთრებით უკანა ფშავში პურეული სრულყოფილ სიმწიფეს ვერ ასწრებდა, ამიტომ ახალ შეკონილ ძნებს ისეთნაირად ალაგებდნენ, რომ ნიავს ძნა გაეშრო. ასეთი დალაგება — წყობა ხუთი ძნისაგან შედგებოდა და „ხადურას“ უწოდებდნენ. თუ ყანა გამომშრალი იყო, მაშინ ხუთულად ალაგებდნენ. ხადურას შესატყვისად „მელეურსაც“ იტყოდნენ. მელეური ფეტვის ძნას ეწოდებოდა საერთოდ ამ კულტურის ამოვარდნის გამო მელეურის, როგორც ფეტვის ძნის გამომხატველი ტერმინის ხმარება პურეულის ძნაზე იქნა გადატანილი. ფშავში ფეტვი ადრეული პერიოდისათვის საკმაოდ გავრცელებული კულტურა იყო.

ფშავში, როგორც აღვნიშნეთ, ყანის მკაზე ქალები და კაცები ერთნაირად გამოდიოდნენ. მკის დროს იცოდნენ როგორც სანაცვლო მუშაობა, ისე მუშის შეყრა. სანაცვლო მუშაობას აქ „მუშანი“ ეწოდებოდა. მუშის შეყრა კი ქართლ-კახური მამითადის ანალოგიურად იცოდნენ და მას ნადს უწოდებდნენ. ფშავში მკის დროს შეიმჩნეოდა მომკალი მუშების მოძრაობა როგორც ფშავისაკენ ისე ფშავიდან. ფშავში სამკალად (განსაკუთრებით წინა ფშავში) ხევსურები მოდენილან, ასევე წინა ფშავში სამუშაოდ მოდიოდნენ უკანა ფშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდან, ხოლო ყველა ესენი, ვიდრე ფშავში მკის სეზონი დადგებოდა სამკალად დადენილან ქართლსა და კახეთში. ყოფილა შემთხვევები, როცა ბარელები სამკალად წინა ფშავში ადენილან. ფშაველები მათ დღიური სამუშაოს საფასურად ერბოს ან მატყლს აძლევდნენ.

ძნები კალოსთან სხვადასხვა საშუალებით გადაჰქონდათ: ზურგით, სახედრით, ცხენით (რომელსაც გადაკიდებული ჰქონდა საძნე „ქოჯები“ ხისა), მარხილით, „მანჯიკით“ და „ყალით“.

მანჯიკი (საბას განმარტებით მცირე ზომის მარხილს რქმევია) ტრანსპორტის ამ სახეობაზე ლიტერატურაში რაიმე სხვა ცნობა არ მოგვეპოვება. იგი შედგება სიგრძით ორი მეტრი და 30 სმ სიმაღლის, 4—5 სმ სისქის ორი ფიცრისაგან, რომლებიც ერთიმეორესთან 80 სმ სიგრძის ოთხი ჯოხისაგან იკვროდა. მანჯიკის თვითეულ ფიცარს ოთხი ნაჩვრეტი გააჩნდა სიგრძეზე შუაში ჩაყოლებით 40—45 სმ დაშორებით. მანჯიკის თვითეულ ფიცარს თავთან ამოჭრილი აქვს მეხუთე ნაჩვრეტი ხელნების მისაბმელად. ხელნები უღელს უკავშირდებოდა. მანჯიკში ხარების გარდა ცხენის შებმაც სცოდნიათ.

მანჯიკზე ძნების დალაგება იცოდნენ სიგრძეზე და გარდიგარდმო. ყალი, მანჯიკისაგან განსხვავებით, სქელი და მსხვილი ლატნებისაგან იკვროდა. ორი 180 სმ სიგრძის ლატანი სიმაღლით 20 სმ და 6 სმ სისქისა 62—70 სმ სიგრძის სამი ბრტყელი თამასით იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული. ყალის ფეხები რომ თამასიდან არ დახსნილიყო თავსა და ბოლოს წნელები ამაგრებდა. ყალის წინა თამასას შუაში გათრევისათვის წნელი ჰქონდა მიბმული. ყალი გამოყენებული იყო ძირითადად თივის სათარად და აგრეთვე ძნის გადასატანად.

ფშავში ბორბლიანი ტრანსპორტი გამოყენებაში არ ყოფილა, აქ როგორც ზამთარში ისე ზაფხულში მარხილს (დიდსა და პატარას) მანჯიკს და ყალს იყენებდნენ.

მანჯიკისა და ყალის ფეხები მარხილივით არ არის მოხრილი, იგი სწორი ფიცარი ან სწორი ლატანია. მიწაზე ცურვის დროს რომ დაბრკოლება იოლად გადალახოს, მანჯიკის ფეხი მომრილია. აგებულებით იგი თუშს წააგავს და ტრანსპორტის განვითარების ცხრილში შეიძლება მარხილის გარკვეულ წინაპრად მივიჩნიოთ.

გადატანილ ძნებს კონუსურად ალაგებდნენ „წერებად“ ან „მუხლის ძნად“. წერას ზემოდან „სამჩხირს“ ადგამდნენ, რომ ძნა არ დაშლილიყო და წვიმასა და თოვლს მარცვალი არ ჩაელპო. ლეწვა მიმდინარეობდა ორი ტიპის „ველისა“ და „საფრიან“ კალოზე. როგორც ერთი, ისე მეორე ერთნაირი ზომისა კეთდებოდა. უკანა ფშავში საფრიანი კალოები მცირე ზომისა კეთდებოდა (დაახლ. 3—4 მ დიამეტრისა). საფრიანი კალო ძირითადად ზამთარში იყო გამოყენებული. კალოს პირას ჩასმული ოთხი ბოძი ხის ტოტებით და ნამჯით იყო გადახურული გვერდში კი ძნები ედგა.

სვილის ბერტყვისათვის კალოს ცენტრში ქვას დაადებდნენ. მასზე ფიცარს მიაყუდებდნენ ან ბრტყელი ზომის ქვას, ზოგი წნულ ლასტსაც ააყუდებდა. მბერტყავი სვილის ორ ძნას იღებდა თითო ხელით თითოს. ორივეს ერთდროულად ურტყამდა ქვაზე თავთავების მხრიდან სამი ოთხი დარტყმის შემდეგ თავთავიდან მარცვლები გამოიბნეოდა. თუ ძნას თავთავებში მარცვლები შერჩებოდა მბერტყავს გვერდით მცირე ზომის „რკინა“ — ჯოხი ჰქონდა მომარჯვებული და ამ რიკნის საშუალებით სვილის ძნას საბოლოოდ გამოლეწავდა. სვილის ბერტყვის შედეგად მიღებულ „ხოვს“ ფიწლით „მაყას“ (მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყა ჩელხის მნიშვნელობით იხმარება ე. ი. გაულეწავი თავთავები) მოხდიან, შემდეგ ცოცხით „მოუსუროვებდნენ“ და რაც ფიწალს მოუხდელი მაყა დარჩებოდა იმასაც შემოაცლიდნენ. მაყას იქვე „ჭოჭყით“ — გრძელი მარჯვე სახმარი ჯოხით (საბეგვი) „გაჭოჭყავდნენ“ და საბოლოოდ გალეწავდნენ. სვილის გაბერტყვის შემდეგ რჩებოდა ყარტი, რომელსაც ფშაური სახლის გადასახურად იყენებდნენ. სვილის „ხოვს“ ცხრილებით ანიავებდნენ და ცხავ-ცხრილებში გატარების მერე კოდებში ინახავდნენ.

ივრის ხეობაში ჩამოსახლებულ ფშავლებს ლეწვა კევრით სცოდნიათ, ივრის ხეობის ზედატანში კი კევრი აღარ გვარობდა და აქაც საქონლის ფეხი და ბერტყვის წესი გამოუყენებიათ.

ფშავის განსაკუთრებული კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო გარკვეულად ზღუდავდა მიწათმოქმედებას. მეურნეობაში წამყვან დარგად — მესაქონლეობა გვევლინება, განსაკუთრებით XIX საუკუნეში.

* * *

არაგვის ხეობის ფშავი დაყოფილი ყოფილა 12 თემად. თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს, მაგ., შუაფხოს თემს იახსარი მფარველობს, უძილაურებისას კოპალა, ცააურს—მთავარანგელოზი[41]. ხატის ყმები თავისი გვარის წარმოშობას ერთი წინაპრიდან აღიარებენ. ერთი ხატის ყმებს, სხვადასხვა გვარისაც რომ ყოფილიყვნენ, ქორწინებაში შესვლის უფლება არა ჰქონდათ. ფშავში თითოეულ თემს თავისი სახნავ-სათესი სათიბები და საძოვრები გააჩნდა. სათემო მფლობელობაში არსებული სახნავ-სათესი ორ ძირითად კატეგორიად იყო წარმოდგენილი სათემოდ და სახატოდ. ხატის მამული ხატის ყმათა გვარებზეა განაწილებული. თითოეულ გვარზე განაწილებულ წილს „ნაყევრალი“ ეწოდება. რამდენი ძირეული გვარიც ამ ხატის ყმად ითვლება, ხატის მამულიც იმდენი ნაყევრალისაგან ყოფილა შედგენილი. ძირეული გვარის სეგმენტაცია სეგმენტაციამდე ხვედრილი ნაყევრალის დანაწილებას არ იწვევს. ნაყევრალის მოხვნა-დათესვისათვის გვარში შემავალი ოჯახები გამწევი ძალით და სახვნელ იარაღით გამოდიოდნენ, ვისაც რით შეეძლო. ზოგს ერთი ხარი გამოყავდა, ზოგს სახნისი, სახვნელი, ფარცხი და სხვა საჭირო ინვენტარი გამოჰქონდა. ხატის დასტურებს ბეღლიდან სათესლე ხორბალი გამოჰქონდათ და ძოხაყევრეებს უნაწილებდნენ. ხატის მიწების დამუშავება ორშაბათ დღეს ეწყობოდა. ამ დღეს ხატის მამულში წარმოებულ მუშაობას საერთო სახელი „ხატის ნადი“ რქმევია; ხატის მამულის საგვარო წილის სახელი „ნაყევრალი“ მთხრობელთა ახსნით ყევარი ხარით დამუშავებული მიწის გამომხატველია. მთხრობელთა ახსნა სინამდვილესთან ახლო უნდა იდგეს. შესაძლებელია მიწის თემური მფლობელობის სტადიაზე ნაყევრალი მიწის შედარებით ზომის ერთეულს შეადგენდა, რომლის ქვეშაც ყევარი ხარის გამწევი ძალით წარმოებული დღიური ხვნა უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი.

ნადი ხატის ყანის მკის დროსაც იმართებოდა. ამჯერად ნადში არა მარტო ისინი მონაწილეობდნენ, ვინც ნაყევრალები მოხნა და დათესა, არამედ ისინიც, ვინც ხატის დღეობაში იყო მოსული შორი სოფლებიდან სალოცავად და ხატის

[41] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VIII, 1896, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანის მკის დროს დაემთხვეოდა მათი მოსვლა. მომკილს დასტურები ლეწავდნენ და ხატის ყმა მამაკაცები ეხმარებოდნენ. ქალები ხატის მკაში მონაწილეობას ღებულობდნენ, მაგრამ ლეწვის საქმეში ისინი აღარ ერეოდნენ.

ვ. ბარდაველიძეს ხევსურეთის მაგალითზე ხატის მამულების წარმოშობის რამდენიმე გზა აქვს დასახელებული, რომელთა შორის ხატის მიწის მოპოვების საქმეში ძალადობაც არის დასახელებული. სახელდობრ, ყოფილა შემთხვევები, როცა თემი სხვისი საყმო მიწების ძალით მიტაცებას ახდენდა და რომელიმე ხატის სახელს მიაკუთვნებდა. ანალოგიურ გარემოებას ფშავშიც ჰქონია ადგილი. აქ ზოგჯერ ხატის მიწები იზრდებოდა თემის მიერ ამოწყვეტილი ოჯახების კუთვნილი მამულების ხარჯზე. ეს გარემოება ნათლად არის წარმოდგენილი სულა-კურდღელას ფშაურ გადმოცემებში: „სულა და კურდღელა ცხოვრობდნენ ფშავში, სოფელ ჩარგალში და ეკუთვნოდნენ გოგოჭურთა გვარს, ეს პირები თავისი მკლავის ძალისა, ვაჟკაცობის და სისასტიკის წყალობით თანდათან ეკონომიურ სიძლიერესა და ძალაუფლებას იხვეჭდნენ, რითაც უპირისპირდებიან რიგით მეთემეებს, თავიანთ ძალაუფლებას მათზე ავრცელებენ, ჩაგრავენ, ადებენ ბეგარას, ძარცვავენ, სტაცებენ დაურიდებლად რაც სურთ და ამის წყალობით საძულველ პირებად იქცევიან, რის გამოც მეთემეები მათ ხოცავენ[42]. ხოლო მათ მამულში ლაშარის ნიშს დებენ და ლაშარის ხატის ბეღელსაც“[43].

ბრძოლა თემსა და თემში აღზევებულ პირთა შორის იყო ამავე დროს გამოხატულება თემის შინაგანი რღვევისა, რომელიც დიდი ხანია ბარის ფეოდალური წყობილების გარკვეულ ზემოქმედებას განიცდიდა.

ხატის მიწების ყველაზე ძველ ფენად ვ. ბარდაველიძეს მიჩნეული აქვს ის სახნავ-სათიბები, რომელიც ხატის ძირეულ ხელდებულ მამულად იყო აღიარებული, ეგრეთწოდებული, სანადო მამულები[44]. ფშავში ძირითადად ხატის სანადო კატეგორიის მიწებთან გვაქვს საქმე.

გარდა ხატის მამულებისა თემს გააჩნდა სასოფლო მიწები, რომელშიც ცალკე იყო გამოყოფილი საამანათო მიწები.

ამანათობა, როგორც ჩანს, იმდენად ხშირი მოვლენა ყოფილა, რომ ფშავის სოფლებში საამანათო მიწების კატეგორიაც არსებობდა. საამანათო მიწაზე ამანათის დასახლება ხდებოდა. ამანათს ქართველი იქნებოდა თუ არა ქართველი განსხვავება არ ეძლეოდა, თუ იგი ხატის ყმობას აღიარებდა, ხატის კარზე ხარს დაკლავდა, ლუდით გაუმასპინძლდებოდა, სოფელი მას ხატის მიუვალ ადგილებში, რომელსაც „კვრივს“ უწოდებენ „სამან საზღვარს ჩაუგდებდა. ამის მერე საამანათო მიწას გადასცემდა და მასზე დასახლების საქმეშიც დაეხმარებოდა. მორიგ წელს ამანათი მიწის საერთო განაწილებაში ღებულობდა მონაწილეობას.

საამანათო მიწა იქმნებოდა სოფლიდან რომელიმე დამნაშავის მოკვეთის შემთხვევაში ან რომელიმე ოჯახის გაპარტახების, სოფლის მიტოვების და სხვაგან გადასახლების ნიადაგზე.

---

42 თ. ოჩიაური, ზოგიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, 1959, გვ. 127.

43 იქვე. გვ. 131.

44 В. В. Вардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, С Э. 1949, № 1, გვ. 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახატო მამულების დამუშავებისა და მისი გენეზისის საკითხები ხევსურეთის მაგალითზე ბრწყინვალედ არის გაშუქებული ვ. ბარდაველიძის ნაშრომში „Земелные владения древнегрузинских святилищ". ამიტომ ჩვენ არც საამახათო და არც სახატო მიწების დამუშავების საკითხს არ შევეხებით.

ხატის მიწების დამუშავებაში რამდენიმე განსხვავებული მხარე შეიმჩნევა. ერთია, როცა ხატის მიწის დამუშავებაში ხატის ყმებიდან ყველანი ღებულობდნენ მონაწილეობას, მეორე შემთხვევაში ხატის ყმათა შორის მორიგეობაა და მხოლოდ ორი ოჯახი ამუშავებს (ძირითადად ამგვარ წესს იცავდნენ მოხევეები). მესამე შემთხვევაში, სახალხო მიწებს სალალოდ სხვას აძლევდნენ, ლალას კი ხატის ყმა სოფელს უხდის. ანალოგიური გარემოება ჩვენს მიერ ხევშიც იქნა დამოწმებული. ხატის მიწების დამუშავების აღნიშნული ფორმებიდან მეტი სიძველე პირველ ფორმას ახასიათებს, რომლის მიხედვით ხატის მიწებს მთელი მისი ყმები ნადით ამუშავებდნენ, ნაყევრალების სახით. აღნიშნული ფორმიდან გამომდინარე, ვ. ბარდაველიძე ხატის მიწების სანადოდ დამუშავებას გენეტიკურად მიაკუთვნებს პირველყოფილ — გვაროვნულ წყობილებას[45].

ფშავში მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იყო რელიგური ხასიათის რწმენა წარმოდგენები. ხვნის დაწყების წინ ხარებს კუდზე „თიკვში გამოკრულ ტყემლის ტოტს აბამდნენ. იცოდნენ ასკილის, ნახშირის და ნივრის კბილის შებმაც". სახვნელის წინ უღელს ურძნისა და ტყემლის ტაბიკებს უკეთებდნენ, რომ ხარი არავის გაეთვალა და სხვ.

სახვნელში ხარებს როცა შეაბამდნენ, უღელზე ხმიადს გადატეხავდნენ და თითო ნაწილს გუთნის დედა მეხრესთან ერთად შეჭამდა. ნაწილს კი ხარებს შეაჭმევდნენ. ხმიადი იფქლის (წმინდას) ნამცხვარი უნდა ყოფილიყო. ოჯახი ამ მიზნისათვის იფქლს სახმიადედ საგანგებოდ ინახავდა.

ფარცხვის შემდეგ გუთნისდედა ნაფარცხის შუაში ხელით ჯვარს გამოსახავდა, თხილის ნედლ ჯოხს მიწაში ჩაასობდა და გადაამტვრევდა, ისე, რომ გადატეხილი წვერი აღმოსავლეთისაკენ ყოფილიყო მიმართული. გადატეხილ ადგილზე ბალახს ჩამოკიდებდა. სცოდნიათ გადატეხილ ადგილზე მიწის ვუნდის ჩამოკიდებაც. ფშავში ამ ჯოხს „ნახნავის მწყემსი" ეწოდება, ზოგან „ნათესების მწყემსსაც" უწოდებენ. გარდა აღნიშნულისა, ფშავლები დიდ მარხვაში დიდ ოთხშაბათის საღამოს, „კუდიან ღღეღამეს" რომ უწოდებენ, ნათესებს „დამახვილავდნენ" ხოლმე. ნათესების დამახვილება გამოიხატებოდა „შუა მამულში ტყემლის ეკლიანი ჯოხის ჩარჭობით და მის ძირში ეკლისა და ნახშირის დაყრით". იმავე საღამოს სახლის წინ ცეცხლს ანთებდნენ, რომ კუდიანები დაეფრთხო.

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დადგენილია, რომ აპოთროპეული დანიშნულებით ჯვრის გამოხატვა სხვადასხვა საგანზე სცოდნიათ ფშაველთა მეზობელ ხევსურებს[46]. თესვის დამთავრების შემდეგ დაფარცხულ მიწაზე ჯვრის გამოსახვა იცოდნენ ხევშიაც[47]. ქართლში ჯვრის გამოსახულება კეთდებოდა მოზელილ ღვარცლში გასაღვივებლად დატოვებულ პურის ცომზე. საახალწლო ბასილას ახალწლიდან ორი კვირის გავლის შემდეგ ოჯახის უფროსი

[45] ვ. ბარდაველიძე, დასახელებული ნაშრ. გვ. 105.

[46] ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ხევსურული ორნამენტი. 1939, გვ. 6.

[47] გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XXII—13, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგზე ჯვარს ამოაჭრიდა და პურის ბეღელში ინახავდა. ყანის მკის დამთავრებისას მესვეური თავთავებისაგან ჯვარს შეკონავდა და ყანის პატრონს მიართმევდა, რომელიც ყანის ჯვარს დედაბოძზე მიაკრავდა ხოლმე.

ქართლისავე მასალების მიხედვით აღდგომის წინა დღეს მამულების „დასარყვა" იცოდნენ. დასარყვისათვის იყენებდნენ ასკილის ეკლიან ჯოხს და ნედლი ტირიფის მოკლე ჯვარედინად ჩახლეჩილ ჯოხს, რომელსაც ჯვარედინ ჩანაჩეხში ჯვარედინადვე ჩადგმული ჰქონდა თითო მტკაველის სიგრძის ჩხირები. მამულში აღნიშნული სარყის ჩადგმას ქართველი მეურნე იმისათვის მიმართავდა, რომ „აღდგომას ყველა ჯურის კუდიანები იალბუზის მთაზე რომ არიან თავშეყრილნი სხვადასხვა მიმართულებით იწყებენ მიმოსვლას. ისინი სადაც დაუსარყავი ან ასკილის უეკლო კარ-ფანჯარა დახვდებოდათ. იქ მოიკალათებდნენ", ოჯახსა და ნათესებს ზიანს მისცემდნენ.

ფშაველი მეურნის მიერ დაფარცხვის შემდეგ მიწაზე ჯვრის გამოსახულების ანალოგიური მაგალითია ხევსურეთსა და ქართლში გავრცელებული ჯვარის გამოსახულების აპოთროპეული დანიშნულებით გამოყენების ფაქტისა. რაც შეეხება „ნათესების მწყემსს" მისი ანალოგიურია ქართლში გავრცელებული „ბოსტნის დედოფალა" და კახური „ბოსტნის კუკი". ქართლში ბოსტნის დედოფალას ბოსტანში თესვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ დგამდნენ. მას დიასახლისი უბარებდა „აბა ჩემო დედოფალა, შენ იცი ჩემ ბოსტანს როგორ მოუვლიო". 1957 წელს ჩერქეზეთში მუშაობის დროს სოფ. აფიფსიპაში (კრასნოდარის მხარის, ოქტომბრის რაიონი) შაფსუღების სოფლებში რამდენიმე ადგილზე დადასტურებული იქნა ბოსტნის დედოფალა, რომელსაც ადიღელები „ხატეგვაშეს" და „ზლაპსაც" უწოდებდნენ.

ფშაური ნათესების მწყემსი „ქართლ-კახური „ბოსტნის დედოფალა" და ჩერქეზული „ხატეგვაშე" ერთი ფუნქციისანი არიან. მათ ნათესების დაცვის მოვალეობა აქვთ მინდობილი. მაგრამ ისინი სხვადასხვა ბუნებისანი არიან. „ნათესების მწყემსი მამაკაცური ბუნების სიმბოლოს უნდა ასახავდეს, „ბოსტნის დედოფალა" კი მდედრული ბუნების მატარებელია. მათი ასეთი განსხვავებული ბუნება მათ წარმოშობა განვითარების სტადიურობასაც გამოხატავს. ბოსტნის დედოფალი. ქალის როგორც სამიწათმოქმედო მეურნეობის პირველი წამომწყების ანარეკლს მოგვაგონებს, რომელმაც შესაძლებელია პირველი მოღვაწეობა მიწათმოქმედებაში სწორედ მებოსტნეობით დაიწყო. ნათესების მწყემსი კი მემინდვრეობის სტადიას უნდა გამოხატავდეს, სადაც მამაკაცი წამყვანი მეურნის ფუნქციას ასრულებდა.

გაზაფხულის თესვის დამთავრების შემდეგ სოფელი „სამხთოს" (სამღვთო) იხდიდა. სამხთოზე ხდებოდა სოფლის საუქმო დღის დაწესება. საუქმო დღე სხვადასხვა სოფელს სხვადასხვა ჰქონდა არჩეული. ამ აღკვეთილ დღეს სეტყვის დღესაც უწოდებდნენ. მისი უქმობა მკის დაწყებამდე გრძელდებოდა. უქმე დღეს მიწის შეძვრა არ შეიძლებოდა, არც ხარს შეაბამდნენ უღელში. ტყის სამუშაოებსაც კი გაურბოდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართლში უქმე დღეს მიწის სამუშაოებს არ ასრულებდნენ, მაგრამ ტყის საქმეს აკეთებდნენ. ზოგჯერ სამღთოზე ხდებოდა „მთისა და ბარის" მეველეების არჩევა. სოფელი ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ორ კაცს გამოყოფდა: ერთი მთის სათიბებისა მთის ნათესების, ხოლო მეორეს კი ბარის ნათესების თვალყურის დევნება ევალებოდა. ბარის მეველეს ჭირნახულს (ხორბლეულს) აძლევდნენ კომლზე ერთ ლიტრს, ხოლო მთის მეველეს წელიწადში ერთ თივას (თივის ერთ ზვინს) მეველეები მოსავლის აღებისთანავე წყვეტდნენ თავის ფუნქციას.

Г. В. ДЖАЛАБАДЗЕ

## ЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКИЕ ОРУДИЯ ТРУДА В ПШАВИ

### Резюме

Труд представляет монографическое изучение орудия труда и формы землевладения и землепользования Пшавий. Подробно изучено орудия ручной обработки земли карчи, тохи, церакви и пшавское пахатное орудие, распределение в нем сила тяги, с помощью ярмом разной величины. Изучено трудовое объединение в связи с земледельем. Рассмотрен вопрос о передвижение пшавского населения из горных районов низменных местностях.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. С. Н. Джанашия, т. XXIV-B, 1963
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. რეხვიაშვილი

# სალოცავი „მზიერი“ (გიუნე)*

1936 წელს თრიალეთის სანახებში საველე მუშაობას აწარმოებდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა „ხრამჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით მდ. ხრამის აუზში წარმოდგენილი ეთნიურად სხვადასხვა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესწავლას, აქ დაცული ძველი ნივთიერი ძეგლების გამოვლინებასა და მეცნიერულ ფიქსირებას.

თრიალეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ჩიტაია. ექსპედიცია კომპლექსური ხასიათისა იყო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეთნოგრაფები — ალ. რობაქიძე, ლ. ბოჭორიშვილი, ნ. რეხვიაშვილი, პ. აკრიტოსი, არქიტექტორი — ვლ. წილოსანი, მხატვრები — ნ. ბრაილოვსკაია და რ. შმერლინგი, ფოტოგრაფი — ს. ბაღდადიშვილი.

მხარის ეთნოგრაფიულ შესწავლასთან ერთად მიმდინარეობდა არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა არქეოლოგი ივაშენკო და ს. ნადირაშვილი (ეს მუშაობა შემდეგში განაგრძეს პროფ. ბ. კუფტინმა, დოც. გ. გობეჯიშვილმა და ი. გძელიშვილმა). ექსპედიციის მუშაობა ჩატარდა ორ ნაწილად. ერთი — 1936 წლის პირველი ივნისიდან პირველ ივლისამდე, მეორე — იმავე წლის 9 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე. ექსპედიციამ იმუშავა ძირითადად შემდეგ პუნქტებში: წალკა, წინწყარო, სანამერი, ედიქილისა, გუნიაყალა, დარიაქოვი, თაქილისა, აიაზმა, ჰოლიანქი, გუმბათი, აშყალა და სხვა. ექსპედიცია პირველი იყო მთელ საბჭოთა კავშირში, საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობას ახალმშენებლობის ტერიტორიაზე რომ აწარმოებდა. მუშაობის სასწრაფო წესით ჩატარება გამოწვეული იყო იმით, რომ საკვლევი ტერიტორია სულ მოკლე დროში ხელოვნური ტბის ქვეშ ექცეოდა და აქ დაცული მრავალი ძველი ქართული ნივთიერი ძეგლი, რომლის ფიქსირებასაც ექსპედიცია ვერ შესძლებდა, სამუდამოდ ექცეოდა წყლის წიაღში და იკარგებოდა მეცნიერებისათვის. ამ ვი-

---

* ამჟამად ძველი სალოცავი „გიუნე“ და მის გარშემო მდებარე მიდამოები, ძველი სოფლები — გუნიაკალა, წინწყარო, სანამერი და სხვა, ხრამჰესის საგუბართან დაკავშირებით მოქცეულია წყლის ქვეშ. აღნიშნული სოფლების მოსახლეობამ ამოიწია უფრო მაღლა და გააშენა იმავე სახელწოდების ახალი სოფლები — ახლომახლო ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებამ გარკვეულად განაპირობა და განსაზღვრა კიდევაც ექსპედიციის ძირითადი მიზანი და საველე მუშაობის მთავარი ამოცანები.

მეორე მხრით, საკვლევი საგნის თავისებურება — აწინდელი თრიალეთის მოსახლეობის ეთნიური[1] სიჭრელე და მასთან დაკავშირებული განსხვავებულება ერთობ რთულ, მაგრამ ეთნოგრაფიულად დიდად საყურადღებო საკითხებს აყენებდა ექსპედიციის წინაშე, რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთი ამგვარი ხასიათის ამოცანას შეადგენდა ექსპედიციისათვის წმინდა ადგილის — „გიუნეს“ სალოცავის გათხრა. „გიუნე“ ადგილობრივი მოსახლეობის თვალში „ნაწილიანი“ და „წმინდა ადგილი“ იყო. აქ სრულდებოდა სხვადასხვა საკულტო წეს-ჩვეულება და წარმოადგენდა ერთგვარ — „სახატეს“, ანუ „საჯვარეს“. სალოცავი გიუნე[2] ტერიტორიულად მდებარეობდა სოფელ სანამერის ძველი საცხოვრისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ქციის, ანუ ხრამის მარცხენა ნაპირზე, პატარა ტბის პირად, სოფლიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე. გარეგნულად „გიუნე“ წარმოადგენდა სახნავ-სათეს ადგილებს შორის მოქცეულ ყამირის ვიწრო ზოლს, რომლის შუაგულ ადგილას დადგმული იყო ქვის დიდი სვეტი. სვეტი მთავარი ტანით დაფლული იყო მიწაში (სურ. 1), ხოლო ზედამართული ღია ტანით იგი მიწის პირს დაახლოე-



სურ. 1. წმინდა ქვა „გიუნე“ შორიდან

ბით სამოცი სანტიმეტრით „ეზეითებოდა“. სალოცავის გაყოლებით, ნახნავთ შორის დატოვებული ყამირის ვიწრო ზოლი, სიგრძით — 10 მ., ხოლო სიგანით — ერთმეტრნახევარი იქნებოდა. სვეტის „გარსაგისი“ ამაღლებული იყო მცირედით საყანურიდან მიყრილი მიწითა და ქვით. სალოცავ წმინდა ქვას თავზე (მუ-

---

[1] თრიალეთის აწინდელი მოსახლეობის დიდი ნაწილი — ურუმები, ბერძნები, სომხები, თურქები გადმოსახლებულ იქნენ ამ ერთი საუკუნის წინ 1829—31 წწ. ისტორიული საქართველოს სამხრეთი პროვინციებიდან (ერზერუმისა და გუმიშხანის პროვინციებიდან) მეფის რუსეთის მოხელეების გენერალ პასკევიჩისა და სხვათა მიერ, რომელთაც დაასახლეს ისინი — დაცლილ ქართველთა სოფლებსა და ნამოსახლევებზე. აქა-იქ დარჩენილი თითო-ოროლა ქართველი მოსახლე შეერწყა და შეერია ახალ-მოსულთ.

[2] საინტერესოა, რომ ამჟამად ბოლნისის რაიონის თათრებში სიტყვა „გდუნ“, „ქიუნ“ — აღნიშნავს მზეს; ხოლო „გიუნე“ — მთას, მზიურ ადგილს. მსჯელობის საგანი — წმინდა ადგილი. „გიუნე“ მოთავსებული იყო მდ. ქციის ნაპირას, ორმოციოდე ნაბიჯზე, პატარა ტბის პირას. რაც საგულისხმოა მრავალი მხრით და კერძოდ, წყლის კულტთან დაკავშირებით. ცნობილია

ეროვნული ბიბლიოთეკა



აში) დასმული ჰქონდა ჯვარი. ჯვარის სახე შესრულებული იყო „გაწერვის" წესით. ამასთანავე სვეტის ერთ გვერდზე აღმოსავლეთით შეიმჩნეოდა დაღმა მიმართული ტეხილხაზოვანი „ნაწერი" სახე, რომელიც იმავე ტექნიკით იყო შესრულებული რა სახითაც — „ჯვარი". ნაწერის ანუ ნათხარის სიღრმე-სიგანე თითქმის „ერთი ზომისა იყო და დაახლოებით 0,5×0,5 სმ უდრიდა. ეტყობოდა რომ ეს ორივე ზემოაღნიშნული ფიგურა—„ჯვარი" და ეს უკანასკნელი ზიგ-ზაგი ნათხარი ერთ და იმავე იარაღით იყო „დაწერილი", ანუ „ამოკვეთილი". სხვა ადგილი სვეტის ზედაპირისა თითქმის გლუ, უსახო და სადა იყო (სურ. 2).



სურ. 2. წმინდა ქვა „გიუნე" დასავლეთის მხრიდან

გარეგანი მოყვანილობით სალოცავი ქვის ზედატანი მოგრძო, მრგვალი და ქვა-სანაყის მსგავსი შეხედულებისა ჩანდა. იგი ერთ მთელ, გულსავსე და „ყურუ-მი" სახის ქვას წარმოადგენდა. ანალოგიური მოყვანილობის ქვები მიკვლეულ იქნა 1956 წელს სოფ. დიღომის სანახებში — დიდგორის წმ. გიორგის სალო-ცავის ნანგრევთა შორის.

---

რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებობს მრავალი წეს-ჩვეულება, გადმო-
ნაშთის სახით, სადაც მკაფიოდ ჩანს წყლის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანი-
სა და საერთოდ ბუნების სიცოცხლისა და არსებობისათვის და ამ ნიადაგზე წარმომდგარი მის-
დამი დიდი მოკრძალება და პატივისცემა, რის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს მრავალი
გადმოცემა და თქმულება წმინდა წყაროებისა და საერთოდ წყლების მიმართ. ამ მხრივ
განსაკუთრებით საინტერესოა „ჭაჭუეთის ტბა" იმერეთში და „ტობა—ვარჩხილი" სამეგრელო-
ში. სოფ. სადემეტრაოს სამხრეთ დასავლეთით (მაიაკოვსკის, ყოფილი ბაღდადის რაიონი) 6 კმ.
მანძილზე, მთებისაკენ, „ჭაჭუეთის" სანახებში, რომელსაც ჩამოუდის ამავე სახელწოდების
პატარა მდინარე—ჭაჭუეთის წყალი, მდებარეობს სუფთა, კამკამა ტბა, რომელსაც ჰკვებავს
მთის ანკარა წყაროები. აღნიშნული ტბა მოსახლეობის მიერ „წმინდა" ტბადაა მიჩნეული და
აკრძალულია მასში რაიმე უკეთური საქმის გაკეთება, ან რითიმე „უწმინდურით" შებღალვა.
მას მორიდებულად, მოკრძალებით უნდა მოვექცეთ და მისი წყალი მხოლოდ წრფელი მიზ-
ნით გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის რწმენით წესის დარღვევისათვის გარ-
დუვალია მისი რისხვა და საყოველთაო უბედურების მოვლინება. საკმარისია მისი წყალი
აგდებულად ვინმემ დაღვაროს, რომ საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდეს და წვიმის ნიაღვრებმა
წარღვნას იქაურობა, რასაც ბოროტ-განმზრახველიც ვერსად გაასწრებს ხოლმე. საყურადღებოა,
რომ თვით დიდი გვალვების დროსაც ვერავინ კისრულობს იმას, რომ განარისხოს იგი ამ
გზით, რათა გამოიწვიოს წვიმა, ვინაიდან ხალხს ეშინია იმისა რომ ვერ გადურჩებიან მის რის-
ხვას, „ჭაჭუეთის ტბის" წყალს თვით გამვლელი მუშა მთიელებიც ვერ ეკარებიან იმ შემთხვე-
ვაში, თუ ღორის ქალამანი აცვიათ, ან ღორის ხორცი მიაქვთ მათ საგზლად.

ანალოგიურ ამბავს ვხედავთ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. მაგალითად, ჩრდ. სამე-
გრელოს მთებში (მდ. მაგანას ხეობისაკენ, სოფ. ჯვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით) არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შემდეგში გაირკვა, სალოცავი ქვის სვეტის ქვედა თავი უფრო მსხვილი და მომრგვალო იყო, ვიდრე ზედა მხარე. აშკარად გამოჩნდა, რომ მიწაში მოქცეული სვეტის ბოლო წარმოადგენდა ფუძეს, ანუ ძირს, ხოლო ზედა შიშველი ნაწილი მისი — წვერს, ანუ თავს. გაზომვის შედეგად თვალდათვალ შემჩნეული ეს განსხვავება სავსებით ნათელი გახდა. გაზომამ გვიჩვენა, რომ ძეგლის ზედა თავის დიდი d უდრიდა — 111 სმ., მცირე d — 70 სმ-ს, მაშინ როდესაც ფუძის უდიდესი d იყო — 113 სმ., უმცირესი d — 80 სმ., ხოლო გარშემოწერილობა, ფუძიდან 80 სმ-ზე — 313 სმ. (სურ. 3) სვეტის ტანის სიმსხო, ანუ მისი გარშემოწერილობის სიგრძე ფუძიდან აღმა, 86 სანტიმეტრის დაშორებით, უდრიდა — 337 სმ$^{3}$. ქვის ჯიშის ზუსტად დადგენა ძნელი გახდა (რამდენადაც იგი გარკვეულ, სპეციალურ შესწავლას მოითხოვდა. საამისოდ არც დრო და არც საშუალება არ იყო). ისე, გარეგნული ნიშნებით (რამდენადაც არა სპეციალისტს შეუძლია დაასკვნას). იგი უფრო ადგილობრივი ბაზალტის სახესხვაობა — დოლერიტი უნდა ყოფილიყო (როგორც ცნობილია, ამ ჯიშის ქვა თრიალეთის სანახებში საყოველთაოდაა გავრცელებული. იგი მშვენივრად ემორჩილება დამუშავებას). ამის გამო დოლერიტი, თრიალეთის სინამდვილეში, ადრიდანვე გამოუყენებიათ სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების საგნების დასამზადებლად — როგორიცაა საფლავის ქვები, საზეთე ნაგებობა-

ერთობ გამჭვირვალე და კამკამა ტბა — „ტობა — ვარჩხილი“ (ტბა — ვერცხლი), რომელთანაც, ხალხის ძველი რწმენით, დაკავშირებულია მრავალი საყურადღებო გადმოცემა და ლეგენდა. ერთ-ერთი თქმულებით, ერთხელ ვინმე მწყემსმა, თავისი უცოდინარობით და უნებლიე შეცდომით ტობა — ვარჩხილის გამჭვირვალე და ნარნარ წყალში ფეხი ჩაყო და ამოავლო წყალში ფეხზე შემომხმარი ლორის ტყავის ქალამანი. ამის ქნა და, სადაროდ მოწმენდილ ცაზე შავი ღრუბლების წამოშლა ერთი იყო. „ტობა — ვარჩხილის“ ვრცელი ველები მობალახე ჯოგებს დაელარა. ჩოყიერ ბალახში ჩაეყო ტუჩი საქონელს და საამოდ „მიეზავებოდა“. ბროლივით წმინდა წყალი მომხიბლავად ციმციმებდა. და თავის კამკამა ჰევლებს თავზე ავლებდა მთქვირე ლერწმის ჯარს. მშვიდ ყოფნას მისცემოდა არე-მარე, ცა-ღრუბლების რისხვას არვინ ელოდა. დარის ანგელოზის გულში არავინ იჯდა. უცებ ჩამოწვა წყვდიადი. უცნაურად დასერა ივა ელვამ, მალე საზარელმა ჭექა-ქუხილმა შესძრა მიდამო. წამოვიდა კოკისპირული წვიმა, ამოვარდა ქარიშხალი. გაუნელებელ ზესხმას მოყვა საშინელი ნიაღვარი. დაიქცა იქაურობა. აღორდნენ წყლები. აიმღვრა „ტობა — ვარჩხილიც“. იგი მდუღარესავით „კვარცხალებდა და არეშარეს წალეკვით ემუქრებოდა. დიდხან ბობოქრობდა და ღელავდა — „ტობა — ვარჩხილი“. დაიღუპა უთვალავი ჯოგი მწყემსებითურთ. ბოლოს ტობა — ვარჩხილმა „ამოირეცხა გული“, შებილწული წიაღი გადმოიბრუნა და განიბანა. დაცხრა ღელვითგან, დაიწმინდა პირი. გადაიდარა. ტბის კდემამოსილი ნაპირები „ნაძრახი ადგილი გახდა, მიცვალებულთა მზესავით“ ცივი, უძირო იდუმალების სამეფოდ იქცა იგი. ახლა ათასში ერთხელ იქ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ „ტყის დედოფლის“ კისკისი, ან „ოჩოკოჩის“ ხარხარი თუ დაარღვევს. ვერცხლივით კამკამა ტბას გიშერივით შავი ღამე დაემხობა ხოლმე. მაშინ, ქვესკნელიდან მოისმის მწყემსის სასომიხდილი ყრუ ქვითინი და უიმედო ძახილი — ნახეეთ!?... — ვერა, ვერა! პაჲ — არის პასუხი. ...(ვითომ, მწყემსი ეძებს თავის დაკარგულ ჯოგს და უძახის მეორეს, ხომ არ უნახავს ისინი. ამ ნიადაგზე, სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, შემუშავებულა მწყემსური სიმღერა და ლექსი. ისინი ორივე გულში ჩამწვდომნი და ტკბილ სევდიანნი არიან. დამარტოხელებული მწყემსი, თუ სხვა ვინმე, მთაკორტოხზე წარმომდგარ თავის მყუდრო „ჯარგვალში“, თუ სხვაგან სადმე, ნაზმშობლიურ დელიასთან ერთად, მწყემსურს ღიღინებდა: ჭვენს, თჷნს, მერეხასს, მეხი ჯას ფელეხანს, ათეჯგურა უჩა დღას, ჭყიში გორჷ ნს „პეეე“ თხას.

3 ძეგლის გარშემო მდებარე ყამირის ზოლის ზომა ჩრდ. მიმართებით უდრიდა 160 სმ., სამხრეთით — 170 სმ, აღმოსავლეთით — 124 სმ, დასავლეთით — 98 სმ. მიწის პირიდან აცილებული იყო ჩრდ.-დასავლ. 60 სმ, სამხრ. — 50 სმ-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მოწყობილობა, ე. წ. საწნერავი ქვები[4], სარწყული გეჯები, სანაყები, ბუხრის ქვები, სვეტები და საერთოდ საამშენებლო მასალა.

თრიალეთის ყოფა-ცხოვრებაში დამოწმებული ქვის დამუშავებისა და გამოყენების მდიდარი კულტურა უეჭველად დიდად იყო დამოკიდებული იმისაგან, რომ აქ, ადგილზე უხვად მოიპოვებოდა სხვადასხვა ჯიშისა და ხასიათის სამასალე ქვა. ქვის ნახელავთა მრავალფეროვნებით და სიდიდით თრიალეთი და მთელი ქვემო ქართლი სამართლიან განცვიფრებას იწვევს. აქ წარმოდგენილი ქვის მაღალი კულტურა სპეციალურ კვლევა-ძიებასა და მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს[5], მით უმეტეს რომ თრიალეთის ნივთიერი კულტურის წარმომადგენლები, კერძოდ, ქვის ძეგლები უშუალო და ახლო კავშირში იმყოფებიან ურარტუსა და მცირე აზიის სხვა ქვეყნების ანალოგიურ ძეგლებთან.



სურ. 3. „გიუნე“ გათხრის შემდეგ

---

[4] საზეთეებისათვის განკუთვნილი უშველებელი საწნერის ქვები, საძაბავი დოლაბები—საწნერავის კვირისტავები (ერთი ასეთი საზეთის ქვა-კვირისტავი, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში). წამოღებულ იქნა ჩვენ მიერ სოფ. ძველი გუნიაკალიდან. იგი იდვა ალექსი ბანაილის-ძე გოტრანოვის ეზოში, საცხოვრებელი სახლის წინ ათი ნაბიჯის დაშორებით. ქვის ტანი გარეგანი მოყვანილობით წააგავს წისქვილის ზედა დოლაბს. მსგავსად იმისა ახასიათებს ამაღლებული გული, რომელიც გახვრეტილია მრგვალად და გარშემო აქვს ოთხკუთხის სახის „ორბა“ და „გუგულე“—ქართული მხედრული წარწერით და გუთნეულის გამოსახულებით (სურ. 4).

[5] ჩვენ, ამ შემთხვევაში, არ უგულებელვყოფთ ამ საკითხის შესახებ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის საყურადღებო ნაშრომებს, სადაც მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ციკლოპურ ნაგებობათა საკითხს. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ მეორე გარემოებას—ქვის დამუშავების კულტურას და მის გამოყენებას კერძოდ, საყოფაცხოვრებო, საწესო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგნების დასამზადებლად. ამასთანავე იმ ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელიც საფუძვლად ედვა ამ კულტურას და მის კანონზომიერ განვითარებას. აღნიშნული მხარის დიდი სამეურნეო განვითარებისა და ეკონომიური შეძლებულების მაჩვენებელია აქ წარმოდგენილი დიდი ტევადობის მიწური ბეღლები, ანუ (ღჳ-ები, ან ღუი-ები) (შდრ. ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა—ღუი სამხრეთ საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, 1957 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო „თევზ-კაცებისა“ და „გველეშაპების“ პრობლემის თვალსაზრისით, თრიალეთის სინამდვილეში შემონახულ ქვის ძეგლების შესწავლას უდიდესი და შორსმწვდომი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის.

თრიალეთის სინამდვილეში ერთი უპირველესთაგანია, თავისი საინტერესო სიძველეებით სოფ. გუმბათი, რომელიც გაშენებულია არჯევანის მთის სამხრეთ კალთებზე



სურ. 4. საწნერავი მანქანის კვირისტავი „ხარხინის“ ქვა

ხრეთ კალთებზე (სამხრეთით ჩამოუდის „აშყალას“ წყალი, დასავლეთით — არჯევანისა, იმავე დასავლეთის მხრიდან სოფელს დაჰყურებს ძველი ციხის ნანგრევები). სოფლის დასავლეთით, არჯევანის წყლის მარჯვენა კიდეზე აღმართულია ქვის ძველი ეკლესია, რომლის შესავალ კარის თავზე მოთავსებული „წართხლის“ წარწერიდან ჩანს, რომ იგი განუახლებიათ 1866 წელს. ეს ეკლესია ყურადღებას იქცევს მდიდარი და მრავალფეროვანი არქიტექტურული სამკაულებით, ჩუქურთმებით, რელიეფური ქანდაკებებით, ქართული ასომთავრული წარწერებითა და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა აქ დაცული საფლავის ქვები, რომლებსაც ახასიათებს უცნაური გარეგნობა და მოჭრელება. კერძოდ, გალავნის სამხრეთით — კარიბჭის გვერდზე მდებარე ქვა, თავისი აგებულებით ახლო წააგავს „ვეშაპს“[6] — (თევზს) იგი წარმოადგენს მაგარი ჯიშის,

---

ამ ხასიათის, მაგრამ შედარებით უფრო მომცრო მიწისქვეშა ნაგებობა — „დარანი“ აღმოჩენილ იქნა 1955 წ. თიანეთის რ-ნის სოფ. ქებოტის თავზე ე. წ. „თეთრი გზის“ სანახებში. ადგილობრივი მოსახლეობის სიტყვით იგი წარმოადგენს — „სამალულეს“. ლეკიანობის დროს იქ იმალებოდნენ მცხოვრებნი. ეს საყურადღებო ნაგებობა ამჟამად ნაწილობრივ დაზიანებულია. ამოვსებულია ნახევრად მიწით და ჩატეხილია აქა-იქ ბანი. ჩვენ მიერ დათვალიერებულ იქნა ყროერ[illegible] „სამალულე“, რომელიც ვიწრო გალერეიას მოგვაგონებს. იგი სიგრძით დაახლოებით 6 მ, სიგანით — 1,40 მ. და სიმაღლით 1,5 მ. იქნება. კედლები შედგება 5 გაყოლება მწკრივისაგან. დახურულია ზემოდან ბრტყელი და გამწე ქვის კეცებით.

[6] ...ქვის თევზები, ანუ ვეშაპები პირველად სომხეთში აღმოჩნდა (1909 წ.) მარისა და სმირნოვის მეოხებით (იხ. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, ტფ., 1947, გვ. 83).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ფერის ქვას. „ზეზურგზე“ ამოკვეთილი აქვს მალებიანი ჯაჭვი, ხოლო გვერდებზე — დახლაკნილი გველები. საინტერესოა აგრეთვე მეორე საფლავის ქვა, რომელიც გალავნის გარედაა აღმართული. იგი გარეგანი მოყვანილობით მამაკაცის ტანის გამოსახულებას წარმოადგენს და ურარტული ქვის ძეგლებს უახლოვდება (სურ 5). რაც მთავარია, აქვე ეკლესიის აღმოსავლეთით, ოცდაათ ნაბიჯზე, არჯევანის წყლის მარცხენა ნაპირას, დაცულია მიწისქვეშა ნაგებობა — „დარანი“, რომელიც ვიწრო და გრძელი დერეფანისაგან შედგება. ახასიათებს უზარმაზარი ქვის ლოდებით ნაშენი კედლები. დიდი ზომის ბრტყელი და გამწე ქვის კეცებით გაწყობილი, დახურული ბანი. წინა კედლის არე ადგილ-ადგილ შედრეკილია ნიშისებურად და ძირს აქვს „ბაგა“ — შვერილი, რომლებზედაც დატანებულია ხვრეტილები; ეტყობა, თოკის გამოსაბმელად ყოფილა განკუთვნილი. დარანის განი უდრის ოთხ მეტრს, სიმაღლე — სამ მეტრს, ხოლო სიგრძე დაახლოებით 40 მეტრს. მსგავსი ხასიათის ნაგებობა —



სურ. 5. ქვა — „ვეშაპი“ სოფ. გუმბათის (თრიალეთი) ეკლესიის გალავანში

„დარანი, ეთნოგრაფ თ. ჩიქოვანის ცნობით, დაცულია იედიქილისაში — სოფლის შუაგულ ადგილას, იქ სადაც ამჟამად რკინის სამჭედლოა გაშენებული. იგი ორი, ვიწრო კორიდორით გადაბმული ოთახისაგან შედგება, რომლის საერთო ფართობი 15 კვ. მეტრს შეადგენს. მისივე ცნობით ანალოგიური მიწისქვეშა ნაგებობა მოიპოვება ჩითახევის სანახებში (ბორჯომის რაიონი).

გადაწყდა აღნიშნული ძეგლის გათხრა. 9 ნოემბერს ექსპედიციის ერთი ჯგუფი[8] შეუდგა ამ სამუშაოს შესრულებას. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი გათხრის დაწყება სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ძეგლიდან სამი მეტრი

[8] ხელმძღვანელი პროფ. გ. ჩიტაია, წევრები: ნ. რეხვიაშვილი, ვლ. წილოსანი, ნ. ბრაილოვსკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართობის ჩატანით[9]. ძეგლი წინასწარ ჩახატულ იქნა „ინსიტუ“ მასთან, ჩატარდა მისი სათანადო აზომვა და ფოტოგადაღება, დაღგენილ იქნა რუკაზე ძეგლის ადგილმდებარეობა და ყოველივე ამ წინასწარი მოსამზადებელი თადარიგის ჩატარების შემდეგ შეუდექით უშუალო გათხრის საქმეს.

დღის 12 საათზე დაიწყო გათხრა. მუშაობს 4 კაცი — სანამერელნი. დარი ხელს გვიწყობს. შუადღის სიცხეს ანელებს ჩრდ. დასავლეთიდან მონაბერი ნელი სიო. გადაღებულ იქნა მიწა ერთი ბარის პირი. გამოჩნდა ჯერ თიხის ჭურჭლის ნატეხები, შემდეგ მეორე ბარის პირზე უკვე იმატა კეცის ფრაგმენტებმა და აღმოჩნდა აგრეთვე რკინის ნალები, ძვლის კოჭები, წვრილი ქვა. მესამე ბარის პირზე თავი იჩინა ობსიდიანის ნატეხებმა, რაც უკლებრივ გავრცელდა მეოთხე ბარისპირზედაც, თუმცა აქა-იქ კეცის ნატეხებიც გვხვდება. მეხუთე ბარის პირზე — დაახლოებით 1,25 მ. სიღრმეზე გამოჩნდა ქვაფენილი, რომელიც



სურ. 6. „გიუნე“-ს გათხრის ბოლო მომენტი

დასავლეთის მხრიდან ვიწრო ზოლად მიემართებოდა ძეგლამდე, შემდეგ უხვევდა ჩრდილოეთისაკენ და შეერთვოდა მიწის წიაღს. ქვაფენილის დასაწყისი და დასასრული გაურკვეველი დარჩა, ვინაიდან მისი საზღვრები გაცილებით უფრო ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ მიერ გათხრის ფარგლებში მოქცეული არე. საერთოდ ქვაფენილი მიჯრით იყო მიწყობილი და ლამაზად მოგებულ გზა-

[9] სალოცავი წმინდა ქვის—გიუნეს—თავზე ეწყო შენაწირი საგნები: ვერცხლის და სპილენძის ფულები, ობსიდიანის ნაჭრები, რკინის ნალები, ბამბის და ფერადი აბრეშუმის ძაფები, სანთლის ჩამწვავები და სხვა წვრილმანი საწირავები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისავალს წარმოადგენდა, ისე, რომ ძეგლთან ქმნიდა სწორ კუთხეს, რომლის ერთი გვერდი მიემართებოდა დასავლეთისაკენ, ხოლო მეორე — ჩრდილოეთისაკენ. გზასავალი სიგანით უდრიდა ერთ მეტრს.

ამავე სიღრმეზე, ძეგლის გარშემო ჩასმული იყო ცერად მოგრძო და ბრტყელი რიყის ქვები, რომელნიც ამასთანავე გაჭექილი იყო შედარებით წვრილი და თხელი ტანის „ყურუმი" ქვით (სურ 6). პირველ დღეს მუშაობა ამით დამთავრდა. მეორე დღეს, ათ ნოემბერს ძეგლის გათხრა კვლავ განვაგრძეთ, ამ დღეს ნაცვლად ოთხი კაცისა ექვსი მუშაობდა. ამჯერად ძეგლის გათხრა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან დავიწყეთ. იმავე სიღრმეზე, აღნიშნული ქვაფენილი გარკვევით უჩვენებდა, რომ იგი ძეგლამდე მისასვლელად იყო განკუთვნილი. მეექვსე ბარის პირზე (1,5 მ.) უკვე შეწყდა კულტურული მიწის ფენა და გამოჩნდა მუქი თეთრი ფერის აყალო მიწა — უძრავი ნიადაგი. გათხრისას პერიოდულად თითოეულ ფენის (ბარის პირის) ამოღების დროს ვაწარმოებდით ძეგლის მდგომარეობის ფიქსირებას (გაზომვა, ფოტოგადაღება, აღწერა). ამის შემდეგ, აყალო მიწის ფენაში ჩასმული და მასზე დაყრდნობილი ძეგლის ფუძე, ანუ ძირიც გამოჩნდა, რომლის გარშემო გათხრილი მიწის ნაკვეთი ოთხკუთხი სახის მოგრძო ორმოს წარმოადგენდა, რომლის ერთ თავში სამანივით იდგა ვებერთელა სიდიდის მქონე ქვის მსხვილი ბოძი. ძეგლის საყუდი ყველა კედელი, გარდა აღმოსავლეთისა, მორღვეული იყო. იგი ფეხზე იდგა საკუთარი სიმძიმისა და საყრდენი აყალო მიწის მეოხებით (იხ. სურ. 3).

როგორც ზემოთაც ითქვა აყალო მიწის „უძრავი" ფენა, რომელიც ერთნახევარი მეტრის სიღრმეზე დაიწყო, იმას მოასწავებდა, რომ მუშაობის გაგრძელებას უკვე აზრი აღარ ქონდა. მით უმეტეს, რომ ძეგლის ძირი მკაფიოდ ემიჯნებოდა უძრავ მიწის პირს, იგი უკვე აღარ იჯდა მიწაში.

დღის ორ საათზე წმინდა ქვა—„თიქილ-დაშ", ანუ „პექეიენ-დაშ"-ი წაქცეულ იქნა, რათა ყოველმხრივ და სრულად ყოფილიყო მისი ტანი დაკვირვებისა და აღწერის საგანი. ქვა გადავაწვინეთ დასავლეთით. გადაღებულ იქნა ამ მდგომარეობაში ფოტო სურათი. შევუდექით ძეგლის გაწმენდას და გასუფთავებას — მოდებული მიწისა და სხვა ჭუჭყისაგან. როდესაც იგი გულდაგულ და მონდომებით იქნა გაფხეკილ-გასუფთავებული, მის ტანზე გარკვევით გამოჩნდა ზემოთხსენებული ტეხილხაზოვანი ფიგურა, რომელიც თავიდანვე შეიმჩნეოდა მასზე, ოღონდ ბუნდოვნად. მით უმეტეს რომ მისკენ პირ მიპყრობით, ქვის შუა ტანზე, ორი სხვა მომცრო ტანის გველებიც (ეტყობოდა პირველი დედა გველი და ეს დანარჩენი მისი წიწილები იყვნენ) ეხატა[10]. სახე შესრულებული იყო იმავე ხერხით, რაც პირველი ე. ი. გაწერვის წესით. ოღონდ ამ უკანასკნელთ თავი და „ორპოტიკი" ენა მკაფიოდ უჩანდათ, მაშინ როდესაც თვით დიდ „გველს" ამგვარი გამოსახულება თავისა სრულებით არ გააჩნდა, იგი მხოლოდ ტეხილი ხაზებით იყო წარმოდგენილი და შედგებოდა სულ თორმეტი ხაზისა, ანუ „მუხლისაგან". აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლები თითქმის ერთი ზომისანი იყვნენ. გარდა მეექვსე მუხლისა, რომელიც შედარე-

---

[10] საყურადღებოა, რომ თრიალეთის სხვა ადგილას, კერძოდ, სოფ. ყიზილქილისას პირდაპირ, 1 კმ. მანძილზე, მინდვრად, დასმულია ასეთივე მოყვანილობის საკულტო ქვა, რომელზედაც გამოხატულია ქალი. ასევე, საკულტო ქვა ქალის გამოსახულებით წარმოდგენილია სოფ. საპიტიახშოში (ახლანდელი სოფ. ზაბიდახჩო). იგი დაზიანებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უგრძესი იყო სხვებზე (სურ. 7). სწორედ ამ ადგილას, მარცხენა მხრიდან „დედაგველისა“ (?) იყო მოცემული პატარა გველები, თავისი „სამბოძალა“ თავით (სამად გაყოფილი თავი ალბათ ერთი პირს და ორი კი ბოძალ ენას გამოხატავდა) და უკუღმა დახვეული (დახლაკნილი) კუდებით. თუ დედა გველი ქვის ბოძს ალმა ერტყა, „წიწილები“ ირგვლივ უსხდა წელზე. ამგვარად, ორივე შემთხვევაში დახვევა „უკუღმა მავალი“ იყო ე. ი. მისდევდა საათის ისრის მოძრაობას. სალოცავი ქვის — „გიუნეს“ გარეგანი მოყვანილობა და ასევე მის ტანზე წარმოდგენილი „წიწილებიანი გველის“ გამოხატულება გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველი ჩვენი სავარაუდო მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ძეგლი გზის მაჩვენებელ ნიშან-სვეტს წარმოადგენს, არ უნდა იყოს მართებული. უფრო საფუძვლიანი იქნება, თუ მას მივიჩნევთ საკულტო, ფალოსური ხასიათის საგნად. ამ მიმართებით იგი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს იმ წყების ქვის ძეგლებთან, რომელნიც ცნობილნი არიან მეცნიერებაში ფალოსურ-ეროტიპულ-ვეშაპ-ვეშაპოიდური ხასიათის საგნებად და რომელნიც დიდი რაოდენობით გვხვდებიან, კერძოდ, სამხრეთ საქართველოსა და საერთოდ მცირე აზიის გარკვეულ თემებში[11].



სურ. 7. წმინდა ქვა „გიუნე“ წაქცეულ მდგომარეობაში

საკუთრივ თრიალეთის სინამდვილეში ჩვენ გვხვდება არა ერთი და ორი ანალოგიური შინაარსის მქონე ქვის ძეგლი. პანაიტი გიორგის-ძე აკრიტოსის უშუალო მითითებითა და მონაწილეობით 1937 წელს თრიალეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის[12] მიერ ფიქსირებულ იქნა სოფ. სანთის სამხრეთ აღმოსავლეთით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, საყურადღებო ისტორიის მქონე ქვის ძეგლი — ეროტიპული, ანუ „კტეისის“ სახის მქონე, რომელიც თანამედროვე მოსახლეობაში მიჩნეულია ნაყოფიერების მომნიჭებელ საკულტო ადგილად, სადაც წარმოებს უშვილო და გასათხოვარი ქალების გამოლოცვა—

---

[11] Н. Марр и Я. Смирнов, Вышапы, 1931, Пиотровский, Вышапы, Л., 1939; ლ. მელიქსედბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, 1938, ნაკ. III; მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1945; გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1954.

[12] თრიალეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია პირველი იყო, რომელიც ახალ მშენებლობის ობიექტზე აწარმოებდა საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობას. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ჩიტაია, წევრები: პანაიტ აკრიტოსი, ვლ. წილოსანი, ლ. ბოჭორიშვილი, ალ. რობაქიძე, ნ. რეხვიაშვილი, ნ. ბრაილოვსკაია, რ. შმერლინგი, ვ. წილოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული „საწირის“ მიტანისა და წესის შესრულებით. ამგვარივე ხასიათის— „ეროტიპული“ ქვები დაცულია იმავე თრიალეთში სოფ. დაშბაშსა[13] (ამჟამად იგი ჩამოტანილია და ინახება საქ. სახ. ხელოვნების მუზეუმში), ჩოლახსა და ავრალნოში[14]. რაც მთავარია სოფ. ავრალნოში (აწინდელი მოსახლეობის ჩვენებით მისი ძველი ქართული სახელი ყოფილა—თეზი (შდრ. „თეზის ხევი“, ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედაქციით, გვ. 42). გარდა ეროტიპიული ქვის ძეგლისა დაცულია, იმავე წმ. გიორგის სამლოცველოს გალავანში, ადგილობრივი ქვისაგან გამოკვეთილი მორჩილი ტანის, ტლანქად დამუშავებული „ფალოსი“.



სურ. 8. დიდგორის წვერზე ნანახი ქვის ფალოსი

ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქვის ძეგლები ცნობილია აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებიდან, რომელთა შორის აღსანიშნავია „ძუძუსქვა“ — ახალქალაქიდან[15], დიდგორის წმ. გიორგის სალოცავიდან (სოფ. დიღო-

[13] საყურადღებოა, რომ პანაიტ გიორგის-ძე აკრიტოსის ჩვენებით ეს საკულტო ქვა, რომელიც ტერიტორიალურად სოფ. დაშბაშს იყო (რომლის მოსახლეობა ამჟამად სომხურია) წარმოადგენდა დაშორებული, ბერძნული მოსახლეობის შემცველი სოფლების სალოცავს. იგი განკუთვნილი იყო სუსტად განვითარებული და ულონო კიდურების მქონე ჩვილი ბავშვების (1—2 წლამდე) გამოსალოცავად (ეს ფუნქცია ეტყობა მეორადი წარმოშობისაა?) მიდიოდნენ მლოცველები ქვასთან, რომელნიც მიანთებდნენ-რა მასზე სანთელს წარმოთქვამდნენ: „რიაბბი ქეომიაქეთ“ (ღმერთო გვიშველე, ურმულ ენაზე. ერთი ქალი წინ გაჩერდებოდა, მეორე ქვაზე შედგებოდა და ქვემოდან აძრობდნენ ბავშვს ამ ქვის მილში. სამჯერ, შემდეგ შეწირულ მამალს დაკლავდნენ და სისხლს ქვაზე მოცხებდნენ. ხორცს მოხარშავდნენ და ურიგებდნენ იქვე მდგომ ღარიბებს.

[14] ამჟამად ეს ქვა ორადაა გატეხილი. ერთი მისი ნაწილი გდია მახლობელ ხევში, ხოლო მეორე ნაწილი წმ.გიორგის სამლოცველოში. ძეგლი შედარებით უხეშადაა დამუშავებული.

[15] იხ. **И. И. Ростомов, Ахалкалакский уезд, в археолог. отношении, СМОПК, вып. XXV, т. 1898**, გვ. 93, 94 (ამ ძეგლის შესახებ ი. როსტომაშვილი საყურადღებო ცნობას იძლევა. ახალქალაქის სამხრეთით, 4 კმ. მანძილზე მდებარეობს ძველი სოფელი მურჯახეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ჩრდ. დასავლეთით 5 კილ-ზე) (სურ. 8). ეს უკანასკნელი მიკვლეული იქნა 1945 წელს მხცოვანი ქართველი მოღვაწის ირ. სონღულაშვილის მიერ. მისივე მითითებით იგი ჩამოტანილ და დაბინავებული იქნა 1956 წელს საქართველოს

---

რომლის ტერიტორიაზე დაცულია ქვის ორი ბოძი (სტელა). ერთი მათგანი აღმართულია სოფლის სამხრეთით, ძველ სამაროვანზე, მეორე, მისგან დაცილებით 4 კლმ. მიწდვრად მიწაზე გდია. პირველი სიმაღლით 4 არშინი იქნება, მასზე გამოსახულია რელიეფურად მამაკაცის ასო. წლის მანძილზე მასთან მიდიან გათხოვილი ქალები და ლოცვა-ვედრებით შესთხოვენ მას ძუძუს მომატებასა და შეუშრობლობას. თან სცხებენ ხოლმე ზეთს. მეორე ასეთივე სიდიდის ქვაზედაც შეიმჩნევა რაღაც გამოსახულება, მაგრამ იგი ისე ღრმადაა მიწაში, რომ ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა უნდა იყოს ეს გამოსახულება. აღნიშნულ ქვებთან დაკავშირებული ყოფილა ასეთი გადმოცემა: სოფ. მურჯახეთს მტერი დასცემია და გაუოხრებია. მცხოვრებნი, ზოგი დაუხოცნია, ზოგიც ტყვედ წაუსხამს. შემთხვევით გადარჩენილ დას თვალი მოუკრავს ძმისათვის, რომელსაც მტრები ძალით მიათრევდნენ. ამაზე დას უნატრია:—ღმერთო ის იქ გააქვავე და მე აქაო. მართლაც გაქვავებულან ისინი და ეს ქვები გაქვავებული და-ძმა არიან. პირველი „დაა“, მეორე—„ძმა“. ანალოგიური ლეგენდა და გადმოცემა დაცულია სოფ. ჩინთში (არაგვის ხეობა, დუშეთის რაიონი), სადაც ეს თქმულება, ასევე, დაკავშირებულია იქვე მდგარ ორ ქვასთან (იხ. აქვე გვ. 204), რომელთაც ხალხი „მოლევისა და ნინოს ქვას“ უწოდებს. ი. როსტომაშვილის ამ მითითებას, ნიშანდობლივად ეთანხმება ე. თაყაიშვილის ცნობები მურჯახეთის აღნიშნული ძეგლების შესახებ. როგორც ვიცით, ე. თაყაიშვილმა ამ მხარეში იმოგზაურა 1902 წელს—არქეოლოგიური ძეგლების მიმოხილვისა და აღწერის მიზნით. იგი საგანგებოდ შეჩერდა მურჯახეთის „ძუძუს ქვათა“ შესახებ და ერთი მათგანის ფოტოსურათიც კი მოათავსა თავის წერილში— Археологическое путешествие-ში, რომელიც დაიბეჭდა: Материалы по Археологии Кавказа, вып. XII. 1909, გვ. 28, სურ. 13). თაყაიშვილი ადასტურებს ი. როსტომაშვილის ცნობებს და მიიჩნევს დასახელებულ ქვას, მოსილოის (ასე უწოდებს იგი ამ ძეგლს) ფალოსის კულტის ნაშთად. თაყაიშვილი, სხვათა შორის, ხაზს უსვამს, ფალოსის კულტთან დაკავშირებით, ა/კ-ის სინამდვილეში ფალოსური ხასიათის ძეგლების არსებობას და ასახელებს შემდეგ ფაქტს, რომ ერევნის რკინის გზის გაყვანისას, მიწის სამუშაოების ჩატარების დროს ნაპოვნი იყო თიხის ფალოსი, რომელიც ე. ლალაიანცმა ჩამოიტანა და ამჟამად ინახება მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების არქეოლოგიურ კოლექციებში (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 28).

ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი რაფ. ერისთავი გულდასმით ეხება და აღწერს ზემოსვანურ საწესო ჩვეულებას—„საქმისაის“, რომელიც მხოლოდ მულახის თემში შემონახა და უკავშირებს ბერძნულ დიონისეს დღესასწაულს, მიაჩნია რა იგი ფალოსის კულტის ნაშთად (Р. Д. Эристов, Заметки о Сванетии, Тиф., 1898, გვ. 106).

ქვემოსვანეთის მხარის საუკეთესო მცოდნე არსენა ონიანმა საყურადღებო მასალა გამოავლინა ქვემოსვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფალოსის კულტთან დაკავშირებით. მან აღწერა „ადრეკილაის“ წეს-ჩვეულება, რომელიც გამოაქვეყნა რუსულად და 1919 წელს კიდევაც დაბეჭდა. ფალოსის კულტის საკითხს სპეციალური ნაშრომი უძღვნა პროფ. ს. მაკალათიამ (იხ. ფალოსის კულტი საქართველოში, მიმომხილველი, 1926, გვ. 122). იგი ფალოსური ხასიათის მოვლენათ მიიჩნევს საქართველოში სვანურ „ჰარიკელასა“, „ადრეკილაისა“ და განსაკუთრებით „საქმისაი“-ს წეს-ჩვეულებას. საკითხთან დაკავშირებით იგი ხაზს უსვამს ზემო იმერეთში ს. ზეკარში აღმოჩენილ ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც წარმოადგენს მამაკაცს ფალოსის აქტიური სახით. ამავე ფალოსური წეს-ჩვეულების ნაშთად მიაჩნია მას საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლოხანებამდე შემორჩენილი ბერიკაობა და ყეენობა. უნდა აღინიშნოს მკვლევარის მიერ სვანური „ადრეკილაისა“ და განსაკუთრებით „საქმისაის“ რიტუალებში (იხ. დასახ. ნაშრომი გვ. 132, საქმისაის სურათი) ფალოსის კულტთან დაკავშირებული მოვლენების სწორი ანალიზი და მიღებული დასკვნის სრული საფუძვლიანობა. ივივე არ ითქმის კერძოდ სვანურივე „ჰარიკელას“ მიმართ, რომელსაც ასევე ფალოსური წეს-ჩვეულების გადმონაშთად თვლის. ამგვარი მტკიცების საფუძვლად მკვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (სურ. 8ა); მთიულე-თიდან ზემომლეთი, ლიმისის წმ. გიორგის სალოცავის კარიდან ეს ძეგლი, ისევე როგორც პირველი მიკვლეულ და აღმოჩენილ იქნა იმავე პირის — ირ. სონღულაშვილის მიერ, რომელმაც პროფ. გ. ჩიტაიასთან ერთად აღნიშნული ძეგლი 1939 წელს ჩამოიტანა და დააბინავა საქართველოს სახ. მუზეუმის ეთ-ნოგრაფიის განყოფილებაში (იხ. კოლ. № 88/39, კეცის ფონდი). იგი შედარე-ბით ტანმორჩილი და უხეშად დამუშავებულია. შედგება ორი ნაწილისა — ტანისა და სამაგრისი საძირე ქვისაგან (სურ. 11).



სურ. 9. ფალოსური ქვა დიღმის დიდგორიდან

კარგად დამუშავებული, საკმაოდ დიდი ტანის, ქვის ფალოსური ძეგლი ცნობილია წითელ ხიდის სანახებიდან. 1956 წელს იგი ჩამოტანილ იქნა თბი-ლისში და ამჟამად დაცულია საქ. სახ. ხელოვნების მუზეუმში (სურ. 12) ანა-ლოგიური ქვის ფალოსური ძეგლი დამოწმებულია „ჩრდ. კავკასიაშიც — ყა-

---

ვარს მიაჩნია ის გარემოება, რომ „ბარიკელას“ შესრულებისას დროს მოავარი მომქმედი პირი ტიტველი გარეთ გავარდებოდა და იძახოდა: „ბარინკიანი მარინკიანი, მი ტიტელ ოჴეინუ ალტე-ეტლელი მიშგუ კუმში ამახო“ (ბარიკიანი, მარიკიანი, მე რომ ტიტველი ვარ, აი ასე გატიტვლე ჩემი საქონლის მტერიო). ამ შელოცვის აქტში წარმოდგენილი მომქმედი პირის სიშიშვლე უმარცხო ფათერაკობისაგან საქონლის დარჩენას და სახლკარიდან ავი სულე-ბის გარეთ გატყუების, გარეკვის მიზანს ემსახურება და ფალოსურ ამბებთან საქმე არ უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ხოლოგრის სალხინში ფალოსი ავისულების საწინააღ-მდეგო საშუალებად იყო მიჩნეული, ამის საწინააღ არ გამოდგება. ამ ფუნქციის შესრულება, როგორც წესი, მხოლოდ ამულეტად ქცეულ ფალოსს მიეწერება და არსებითად სხვა ვითარე-ბას შეესაბამება. დამატებით დასაბუთებას საჭიროებს ავტორის მოსაზრება ხევსურული „სწორ-ფრობისა“ და ფშაური „წანილობის“ ფალოსის კულტის ნაშთებად მიჩნევის შესახებ. ისინი სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული წესებია და საგანგებო შესწავლას მოითხოვენ. ნათქვამს ისიც უნდა დავძინოთ, რომ ხევსური „საქმისაის“ წესების შესრულებაში ხისაგან გამოთლილი ფა-ლოსი (იხ. სურ. 10), რომელიც „საქმისას“ სარტყელზე, გვერდზე ეკიდა ხოლმე, არსებითად მამაკაცის სარცხვენელის შემცვლელ საგანს წარმოადგენდა (იხ. აკად. ივ. ჯავახიშვი-ლის დასახელებული ნაშრომი, გვ. 65; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 139) და იგი ფაქტიურად ემსახურებოდა ნაყოფიერებისა და მცენარების გამომწვევი, ამაღორძინებელი ძალის მოქმედების გაძლიერებასა და გაცხოველებას. თუ ამას შევადარებთ რაჭის ეთნოგრა-ფიულ სინამდვილეში დამოწმებულ ძველ ფაქტს — ახალ გაზაფხულზე პირველ თესლის გატა-ნისას ცხვებოდა ხოლმე „ლილოა“ (იგივე ფალოსის გამოსახულება) და ორი „გურგვალი“, რომელსაც მხვნელი, საგანგებო ლოცვის შესრულების შემდეგ, მაღლა ააგდებდა და მაგიური ხასიათის წარსათქმელს ეტყოდა: — ამოდენა, ზვავი! და მას იქვე ნახნავში დაცემის ადგილას დამარხავდა, ნათელი გახდება ის გარემოება, თუ რას მიაწერდა ამ გამოსახულებას ხალხი და რისთვის ახლდა ხოლმე იგი „საქმისაის“ და სხვა ანალოგიურ ქართულ ხალხურ საწესო ხა-სიათის დღეობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარდოს სინამდვილეში[16]. შორეული ქვეყნებიდან ფალოსის კულტი ფართოდ არის ცნობილი იაპონიასა და განსაკუთრებით ინდოეთში, სადაც იგი ბუდიზმის გარკვეულ კომპონენტს წარმოადგენს[17]. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცულია ბუდიკური კოლექცია, რომელიც ასახავს ამ კულტს (სურ. 12). ფალოსისა და საერთოდ, ნაყოფიერების კულტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე „ვეშაპ-ვეშაპოიდები“, „თევზ-გველები“ და რიგი სხვა სახის კერპები, რომელთა შექმნა-შემუშავება დაკავშირებულია ამა თუ იმ ხალხის მსოფლმხედველობასა და სარწმუნოებრივ შეხედულებებთან. პროფ.



სურ. 13. საქმისას იარაღი „ს. მულახი“ (სვანეთი). საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია

ლ. მელიქსედ-ბეგი მიუთითებს იმის შესახებ, რომ თრიალეთის სინამდვილეში წარმოდგენილია ქვის საყურადღებო ძეგლები — „მენჰირ-ვეშაპ-ვეშაპოიდ-ფალური ეროტიპები, რომელნიც განეკუთვნებიან აწინდელი მოსახლეობის წინამორბედ ქართულ სამყაროს, რომ „წყლის თევზის-ქალის კულტის გამომხატველი მატერიალური კულტურის ნაშთები არსად საქართველოში ისე არაა გავრცელებული, როგორც თრიალეთ-წალკაზე (და ჯავახეთში“. და განაგრძობს: „ვეშაპ-ვეშაპოიდები ფალუსის კულტის ობიექტებია“-ო[18]). მართლაც ამ მხრივ, თრიალეთი ერთ-ერთი საინტერესო უბანია, სადაც, როგორც ითქვა, უკანასკნელ ხანებამდე შემოინახა დიდად საყურადღებო სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის მქონე—ფალუსისა, ეროტიპისა, ვეშაპო-ვეშაპოიდისა, თევზ-გველისა და რიგი სხვა გამოსახულების ქვის ძეგლები (სურ. 14). ნაყოფიერებისა და გამრავლების კულტი, მრავალ პირად განშტოვებული და საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა იყო როგორც ქართველი ხალხის, ისე სხვა ხალხების სულიერ ცხოვრებაში, ამდენად საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოდგენილი აღნიშნული სახისა და ხასიათის ქვის ძეგლების არსებობა სავსებით გასაგები და ბუნებრივია. აქვე უნდა ითქვას, რომ ნივთიერად ისინი არა მარტო „ქვათაგანი“ არიან, არამედ, სხვა მასალისაც[19]. მათ საერთოდ ახასიათებთ

[16] იხ. პანაიტ გრიგორის-ძე აკრიტოსი, ყაბარდოს ზოგიერთი ძეგლისათვის, (რუსულად) ხელნაწერი, 1956, გვ. 17.

[17] Chantpie. dela Saussaye. Lehrbuch der Religionsqeschichte Freiburg. Leipzig. 1897, Band II.

Von Albert Grünwedel, Mythologie des Buddhismus in Tibet und der Mongolei. Leipzig. .900.

[18] ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული—„მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, თბ., 1934, გვ. 33.

[19] И. И. Понтюхов. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, I, 1896, გვ. 38. ტაბ. XVI, სადაც წარმოდგენილია ბრინჯაოს ფალოსური გამოსახულებანი შდრ. არქეოლოგ. ნ. ხოშტარიას მიერ ჩატარებული გათხრებით მოპოვებული რკინას კაცი—ფალოსური ხასიათის ფიგურა (ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში, 1947 წ. წინასწარი ანგარიში, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 308).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალსახიერებასთან ერთად უცხო, „იდუმალი გამომეტყველება“, თავისებური ცხოველმოსილი იერით. რა თქმა უნდა, ამ ხასიათის ძეგლები არსებითად განირჩევიან თავისი მიზანდანიშნულებით იმ ქვა-კაცებისაგან, რომელთაც „ბაბა“-ს უწოდებენ[20], „ბაბა“ — ქვა-კაცები უფრო საფლავის ქვებია, რომელნიც განასახიერებენ უბრალოდ ამა-თუ იმ გარდაცვლილ პირს ძირითად ხაზებში (შდრ. სფლავის ქვები და მათზე მოცემული ადამიანის გამოსახულებანი)[21].

„სამაგიეროდ, სვანური ბაჩი გვიგვის მსგავსი „თვლიანი“, ანუ „ორმო-ბუდიანი“ ქვები, ე. წ. „Чащечные Камни“[22] (Opferstaine), თავისი მიზანდა-



სურ. 11. ქვა ფალოსი, ს. მლეთიდან

ნიშნულებით მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდნენ ეროტიპისა და საერთოდ ნაყოფიერების კულტის ამსახველ ქვის გამოხატულებებს. ცხადია, ამ ხასიათის ქვის ძეგლების მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო ბუნების ნამოქმედარს ჰგავს, ვიდრე ადამიანის ნახელავს. ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება ხშირად ზღუდავს და ეჭვში აგდებს მკვლევარს, რაც თავის მხრით საკმაოდ აძნელებს საკვლევი ობიექტის ნამდვილი ბუნების გარკვევასა და მის შესახებ სწორი შეხედულების შემუშავებას. ამ მიმართებით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკვლევი საგნის არა მარტო ფორმა-მოყვანილობას, არამედ შინაარსსა და ფუნქციას, ასევე ყოველ თითოეულ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც შეეძლო განეპირობებია მისი ამგვარი ხასიათი. ერთი სიტყვით, მოცემული ძეგლის მთავარი არსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობისაა

[20] А. И. Кельсиев, О каменных Бабах, труды V-го Археологического съезда в Тифлисе, М., 1887, გვ. 76—80.

[21] ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია თიანეთში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI, ტაბ. I—VI.

[22] См. Княз П. А. Путятин, Чашечные камни новгородской губернии, труды V-го Археологического съезда в Тифлисе, М., 1897, გვ. 19—30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მომცველი ხალხის იდეოლოგიურ შეხედულებათა დასახსვრა, სტადიალურ-რი განვითარების მიხედვით და ამ ნიადაგზე გარკვეული საკითხების ახსნა, როგორც ამ ისტორიული პროცესების ნივთიერი უკუფენა.



სურ. 12. „ფალოსი“—ქვა წითელხიდიდან

ამგვარად, ეს მრავალსახიერი „ქვათაგანი“ ძეგლები წარმოადგენენ ამა, თუ იმ ხალხის ძველი რწმენა-შეხედულებათა ნივთიერ გამოხატულებას. ისინი, როგორც ითქვა, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ბუნების ნაქმნარი, ანუ „ბუნებრივი“ და ადამიანის ნახელავი, ანუ „ხელოვნური“. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შინაარსისა და ხასიათის წეს-ჩვეულება დაკავშირებული და რა რიტუალი სრულდება ამ კულტის საგნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესა თუ ის ნივთიერი ძეგლი, შეიძლება თავისი წარმოშობით ერთი ეპოქის ღვიძლი შვილი იყოს, მაგრამ შემდეგი ეპოქებისათვისაც იმავე მიზნით, ან განსხვავებული დანიშნულებით მისაღები დარჩეს. ამ გზით ბევრი ძველი და „გარდასული“ მოვლენა თუ ნივთი გადაურჩა დროთა ბრუნვას. მან თავისი არსებობა უკანასკნელ ხანებამდე მოიტანა. ამგვარი ხასიათის ძეგლებს უნდა განეკუთვნოს მაგალითად, სოფ. არტაანის (თიანეთის რ-ნი) სინამდვილეში დაცული „კოპალესქვა“, რომელთანაც დაკავშირებულია შემდეგი თქმულება:

— ...უძილაურთის მთის ძირად, იორის სათავეებთან ხალხი ცხოვრობდა თურმე უწინ. დევებიც ყოფილან იქ. ხალხს კოპალეს „საჯარესთან“ ჰქონია დიდი ქვები. კოპალე არ ყოფილა ადგილზე. ერთ დევს მოუპარია ერთი ქვა და წამოუღია დაღმა. კოპალე რომ დაბრუნებულა ადგილზე და ქვა ვეღარ უნახავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადევნებია და „ქუდიელიდან“ (მთის წვერი) უსვრია ისარი დევისათვის და მოუკლავს. ქვა იქვე დაუტოვნია და მოკლული დევიც იქვე დაუმარხავს“. ამ ადგილს დღემდე „სარიდველა“, „სარიდველის ყურე“ ეწოდება. საყურადღებოა, რომ „სარიდველაში“ ახლო გავლაც კი ნაკრძალად იყო მიჩნეული, ვინაიდან ეშინოდათ ხატისა. საერთოდ ეს არე-მარე „ნაძრახ“ ადგილად ითვლებოდა. იქ თხილის მოკრეფასაც კი უკრძალავდნენ ბავშვებს. ქვა, ამჟამად დევს „მუნჯათხევას“ მამულში, თხილის ჩირგვებში ჩაფლული[23]. ქვას აშკარად ემჩნევა დაღარული ზოლები, რომელთაც მოსახლეობა დევის მიერ „მოსაბლურ“ და ზურგზე მოკიდებულ ქვაზე თოკის ნაკვალევად მიიჩნევს.



სურ. 13

ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქვის ძეგლები წარმოდგენილია ლეჩხუმშიაც, რომელთაგან ერთი პატარა და ერთი დიდი ფალოსური ქვა ფიქსირებულია სოფ. ლაჩვალში, 1952 წელს, ეთნოგრაფ მ. კედელაძის მიერ. ამჟამად ეს ძეგლები მოთავსებულია სოფლის ზემო მხარეს. სამხრეთით — პატარა ღელის პირად, სადაც უწინ ყოფილა სამლოცველო (როგორც ნაგებობის დარჩე-არის გამოყვანილი (სიგრძე შეადგენს — 180 სმ., დიამეტრი — 30 სმ.). მასზე ნილი ნაშთებით ჩანს). ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდი ტანისაა. იგი ტლანქად

[23] ძეგლის ადგილსამყოფელთან ჩანს ნაგებობის ნანგრევები და სახნავ-სათესი მიწები. ახლომახლო მიდამოებში ხშირად პოულობენ მუშაობის დროს სხვადასხვა საგნებს, ფულებს, ცულებს, ისრებს, შუბებს და მძივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცილებით უკეთ არის დამუშავებული და შესამჩნევად გაფორმებული მეორე — მის მახლობლად მდებარე ტანმორჩილი (სიგრძე — 10 სმ., — 15—20 სმ.) ქვა, რომელიც იქვე დევს. აღნიშნულ საკულტო ქვასთან დაკავშირებულია შემდეგი გადმოცემა: ოდესღაც ორივე ეს ქვა გაცილებით ზემოთ და მაღალ ადგილას მდგარა, მაგრამ რაღაც მიზეზით ვინმე მცხოვრებს მისი დაბლა წამოღება და სოფლის მახლობლად დაბინავება მოუნდომებია. მართლაც შეუბამს ხარები და წამოუღია. გამიზნულ ადგილის მახლობლად, რომ მოუღწევია უღელში შებმული ხარები მოულოდნელად „გაჰსკდარან“ და დახოცილან. შეშინებულა იგი და უცდია ძეგლის უკანვე წაღება და ძველ ადგილას დაბინავება, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიუტანია, მხოლოდ ერთი კილომეტრის მანძილზე გადაუტანია და აწინდელ ადგილას დაუდგამს ორივე მათგანი. აღსანიშნავია, რომ ორივე ქვას თავზე აქვს ღრუ პირი, რომლის სიღრმე საშუალოდ უდრის 10 სანტიმეტრს. არსებობს მათდამი განკუთვნილი საგანგებო სალოცავი დღე, სადაც მიდიან ქალები და ევედრებიან სანთელ-განატეხით „გამრავლებასა“ და „შვილიერებას“. ადგილზე დათვალიერებისას მ. კედელაძეს შეუნიშნავს, რომ საკულტო ქვების ღრუ თავზე დალაგებული იყო: საწირი ფულები, სანთლის ნამწვავები და რაც მთავარია, ქალის ძუძუსთითის ნაირი „მოყვანილობის მიწის გამოსახულებანი (ამ ნივთებს მოსახლეობა „სარქველებად“ მიიჩნევდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისინი სულ სხვა ხასიათის საგნები უნდა ყოფილიყო), ძველი ცულები, ნალები და ზოგიერთი საგნის ნამტვრევები.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სალოცავისა და მის ახლო მდებარე ძველი ნანგრევების მიდამოებში მცხოვრებნი ხშირად პოულობენ, მუშაობის დროს, მიწაში სხვადასხვა საგნებს—ცულებს, შუბებს, ისრებს და სხვა, რომლებიც იქვე სალოცავში მიაქვთ და აწყობენ ამ ქვების გარშემო. ოთხი ასეთი ნაპოვნი ცული[24], საკულტო ადგილიდან აკრეფილი, ზოგიერთ სხვა ნივთებთან ერთად, იმავე მ. კედელაძის მიერ ჩაბარებულ იქნა ლეჩხუმში (ცაგერის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის და ამჟამად დაცულია იქ.

ასეთივე ამბები თავს იჩენს ხევსურეთისა და სხვა მთიანეთის თემებშიაც, კერძოდ ხევსურეთში, მთიულეთში და სხვაგან. ამ მხრით ყურადღებას იქცევს

ქმოსტისა და სოფ. როშკის სალოცავი (ხევსურეთში), რომელიც მდებარეობს „დიდგორის ჯვრის მწვერვალზე და რომელსაც ხევსურნი უწოდებენ —მკვრივნი“-ს. „მკვრივნი“, მართლაც რომ მყარი, მტკიცე ნაგებობაა. სინამდვილეში იგი ყოველი გვერდით კარდახშულია და ერთნაირად ქვის კედლისაგან შედგება. დაშენებულია ზეალმართულ ბუნებრივ კლდის წვერზე და არსებითად, წარმოადგენს მის გაგრძელებას, „წვერმობმას“. ნაგებობის თავი გადაყვანილია კამარისებურად, რომლის ცენტრში, ამჟამად ჩატეხილ ადგილას, რამოდენიმე ქვასთან ერთად, იდვა ფალოსური გამოსახულების ქვა, რომელიც კარგად იყო გამოთლილი ადგილობრივი ჯიშის ქვისაგან (მისი სიგრძე უდრიდა — 50 სმ., — 15 სმ.). აშკარად ჩანდა, რომ იგი გუმბათის ჩანგრევამდე მასზე ზეალმართული მდგარიყო და მხოლოდ შემდეგში, ძირის დარღვევის შედეგად, წაქცეულიყო.

---

[24] წინასწარი განსაზღვრით, აღნიშნული ცულები ფორმა-მოყვანილობის მიხედვით ძვ. წ. 6 საუკუნით თარიღდება. ამავე დროისაა ანალოგიური წესით მოპოვებული რამოდენიმე შუბი და ისარი, რომლებიც დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე, მთიულეთის სოფ. ძმიანში, სოფლის თავზე, წიწვიანი ხეებით დაფარულ მაღალ გორაზე, უზარმაზარ თელის ძირად იყო ფალოსური გამოსახულების მობრტყელო ფორმის ქვა, რომლის წინაშე ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებნი, ყოველწლიურად მიდიოდნენ სალოცავად. ეს ქვა, ამჟამად ინახება ხსენებული სოფლის მცხოვრებ — ოდელიაშვილების სახლში (ზომით მისი სიგრძე იქნება დაახლოებით 80 სმ., სიგანე—15 სმ., სისქე—5—6 სმ.). ფალოსის გამოსახულების საკულტო ქვები ცნობილია ზემო-სვანეთშიაც სოფ. ეცერის ერთ-ერთ უბანში, მასწავლებელ ილია ჩხეტიანის ეზოში დაცულია დიდი ზომის (სიგრძე 1,70 სმ.,—45 სმ). ასეთი ქვა[25], რომელიც ჩხეტიანებისავე განცხადებით, იქვე მდგარ, ამჟამად თავმონგრეულ სვანური კოშკიდან გადმოუგდიათ. თუ რა ვითარებაში იმყოფებოდა აღნიშნულ კოშკში ეს ძეგლი არავის ახსოვს.

ამჟამად, მის ოდინდელ ფალოსურ ბუნებას უნდა ამჟღავნებდეს ის გარემოება, რომ ოჯახის დედაქალი პირველ მოგებულ და საერთოდ ახალმოგებულ ძროხის „რსხენს“ „სხენს“ (პირველ მონაწველი რძე) საწირავ, „განატეხთან“ ერთად მიიტანს მასთან და სათანადო რიტუალის[26] შესრულების შემდეგ „რსხენს“ საკულტო ქვას თავზე წაცხებს[27]. ზოგიერთი ცნობით ასეთი წესი ვრცელდება თვით ქალის მიმართაც. ქალს, რომელსაც პირმშო შეეძინა, იგივე ოჯახის უფროსი ქალი „რსხენს“ გამოართმევს და იგი დიდი სასოებით და ლოცვით მიაქვს აღნიშნულ საკულტო ქვასთან, რომელსაც შესთხოვს ძუძუს დაუშრობლობას, უწყვეტლობასა და საერთოდ გამრავლების მონიჭებას. ამ საკითხთან დაკავშირებით (იგულისხმება ნაყოფიერების კულტი) სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყურადღებას იქცევს მოსავლის სიავრიელობის მომნიჭებელი საკულტო ქვა — „ჩხუდა“ || „ჩხუდა“, რომელიც დადასტურებულია სვანეთის ზოგიერთ თემში — სახელდობრ ბეჩოში, სოფ. ლანჩვრიში, შავგენ გაბულდანის სახელთან იგი შედარებულია მოყვანილობის მიხედვით ფალოსთან[28].

---

[25] ორივე ზემოხსენებული, ფალოსური გამოსახულების მქონე ქვა და მათი ვინაობა გაარკვია ეთნოგრაფმა ნ. აბელაძემ 1952—53 წწ. მასვე ეკუთვნის მათი განაზომების შესახებ წარმოდგენილი მაჩვენებლები.

[26] ნაყოფიერება-მცენარების კულტი საქართველოში უხვი და მრავალფეროვანი ფაქტიური მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ვ. ბარდაველიძის მიერ, რომელიც თავის ერთერთ ნაშრომში: „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953“, საგანგებოდ იხილავს ამ საკითხს და დღეობა „ბემბლუსა“ და „ბოსლობის“ წეს-ჩვეულებებს ამ ნიადაგზე აღმოცენებულ მოვლენებად მიიჩნევს. შემოქმედებითად ანვითარებს-რა აკად. ივ. ჯავახიშვილის დებულებას ქართულ-წარმართულ რელიგიური შეხედულებათა, კერძოდ, ფალოსის კულტთან დაკავშირებულ რწმენათა შესახებ (იხ. ივ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1928, გვ. 33—137) იგი შორს მიწვდომ დასკვნამდე მიდის (იხ. В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейщие религиозние верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957, 4). შდრ. ახლახან (1958) სოფ. მელაანში (საგარეჯოს რაიონი) აღმოჩენილი ბრინჯაოს „ქაცუნა“ (ფიგურა), რომელიც წარმოდგენილია აქტიურ ფალოსურ პოზაში (სასმისით ხელში). ინახება სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიურ კაბინეტში).

[27] შდრ. ანალოგიური წესი—ზეთის ცხება მურჯახეთის ფალოსური ქვისათვის (იხ. И. И. Р о с т о м а ш в и л и, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93).

[28] აღნიშნული „ჩხუდას“ შედარება ფალოსთან, ფორმის მიხედვით, ეკუთვნის ენის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელს ალ. დავითიანს: იხ. მისი ნაშრომი: სვანური ნივთიერი ძეგლებისათვის, ხელნაწერი, პირადი არქივი.

ჩხუდა იგივე — „ბაჩიგვგვ" (ქართულად, პირდაპირი მნიშვნელობით იქნება „ქვის გულები") წარმოადგენს ზემოხსენებულ — „Чашечные камни -ს" მაგვარ საკულტო ქვას, რომელიც ითვლება ოჯახის ნივთიერების ემბლემად.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია აგრეთვე სხვა ხასიათისა და დანიშნულების საკულტო ქვები, რომელთაც ხალხი უკავშირებს გარკვეულ მოვლენებს. ამ რიგის ქვებს განეკუთვნებიან: „მოზვერა ქვები „ქალ-ქვები", „კაც-ქვები", აგრეთვე ისეთი ქვები, როგორიცაა — „ჯვარ-ქვები", „ნიშან-სვეტები", „ნალდაკრული", „დევ-ნამუხლარები",



სურ. 14. ქვა „ვეშაპოიდი" თრიალეთიდან

„ნასახი" და სხვა. მათგან ზოგიერთი დაკავშირებულია ცალრუბლის გამგებელთან. ზოგიერთი — ლეგენდარულ ამბებთან, სხვები — ამა-თუ იმ რწმენა-შეხედულებასთან და ა. შ. ამ მიმართებით შეიძლება დასახელებულ იქნას ლიახვის ხეობაში, სოფ. მერეთის ჩრდილოეთით სამ კილომეტრზე, მინდვრად მდებარე ქვა, რომელსაც „მოზვერა-ქვა" ეწოდება[29] და ხალხის შეხედულებით გვალვის შემთხვევაში მის აღძვრა-შერყევას შეუძლია გამოიწვიოს წვიმა. ასევე, გომარეთისა (დმანისის რ-ნი) და ნორიოში[30] (საგარეჯოს რ-ნი) (დამოწმებული „ქალ-ქვები" დაკავშირებულია ცა-ღრუბლის ღვთაებასთან. არაგვის ხეობაში, სოფ. ჩინთში (არაგვის მარცხენა მხარე) დაცულია ორი, ზეაღმართული ცერად მდგომი ქვები — „მოლევის" და „ნინოს ქვა". ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ისინი გაქვავებული და-ძმანი არიან, რომელთაც დაარღვიეს წმინდა სჯული და ერთმანეთს „შეეცმანენ". და — ნინომ დასწყევლა ძმა თვისი მოლა. — შენამც ქცეულხარ მოლევის ქვათ და მე — ნინოს ქვათო". ერთმანეთს უყურებდეთ პირდაპირ და ჩვენ ქვებნი ვიყვეთო". (ნ. რეხვიაშვილი, — ქართლის ეთნოგრაფიული მასალები, რვ. № 25, გვ. 30, 1947 წ.). ფალოსის კულტთან დაკავშირებული საყურადღებო წეს-ჩვეულება აღწერილი აქვს სამეგრელოსა და სამურზაყანოს ეთნოგრაფიულ ყოფიდან ეთნოგრაფ თედო სახოკიას[31].

აფხაზეთში (გუდაუთის რ-ნი), ბზიბის ხეობაში არის ადგილი — „ძეშრაახჭაქვა-ახიქუ", სადაც დევს დიდი და ბრტყელი მონოლითი, რომელიც

---

[29] „მოზვერა-ქვა" სოფ. მერეთის ჩრდილოეთით, ლიახვის ხეობაში, ფიქსირებულ იქნა ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1939 წ. (იხ. შ. გოზალიშვილის წერილი: „ახალი ეთნოგრაფიული მასალები", გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1939, № 295).

[30] Ч у р с и н, Народные обычаи и верования Кахетии, 1924, გვ. 19.

[31] იხ. Газ. „Петроградская Ведомость", 1916., № 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩნეულია „ნაწილიან“ „ქვად“. ამ ქვაზე, ყოველი გამვლელ-გამომვლელი აფხაზი, წესის მიხედვით, მიიტანდა რაიმე საწირ ნივთს და მოკრძალებით დადებდა, ხოლო სხვის მიერ სხვა დროსა და ვითარებაში შეწირულ რომელიმე ნივთს, რომელიც აქ ამ ქვაზე იდვა, აიღებდა სასოებით და „შანად“ მოქონდა სახლში. წმ. ქვის კარზე აღებული „საციქველი“ წარმოადგენდა ოჯახისა და მისი წევრების მფარველ, მცველ საგანს. ამჟამად, სოფ. ლიხნის მცხოვ. საიდი ამქვაბის ჩვენებით (კოლმეურნე, 50 წლ.) აღნიშნული ქვა წარმოადგენს ერთგვარ ტაბაკს, რომელზედაც აწყვია ნაირი სახისა და ხასიათის შენაწირი ძველი ნივთები: ცულები, დანები, შუბები, ლურსმნები, ისრები, ფული, მძივები და სხვა. (იხ. აფხაზეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1945 წ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის გან-ს არქივი, რვ. № 16, გვ. 84).

1937 წელს, იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის[32] მიერ მიკვლეულ იქნა ბაღდადის რაიონში (მაიაკოვსკი) — ფარცისოულში ვანის მიდამოებში (ს. საღემეტრაოს სამხრეთით, 6 კმ., „კორთხის აგარაკზე, სამხრეთით ჩამოუდის კორთხის წყალი) საყურადღებო ქვის ძეგლი, რომელიც მოსახლეობის მიერ მიჩნეულ იყო ქვის გველეშაპად. მართლაც ეს „ქვა“ გარეგნულად, რაღაც გაურკვეველი, უზარმაზარი ცხოველის სახეს მოგვაგონებდა[33]. ხავსით დაფარული მისი ზურგი, ფერდები და კისერი თავითურთ მიწისპირს ეზეითებოდა, ხოლო ქვედა ტანით მთლიანად დაფლული იყო მიწაში, ისე ღრმად, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ამოგვეწია იგი მიწიდან უშედეგოდ ჩაიარა, ვერ შევძელით თუნდაც ერთი მხარის გაშიშვლებაც. ძეგლი უეჭველად საინტერესოა, მისი გათხრის საჭიროება არც ახლაა უმნიშვნელო და ინტერესს მოკლებული თუ მოხერხდება.

აღნიშნული ძეგლი, როგორც ითქვა, გზის პირადაა. გზა ახალციხისაკენ მიემართება. იქვე 40 ნაბიჯზე დაცულია ძველი ეკლესიის (ბაზილიკა) ნანგრევები. ისინი ღრმა სიძველის ნიშნებს ატარებენ, კედლებზე მკაფიოდ ემჩნევა ფრესკების ნაშთები, შესრულებული ცხოველი ფერებით. ტაძარი შემოსილი ყოფილა თლილი ქვის პერანგით; სით და კარსარკმლის არეზე მდიდარი ჩუქურთმებით ყოფილა შემკული. კარის თავიდან ჩამოვარდნილი ერთ-ერთი წართხლი, რომელიც მოგრძო ოთხკუთხა ფორმისაა, დაწერილია ასომთავრულით და ჯვრის გამოსახულებით. იქვე ყრია დახვეწილი ქვები კანკელისა.

საყურადღებოა, რომ გველ-ვეშაპები ქართული ხალხური თქმულებებით დაკავშირებული არიან განსაკუთრებით წყალთან, რომელსაც ფლობენ და ნებისამებრ განაწესებენ. ამ მხრივ მათი ხელმწიფება თანაბრად ვრცელდება, როგორც ციურ, ისე მიწიერ წყალზე.

დასაბამი ამისა უნდა ვეძიოთ იმ შორეულ წარსულში, როდესაც ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის მიხედვით გველი მიჩნეული იყო, ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე, უპირველესი საგნის — წყლის მაწაკადებელ და უმაღლეს განმგებლად. ამიტომ საკვირველი არ არის ის გარე-

---

[32] ექსპედიცია იყო საქ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის ენიმკის ინსტიტუტისა. მასში მონაწილეობდენ: პროფ. გ. ჩიტაია (ხელ-ლი), დოც. ვ. ბარდაველიძე, ნ. რეხვიაშვილი, ვლ. წილოსანი, გ. ჩაჩაშვილი, ნ. ბრაილოვსკაია, მ. პოპოვი, გ. ახვლედიანი (მძღოლი), ხ. ბაღდადიშვილი, მ. პოპოვი.

[33] აღნიშნული ძეგლი, პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, წარმართული დროის საკულტო დანიშნულების მონოლითს წარმოადგენს (იხ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშები, ენიმკი-ს მოამბე, $II_3$, 1937, გვ. 349, სურ. გვ. 340).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ დრომდე შემოინახა საყურადღებო გადმონაშთები გველის კულტთან დაკავშირებით: სოფ. სიმონეთში (ზემოიმერეთი) დამოწმებულ იქნა ჩვენს მიერ შემდეგი გადმოცემა — „ნახშირის ღელეში", სადაც ბევრი შავი ქვები ყრია, წყალ-დასავალთან არის ნაციხვარი; იქვე, ქვედა სიმონეთის დასავლეთით, ჩამოდის ორი პატარა წყალი—„როკიანი" და „წარჩხულა"[34]. ორივე ისინი ერთვიან მდ. ყვირილას, რომელთაც ხან აგუბებს და ხან უშვებს გველეშაპი. შიგნი მას ფარეხი აქვს თურმე და რომ ის არა წყალი ისე გამოქუხდება, რომ ქვეყანას დააქცევს და დარღვნის (მთქმელნი: მ. კეზევაძე, 120 წლის, ოქრუა კლდიაშვილი, 106 წლისა, მარიამ მემანიშვილი, 105 წლისა, ს. სიმონეთი, 1937 წელი).

მეზირი[35], სვანის რწმენით, შეიძლებოდა კაცს გამოცხადებოდა ხბოს, ბაყაყის, გველისა და სხვათა სახით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ იმ ამბავს, რომ გველის სახით მეზირის გამოვლინება იმის მაჩვენებელიც არის, რომ ქართველი ხალხის ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით გველი „კეთილი ძალა", „კეთილი სული" ჩანს. ირკვევა, რომ გველის მიმართ ანტიპატიური განწყობილება და მისი ბოროტ, მავნე სულდგმულად მიჩნევა მხოლოდ შემდეგი ხანის ნაყოფია და აიხსნება ახალი კულტების გაჩენისა და ძველისადმი დაპირისპირების ნიადაგზე. სხვაგვარად აუხსნელი რჩება საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული გველის კულტის გადმონაშთები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს გველის ძველი კულტი და მასთან დაკავშირებული ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი შეხედულებები, ხოლო მეორე მხრით იმავე კულტის საპირისპირო მსოფლმხედველობის საფუძველზე გამომუშავებული საწინააღმდეგო შეხედულება და გველისადმი საშინელი სიძულვილი. საკვირველია, რომ გველი, რომელიც ერთშემთხვევაში ბოროტი საწყისის განსახიერებად წარმოგვიდგება, მეორე შემთხვევაში კეთილი, ბედნიერი დასაბამია, ადამიანის მფარველი და მისი კეთილმყოფელი ანგელოზია. ხალხის შეხედულებათა ეს აშკარა მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა იმით არის დაძლეული რომ აღიარებულია ერთგვარი გაორებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც შეიძლება არსებობდეს ერთდროულად, როგორც კეთილი, ისე ბოროტი გველი და რომ ისინი გარჩეულნი არიან ფიზიკურადაც ხალხის მიერ.

ამასთან დაკავშირებით, 1955 წელს, სამგორის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობისას ჩაწერილ იქნა, ჩვენ მიერ, ახალი ვარიანტი აღმოსავლეთ სა-

[34] წარჩხულა, წყლის სახელად დაცულია სამეგრელოში („წარჩხურა"-ს ფორმით) სოფ. სალხინოში (გეგეჭკორის რ-ნი, ძველი მარტვილი). ეს უკანასკნელი განთქმულია თავისი კალმახით. ძველად, იგი ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს და გამოცხადებული იყო ნაკრძალად. ხალხური ეტიმოლოგიით „წარჩხურა||„ჭაჩხურა" ნიშნავს —„ჭა-ცივა"-ს (ჭა + „ჩხურუ"—„ცივა").

[35] მეზირი, ბალსქვემო სვანეთში იცვლება სხვა ტერმინით—ე. წ. „ტარბედ"-ით. იგი შეიძლება იხილოს სხვადასხვა ცხოველის სახით მხოლოდ სახლის უფროსმა (მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერ. კულტურის ისტორიიდან. სვანური კერა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1952 წელი; ალ. დავითიანი, მასალები სვანეთის ნივთიერი ძეგლების შესახებ. 1956 წ.). შდრ. „აგაგა" (სული მიცვალებულისა) სამეგრელოში, რომლის ხილვა შეუძლია მხოლოდ დედას, ან მიცვალებულის უახლოეს რომელიმე ნათესავს. „აგაგა" ის კეთილი სულია, რომელიც მფარველობს და შემწეობას აძლევს მის ცოცხალ ნათესავებს. ხალხის ძველი რწმენით, „აგაგა" ეხმარება თავისიანებს დაკარგული საქონლის მოძებნაში, რაიმე ცუდი საქმის არიდებაში. იგი წინასწარ იგებს მოსალოდნელ გასაჭირს და თავისებური ნიშნებით ამცნევს ყოველივე ამას თავისიანებს, თუ ეს უკანასკნელნი გულისყურით მოექცევიან მის გამაფრთხილებელ ნიშნებს, შეიძლება გასაჭირი კიდევაც აიცილონ წინასწარი ზომების მიღებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში გავრცელებული თქმულებისა, რომელიც შეეხება გველის დამოკიდებულებას და საერთოდ მის აღზევებულ ხელდებას წყალზე. თქმულების მიხედვით, იორის ხეობის მთელი ზემო მხარე—ერწო, თიანეთი და ახლო-მახლო მიდამოები, წყლით იყო დაფარული. იგი თვალუწვდენელ ტბას წარმოადგენდა. ამ ტბას დაპატრონებოდა უზარმაზარი „უსურმაგი“[36] — გველეშაპი, რომლის უნებურად ტბიდან ერთი წვეთი წყლის ამოღებაც კი არ შეიძლებოდა. ტბის მიმდგომი არე-მარე, მტკვარ-ალაზან-იორის ვრცელი ჭალები და მთელი მიდამო საშოდამშრალ უდაბნოდ ქცეულიყო. ხალხს „სისხლის პური“-ს ჭამა ჰქონდა. ირგვლივ სუფევდა ჯოჯოხეთი. ბოლოს „მთაწმინდის“ (იორის სათავეებისაკენ მაღალ ქედზე აგებული სალოცავი) — გმირმა კოპალემ[37] — წმ. გიორგი ძლევამოსილმა, რომელიც დაუზოგავად ებრძოდა ყველა ავსულსა და ხალხის მავნებელს, გადასწყვიტა ეხსნა მისი „საყმო“ ბოროტი „გველეშაპისაგან“ წმ. კოპალემ გაუშვა კურო გველეშაპთან საბრძოლველად. კურომ და გველეშაპმა დიდხანს იბრძოლეს ტბაში, მაგრამ ვერ დასძლიეს ერთმანეთი. მაშინ კოპალემ ალმასები აასხა ხარს რქებზე. იგი ბრდღვინვით ეძგერა კვლავ გველვეშაპს და თავისი რქა-ალმასებით დაუფლითა მას გვამი. მიეცა ძლევა გველვეშაპზე. მაშინ იდრიკა თავი გველვეშაპმა და ამოვარდა ტბიდან, გახია ცხრა ადლი მიწა მყარი, გააპო მაღალი კლდენი და დაეშვა დაღმა. კურომ დიდზე სდია მას და შემოიქცა უკანვე ძლევამოსილი. მას აქეთ განედო კარი დაგუბულ ტბას და გამონაკადდა მისგან მდინარე იორი, რომელიც თან მიყვა გველვეშაპის მიერ „გახარულ“ გზას. ამისაგანაა, რომ მდ. იორის კალაპოტი, დაბა უჯარმამდე, მიხვეულ-მოხვეულია და გველის ნაკვალევივით დაღვლაჭნილი[38]. ამავე თქმულების მიხედვით სახელი — „ერწო“ იქიდან წარმოსდგა, რომ იმ საშინელი ბრძოლისას, რომელიც მოყვა გველვეშაპისა და „კურატის“ შერკინებას, მთელი მიდამო ახლანდელი ერწო-თიანეთისა იქით აქეთ ქანაობდა და აკვანივით ერწეოდა. შემდეგ როდესაც ალმას ასხმულმა კურატმა სძლია და გააქცია

---

[36] უსურმაგი—„ნასი“ და სხვა, ზოგადი სახელია საერთოდ, ქვეწარმავალთა და უწმინდურთა აღსანიშნავად. შდრ. „უხსენებელი“, „უჩალართამი“ (მეგრ.), „უნასი“ და სხვა...

[37] საყურადღებოა, რომ ამირანი, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას დევების წინააღმდეგ ბრძოლაში ატარებს, ხალხის შეხედულებით, ის გმირია, რომელმაც სიბერეში შესვლის შემდეგ ეს ბრძოლა დევებთან გადაულოცა ორ ახალგაზრდა გმირს—ღთის შვილთ—იახსარსა და პირქუშს. ეს უკანასკნელი ხელობით **ოქრომჭედელი იყო,** მასთან ძლიერ ჯანღონიანი, მაგრამ ამირანივით გამბედავი მაინც ვერ ყოფილა. ერთხელ თურმე იახსარი გამოკიდებია დევს. დევი გაქცეულა, ჯერ ჩავარდნილა „ხაშულას“ ტბაში (იორის სათავეებშია), იქ რომ არ მოთავსებულა, ამდგარა და გადაჩვეულა „ცოდვიანთ“ ტბაში (ეს ტბა იორის სათავისაკენაა ე. წ. „ქადლელეში“), იახსარი თან ჩაყოლია ამ ტბაში. შექმნილა ომი. იახსარი გაბმულა უსურმაგის სისხლში, მხრები გაკვრია „უსურმაგის“ სისხლში. მაშინ, პირქუშს დაუკლავს საკლავი, გადაუსხამს ტბაში მისი სისხლი და გაწმენდილა წყლის პირი, იახსარი ამოსულა. იმ დევს თურმე 4 ყურა 4 რქიანი ცხვარი ყოლია და იმას ჩაუდენია მთელი ფარა ცხვარი—„ცოდვის ტბაში“, მიტომ აქვს „ცოდვილიანი“-ს სახელი ამ ტბას. შდრ. გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI, გვ. 61. სადაც „დევ-კერპებისა და კოპალას ბრძოლა“ სხვა ვერსიითაა წარმოდგენილი.

[38] თქმულება ჩაწერილია საბედა ილარიონის ასულ ტეირთაშვილისა და (52 წლის კოლმეურნე, სოფ. არტაანის მცხოვრები) სოლომანი (ხუმარა) მათეს-ძე ბურდულისაგან (75 წლისა, სოფ. არტაანის მცხ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველვეშაპი[39], წყალმა გზა იშოვნა და წავიდა თავდაღმა. შემდეგში გარშემო ადგილები, რომელიც მთლიანად დაჭაობებული იყო — ამოშრა.

ამრიგად, თქმულება გველვეშაპსა და „ხარ-კურო“-ს ბრძოლის შესახებ წარმოადგენს არსებითად ორი დაპირისპირებული ძალის[40] — კეთილისა და ბოროტის, სინათლისა და წყვდიადის ურთიერთ ჭიდილის სურათს, სადაც ხალხის შეხედულებით: „ბოროტსა სძლია კეთილმან — არსება მისი გრძელია!“

ერთი სიტყვით, თქმულების მიხედვით „გველი“ [!] განასახიერებს ბოროტ, მავნე ძალას, რომელიც განაგებს და ფლობს ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ნივთიერებას — წყალს[41]. მისი ნება-სურვილის გარეშე, წყალს ვერავინ ვერ აიღებს გამოჩენილად. იგი იმავე დროს წყლის სტიქიას იყენებს ხალხის სიკეთისა და დოვლათის დასანთქმელად. მას ყავს უჩვეულო (4 წყვილი) რქა-ყურის მქონე, მაცდური „ვერძი“, რომელიც გაერევა ხოლმე ცხვრის ფარაში, წაიტყუებს მათ ერთი ტბისაკენ და სულ ერთიანად ჩაალრჩობს მასში. ერთი სიტყვით, „გველმოსილი“ ბოროტი ძალა უპირისპირდება კეთილ საქმეს, წაღმართსა და ადამიანურ მოქმედებას. მაგრამ იგივე გველი, ქართველი ხალხის ძველი რწმენის მიხედვით, განასახიერებს კეთილ და მფარველ ძალას, სათნო სულს, რომელიც ადამიანის შემწეა და ბოროტისაგან იცავს მას. ქართველი ხალხის ძველი შეხედულებით, შესაძლებელია „გველის პერანგით“ შეიმოსოს როგორც ბოროტი, ისე კეთილი არსება. შეიძლება იყოს „კეთილი“ და „ბოროტი“ „ანგელოზი“, კეთილი და ავი „პატრონები“[42] და სხვა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული გველის კულტის არსებობა და მასთან დაკავშირებული საყურადღებო ხალხური წეს-ჩვეულება ამასვე ადასტურებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რამოდენიმე ფაქტი:

სოფ. ქერანას (დუშეთის რ-ნი) მცხ. ს. ი. ჭიაბრიშვილის ჩვენებით „რომელ ოჯახსაც გველი არ ყავს — სახლში, იმ ოჯახს დევი ყავს დაპატრონებული, გაიგებენ ამას იმით, რომ ძილში ბავშვს წამოაწიოკებს: ზოგს ახრჩობს, ზოგს ოჯახის პატრონისა ყვარობს — ქალსა. შარშან თანდილაანთ კარში დაახრჩო ბავშვი, ამას შველის სახლის გველი, ის არ უშვებს დევს. ორია სახლის გველი — „დედა“ და „მამა“, რომ დაგინახავს უაალებს პირს, ქაქანებს, გველდრება — არ მომკლაო, იქნევს თავს აქეთ-იქით. ანგელოზის კუთხეში გამოდის ხშირათ, მზეზე, მყუდროზე უყვარს და ითბობს ურჩუმრად: არც არავის უაეტანება, თუ მოკ-

[39] საინტერესოა, რომ XVI ს- და ქართული მხატვრობისა და იკონოგრაფიულ ოქრომჭედლობის ნახელავთა და თვით ხალხური შემოქმედების მიხედვით, „გველვეშაპი“ იგივე გველია, მხოლოდ უჩვეულო სიდიდე და ძალა ახასიათებს მას (იხ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, გველვეშაპის გამოსახულება ქართულ ოქრომჭედლობის ძეგლებში, ხელნაწერი, 1949, გვ. 15).

[40] შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939, გვ. 6.

[41] **ხეთა-სუბარების უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მზე, რომლის მეუღლედ მიაჩნდათ ავდრის ღვთაება (ვაჟი).** ერთ-ერთი სარწმუნოებრივი თქმულება ხეთა-სუბარებისა მოუთხრობდა ავდრის ღმერთის ბრძოლის შესახებ გველეშაპის წინააღმდეგ (აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, პროფ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედ., თბ., 1943, გვ. 16).

[42] შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშაველებში (დღიური), ენიმკის მოამბე, ტ. XI, გვ. 73. სადაც აღნიშნულია საყურადღებო ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ ამოწყვიტა წითელთავა ეელმა მთელი ოჯახი, რომელიც ხალხის რწმენით თვით „ფურების ხატმა“ მიუსია ამ ოჯახს რაღაც დანაშაულის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ვინმემ ეს გველი, რამდენი წლისაც იქნება, იმდენი წლის კაცს მოკლავს ოჯახში.

ანგელოზის კუთხეში თახჩაა, იქ გამოვიდა; პურებს ეტანებოდა, სუნავდა, უყურებდა, ბავშვებს შეგვეშინა და მოკვლა დაუპირეთ, ზოგები ვესეოდით. დედამ რომ დაგვინახა გაგვიჯავრდა: — ეს შვილო სახლის გველია, ხელს ნუ ახლებთ, თორემ მოგვესევა და სულ ერთიან ამოგვაგდებსო. ჯამზე რძე დაგვასხმევინა და იმ თახჩაში შეგვადგმევინა, მოვიდა და დაუწყო რძეს ჭამა, გაძღა და წავიდა. ნაცრისფერია, ზოლები დადევს...

სოფ. ჯიქურაულთკარის (არაგვის პირი, დუშეთის რ-ნი) მცხოვრებნი იაკობ გაბოს ძე სალინაშვილი (80 წ.) და ბესო შიოს ძე მთიულიშვილი (70 წ.) მოგვითხრობენ — „მამა-პაპიდან გაგვიგონია, რომ ყველა სახლსა ჰყავს „ოჯახის“, „სახლის გველი“. ჩვენ სახლში სახლის გველი იყო და მუდამ დილა-საღამოს ფილით უდგამდით რძესა. სახლის გველი თვინიერია, არ შურობს კაცს. გადმოაგდებს და ალიკლიკებს ისე უბრალოთ ენას. არის გველი, რომელსაც „ნატვრის თვალი“ აქვს[43]. ღამე ათამაშებს. ის რომ კაცმა ჩაიგდოს ხელში რაღა უჭირს, რასაც თხოვ იმას აგისრულებს. „ხირხოტებს“ ვეტყვით ადგილს — იქ თურმე ერთ ჩვენებურ კაცს ეყურებია გველი რომ ნატვრისთვალს ათამაშებდა. მიპარვია ი კაცი, აუღია ტალახი და უსროლია. ტალახს დაუტანია თან ნატვრის თვალი და დაუმალავს გველისთვის. მერე აუღია და გამოქცეულა ეს კაცი. გამოდგომია გველი, მაგრამ გამოასწრო წყალში თურმე და გადარჩენილა. გველი მიდგომია წყალს და უკითხავს: აქ ხომ არავის გამოუვლიაო (3-ჯერ) — პასუხი ერთი მიუღია წყლისაგან — შენც ახლა მოდიხარ და მეცაო. გველმა იქვე თავი მოიკლა — თურმე. ის კაცი გამდიდრდა ისე, რომ ზღვასავით აივსო. ბევრი საქონელი თურმე ჰყოლია. იმ ადგილს ახლაც გიჩვენებთ სადაც წაართვა ეს თვალი — „სუფრაულებელი“-ს ეძახიან ახლაც. იმისგვარ კაცებს აქამდე ქონდათ მამული. მერე და მერე იმ გველს იმათი ხალხი სულ ამოუწყვეტია (იმისი დედმამა თუ იქნებოდა, სხვა გველები). მარტო პატარძალი დარჩენილა. თათიკაშვილების წინაპარი იყო და ახლაც ეს გვარი „ზოკოს“ (სოკო) ვერ ჭამს. იმ გველმა მოუწამლათ თურმე და მის მერე არ ჭამენ. მე მოვესწარი ამ ამბავს, ალბათ საჭმელი თუ მოუწამლა გველმა. როცა გველი გადაემტერება კაცს მიუსევს, გადაესევა და საჭმელს მოუწამლავს ოჯახს“...

---

[43] საინტერესოა, რომ ქართველი ხალხის წარმართული მსოფლმხედველობისა და რწმენა-შეხედულების მიხედვით მიწიერი გველი ფლობს „ნატვრის თვალს“ (უბრალოდ — „თვალს“, „ხვითოს“), რომელსაც ღამღამობით ათამაშებს ხოლმე. ნატვრისთვალი იგი ოქროსფერია და როდესაც მას ალმა აისვრის გველი იგი ცეცხლივით აკიაფდება. ბნელს გაარღვევს და შუქს მოფენს მიდამოს. ადამიანს შეუძლია ეს „თვალი“ მხოლოდ ხმლის საშუალებით წაართვას გველს, იმ შემთხვევაში თუ იმარჯვა და მოასწრო მახვილით გადაკვეთა მაღლა ატყორცნილი „თვალის“ გასხივოსნებული კუდისა. ასევე, ასტრალური გველეშაპი (იგივე — ბნელი) მოულოდნელად მიეპარება ცის კაბადონზე მიმცურავ ნათელ მთვარეს და შთანთქავს მას. ხალხის წარმოდგენებში განსახიერებული ორივე ეს სცენა — „მიწიერი“ და „ციური“ „გველის“ მიერ ნათელის დანთქმა, ერთი და იგივე ძირიდან უნდა იღებდნენ სათავეს. ამ მიმართებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მთვარის დაბნელებისას, ასევე ახალი მთვარის გამოჩენისას გაცოცხლების სახით ხალხში დარჩენილი წეს-ჩვეულება — მახვილის აღება და მისი მთვარისაკენ მიღირება წარმოადგენს ბნელისა და ნათელის გაყრის სიმბოლოს, „ნიშან-სვეტს“. ქართული საგმირო ეპოსის ერთ-ერთი ქმნილება — ამირანის თქმულება ამასვე მოწმობს. აქაც ამირანი, რომელიც შავმა გველეშაპმა ჩაყლაპა, მახვილით განუკვეთს მას გვერდს და „საბნელოდან“ გამოდის „სამზეოზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც გამიგონია ჩვენი ძველიდან — ამბობს შალიკო სვიმონის ძე ბრეგვაძე, 50 წლ. (ზესტაფონიდან), რომ გველი ამ „თვალს“ შოულობს კაცისაგან. თურმე მარცხენა თვალი ზოგიერთ კაცს „ნატვრის თვალი“ აქვს და რასაც შეხედავს, ანადგურებს. როცა კაცი კვდება, გველი მიდის და ართმევს ამ თვალს. იმან იცის სიცოცხლეში ვისა აქვს ასეთი თვალი, მიჩენილი ყავს ამ კაცს, ამოულებს და წაიღებს თავათ[44].

თურმე ერთი კაცი იყო, არაფერი გაუშვა გაუნადგურებელი, ვისაც კი შეხედავდა იქვე დააგდებდა. ხალხმა ეს იცოდა და გაასახლეს იძულებით. წასულა კახეთში, თუ არა მოკვლა დაუპირეს, გზაში რომ მიდიოდა იქაც ჩაიდინა ასეთი საქმე ორ კაცს შეხვდა, შეისვენეს, გახედა იქიდან მხვნელ ხარებსა და უთხრა ამ კაცებს: — ასეთი „გამჭრელი“ თვალი მაქვს, რომ ამ ხარებს ორივეს დავცემო. — დიდხანს უყურა და ვერაფერი დააკლო, ამასობაში ამას თვითონ გაუსკდა და წამოვარდა თვალი“, თურმე და ძირს გადმოვარდა. მერე ადგა და გაუტყდა „გულის პასუხს“: მე ასეთი და ასეთი ვიყავი და თუ ახლა არ გაჭრა ამ თვალმა ეს იმიტომ, რომ, ალბათ იქ სახვნელი „ჯარჯი სხლისა“ თუ იყო (გარეული) ან უღელი და სახვნელი მწარე ბლის იქნებოდაო. წადით და ნახეთ თუ ასე არ არისო. მართლა მივიდნენ და ნახეს, რომ ტყის სხალისა და მწარე ბლის სახვნელ-უღელითა ხნავდა კაცი. ი თვალი იმიტომ წამოვარდა, რომ რახან ვერ გაჭრა, გასკდა ძალისაგან — იმათ რომ ვერა დააკლორა. წარე ბალის დასობა ამიტომ ვიცით იმერეთში, რომ არ გაჭრას თვალმა. ამისთანა კაცმა უნდა დილას, რომ ადგება, თავისიანები რომ არ დააზიანოს ნალს, მწარე ბალს, სხალს ან კაყს რომელიმეს უნდა დააბიჯოს კბილი და აღარ „გაჭრის“ იმ დღეს არც თავისიანებს და არც სხვას ავნებს ვისმე...

ასევე სოფ. ბაზალეთის მცხოვრ. ანა როსტიაშვილი ამბობს:

— „სახლს ყავს „ფუძის“ გველი, იგი სახლის ანგელოზია, ბარაქა და აშენება იცის — სადაც მივა[45]. ერთხელ ეს გველი ვნახე ბოსტანში. ქათმები დაწიოკდნენ და იმათ ხმაზე მივიხედე და ვნახე — საყურებიანი შინაური გველი: „წადი, წადი! არც არას გაწყენ, ნურცარას გვაწყენ. ბიჭი ხარ ძმა იყავი, ქალი ხარ და იყავი“. წესია ასე თქმა, ისინი დედალ-მამალი არიან და რომელია ვერ ვიცნობთ. ასე რომ ეტყვი არც საკბენად მიეტანება და არც გვავნებს რაიმეს-ო“....

მასვე ემოწმება მიტრო სოსიკას ძე მგელიანი ანუ ფიცხელაური ს. ზემოაში (დუშეთის რ-ნი).

— მე თავად გველი სახლში არ მინახამს, მამაჩემმა თქვის: — გველი ყველა „გარშემოში“ არისო და თავათ დაცურავს, იტანჯებაო. „მცურავი“ ყველა იტანჯებაო. დიდი სახლი გვქონდის: 4 ბოძიანი, „დედაბოძები“ უდგის. მივიდეს შინაური მცურავი, შემოვადის, ბალღის აკვანში მივიდის, ბალღს ყელზე მაეხ-

[44] ამ შეხედულებას ნიშანდობლივად ემოწმება ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ჩაწერილ იქნა 1945 წელს გუდამაყარში, ჩვენ მიერ:

„შავეთი“. (საიქიო) ამოვიარე, შეიდპირად ისხდა ხალხია,
ცალგნითვე გადარჩეულა კაი ქალი და რძალია;
ბევრ ვაჟას ჩამოეშალა საყაწიმენი მხარნია.
ბევრ ქალას ჩამოეშალა შეიდ-შეიდი ნაწნავ თმანია;
სხოს კა არასა ჩიოდნენ გველებმა გვიყვეს ძალია
ჩამოგვიხვრიტეს საფლავი, ჩამოგვდის წვიმა-წყალია!...

[45] შდრ. ოსური თქმულება—ხანდარი (ოსური ზღაპრები და ლეგენდები, სტალინირი, 1957, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ხოლმე, არაფერს ჩაადენდის ბალღსა. მერე რომ ბალღს ძუძუ აწოვის დედამა წავიდის მცურავი და ვარცლი თავ მოხვის და ალაკლაკებდის ენასა. ი ბერმა დედაკაცმა მიუტანის კარაქი თეფშითა. აგრე უთხარის ყველასა — არავინ გააჯავროს, რას გიშავებთო. ცეცხის მა კიდის რო ვინმემ რამე გააჯავროს. გადაგვეკიდების და სულ ერთიან დაგვჭამსო....

— თავხეზე ავიდის და იქიდან ჩამოეკიდისო. ი ბებერმა წაავლის ხელი ჩამაიყვანის და ვარცლზე დასვისო, რო ვინმე წაეტანის გველსა ი ბებერმა ცეცხლი მაიდვის...

1. „ს ა ხ ლ ი ს გ ვ ე ლ ი“ ‖ ო ჯ ა ხ ი ს ფ უ ძ ი ს გ ვ ე ლ ი“. დედალ-მამალია, ტოლები არიან—ამბობს მარო ნინიკას ასული ჩანადირი (სოფ. აში, დუშეთის რ-ნი. 60 წლისა). თუ ერთი მოკალი, მეორე გადაწამლავს სულ ყველაფერს. ისინი კერაზე წვანან დღისით, მარა კაცს არ ავნებენ. ოჯახის წევრები ხმას არ აცემენ. ის თუ არ ავნე-რა არ გიკბენს.

2. სახლის გველი გადაესევა ოჯახს ვინც მოკლავს. მავნებელი არ არის, ლოგინშიაც მივა, აკვანშიაც. მაგრამ არ იკბინება. მამა მეტყოდა, არ დააწიოკოთ — ეგენი სახლისაები არიან. მე ჩემი თვალით მინახავს ბეღელშიიწვიან ერთი ქერზე და ერთიც პურზე და ენას ალაქლაქებდის“. ყვითელი საყურეები ქონდათ. შინაურ გველს ვცნობთ, დაკვირვებული ვართ. რუხი ფერისაა.

გველის კულტის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა სოფ. გრემისხევის (ციხისუბანი) მცხ: გრიგოლ თედორეს ძე ბერიტაშვილის — (86 წლის) ნათქვამი:

— „სახლის გველი უწყინარია. ათასში ერთხელ ეჩვენება. როგორც ანგელოზი ოჯახისა — ისე ისაა დანდობილი, მინდობილი ოჯახს. პატრონობს. არ იმეტებს ოჯახს, რომ ჭურჭელი მოშხამოს. „არზნობს“ (არ აზიანებს“) ოჯახს. ის ოჯახის შვილია, ოჯახშია გაჩენილი. არას „ამზნევს“ ვისმე[46].

მინდვრისა მავნებელია. ნაწყინარია. ზიანი შაუძლია მოუტანოს ოჯახს.

ოჯახის გველი „დუნეა“. ჭკუიანთა მაიხვევა. არ გეპუება კაცს. მინდვრისა — ჩქარია. ფრთხილობს. გარბის კაცის დანახვაზე, ბოროტია. ეშინია კაცის. ზოგ გველს კისერზე „გეჯერი“ აქვს. როგორც ლორს ქეჩოზე (გეჯერი აქოჩრილი, ყალყზე შემდგარი ფხა, ნ. რ.). მინდვრის გველს „მაშარატობა“ დიდი აქვს, მაშარატს ვეტყით კაცსაც, რომელიც შარიანია, ხიფათიანი, შარის გაშლა რომ უყვარს (შდრ. „კვარჩხი“—მეგრ. „კუმატ“—სვან.). „მახვილი დიდი აქვს. ფერათ ზოგი შავია, ზოგი წყლისფერი, ზოგი ჭრელი, დედამიწის ფერი, წითელი, ყველაზე ცუდი წყლისფერია. გველს ზოგს საყურეებიცა აქვს — ყვითელი საყურეები. არის ანკარა (ძლოკვი), რომელიც ძალიან შურობს გველებს: — „მოვიდა გველი ანკარა, თავით ბოლომდი გაგყარაო“ — ნათქვამია. უთუოდ ღვთითგან აქვთ მათ „მისეულობა“ გველის. „გველის დასამორჩილებლად ჯლაბიც (ზღარბიც) ემტერება გველსა“.

---

[46] საინტერესოა, რომ გველის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ მცირე აზიასა და ეგვიპტეში, კერძოდ, ხეთების კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყო ის დიდი დანაშაული, რომელიც თან სდევდა ვინმეს მიერ გველის მოკვლასა და მაგიური ქმედების მიზნით ვისიმე სახელის წარმოთქმას—თუ თავისუფალი კაცი მოკლავდა გველს და მაგიური ქმედების მიზნით იმ კაცის სახელს წარმოთქვამდა, ვისი ინტერესიც მას ჰქონდა ისჯებოდა 12 მინა (მინა და სიკელი წონის ერთეულებია ლითონისათვის) ვერცხლით, ხოლო, თუ ამას მონა ჩაიდენდა—სიკვდილით (იხ. აკად. ვ. ვ. ს ტ რ უ ვ ე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, **1946,** გვ. 290).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლებ საინტერესოა ამ მხრით ნათქვამი ქეთო გიგოს ასული ვარდუაშვილის (მცხოვრ. სოფ. ოძისში, კასპის რ-ნი, 70 წლისა).

— „წინათ გამიგონია, რომ სახლს თავისი გველი, მამულის გველი ყავსო. ის წმინდა იყო, უვნებელი. თურმე ოჯახის ქალი პურს აცხობდა, ბავშვი აკვნით მდგარიყო და ტიროდა. ასულა გველი აკვანში და კუდი ჩაუდვია პირში და გაუჩუმებია ბავშვი[47]. მე თავათა ვარ მოწმე, რომ ბავშვებს შუაში ჩაუწვა ლოგინში და უვნებლად წავიდა დილას. დანამდვილებით გეტყვი: დიდი სახლი, დარბაზი გვედგა, ეს გველი სულ „ხრიალით" შემოივლიდა კედლებს. მერე გაჩერდებოდა და გადმოიხედავდა ჩვენკენ. ვეტყოდით: „ჩვენი ჭია-ბიაო მიბრძანდი თაროზეიაო", ამას ვეტყოდით და მერე თეფშით რძეს დაუდგამდით. ეს გველი სახლთ-ანგელოზი, სახლფუძეაო იტყოდნენ. ვენახებში იცის „მამულის გველი", შენიშნულია და იმას არ მოკლავენ... არ ვარგა იმისი მოკვლა. ნიშნულობა ისა აქვს, რომ იგი შავია. ფუძის-გველი რადერია არ ვიცი. ერთხელ ვაზს რომ ვფურჩქნიდი გამიარა, წავიდა. შუადღეზე იქვე ტყემალთან პური ვჭამე, ავდექი და რომ მივედი ვაზთან წინამიძღვა. — უ შე დასავერანებელო რას ამიძეხი წინ — თქვა და წამოვავლე ხელი, კალათი ავიღევი და შორს წავედი, ბოლოში დავიწყე ფურჩქვნა. როგორც შევკარი ერთი ძირი და მოვიხედე აგერ გაჩერებულიყო და მიცქეროდა. ნაპირზე მივედი, შემოეხვია იქვე სარს და დამიწყო ცქერა[48].

სითეთრე — რძე და მისთანა ძალიან უყვარს.

ზოგ ოჯახს დოვლათი გველში აქვს და მისი მოკვლა არ შეიძლება. იმას ან დედა ან მამა ეყოლება და ოჯახს გადაეკიდება. მამალმა, ბატივით იცის სისინი. კახეთში, თებრო ჭრელაშვილის ჩვენებით ყველა ოჯახს ჰყავს — „ფუძე-გველი". იმას „ხაზინის-გველი" ეწოდება. იგი „თვინიერი", კეთილი და უვნებელია. ოქროს საყურეები აქვს. ერთხელ კაკლის ხეზე ვნახე ასული. სტვენა შემომესმა და

---

[47] სოფ. გომარეთის მცხ. ესტატე ვასილის ძე ედიშერაშვილის ჩვენებით (90 წლისა). „ოჯახური" გველი უვნებელია. მამის გადმოცემით იგი ბავშვებს ეალერსება, ლოკავს და აძინებს. გველისთვის შვილი მოუკლავთ. მაგრამ სამაგიერო არ გადაუხდია სახლისთვის. იგი ერთგულია.

[48] საერთოდ იმავე ქართლისა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გველი სახლ-ფუძის და მასთან ერთად ჭურ-მარნის მფარველ ანგელოზად—კეთილ სულად არის მიჩნეული და ქვეყანაში ღვინის გამოულევლობის სიმბოლოა. ამიტომ, ქვევრის თავზე მოგრაგნილი გველის ნახვა სიხვავრიელესა და ბარაქას ნიშნავს. ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ძველ ქართულ ხალხურსა და ლიტერატურულ შემოქმედებაში ესა თუ ის პერსონაჟი ხშირად წარმოგვიდგება გველის სახით. ამირან-დარეჯანიანში არა ერთხელ გვევლინება მთელი მხედრობა და ცალკე პირი გველის სახით: „—გამოვიდა გველი მის კლდისა თავსა და იწყო კრჭიაობა (ძახილი გველურებ) და მუნ მოვიდნენ ყოვლისა ქვეყნისა გველნი... მერმე ამირან დარეჯანისძემან აღიღო შვილდი, გარდაავლო საბელი, შესტყორცნა ისარი და წარკვეთა თავი მას გველსა (—იგულისხმება გველად ქცეული მცველი კაცი. ნ. რ.)... „მოკლეს ჩვენი ყმაო"—მორთეს ყვირილი და ეს ამბავი შეატყობინეს მცველთა უფროსს (იგულისხმება ყველგან „გველმოსილი ადამიანი", ნ. რ.). (მ. ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1896, გვ. 35). მაგრამ ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ გველად ქცეული, არამედ გველზე მჯდომარე, ამხედრებული პირებიც.—ანაზდათ კაცი ვინმე მოვიდა ვეშაპსა ჯდა (იქვე, გვ. 216). ასევე, გველვეშაპნი იცავენ და ფლობენ არა მარტო წყალს, არამედ მიწის წიაღში მოქცეულ განძეულობასა და ძვირფას საუნჯეთ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკლებლივ გვხვდება სხვადასხვა გადმოცემა და თქმულება იმის შესახებ, რომ ამა და ამ ადგილას დაფლულია დიდი განძი, რომელსაც დარაჯობს ხოლმე გველი.

კოლხეთის მეფის „ოქროს საწმისს" მცველად ედგა ცეცხლმფრქვევი გველვეშაპი (არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში", ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი, ტფ., 1890, გვ. 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მივიხედე კაკლის ტოტზე იჯდა და რაღაცას სტვენდა, გალობასავით. ყველა სახლს, ოჯახს ფუძე აქვს (სიმდიდრე) და ეს ფუძე (ხაზინა) ოჯახის ბარაქა და ნაყოფიერებაა. გველი იმას სტვენდა, რომ ამ ქონებას ხელი არავინ ახლოსო, აფრთხილებდა ოჯახებს. ეს გველი „ხელშეუკარებელი“ არის, იმის გაწყრომა და გაჯავრება არ იქნება. ფეხებში რომ მოგედვას ხელს ვერ ახლებ). დილით, დასვენებულ გონებაზე იგი სახლს ელაპარაკება, ამცნობს სტვენით თავის თავს. ყველამ არ იცის ეს[49]. ზოგიერთი ზემო-აჭარის სინამდვილეში „გველის კულტი“ იმავე ხასიათისაა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში. ნანი შიუკას ძე რეხვიაშვილის ნათქვამის მიხედვით (სოფ. ქიორა, 120 წლის მოხუცი) ყველა სახლს ყავს „ხაზინის გველი“, ფერი ბოსელში იცის დაბინავება, ისე „წინაცალშიც“ ფუვარს ყოფნა. შინაბავს ბოსელში მეწველ ძროხას უჯდა და სწოვდა ძუძუს. მისი მოკვლა „არვარგია“ (ე. ი. წესით დაუშვებელი და საზიანოა). იგი სახლის ჭჭინდა ანგელოზია. ზემო-რაჭაში გველის კულტის დიდ სიძველეს უნდა მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ ბრილში განათხარ მასალებში ბრინჯაოს სატევრებსა და ბალთებზე წარმოდგენილია გველი[50]. ერთ შემთხვევაში გველი გამოსახულია რელიეფურად, მეორე შემთხვევაში — გაჭერით. ეს უკანასკნელი სპირალური ხვეულებზნაზოვან ფორმითაა წარმოდგენილი და ემსახურება იარაღის მორთულობას[51]. განსაკუთრებით თავისებურად გამოიყურება ეს კულტი სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, სადაც იგი „მეზირის“ სახით საგანგებო მოკრძალების საგანს წარმოადგენს. ოჯახის უფროსი ქალები დანიშნულ დღეს მიდიან მის ადგილსამყოფელთან და აღავლენენ მისდამი ვედრებას. კერძოდ, სახლის გველს სვანები „ქორამერდეს“ უწოდებენ, ხოლო მეზირთან დაკავშირებულ რიტუალებს — „ქორალიმზირ“ („ქორაჲვაკვირ“) „ქორასაახ“-ს[52].

ამიტომ შემთხვევითი არ არის, როდესაც გველის გამოსახულებანი გვხვდება სხვადასხვა სახისა და ხასიათის ნივთიერ ძეგლებზე. აქ შეიძლება ამის მაგალითად დავასახელოთ სოფ. გერგეტის (ხევი ყაზბეგის რაიონი) მცხოვრებ სუჯაშვილების სახლი[53], რომლის კარიბჭის თავზე — ერთიანი ქვის წართხლზე წარმოდგენილია გველის რელიეფური გამოსახულება (იხ. სურ 15). ასევე, გველი ვითარცა მფარველი ანგელოზი, გამოსახულია ქალის სამზითევო სკივრის წინაჩუქურთმიან კედელზე, რომელიც ფრაგმენტული სახით, ამჟამად, დაცულია მესტიის (ზ. სვანეთი) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (იხ. სურ. 16). საყურადღებოა, რომ გველის კულტი ერთობ შორს მიდის ისტორიის სიღრმეში. იგი უკვე ძ. წ. მეორე ათასეულიდან გვხვდება თრიალეთურ განათხარ ურნაზე[54].

---

[49] ი. ნანობაშვილი, გველის კულტი კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ხელნაწერი, 1947, გვ. 14.

[50] იხ. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 107, ტაბ.

[51] შდრ. **Franz Hancar**, Die Beile aus Koban in der wiener Sammlung Kaukasischer Altertümer, Wien, 1934, Tafel IV, 2.

[52] მ. ჩართოლანი, სვანური სახლის კერა, თბ., 1962, გვ. 172.

[53] სუჯაშვილების სახლისა და მასზე გამოსახულ გველის შესახებ იხ. ს. მაკალათია, ხევი, 1934; რ. შმერლინგი, ვ. დოლიძე, Военно-грузинская дорога, Т., 1957; საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის გამოფენა, ვიტრინა № 24, 23 (XVI ყორღანისა და II ორმოსამარხის მასალები).

[54] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, თბ, 1941, ტაბ, LXXVI და ტაბ. I, გვ. 337, 387.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



(დორა) (სურ. 17). წითელი თიხის ანგობიან ხალანზე, იმავე თრიალეთიდან, XVII ყორღანიდან (სურ. 18) ბაკურციხულ განათხარ ხელადაზე[55]; სამთავროს მესამე კრამიტ-სამარხში აღმოჩენილ თიხის სურაზე (იხ. საველე დავთარი № 1230, ტაბ. C IX. 7; ნაცარგორის ჭურჭელზე[56]; ზემორაჭის სანახებში განათხარ არქეოლოგიურ ნივთებზე[57]; ბაკურციხეში მოპოვებულ (1936 წელს დოცენტ ა. აფაქიძის მიერ) განათხარ ბრინჯაოს მახვილებსა და სატევრებზე[58]; კოლხური ტიპისა და წარმოშობის ბრინჯაოს ნივთებზე[59]. აგრეთვე საყოფაცხოვრებო ხასიათისა და დანიშნულების ნივთებზე (სურ. 19) და ა. შ.



სურ. 15. კარის თავზე ქვაზე ამოჭრილი გველი

[55] ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები სადისერტაციო ნაშრომი; ნაბეჭდი თეზისები, 1941.

[56] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტ. I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 130, 131. აღნიშნულ ნაშრომში ავტორები ხაზგასმით მიუთითებენ, სრულიად მართებულად, იმის შესახებ, რომ საქართველოს სინამდვილეში ბოლო ხანებამდე შემორჩენა გველის კულტის გადმონაშთები, რომლის მაგალითად ასახელებენ განათხარ ძეგლებს, კერძოდ, ზემოხსენებულ და სხვა კეცის ჭურჭლეულს, სადაც გვხვდება გველის გამოსახულება, როგორც მფარველი ძალისა. არქეოლოგიური ხასიათის ინვენტარზე წარმოდგენილი გველების გამოსახულებას დოც. პ. ფირფილაშვილი ასევე გველის კულტს უკავშირებს, ოღონდ იმ მიმართებით, რომ განათხარი კერამიკული ჭურჭელი მას მიაჩნია სამედიცინო ხასიათის ინვენტარად, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო წამლების დასამზადებლად და დასამარაგებლად. იგი ამ პერიოდს თვლის ქართული ხალხური მედიცინის მაგიურ ეტაპად (იხ. პ. ფირფილაშვილი, თრიალეთსა და სამთავროში არქეოლოგიური თხრისას აღმოჩენილი გველის გამოსახულებიანი ჭურჭლების დანიშნულების შესახებ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957).

[57] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, 1951.

[58] იხ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, გვ. 165, სურ. 31 და რიგი სხვა.

გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 107. ავტორი აღნიშნავს, რომ: „ბალთებს ლამაზი არშია და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულება ამკობს. მათ შორის გველის გამოსახულება წარმოდგენილი, ბრილის სატევარზე“ (იხ. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLI)

[59] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივია და გასაგები, თუ რატომ გვევლინება გველი ასე ნიადაგ და ფართოდ ძველ ქართულ ნივთიერ ძეგლებზე, ხალხურ შემოქმედებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მთელი ქართული საგმირო ეპოსი გაჯერებულია გველის კულტის ამსახველი მასალით. გველი აქტიური პერსონაჟია მ. ხონელის უკვდავი ნაწარმოების — „ამირან-დარეჯანიანი“-სა. ძველი ბიბლიური გადმოცემების მიხედვით, გველი „გულთმისანი“, ყოვლის მცნე და „ყოველთა ცხოველთა უგონიერესი სულდგმულია. მხოლოდ მისი საშუალებით ხდება ადამიანისათვის ცნობადი ბუნების საიდუმლოება — „ხე კეთილისა და ბოროტისა“[60].



სურ. 16. გველის გამოხატულება სკივრზე

ქართული მდიდარი ფოლკლორული მასალა დაუდვა საფუძვლად დიდმა ვაჟამ პოემა — „გველის მჭამელს“. ვაჟას ეს დიდებული ქმნილება სიუჟეტურად ემყარება გველის ამგვარ გაგებას ჩვენი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულებათა ნიადაგზე.

პოემის მთავარი გმირი მინდია, მიიღებს რა გველის ხორცს, იგი ზებუნებრივი გაგების ძალით აღივსება, „გულთამხილავი“ ხდება და უწყის — „ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, უცხოველეს, სხვათა ენათა“ — როგორც ამას ბარათაშვილი იტყოდა: ის მნიშვნე-

[60] ფრ. რატცელს დასახელებული აქვს ინდიელების ეთნოგრაფიული სინამდვილიდან შემდეგი ფაქტები: „ვაბინოს“ სადიდებელთა-ში, რომლის ტექსტი ხის ფიცარზეა ამოკვეთილი, პიქტოგრაფიული წესით (ხატოვანი დამწერლობის სახით), წარმოდგენილია, როგორც ყოველთვის, გველი—„კიჩი—კინაბიკ“-ი რქებით. სადიდებელში, რომელსაც მამაკაცი ასრულებს ხოლმე წარმოსთქვამს ამ გველის სახით „მე—სული ვაბინო“, ეს ჩემი საქმეა“, მათ მიერ გველი მიჩნეულია ცხოვრების სიმბოლოდ, ასევე მზის სიმბოლოდ. (იხ. გვ. 37). ამ მიმართულებით შესაძლებელია, გარკვეულ ვითარებაში გველის გამოსახულება მზისა და მთვარის დისკოს ხატებას დაემთხვეს ხოლმე და ამ ნიადაგზე ერთ შემთხვევაში, „დახვეული გველის“ სახით, მზის ემბლემა გვქონდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში, დახლაკნილი, ორ რქიანი „გველის“ სახით—მთვარისა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ქართველი ხალხის ძველი შეხედულების მიხედვით მზე, მთვარეს გველეშაპი ებრძვის ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა უნდა ქონდეს რა მნიშვნელობაც სხვა შემთხვევაში — „ჯვარს", ან რომელიმე სხვა ხატ-ნიშანს აქვს ხოლმე. იგი არის ავი საწყისის, ავი სულის გამქარვებელი დაკეთილის მომნიჭებელი „ფუძის ანგელოზის" განსა-



სურ. 17. დორა, ხალანი თრიალეთიდან.

ხიერება. ამ მიმართებით გველის გამოსახულებას ნივთზე აქვს სრულიად კონკრეტული მიზანდასახულება. მართალია სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი შეხედულება ამ მოვლენის ახსნისა კერძოდ, ზოგიერთ საბრძოლო იარაღზე—ხმალი, სატევარი, კული, დანა, ფარი, შუბი და სხვა, მოცემული გველის გამოსახულება წარმოადგენს სისწრაფის მკვეთელობის[61], გველური „ფხიანობისა" და დაუნდობლობის ემბლემას, რომლის პრაქტიკულ მიზანდასახულობას შეადგენს მტრის შეზარვა. თავისთავად ეს შეხედულება შეიძლება არ იყოს მოკლებული საფუძველს, რომ იგი არ ამოდიოდეს იმ გაგებიდან, რომ გველი წარმოადგენს „ბოროტ საწყისს". ამ შემთხვევაში გველის გამოსახულება ემსახურება ბოროტი, ავი სულის ხელდებასა და შემწეობის სურვილს. მართალია ხალხის ძველი შეხედულებით იარაღი, საერთოდ, მიჩნეულია „ეშმაკისეულად", მაგრამ „ეშმაკით დადაღული", ეშმაკისეული ნივთი, რატომ უნდა იყოს მისი მპყრობელის შემწე და მოპირდაპირისათვის უწყალო ლახვარი გაუმართლებელია. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ აქაც ჩვენ საქმე გვაქვს თა-

[61] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში თბ., 1952, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საკუთარ მფარველ კეთილ ანგელოზთან. რომელიც ხალხის ძველი რწმენით მუდამ თან ახლავს თითოეულ ადამიანს და შველის მას გაჭირვების ჟამს[62].



სურ. 18. ბალანი, XVII ყორღანი თრიალეთიდან.

ამგვარად. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული გველის კულტის გადმონაშთები მოწმობენ ამ ინსტიტუტის საკმაო სიძველესა და სიმკვიდროვეს ოდესღაც ქართულ ტომებში. საპირისპირო შეხედულება გველის მიმართ შედარებით მოგვიანო ხანის ამბავი ჩანს. როდესაც ჯერ ასტრალური კულტებისა. ხოლო შემდეგ სხვადასხვა რელიგიური სისტემების ჩამოყალიბების შედეგად იცვლება ძველი რწმენა-შეხედულებანი სამყაროსა და მისი მოვლენების შესახებ. იქმნება განსხვავებული ხასიათის მსოფლგაგება. დაემხობიან ძველი კერპები. ჩნდებიან ახალი კულტები. ამ ვითარების ანარეკლი უნდა იყოს ის გარემოება. რომ ჯერ კიდევ ადრე. ებრაელთა ძველი აღთქმის წიგნის მიხედვით. თავს იჩენს გაორებული შეხედულება გველისადმი.

იგი. ერთ შემთხვევაში. სიმპატიური და კეთილმოსილი არსება ჩანს ადამიანის წინაშე.—„ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოვლისა მხეცთა ქვეყანასა ზედა. რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან (დაბადება. წიგნი ა. მოსესი. თავი 3.1). ხოლო მეორე შემთხვევაში. იგი მავნე და მაცდური ქმნილებაა. მხოლოდ იმიტომ რომ მან საცნაურ გახადა ადამიანისათვის“ ხე ცხოვრებისა. კეთილისა და ბოროტისა“, რისთვისაც რქვა მან უფალმან: „წყეულ იყავ შენ ყოველთაგან პირუტყუთა და ყოველთაგან მხეცთა ქვეყნისათა; მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა“ (დაბადება. წიგნი ა. მოსესი. თ. გ. იდ).

[62] შდრ. საქართველოს მთიანეთში—ხევსურეთსა. გუდამაყარსა. ფშავსა და სხვაგან დამოწმებული ძველი რწმენა. იმის შესახებ რომ ომში წასულ ჯარისკაცებს ეცხადებოდათ ხოლმე თავისი ხატი. რომელიც გარკვეულ რჩევა-დარიგებას აძლევდა და აღუთქვამდა გამარჯვებით დაბრუნებას (საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყ-ს არქივი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა რომ ქრისტიანულმა რელიგიამ საშინლად დაგმო და შეაჩვენა ყოველგვარი წარმართული კერპთმსახურება — „ხოლო გარე იყვნენ ძაღლნი და მეძავნი და კაცის მკვლელნი და მწამლეულნი და კერპთმსახური



სურ. 19. ჯამ თასი, ყურები გველი

და ყოველნი მოყვარე და მოქმედი ტყუილისა“ (სახარება, გამოცხადება იოანესი, თავი ვბ. 13) გველის კულტი გარკვეული ხანისა და ხასიათის ძეგლებზე მაინც შემორჩა გადმონაშთების სახით, რამდენადაც იგი ნაყოფიერება-მცენარეზის კულტთან დაკავშირებით ცხოველმყოფელი აღმოჩნდა[63].

გველი რომ მართლაც კეთილ საწყისთან იყო დაკავშირებული მოწმობს ის გარემოება, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით იგი ითვლება წალმართ მეკვლედ და საუკეთესო წინადამხვდურად. იმავე ქართველი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულების მიხედვით: რომელ სახლსაც თავისი „ფუძე გველი“ არ გააჩნია მას ხვავი და ბარაქა არა აქვს, მისი საქმე „უფონდიკოდ“ მიდის და ყოველგვარი ნიჭი და სიკეთე განნერინება მისგან. რაც მთავარია, ასეთ სახლს ადვილად დაეპატრონება ავი ძალები, მისი კარები ღიაა ყოველგვარი მზაკვრობისა და „ხელყოფისაგან“, უძეოდ გადადის და გადაშენდება ხოლმე.

ვ. ბარდაველიძე, უკანასკნელ ხანს გამოცემულ თავის ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს „დამხმარე სულების“ ფუნქციებს ღვთაებათა პანთეონში: „У каждого астрального божества пантеона имелись свой помощники в виде зооморфных и антропоморфных духов. Кроме волков—„есаулов“

---

[63] გველი საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ხალხებს წმ. ცხოველად მიაჩნდათ ზოგიერთი აღმერთებდა კიდევაც. ამ ნიადაგზე გველის გამოსახულება გადაიქცა ერთგვარ ემბლემად, რომელიც განასახიერებდა კეთილ და მფარველ ძალას. ამიტომ გველის ხატს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, ამა თუ იმ ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რაც ქრისტიანთათვის ჯვარს აქვს ხოლმე. ამ მიმართებით ზოგიერთი სახე ნივთიერ ძეგლებზე შემუშავებული უნდა იყოს აწ თვალსაზრისით, კერძოდ წერილში წარმოდგენილ ქვის „ვეშაპოიდის“ (იხ. სურ. 14) მარჯვენა მხარეზე ამოტვიფრული გაურკვეველი საგნის მოხაზულობა—„ოთხპიროვანი ჯვარედი“, შეიძლება იყოს თავებმიდგმული, ბოლოებდახვეული გველთა ოთხეული, რომელიც შემდეგში ზემკულობის ელემენტად უქცევიათ. თუ ამ ფიგურას შევადარებთ „გიუნეს“ ტანზე ამოკვეთილ გველის წიწილების გამოსახულებას—წალმა მოგრაგნილ კუდებს, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ეს მოსაზრება შეიძლება არ იყოს უსაფუძვლო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახიან სხვადასხვა საგნებზე, განსაკუთრებით კი კოლხური ხასიათის ლითონის საბრძოლო იარაღის ორნამენტში წარმოდგენილი თავბოლო გაბმულ, დაუსრულებელ სპირალთა ხვეული ასევე. გველის სტილიზებული გამოსახულებანი უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ისინი მეტნაკლები სიცხადით და საბუთიანობით ხასიათდებიან. საკითხის ნამდვილ ახსნას წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

идобилни, которые считались подручными не только Мориге Гмерти и Мзе-Кали, но и ряде общинных божеств, в качестве духов—помощников в последных известен змеи гвелисферии“ ...(იხ. В.В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Т., 1957, გვ. 27).

ამ მიმართებით საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ დრომდე შემოინახა მრავალი საყურადღებო მასალა, როგორც ნივთიერი, ისე სიტყვიერი სახით, სადაც მკაფიოთაა ასახული ეს ამბავი. განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთი მხარე თებრო ჭრელაშვილის ნათქვამისა „ხაზინის გველთან“ დაკავშირებით[64].

ძველი ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულებათა ეს საუკეთესო მცოდნე მანდილოსანი დარწმუნებით ამბობს, რომ ხაზინის გველი გულმოდგინედ იცავს ოჯახის, მთელი გვარის, მთელი თემის საუნჯეს და მწყემსავს მას ვინმეს მიერ ხელყოფისაგან. ასევე, ანა შოშიაშვილის ჩვენებით „როდესაც ღამე ყოველივე მიწყნარდება და არემარეს მყუდროება დაეუფლება, „ხაზინის გველი“ მშვიდად, უცხო რამ ხმაზე იწყებს ჭუკჭუკს და მით ამცნობს თავის სამწყსოს, რომ საუნჯე იგი, რომელიც მათი კეთილდღეობის ფუძეს წარმოადგენს, წმინდაა და ხელუხლებელი. დროდადრო იცის კაკლის ხეზე, ან ბჟოლის ხეზე გასვლა და იქიდან ჭუკჭუკებს მწყერივით. ხანდისხან კრუხწიწილებთან გაერევა და ისე უჭირავს თავი, თითქოს მათთან ერთობა და თამაშობს. კაცის დანახვაზე არ ფრთხება, მშვიდადაა, უყვარს მყუდრო ადგილსამყოფელი. უმთავრესად ბჟოლის ხის ძირად იცის დაბუდება, ერთ განსაზღვრულ ადგილას. ღამე მის გამოჩენას წინ უძღვის ნათლის სვეტი, რაღაც ცეცხლოვანი აელვება“.

---

ელობება ზოგიერთი საეჭვო და მცდარი შეხედულება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის მოვლენა, რომელიც ერთ გარკვეულ დროისათვის სავსებით კონკრეტული შინაარსის მქონეა, მეორე ეპოქისათვის განყენებული, შეცვლილი შინაარსის ხშირად წმინდა ფორმალი ხასიათისა ხდება ხოლმე. ამ ვითარებაში ზემოაღნიშნული „ვეშაპოიდის“ ტანზე გამოსახული ფიგურა შეიძლება დაუკავშიროთ არამარტო გველს, არამედ რქადახვეული ვერძის თავის მოხაზულობასაც. განსაკუთრებით მისი მხრების მოყვანილობა შესანიშნავად გამოხატავს, როგორც ითქვა, „რქადახვეულ“ ვერძის თავის სქემას, მაგრამ ჩვენი ეს მოსაზრებანი მხოლოდ სავარაუდო ხასიათისაა. შეიძლება რიგი სხვა ახსნაც მოეძებნოს ამ საკითხს, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება აღნიშნული ფიგურის დაკავშირება გველის კულტთან (შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული საწესო სვანური გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 39, ნახ. 21). ავტორს ანალოგიური ხასიათის წრეხვეული, პურის საჭრელობელზე, მიაჩნია ციურ მნათობთა მზე—მთვარის გამომსახველ ჭრელად“ ამავე შეხედულებას ასაბუთებს იგი ახლახან გამოსულ თავის ნაშრომში—(Древнейшие религиозные и обрядовое графическое искуство груз. племен. 1957, ტაბ. XVIII). აღნიშნულ სპირალის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ იგი „დახვეული გველი“, ან რქადახვეული ვერძის ცალი რქის გამოსახულებასაც ძალზე უახლოვდება. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ზოგიერთი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გველი განასახიერებს მზის ემბლემას, ადვილი მოსალოდნელია სპირალური „ჭრელა“-ნი ასტრალურ კულტთა „გველურ“ გამოხატულებას წარმოადგენდეს.

[64] თებრო ჭრელაშვილი სოფ. ვაქირის (სიღნაღის რაიონი) მცხოვრები უაღრესად მორწმუნე და ძველი ტრადიციების მიმდევარი მანდილოსანი იყო. მისი გამჭრიახი ჭკუა-გონება, სიდარბაისლე, სათნო და მოწყალე გული ერთნაირად ხიბლავდა და იმორჩილებდა ადამიანს. მან თავისი ყოფაქცევით, ქველმოქმედებით და მოყვასისადმი უანგარო დახმარებით მთელ ქიზიყში გაითქვა სახელი და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შდრ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საყოველთაოდ გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, რომ ღამე გველი ათამაშებს „ნატვრის თვალს“, ანუ „ხვითოს“, რომლის ალმა აგდების დროს მისი გამონაკრთობი ელვარე შუქი მოწყვეტილი ვარსკვლავივით აენთება ხოლმე. — „ვინ ბედნიერს ეღირსება მისი ხელში ჩაგდება, თორემ თუ იგი იშოვნა კაცმა სამუდამოდ აშენდება და გამდიდრდება“-ო. ნატვრის თვალი ხომ „თვალმარგალიტისა“ და საერთოდ განძის მშობელია ხალხის შეხედულებით. ნატვრის თვალს გველი ფლობს და მისგან ამის მოტაცება გარკვეულ სიძნელესთანაა დაკავშირებული, დიდ სიფრთხილესა და მოხერხებულობას მოითხოვს კაცისაგან. ამისათვის საჭიროა მიეპაროს კაცი „ხვითოს“ თამაშით გართულ გველს. მის მიერ ალმა აგდებულ „ნატვრისთვალს“ დასველებული ნიფხავი უნდა ესროლოს, ან ხმალი უნდა გაუტაროს ქვეშ. შემდეგ სწრაფად სტაცოს ხელი, შეფუთოს და გამოიქცეს უკანვე. გველი დაედევნება და სადაც არ უნდა დაიმალოს უეჭველად მიაგნებს მას. თუ მდინარე წყალზე არ მიასწრო და სამჯერ არ „გადაჭრა“ იგი[65]; მაშინ გველი მიადგება მდინარეს და ჰკითხავს: — აქ გამომვლელი ხომ არავინ გინახავსო; — წყალი ეტყვის: შენც ახლა მოდიხარ და მეცაო. იმედდაკარგული გველი იქვე მოიკლავს თავს).

ერთი სიტყვით, თებრო ჭრელაშვილის ჩვენებით, „ფუძის, ანუ „ხაზინის გველი“, ზოგიერთ სახლს, ზოგიერთ ვენახსა და მამულს იცავს. ზოგიერთი კიდევ მთელი უბნის, მთელი გვარის „ხაზინას“ მწყემსავს. მას აბარია მთელი კუთხის დოვლათი და ბარაქა. „ხაზინის გველი“ უკვდავია და გვარის გამრავლების ძალა მას აბარია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო გადმოცემა არსებობს სამეგრელოში. იგი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში ადამიანის სული გველის სახით არის წარმოდგენილი. ქეთევან სიკოს ასული ფარულავა-გოგიას თქმით (სოფ. ახუთი, ჩხოროწყუს რაიონი. 80 წლის მოხუცი) სოფ. ტალერში (ვევეჭკორის რაიონი) ცხოვრობდნენ ორი ღარიბი ძმა თოდუები. ერთხელ, თურმე, როდესაც სიმინდის ყანას თოხნიდნენ. ნასადილევს ჩვეულებრივად ჩრდილში მიწვნენ დასასვენებლად. უფროსმა ძმამ მალე ამოუშვა ხვრინვა. უმცროსს, რატომღაც, ძილი გაუფრთხა და მხოლოდ უგემურად ჩათვლემდა ხოლმე. ამ ყოფაში იყო, რომ უცებ, გვერდზე მწოლარე ძმას გადახედა, რომლის პირიდან გველისებური ცხოველი რამ ამოძვრა და სწრაფად გასწია ყანის თავზე მდებარე პატარა გორაკისაკენ. ამის მნახველი ძმა შიშის ზარმა აიტანა და ინსტიქტურად უკან დაედევნა მას. ის ის იყო დაეწია, რომ გველი ამ დროს, ვიწრო სოროში შეძვრა, გორაკის თავზე მდგარ ერთ პატარა ხის ძირად. გაოცებული ძმა ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამოფხიზლებული ამ ამბით, რომ იგივე გველი ისევ გამოძვრა ამ სოროდან და ელვის სისწრაფით გაეშურა უკანვე ნავალი გზით. განცვიფრებული ძმა უკან დაედევნა მოსაკლავად. მაგრამ ვერ დაეწია. მხოლოდ იმასღა მოჰკრა თვალი, რომ იგი მის მძინარე, ხახა დაფჩენილ ძმას ისევ პირში ჩაუძვრა და გაქრა. მას თვალწინ წარმოუდგა ძმის აუცილებელი დაღუპვის სურათი და იქვე ჩაიკეცა. რითი და როგორ უნდა მიშველებოდა თავის საყვარელ ძმას, რომლის სიცოცხლე ბეწვზე

[65] გველისათვის გადულახავია აგრეთვე თხისური თოკი. სტუდენტ შოთა ზადრიძის ჩვენებით: მწყემსები ღამე რომ დაწვებიან მინდვრად, გარშემო თხისურ ჭრელ ბაწარს შემოივლებენ მიწაზე, რათა გველმა არ გადალახოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკიდა. ესლა იფიქრა სწრაფად გაქცეულიყო სახლში და სადმე ეშოვნა წამლად რძე, რათა ეხსნა ადამიანის სული. ის ის იყო გაქცევა დააპირა, რომ ამ დროს მძინარე ძმამ ჯერ ერთი ტკბილად გაიზმორა და შემდეგ გამოიღვიძა. თვალები მოიფშვნიტა და წამოდგა. როცა დაინახა გაფითრებული და საშინლად დაღვრემილი მისი უმცროსი ძმა, მიუბრუნდა და ჰკითხა: — რამ დაგაღონა ჩემო ძმაო! —ძმამ ნამდვილი მიზეზი დაუმალა და გადაკვრით უპასუხა:—ეჰ, რა მაქვს გასახარებელი მე გაჭირვებულს, ჩვენს სიღარიბეს და სიღატაკეს სხვა უბედურებაც ზედ ერთვისო. — ამაზე უფროსმა ძმამ ერთი მძიმედ ამოიოხრა და გულში მაგრა ჩაიკრა მჯიღი. — „შე დალოცვილო ღმერთო რა იქნება, რომ სიზმრად ნახული, ცხადად ნატრული, ამისრულო“-ო. — უმცროსმა ძმამ გაკვირვებით შეხედა და ჩაილაპარაკა — „ე ჰე ჰე, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“. — დიაღაც გაჭირვებულები არ ვიქნებით ბეჩა, სიზმარში რომ ოქრო-ვერცხლი ვნახე ის რომ მოგვცაო“. — განაგრძო უფროსმა ძმამ:— „ვითომ რამე სიზმარში ჩვენი ყანის თავში, რომ ლამაზი გორაა იქ წაველი, ვითომდა ერთი ხის ძირას მიველი, პატარა სოროში ხელი შევყავი. აქეთ-იქით თითებით მიწა მოვფხოკნე და ერთი დიდი თიხის ქოთანი ვნახე, რომელსაც ზემოდან ბრტყელი ქვის სარქველი ეხურა. ავდექი და სახურავი გადავხადე. შიგ რომ ჩავიხედე სულ ოქრო-ვერცხლით იყო გავსებული. სიხარულისაგან ცას დავეწიე. თან შემეშინდა—არავინ დამინახოს და წილი არ მომთხოვოს-თქვა. ავდექი ისევ დავხურე, მიწა მივაყარე და გამოვქანდი სახლში. ის იყო მის წამოსაღებად ჭურჭელი მოვხელე, რომ გამეღვიძა. გულს ახლაც ბაგი-ბუგი გააქვს სიხარულისაგან. მე გაჭირვებულს სიზმარშიაც არა მქონია ჰკუა. ერთი მუჭი მაინც ჩამეყარა ჯიბეში, რომ სულ იქ დავტოვე. ეს იმაზე მწარე ყოფილა სიზმრად მწუხარე რომ წყალს დაეწაფები გული გინდა იჯერო და დაუოწყურებელი რჩები. — უმცროს ძმას რაღაც გულში გაჰკრა, მაგრამ ძმის ნათქვამი სიზმარი ეჭაშნიკა, მიუბრუნდა ძმას და უთხრა: „კაი გიქნია, რომ ჯიბეში არ ჩაგიდვია იქიდან ამოღებული ფული, ამბობენ, რომ სიზმარში ოქრო-ვერცხლის აღება არ „ვარგია“, ჯავრი იცისო“.—„შე კაი კაცო ცხადად არ მაქვს და სიზმრადაც არ მქონდესო“—თითქოს საყვედურის კილოთი მიუგო ძმამ და მწარედ ამოიოხრა.—„ზოგი სიზმარი „თოიჯია“, ვინ იცის, იქნებ მართლა მოგვხედოს ღმერთმა და აგვიცხადდეს სიზმარი“. — „ღმერთსაც უქმნია სიზმარი აგვცხადდებოდეს და ცხადი გაგვსიზმრებოდეს“ — უპასუხა უმცროსმა და კვლავ ფიქრში წავიდა, თოხს დაავლო ხელი და უთხრა ძმას: — „კაცო რაღაც გული „მეთანადრება“, წამოდი და ვნახოთ ის ადგილი“. „საქმე რომ იყოს მიაგნებ, თუ არა?“ — „კაცო რას ვერ მივაგნებ აგერ ჩვენი ყანის თავზე რომ ლამაზი გორაკია ჰე იქ იყო, თხილის ძირში. ძმას ცნობისმოყვარეობა ერთი-ორად გაეღვიძა. უნდოდა სიზმრის შემოწმება, მაგრამ თან ეშინოდა: ოქრო-ვერცხლის პოვნის სურვილმა წასძლია და ძმას ძალაუნებურად გაჰყვა გორაკისაკენ. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა როდესაც მისი ძმა პირდაპირ იმ გზას დაადგა, რა გზითაც წავიდ-წამოვიდა მის მიერ ნახული გველი. კიდევ უფრო გასაკვირველი ის იყო, რომ იგი გულდაგულ იმ სოროს დაადგა თავზე, რომელშიაც ის გველი შეძვრა და ისევ გამოძვრა. ძმები სოროს გამოთხრას შეუდგნენ, რათა გული დაეჯერებიათ, მართლა ხომ არაფერია მიწაშიო. მეყანურებმა, რომ ისინი ამ ყოფაში დაინახეს სიცილი აუტყდათ — რამ გადარია ეს ძმებიო. ბევრის ამოთხრა არ დასჭირდათ მათ, რომ მალე ქოთანი და სარქველი გამოჩნდა. ძმებს გულმა ფანცქალი დაუწყო, ერთით შეეშინდათ კიდეც. მათ მოაგონდათ ხალხში გავრცელებული რწმენა იმის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, რომ მიწის წიაღში დაფლულ განძს გველი იცავს და კაცს დაუზიანებელს არ გაუშვებსო. სიფრთხილით გადაბადეს სარქველი და მათ სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, როდესაც შიგ აუარებელი ოქრო-ვერცხლი იპოვნეს ძმებმა სიხარულის ცრემლები მოიწმინდეს და კმაყოფილებით გადახედეს ერთმანეთს.—„სიზმარი რომ კაცს ვამართლებოდეს, ასე ცხადად ახდენოდეს არ გამიგონიაო“—უთხრა უფროსმა ძმამ—„დაილოცა ღმერთო შენი სახელი, ვისაც სადმე ულოცია, ჩვენთვის ულოცია, ჩვენ საწყლებისათვის. ჩანს ღმერთმა არ გაგვიმეტა და მოწყალე თვალით შემოგვხედა. იქნებ ახლა მაინც გამოვიდეთ სიღარიბიდანო. მაგრამ სიფრთხილე გვმართებს. მეზობლები გვიყურებდნენ და რომ „გერში“ არ აიღონ ვთქვათ ვითომ იქიდან საჭურე „აყალო“ მიწას ვიღებდით სახლში წასაღებად. ავდგეთ და აი ამ სასადილე კალათაში ჯერ „ნეშო“ ჩავაფინოთ. იმაზე ეს ოქრო-ვერცხლი ჩავალაგოთ და ზედ ეს საჭურე მიწა წავაყაროთ და ისე წავიღოთო“... ასეც მოიქცნენ. საღამომდე ვითომდა აქ არაფერიაო. განაგრძეს სიმინდის თოხნა და საღამოს ჩვეულებრივად სახლში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ძმებმა მალე წაბლის მშვენიერი ოდა-სახლები წამოჭიმეს და ბედნიერად გაიწაფეს თავისი ცხოვრება.

გადმოცემაში გარკვეულად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ როგორ ხდება ადამიანის გვამში „გველმოსილი“ სულის მიმოქცევა ნებისმიერ. ამ მიმართებით საინტერესოა საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ძველი რწმენა-შეხედულებათა გადმონაშთები, რომლის მიხედვითაც ადამიანის სულს ახასიათებს სხეულისაგან დამოუკიდებელი არსებობა და რეალური ცხოვრების მსგავსი ქცევები[66]. იმ შემთხვევაშიაც, როდესაც „სული“ გაყრილია „სხეულს“ არა დროებით არამედ სამუდამოდ, იმავე სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებაში დამოწმებული მასალების მიხედვით[67], ადამიანის სულის დამოუკიდებელი მოქმედება და თვითარსებობა სიცოცხლეში სიზმრის სახით ვლინდება, ხოლო სიკვდილის შემდეგ „აგაგა“-ს (ჩრდილი, ორეული) სახით. „აგაგა“ მეგრელთა ძველი შეხედულებით იგივე ადამიანია, მხოლოდ უსხეულო. მას გააჩნია ყველა ის ადამიანური თვისებები, რაც სიცოცხლეში ახასიათებდა და ამოძრავებდა, მაგრამ განსხვავებით მისი სიცოცხლეში შეზღუდულობისა, ყოვლის მხილველი, ყოვლის მცნე და „გულთმისანია“ ხოლმე. აგაგას სახით — ადამიანის სიკვდილის შემდეგ, სული მისი იქცევა ოჯახისა და თავისიანების „მცველ-მფარველ“ ძალად. „აგაგა“, შეიძლება სიზმრად მოევლინოს, ან კიდევ ცხადად მოელანდოს კაცს და სხვადასხვა „სანიშნოების“ საშუალებით მიახვედროს იგი ცოცხალი ადამიანი, მისთვის შეუმჩნეველ მოვლენებს.

ამგვარად, უკეთუ სალოცავი „გიუნეს“ ფალოსური ბუნებისა და წარმომავლობის შესახებ წარმოდგენილი მოსაზრება და მსჯელობა რამდენადმე მისაღები და დასაბუთებულია — კითხვა იბადება: ჩვენი მსჯელობის საგანი — ქვა-

---

[66] სვანური „ლიფანალის“ მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ვ. ბარდაველიძემ საფუძვლიანად გაამუქა ეს საკითხი და მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა (იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური), ხალხური გრაფიკული საწესო ხელოვნება, თბ., 1953).

[67] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, „მეგრული“ აგაგა, ხელნაწერი, თბ., 1943 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალოსი და მასზე ამოკვეთილი ერთი მხრით „გველი“, მეორე მხრით — „ჯვარი.“ რა მიმართებაში არიან ურთიერთთან? რით არის შეპირობებული მათი თანაარსებობა? ერთ მიზანდანიშნულებას ემსახურებიან ისინი, თუ შემთხვევითი „სამებაა“? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ სამეულში „ჯვარი შედარებით მოგვიანო ხანის ამბავი ჩანს. ჯერ ერთი იგი „გიუნეს“ თავზეა გამოსახული და სარიტუალო პროცესების საგანს წარმოადგენდა უკანასკნელ ხანამდე, ხოლო მეორე მხრით უცხო, შეუთავსებელი და მიუღებელია „ჯვარისა“, „გველისა“ და ფალოსის ერთობლიობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „გიუნე“ მთელი ტანით მიწაში იყო დაფლული და მხოლოდ ზედა თავით იყო გამოჩენილი ჯვარის გამოსახულება, მოწმობს ამ უკანასკნელის გვიან გაჩენას, ხოლო პირველი ორის შედარებით ადრეულ წარმომავლობას. რაც შეეხება მათ ერთდროულობის საკითხს, შესაძლებელია ისინი თუ სინქრონული არა ერთიმეორის ახლო მომდევნო იყოს რამდენადაც ფალოსის ქანდაკება შეუძლებელია გველის გამოსახულებაზე უმცროსი იყოს ძეგლის ტექნიკური დამუშავების თვალსაზრისით. რჩება ერთი ამოსავალი-ფალოსის გამოსახულება თავდაპირველი მოცემულობა უნდა იყოს, ხოლო მასზე „გაწერილი გველის ხატება“ — ამავე ფალოსის კულტის ზოომორფიული განსახიერება და მისი ძლიერების ამსახველი მაგიური ნიშანი.

თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ფაქტების მიხედვით, გველი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნალო წამლად, ისე მაგიური მნიშვნელობით — ნაყოფიერების მოცემის მიზნით. ნათელი გახდება რომ გველის გამოსახულება ფალოსურ ქვაზე შემთხვევითი არაა (შდრ. გველის მოკვლა გამრავლებას, ნაყოფიერებას ეწინააღმდეგება და პირიქით.

განსაკუთრებით წითელი გველისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა წამალს: შვილიერების, ნაკბენ-მოშხამულის, სქესობრივი სიუძლურის — მცვედანობის და სხვა.

არქეოლოგ ანდრია აფაქიძეს თავის სამახსოვრო უბის წიგნში აღნიშნული აქვს შემდეგი დიდად საყურადღებო ფაქტი: სოფ. ზანაში (ცხაკაიას რაიონი) მოსახლე აფაქიძეთა გვარის ერთ საძმოს ჰქონდა სამკურნალო ხასიათის რაღაც პატარა ნივთი — „გველთაგანი“, რომელიც წარმოადგენდა საერთო საკუთრებას. იგი ჩაბარებული ჰქონდა ამ საძმოს ერთ-ერთ უხუცეს წევრს — ლევანს. იგი დიდი სიფრთხილით უვლიდა და იცავდა ამ მემკვიდრეობით მიღებულ განძს. მხოლოდ საჭირო შემთხვევაში გასცემდა მას სახმარად. რის შემდეგ იგი კვლავ უნდა დაბრუნებოდა მას. როგორც ამბობდნენ ეს წამალი დამზადებული იყო გველის სხეულიდან (კბილი თუ რაღაც სხვა ნაწილი) და იხმარებოდა საშიში ნაკბენისა ან მოშხამული ჭრილობის განსაკურნავად. იგი სულ რამოდენიმე წლის წინად დაკარგულა, რაღაც დაუდევრობით. რაც შეეხება „გველთაგანის“ გამოყენებას მაგიური მიზნით ამისი მაგალითები ხომ მრავლად იყო ცნობილი და ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდა უწინ კაცს. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსი მ/თანამშრომლის ჯუანშერ სონ-

[68] სალომე გიორგის ასული ჯალაბაძის ჩვენებით (ს. ქორდი გორის რაიონი) თეთრი გველის ხორცის ჭამა სიბრძნის მომნიჭებლად ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღულაშვილის ცნობით[69] ს. დილომში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილა ერთ-ერთი ძველი წესი, რომლის მიხედვით პირველ ნახულ გველის პერანგს მნახველი ხელში აიღებდა და სამჯერ თვალზე გადაისვამდა — თვალის სისაღე და სიმთელე იცისო.

ერთ-ერთ ძველ ქართულ თქმულებაში „ამირანის შესახებ, სულკალმახი წელზე შემოირტყამს „გველის პერანგს", რათა ამით აირიდოს ის დიდი სიძნელეები, რომელიც მას მოელის ავი ძალებისა და ბოროტი სულებისაგან საგმირო საქმეების შესრულებისას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ საკულტო „ქვის-გიუნეს" ტანზე წარმოდგენილი „წიწილებიანი გველის" სქემატიური გამოსახულება იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც პირადად ფალოსის ქანდაკება. შეიძლება დავუშვათ, რომ სინამდვილეში ფალოსსა და გველს შორის ზოგიერთ მოქმედებათა გარეგანი მსგავსება და ცალკეული მომენტების შეხვედრები საფუძველს აძლევდა იმის რწმენას რომ ერთიც და მეორეც ნაყოფიერება—მცენარების ერთგვარად შემძლებელი და მომნიჭებელნი იყვნენ[70]. ამ მიმართებით საინტერესოა შელოცვის ასეთი ფორმულა: „ლოპე, ლოპე, ლოპესა, გველი გაძვრა ლობესა, გაასხამს და გამოასხამს ჩვენი წყაროს ოდენსა" (იხ. ნ. რეხვიაშვილი, ზოგიერთი ხალხური წესები და შელოცვები რაჭაში, ეთნოგრაფიული მასალები, ხელნაწერი 1939 წ.) ცხადია ეს კეთილი, გველი, როგორც ზემოთაც ითქვა, ძირეულად განირჩევა იმ გველისაგან, რომელსაც სომეხნი აკად. ნ. მარის სიტყვით[71] „ვიშაპის", სპარსნი, აჟდაპაკ"-ის, ქართველნი — „გველეშაპის" სახით წარმოიდგენენ და გულისხმობენ.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველად, გარკვეული რწმენა შეხედულებათა ნიადაგზე, გამოუკვეთიათ და აღუმართავთ უზარმაზარი მონოლითები ე. წ. „ქვა-თევზები", ანუ „ვეშაპები"[72], „ვეშაპოიდები" „მანჰირები" და სხვა. ამ ხასიათის ქვის მრავალი კერპი აღმოჩენილ იქნა პირველად ნ. მარისა და სმირნოვის მიერ 1909 წელს სომხეთის ტერიტორიაზე. შემდეგში, ანალოგიური ხასია-

[69] ჯ. სონღულაშვილი. ეთნოგრაფიული მასალები სოფ. დილომის შესახებ, ხელნაწერი, 1957 წელი, გვ. 145. (საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყ-ს არქივი).

[70] **Н. Я. Марр, Об Амиране, рукописы, А 913, ИИМК им. Марра, АНСССР, Л., (იხ. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 85).**

[71] წინა აზიაში გველი მდედრობით ხვთაებად იყო ცნობილი: მაგალითად, ქალი ხვთაება **Kadi,** ანუ, **D Esir-ი Gusilion** გველღმერთის დედად ითვლებოდა. ასევე, ერთერთი ხვთაება გველის სახელწოდებას— **d Mus-ს** ატარებდა (იხ. პროფ. გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, მუზეუმის მოამბე, XV B. 1948, გვ. 9. შდრ. სვანური სახელი გველისა „მეზირი" და მისდამი განკუთვნილი საწირავი—„ლემზირ"-ი.

[72] **Н. Я. Марр, язык и история, I, ГАИМК, 1938, გვ. 82 ნ. მარის აზრით** „ვეშაპები ძწ. 5000—500 წწ. უნდა იყვნენ წარმოშობილნი. ისინი წინ უსწრებენ არიელების გამოჩენას წინააზიაში და ლურსმული დამწერლობის ხანას, თუ ყველგან არა სომხეთში მაინც. ასევე აკად. მეშჩანინოვის შეხედულებით, ვეშაპები, რომელიც აღმოჩენილ იქნენ პირველად სომხეთში მარისა და სმირნოვის მიერ 1009 წ. შექმნილია არა ქალდი მოსახლეობის მიერ არამედ მათ მოსვლამდე სევანის მიდამოებში, ვინაიდან ქალდების მეფეს—რუსას, აქ დახვდა ვეშაპთა (ტეიშპის) სამლოცველო (იხ. **И. И. Мещанинов, Каменные статуи рыб-вышапы на Кавказе, и северной Монголии, записи Коллегии востоковедов, 1, გვ. 405).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ძეგლები მიკვლეულ იქნა სხვა კუთხეებშიაც კერძოდ, საქართველოს სამხრეთ რაიონებში. მათ შორის სოფ. მურჯახეთში (ახალქალაქის რაიონი) სანახებში დაცული მონოლითები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ძუძუსქვას“ უწოდებს (იხ. აქვე გვ. 12) იმავე მარისა, სმირნოვისა და ლომიას მიერ მიჩნეულ იქნა ზემოხსენებული სახის „ქვა-თევზად“ — „ვეშაპად“. ამგვარად, მათ მიერ უარყოფილ იქნა წინარე მკვლევართა შეხედულება, რომელთა მიხედვით აღნიშნული მონოლითები მიჩნეულ იყო ფალოსური გამოსახულების საკულტო ქვებად. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ მურჯახეთის „ძუძუსქვა“, ისევე როგორც ჩვენს მიერ აღწერილი „გიუნე“ ცერად იდგა და მასზე ფალოსის რელიეფური გამოსახულება იყო რომლის წინაშე სრულდებოდა რიტუალი — „ძუძუს უშრობელობისა“, იგი პირველ რიგში ფალოსური ხასიათის ძეგლად ჩაითვალოს.

მოტანილი მასალის შუქზე ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ გათხრილი სალოცავი — „გიუნე“, რომელიც ამჟამად ხელოვნური ტბის ქვეშაა მოქცეული, საინტერესო ხასიათის ძეგლად გვეჩვენება...

ამგვარად, თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული სალოცავი — „გიუნე-„ს შესახებ წარმოდგენილი მსჯელობისა და მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: „გიუნე“ თავიდანვე წარმოადგენდა საკულტო ადგილს — სალოცავს, სადაც აღმართულ იქნა ფალოსური ხასიათის ქვა-სვეტი, რომლის წინაშე სრულდებოდა გარკვეული ხასიათის რიტუალები. ზოგიერთი ნიშნების მიხედვით — ზეაღმართული ქვა გარეგნულად მსგავსი იყო ფალოსური ხასიათის ძეგლებისა (შდრ. სურ. 3); სალოცავი „გიუნე“ მოთავსებული იყო ხრამის ჭალაში, პატარა ტბის პირად, მცირედად შემაღლებულ ყამირ მიწაზე, რომლის გარშემო შემომსხდარი იყო რიგი სხვა ქვა-ლოდები. ქვა-სვეტის ტანზე „გაწერილი“ იყო „წიწილებიანი „გველი“, უკანასკნელ ხანებში მის წინაშე საწირავით მიდიოდნენ უმთავრესად უნაყოფო, უშვილო ქალები და შესთხოვდნენ შვილიერებას — დასაბუთებულად და სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს „გიუნეს“ მიჩნევა ფალოსური ხასიათისა და წარმომავლობის ძეგლად. ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს მითუმეტეს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სხვა ანალოგიური ძეგლია აღმოჩენილი და მიკვლეული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ძველად ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ნაყოფიერება-მცენარეებისადმი განკუთვნილ საწესო ჩვეულებებს და საერთოდ ბუნების აღორძინება-განახლებისადმი მიძღვნილ ლოცვა-ვედრებას, ღაღადისს — საგაზაფხულო დღეობათა: „ბერიკაობა“, „გაიხარა ყალმასურმა“, „საქმისა“ „ბობლა“ და სხვათა სახით, ნათელი გახდება რომ ფალოსის კულტი შემთხვევით კი არ არის, არამედ მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ძველი ქართული სულიერი კულტურის წიაღში და ოდინდელი რწმენა-შეხედულებათა ნიადაგზე არის აღმოცენებული, როგორც ეს საფუძვლიანად არის გარკვეული აკად. ი. ჯავახიშვილისა, ვ. ბარდაველიძისა, ს. მაკალათიასა და სხვათა ნაშრომებში[73].

---

[73] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. $I^2$, ტფ., 1928, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1937 წ. სოფ. სანამერის სანახებში (თრიალეთი წალკის რაიონი), გათხრილი საკულტო ქვა, რომელსაც აწინდელი მოსახლეობა (იგი ამჟამად ბერძნულ, თურქულ, სომხურ და ურუმელ მოსახლეობის სახითაა წარმოდგენილი) „გიუნეს“ სახელით იცნობდა დამხვდურ კულტურას — ქართულ ეთნიკურ წრეს მიეწერება. როგორც ცნობილია მე-19 ს. დასაწყისში ეს კუთხე სავსებით დაცარიელებული და უკაცრიელი აღმოჩნდა, იქ მოსახლე ქართველების ნაწილი აქა-იქ გაიფანტა, დიდი უმეტესობა შინაური და გარეშე მტრების განუწყვეტელი თარეშის გამო ამოწყდა და გადაშენდა. ამ გავერანებულ ადგილებში რუსეთის მეფის ხელისუფლებამ ჩამოასახლა საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან (გუმიშხანისა და ტრაპეზუნდის რაიონები) გადმოხვეწილი მცხოვრებნი მე-19 ს. 30 წლებში. ახალმოსულთ თრიალეთის ტერიტორიაზე დახვდათ მიტოვებული, უკაცრიელი სოფლები და ნასოფლარები საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადო ნაგებობითა და ავეჯურვილობით. ახალმოსულთ დაშთენილი ქართული მოსახლეობის კუთვნილი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი აითვისეს, ნაწილი თავის მოთხოვნილებისამებრ გადააკეთეს, ხოლო ნაწილი დატოვეს, კერძოდ სალოცავები და საკულტო ნაგებობანი, უმეტეს შემთხვევაში ხელუხლებლად დაიცვეს, რომელნიც შემდეგში თავის საჭიროებისათვის გამოიყენეს კიდევაც. ამ ძეგლთა ჯგუფში აღმოჩნდა ჩვენი მსჯელობის საგანი წმ. ქვა — „გიუნე“, რომელიც წარმართული და ქრისტიანული რელიგიის შერწყმათა ნიშან-კვალს ატარებდა.

„გიუნეს“ მიმართ ჩვენი მსჯელობა ემყარება არსებითად იმ ეთნიურ წრეს, რომლის წიაღიდან უშუალოდ არ არის იგი წარმოქმნილი. ამდენად მისი თავდაპირველი არსი და ნამდვილი ბუნება რეალურად ცნობილი არ არის. არც ის ვიცით კონკრეტულად, მისი ძველი მრევლი (იგულისხმება ქართველი მოსახლეობა) რა ხასიათის წესებს ასრულებდა მის წინაშე და თავიდანვე ამავე დანიშნულებას ემსახურებოდა, თუ არა. ფაქტიური ეთნოგრაფიული მასალები გიუნეს შესახებ ეკუთვნის ახალმოსულ ეთნიკურ წრეს რომელსაც ეს ძეგლი მიტოვებულ მდგომარეობაში დახვდა ამდენად გაურკვეველია „საკულტო ძალა“, და სიწმინდე, „რომელსაც მიაწერდა მას აწინდელი თრიალეთის მოსახლეობა რამდენად ძველი წარმოშობისაა და საიდან იღებს სათავეს. მართალია, უკანასკნელ ხანებში წმ. ქვა — „გიუნე“ შვილიერების მომნიჭებელი ძალის განსახიერებად გვევლინება — მის წინაშე მიდიან „საწირავით“ უშვილო ქალები და შეხთხოვენ ნაყოფიერებას, შვილის გაჩენას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით სინამდვილეში ვინ მიაწერა ეს „ძალი“ „გიუნეს“)[74]. ახალმა მრევლმა თუ ძველმა? და თუ ჩვენ იმ აზრს ვემხრობით, რომლის მიხედვითაც იგი ფალოსური ხასიათისა უნდა იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში ანალოგიური ქვის ძეგლები ამგვარ ბუნებას ამჟღავნებენ. კერძოდ, ხევსურეთში, ქვისაგან გამოკვეთილი მამაკაცის ფალოსი მოთავსებული იყო სალოცავის, — „მწევრის საფლავის“ თავზედ და მას სხვათა შორის შესთხოვდნენ შვილიერების მონიჭებას — (სურ. 20).

გარეთულია თუ შინაური მისი „კულტმოსილება“?!“ ამ მიმართულებით გიუნეს შესახებ ჩვენი მოსაზრებანი, რა თქმა უნდა სავარაუდოა და იგი უმთავ-

[74] რაც მთავარია, ქვა-ფალოსი თვით ტაძრებშიაც ყოფილა დაცული (შდრ. სურ. 21). იგი გადაღებულია პ. ა .ფლორენსკის 1904 წ. ჩანახატის მიხედვით, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: ძეგლი იდვა რომელიღაც ბერის საფლავზე ალტარის წინა მხარეს „წვანე“ ანუ ქვათახევის მონასტერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესად შედარებითი ხასიათის ფაქტიური მასალიდან ამოდის. სახელწოდება— „გიუნე“ თურქული წარმოშობისაა და იგი იხმარება ზოგადად „მზიურის“, და კერძოდ მზის აღსანიშნავად.



სურ. 20. „მწევრის საფლავი“ (სალოცავი ნიში)

ეს თავისთავად საყურადღებო გარემოებაა, რომ გარკვევით ვიცოდეთ ის მოტივი — რატომ რა მიზეზით ეწოდება მას ეს სახელი, რით უნდა ავხსნათ იგი? თუ ამ ტერმინს ზოგადი გაგებით „მზიურის“ მნიშვნელობით ავიღებთ, საკითხის ახსნას ახალს ვერაფერს შევმატებთ., ვინაიდან ეს მსაზღვრელი სიტყვა თავად მოითხოვს განსაზღვრას.

თუ იგი მზის (მნათობის მნიშვნელობით იქნებოდა გაგებული, მაშინ სულ სხვა გარემოებას ექნებოდა ადგილი და შეიძლებოდა იგი მიგვეჩნია მზის მიწიერ ხატ-სალოცავად, რომელიც განასახიერებდა ნაყოფიერება-მცენარეების ღვთაებრივ „ნიჭსა“ და „ძალას“. მაგრამ ამ შემთხვევაში თავს იჩენდა მეორე გარემოება როდის და ვის მიერ მიენიჭა ძეგლს ეს მნიშვნელობა? ერთი სიტყვით კვლავ დარჩებოდა აუხსნელი საკითხი იმის შესახებ, თუ აღნიშნული კულტი გიუნეს მიმართ, ძველია და ადგილობრივი, თუ იგი ახალია და სხვაგნითური.

ამ შემთხვევაში საკითხის დადებითად გადაჭრის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს, როგორც ითქვა, ფალოსისა და გველის კულტთა საყოველთაოდ გავრცელება ოდესღაც ქართველი ხალხის სულიერი კულტურის სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზე, ფალოსისა და გველის კულტებმა, როგორც ჩანს. ვარკვეული გამოვლინება ჰპოვეს როგორც სულიერად, ისე ნივთიერად ქართველი



სურ. 21. ფალოსური ქვა. კავთისხევის თეატრიდან

ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რის ნაკვალევი ღრმა ბეჭდად[75] აზის მისი ცხოვრების წარსულს (იხ. სურ. 19, ვერცხლის კათხა, ფილი).

უნდა აღინიშნოს რომ თრიალეთის და საერთოდ ქვემო ქართლის მიწა-წყალზე დამთენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიული ძეგლები ნათლად ღაღადებს ამ კუთხის ეკონომიური და კულტურული სიძლიერის შესახებ. კერძოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ქვის ძეგლები, ქვის დამორჩილება-გამოყენების დიდებულ სურათს იძლევა, ქვათხუროობის მაღალ კულტურას ამჟღავნებს. როდესაც ეს აშმის ძეგლები თვალწინ გიდგია კაცს, ისე გგონია ქართულ ძველ მითებსა და ზღაპრებში განსახიერებული გმირთა გალერეის დაქვავებული სურათის წინაშე იმყოფებოდე.

[75] აღნიშნული ვერცხლის კათხა (საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფ. კოლ. № 116—13(1), ანუ ჯამ-ფილი წარმოადგენს ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნახელავს. იგი სადაა და მშვენიერი თვალად-ტანად. ყურადღებას იქცევს გველის გამოსახულება მქარე ყურებით და ლამაზი ქართული მხედრული ხელით შესრულებული წარწერით: „მე დავით დადიანმა გითავაზე შენ ჩემ ერთგულ აზნაურს ერმალოზ გელოვანს ესე ჯამი სახსოვრად. „მრავალნი სრბიან ასპარეზსა ზა ერთმან მიიღის ნიჭი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. РЕХВИАШВИЛИ

# КУЛЬТОВЫЙ КАМЕНЬ «ГЮНЕ» (СОЛНЕЧНЫЙ)


Резюме

В 1936 году, во время этнографической экспедиции в Триалети, был обнаружен культовый камень — «гюне» (солнечный), который находится к С/В от сел Санамери левобережной реки Кция, на берегу маленького озера.

У местного населения с древнейших времен место это считается священным, куда совершали поломничества ( в основном бездетные женщины) для свершения молебствий и ритуального комплекса с просьбой милости дарования им плода.

Данный культовый камень с полусферическим верхом на $^{3}/_{4}$ находился в земле и лишь $^{1}/_{4}$ его возвышалась над землей. На его верхней части, глубокими бороздками прорезано изображение креста.

Вокруг ритуального камня и на нем лежали различного характера приношения и пожертвования.

После проведения раскопок и препарации на всю глубину залегания ритуального камня, на туловище его обнаружено процарапанное вертикально изображение (в 12 колен ломанным зигзагом) змеи и перпендикулярно (горизонтально), обращенных головами к ней 2 детеныша.

По мнению автора, этот древний культ следует отнести ко времени язычества в Грузии, поколения идолу-божеству, оплодотворяющему началу.

Огромное количество памятников аналогичного характера находим мы часто в этнографическом быту Грузии, как-то в Цителхиди, Дидгори, Млети, Ахалкалаки, Лечхуми, Сванети и в других местах, а также и на Сев. Кавказе.

В свете филолого-этнографического анализа как данного памятника, так и привлеченного соответствующего сравнительного материала, автор приходит к заключению, что исследованный им ритуальный камень явно указывает на символ оплодотворяющего божества, происходящего от солнца, который находится в тесной взаимосвязи с культом воды и змеи, объединенном в нем и считается астрально филическим-эротичным.

Основанием для утверждения своего мнения, автор считает частую фиксацию богатого материала аналогичного характера в этнографическом быту Грузии „მოზვერა ქვები“ („ქვა კაცები“) (каменные люди—каменные бабы), „ქალ თევზები„ (женщины-рыбы) и в особенности часто встречающиеся „ძუძუ-ქვა“ (камень-грудь) — кормящее начало, а также существующие пережитки (в нравах и обычаях) у народа, культов солнца, огня, воды, земли, рыбы, змеи и вера в их магическую силу.

«Гюне» и связанный с ним ритуал, находит интересные параллели в быту грузинского и соседних народов.

Изучение и раскрытие данной проблемы может сыграть большую роль для дальнейшего полного выяснения верований грузинского народа в дохристианскую эпоху.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-B, 1963
Вестник Государств. музея Грузии им. С. Н. Джанашия, т. XXIV-B, 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კედელაძე

# ტყის ფუტკარზე „ნადირობის“ სხვადასხვა ხერხები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში

ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში მეფუტკრეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და მის პროდუქტებს არა მარტო საჭმელად და სანთლად ხმარობდნენ, არამედ ხალხურ მედიცინაშიაც ფართოდ იყენებდნენ, განსაკუთრებით „უცეცხლო თაფლს“.

მეფუტკრეობის შესახებ როგორც სხვადასხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში საინტერესო კვლევითი მუშაობა წარმოებს და ამ დარგის სპეციალისტების არა ერთი საფუძვლიანი ნაშრომი მოგვეპოვება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხალხურ წესჩვეულების შესწავლის საქმეში ალ. რობაქიძემ, მას თავის 1960 წ. გამოქვეყნებულ სადოქტორო ნაშრომში „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“ განხილული აქვს მეფუტკრეობა და ყველა მასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შორის ფუტკარზე „ნადირობასაც“ იხილავს. ჩვენს მიერ მოპოვებული ფუტკარზე ნადირობის ახალი მასალა ეხება აღმოსავლეთ საქართველოს დენდროლოგიით მდიდარ ზოლში მცხოვრებ მთიელების მიერ წლის ოთხ დროში: სხვადასხვა ხერხით და საშუალებით ფუტკარზე ნადირობის ხერხებს.

ფუტკარზე ნადირობა გაზაფხულზე იწყება. გაზაფხულის დასაწყისში ფუტკარზე მონადირეები იმ ტყის ხშირი სტუმრები არიან სადაც ფუტკარი ეგულებათ, რადგანაც ფუტკარი ფუღურო ხეებშია დაბინავებული და გაზაფხულზე მზის სითბოს რომ იგრძნობს გარეთ გამოდის. მაგრამ ფუტკარი შორს არ მიდის, რადგანაც ჯერ ზამთრის სუსხისა ეშინია. თუ ახლოს თოვლი ნახა მასზე დაჯდება, წყლის წყურვილს დაიკმაყოფილებს და კუჭსაც გაიწმენდს“, რის შედეგადაც თოვლზე შავი წერტილები დარჩება. ფუტკარზე მონადირე, რომ თოვლზე შავ წერტილებს და ფუტკარსაც ნახავს, დააკვირდება ფუტკრები საიდან მოდიან და სად ბრუნდებიან. მიყვება მათ ფრენის მიმართულებას და ფუღუროში მათ შესასვლელ-გამოსასვლელს რომ ნახავს, ხეს რაიმე შესამჩნევ ნიშანს გაუკეთებს: სცოდნიათ ჯვარის ამოჭრა, ხის დაჭდევება, ხეზე ქერქის ჩამოთლა, წრიული ჭდეების დასმა, ლურსმის დასობა, ან ლურსმით რკინის დაჭედება და სხვა. ამ საშუალებით მონადირე ფუტკარს დაეპატრონებოდა.

გაზაფხულის პერიოდში ფუტკრის მიგნების მეორე ხერხიც არსებობს. ფუტკრები, რომ პირველად გარეთ გამოვლენ, დაგროვილ ძველ უვარგის ნარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენებს: სანთელს, დინდგელს[1] მკვდარ ფუტკრებს ბუდიდან გარეთ გამოჰყრიან. თუ ზამთრის თოვლი ჯერ მთლად გამშრალი არ არის, ან ახლად დაფიფქულია მასზე დაყრილი „ჭუჭყი“ ძალიან იოლი დასანახია. თუ თოვლი ახალი აღებულია, ზამთრის განმავლობაში მიწა და ფოთლები იმდენად დატკეპნილია, რომ აღნიშნული „ჭუჭყი“ ადვილად შესამჩნევია.

ფუტკარზე მონადირე „საეჭვო“ ხეების ქვეშ თაგვების ხვრელსაც აკვირდება, რადგანაც თაგვებმაც ფუტკრებისაგან გადმოყრილი „ჭუჭყის“ ხვრელებში შეტანა იციან; ფუტკარზე „მონადირე“ რომ თაგვის ხვრელს შეამჩნევს, მას ფრთხილად მოთხრის და თუ ფუტკრის პროდუქტების ნიშნები ნახა, ეს იმის მომასწავებელია, რომ მახლობელ რომელიმე ხეში ფუტკარია.

გაზაფხულზე ფუტკარზე მონადირეები თბილ დღეებში უშუალოდ ხეებსაც აკვირდებიან და რადგანაც ხეს ფოთოლი ჯერ კიდევ არ აქვს, ხიდან გაფრენილ-მოფრენილი ფუტკრები ადვილი შესამჩნევია.

ფუტკარზე ნადირობა ზაფხულში: ზაფხულში მთა და ბარი, რომ აყვავდება ფუტკარი ჩვეულებრივად ყვავილებსა და მცენარეებს მოეფინება. ამ დროს ფუტკარზე მონადირეები იმ აყვავებულ მდელოებში მიდიან, სადაც ფუტკარი სარჩოს ეძებს და მის მახლობლად ტყეში ფუტკარი ეგულებათ, ფუტკარზე მონადირე მდელოში ცეცხლს დაანთებს და 25—50 გრ თაფლს, სანთელს ან დინდგელს დაწვავს. დამწვარი თაფლის თუ სანთელ-დინდგელის სუნი 150—200 მეტრის სიშორეზე მაინც იშლება. ამ არემარეში მყოფი ან გაფრენილი ფუტკრები დამწვარი თაფლის თუ სანთელ-დინდგელის სუნზე მოსვლას იწყებენ. მონადირე თაფლის თუ სანთელ-დინდგელის დაწვამდე, ან დაწვის შემდეგ, რამდენიმე ჯოხს თაფლს წაუსვამს და იქვე დაარჭობს, ან თაფლს (დაახლოებით 25 გრ) ორი, სამი პატარა ფინჯნით მაღლობ ადგილზე დადგამს. იქ მისული ფუტკარი თაფლს რომ ნახავს, რამდენი თაფლის წაღებაც შეუძლია წაიღებს და თავის ბუდისაკენ გაფრინდება. მაგრამ ისევ ჩქარა მობრუნდება რადგანაც მზა სარჩო ნახა. ამ ერთ ფუტკარს თუ პირველად ერთეული ფუტკარი მოყვა, რამდენიმე ხნის შემდეგ მთლიანად მათი ოჯახი მოჰყვება და თაფლით დატვირთული უკან წავა, ამ დროს მონადირე ფუტკრის მიმოსვლას უკვირდება საიდან მოდის და სად მიდის. საერთოდ ხალხის დაკვირვებით თაფლით დატვირთული ფუტკარი მიწის ზედაპირიდან 10—12 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს და მონადირეს ადვილად შეუძლია მათ მიმოსვლას თვალყური ადევნოს.

ფუტკარზე ამ ხერხით „ნადირობას“ ის ნაკლი ახლავს, რომ თუ ფუტკრებს რუ, ხევი, ან ჭალა აქვთ გასავლელი ისინი პირდაპირ ფრენით მიდიან, ადამიანს კი მათი გაყოლა არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში „მონადირე“ პირველად, რომ ფუტკრები მიიჩვია იქ მათთვის ყველაფერს მოსპობს და საიდანაც მათი გაყოლა აღარ შეუძლია იქიდან ქვევით ან გვერდზე ხევისკენ დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით იმავე საშუალებებს მიმართავს, როგორც პირველად აღვნიშნეთ და ფუტკრებიც ორი სამი საათის განმავლობაში მთლად იქ მივლენ, ასე გაიმეორებს რუისი, ხევის თუ ჭალის სიღრმეში ჩასვლამდე. შემდეგ კი კვლავ გაჰყვება ფუტკრების მიმოსვლას და მათ ბინას ნახავს.

იცოდნენ სხვა ხერხი, იმ ტყის მახლობლად სადაც ფუტკარი ეგულებათ ყვავილოვან მდელოზე რამდენიმე ადგილას კარჩხას (კაპიან შეშას) დაჰყუდებენ და მასზე თაფლიან ყანწს დაჰკიდებენ, ან თაფლს რაიმე ჭურჭლით მაღლა

[1] დინდგელი სანთლის მსგავსი შავი მასაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხეზე, ქვაზე, ბორცვზე და სხვა) დასდგამენ. მდელოში მისული ფუტკარი, რომ აღნიშნულ თაფლს ნახავს თავის ბინაში ზიდვას დაუწყებს, რამდენიმე ხნის შემდეგ მას ფუტკრებიც მოჰყვებიან და თანდათან მთელი ოჯახიც მივა თაფლის წასაღებად. მონადირე ყოველ ორ სამ დღეში ათვალიერებს თუ ფუტკრები მიჩვეულან, უკვირდება, ფუტკრები საით მიდიან და მოდიან, მიჰყვება მათ მსვლელობას და იპოვის იმ ფუღურო ხეს სადაც ისინი ცხოვრობენ. ამ ხერხით ფუტკარზე ნადირობა იმითაა უარყოფითი, რომ კარჩხაზე ყანწით ჩამოკიდებულ, ან ძირს დადგმულ თაფლს ფუტკრის გარდა სხვა მჭამელიც ბევრი ჰყავს. მაგალითად: კვერნა, მლავი, თაგვი, ფრინველები, ქვეწარმავალნი და სხვა. შეიძლება თაფლი წვიმამაც გააფუჭოს, ან მზემ ამოაშროს. ასეთი საშუალებით ნადირობის დროს მონადირეს ბევრი თაფლი ეხარჯება და ამ მიზეზის გამო, ამ ხერხს იშვიათად ხმარობენ.

ფუტკრის მისაზიდად ზოგჯერ ცხოველის ან ადამიანის შარდიც გამოუყენებიათ, მაგრამ ფუტკარი, შარდს ნაკლებად ეტანება, ამის შესახებ გუდამაყრის სოფ. თორელათას მცხოვრები გიგოლა ბექაურის გადმოცემით ზოგჯერ ფუტკარი შარდით, რო „გაძღება“ თავის ბინაში კი არ წავა, იქვე ყვავილების წუწნას დაიწყებს, ამიტომ ფუტკარზე მონადირეები ხშირად ვერც კი გებულობენ ფუტკრები შარდთან საიდან მოდიან და სად მიდიან-“ო. ფუტკარზე ამ წესით ნადირობა, მხოლოდ იმ მხრივ ყოფილა ხელსაყრელი, რომ შარდს ფუტკრების გარდა სხვა მწერები ახლოს არ ეკარება. ამავე დროს შარდს მიჩვეული ფუტკრები მის ახლო-მახლო ტრიალებენ და მონადირეს დაკვირვების საშუალება ეძლეოდა....

ზაფხულის ამავე პერიოდში მონადირეებმა იცოდნენ, სადაც ფუტკარი ეგულებოდათ იმ ტყის მახლობლად მდელოში მზის ჩასვლის დროს, დაბნელებამდე ფუტკრების ფუსფუსზე დაკვირვება. ამ დროს ფუტკრები ერთი ყვავილიდან მეორეზე, რომ გადაფრინდებიან თანდათან იმ მიმართულებით მიდიან საითაც მათი ოჯახია დაბინავებული. მონადირე უკვირდება ფუტკრების მსვლელობას, თანდათან მიჰყვება და თუ მათ ადგილ-სამყოფელს ზუსტად ვერ მიაგნო დააზლოებით მაინც გაარკვევს სად არიან და ეცდება მათი ბინა ნახოს.

ფუტკარზე ნადირობა შემოდგომაზე: შემოდგომაზე როცა იმდენად აცივდება, რომ ფუტკრებს ფრენა აღარ შეუძლიათ ფუღურო ხეში მოთავსდებიან, თუ ის ფუღურო ხე ზაფხულში დათვს აქვს ნახული, აუცილებლად მივა და ფუტკრის ნეში შესასვლელ-გამოსასვლელს კბილებით ღრღნას და თათების საშუალებით გამოთხრას დაუწყებს, რომ ფუტკრებს თაფლი შეუჭამოს. მართალია ფუტკარს და მის თაფლს დათვი ზაფხულშიაც ჭამს. მაგრამ ძალიან გამონაკლის შემთხვევაში, რადგანაც ზაფხულში დათვი ერთი მხრივ, საჭმელს უხვად პოულობს, მეორე მხრივ ფუტკრების დაკოდვა-დაკბენისა ეშინიან, გვიან შემოდგომაზე კი, ფუტკრებს, ფრენის უნარი რომ აღარ აქვთ მათ დათვი დაუპატიჟებლად მიადგება. დათვის ეს თვისება ხალხმა იცოდა და თუ ტყეში სადმე დათვისაგან დაღრღნილ-დაკაწრულ ხეს შეხვდებოდნენ ვარაუდობდნენ, რომ მასში ფუტკარი იქნებოდა.

ტყიურ ფუტკარს ხშირად ნახულობდნენ გარეულ ცხოველებზე (დათვზე, ირემზე, შველზე და სხვა) ნადირობის დროს, ან შემოდგომაზე ქალები და ბავშვები გარეული მცენარეების: წაბლის, თხილის, წიწიბოს და სხვათა ნაყოფის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსაკრეფად ტყეში გასულნი აკვირდებოდნენ ხეებსაც სადაც ფუტკარი ეგულებოდათ.

ფუტკარზე ნადირობა ზამთარში: ხის მღრღნელ ცხოველებს შორის ფუტკარს ყველაზე მეტად კვერნა ეტანება, თუ მან ზაფხულში ფუტკარი ფუღურო ხეში ნახა (დათვივით) ერთ მხრივ, მისთვის უხვი საკვების არსებობის გამო და მეორე მხრივ, დაკოდვა-დაკბენის შიშით აღნიშნულ ხეს ახლოს არ მიეკარება. მხოლოდ ზამთარში კი ფუტკრებს რომ სიცივისაგან თავდაცვის უნარი აღარ აქვთ, შიმშილით შეწუხებული კვერნა ხსენებულ ხესთან ხშირ-ხშირად მიდის და ყოველგვარ ძალას ხმარობს ფუტკრების თაფლით გამოკვებოს, ასევე იქცევიან სხვა მღრღნელი ცხოველებიც ფუტკრის მიმართ.

ზამთარში, როდესაც ყველაფერი თოვლით დაიფარება (განსაკუთრებით ახალ-ახალი თოვლი, რომ მოვა) ფუტკარზე და კვერნაზე მონადირეები სანადიროდ იმ ტყეში მიდიან, სადაც ისინი ეგულებათ ფუტკარზე მონადირე პირველ რიგში ფუტკრის და შემდეგ კვერნის მიგნებითაა დაინტერესებული, კვერნაზე მონადირე კი პირველად კვერნის და შემდეგ ფუტკრის მოპოვებით.

მონადირე რომ ფუღურო ხის ირგვლივ თოვლზე კვერნის ბევრ ნავალს ნახავს, ხეს დააკვირდება და თუ ხეში ფუტკრის შესავლელ-გამოსავლელი ნახა და ნოემბერი ან დეკემბერია, ხეს მაშინვე მოჭრის და თაფლს გამოიღებს, თუ შემდეგი თვეებია მან იცის რომ ფუტკარს თაფლის ნაწილი შეჭმული აქვს და ხეს არ მოჭრის, მხოლოდ ზემოაღნიშნულ რომელიმე ნიშანს დაადებს, რომ სხვამ არ მიითვისოს. თუ ხეს ფუტკრების შესავლელ-გამოსავლელი არა აქვს და კვერნის შესაძრომი კი აქვს, მაშინ კვერნა იქნება და მონადირე მას კვამლის საშუალებით დააღრჩობს, ხეს მოჭრის და მკვდარს გამოიღებს.

ხაშურის რაიონის სოფ. ალში მცხოვრები გოგია სანდროს-ძე ნოზაძის თქმით — ზამთარში, როდესაც თოვლს დადებს, ტყის ფუტკრით დაინტერესებული პირები იმ ტყეში წავლენ, სადაც ფუტკარი ეგულებათ. ზამთარში ფუღურო ხეში მცხოვრებ ფუტკრებს შორის, რომელიმე რომ მოკვდება მას ფუტკრები გარეთ გამოაგდებენ და თოვლზე დავარდნილი ადვილი შესამჩნევია. მას რომ ფუტკრის მძებნელი ნახავს, მის ახლოს ხეებს დაათვალიერებს და რომელიმე ხეში აღმოსავლეთის მხარეზე „სათოლეს“ (ნახვრეტს) რომ ნახავს, ხეს ცულის ყუას ან სხვა რამეს რამდენჯერმე მაგრად დაჰკრავს და ხეს ყურს დაადებს, თუ მასში ფუტკრებია აუცილებლად ბზუილს დაიწყებენ და ხეს მონადირეც დაეპატრონება... თუ ბზუილი არ დაიწყეს სხვა ხეს დაათვალიერებს და ფუტკარს ასე მოძებნიან. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ფუტკარზე მონადირეების ერთი წყება, უფრო ერთ რომელიმე ხერხსაა შეწყობილი, ანუ როგორც იქ იტყვიან „მიგეშილი“ მეორე წყება მეორეს და ა. შ.

ზაფხულის განმავლობაში ფუტკარი, რომ თაფლს და სანთელს დააგროვებს შემოდგომაზე, მისი ნაწილის შეჭმაც, რომ ვერ მოასწრონ, მონადირე გალესილი ცულით თავის მოპოვებულ ფუღურო ხეში არსებულ ფუტკართან მივა ხეს მოსჭრის და თაფლ-სანთელს სახლში წაიღებს..... თუშესაძლებლობა არსებობს. ხის იმ ნაწილს, რომელშიაც ფუტკარია მოთავსებული თავ-ბოლოს გადაჭრის და ფუტკარს მათი სმყოფი ხით და საკვები მარაგით სახლში წაიღებს მოსაშენებლად. ცნობილია რომ გარეული ფუტკარი ხეების გარდა კედლებში და კლდეებშიაც არსებობს: მაგალითად დუშეთის რაიონის, ანანურის ტაძარში შესასვლელი კარის თავს ფუტკრის ოჯახი დღესაც იმყოფება, ამავე რაიონის გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაყრის, სოფ. საჩალისჭალის მახლობლად კლდეში და ახალციხის რაიონის ვარძიის კლდეში ფუტკრის ოჯახები უხსოვარი დროიდან არსებობენ და სხვა.

ქართული ფუტკრის უპირატესობა მსოფლიოში ცნობილია: თავისი ამტანიანობით და პროდუქტიულობით. ქართული ფუტკარი ყველა სხვა ქვეყნის ფუტკართან შედარებით გრძელი ხორთუმით ხასიათდება (7,2 მმ). ამიტომ არის რომ სხვადასხვა ქვეყნებში საჯიშედ ქართული დედა ფუტკარი მიჰყავთ...

როგორც შინაურ ისე ტყიურ ფუტკარს ქართველი ხალხი ოდითგანვე კარგად იცნობდა, მისი მოპოვებისა და მოშინაურების წესებიც საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა გამოცდილების ნიადაგზეა შემუშავებული.

М. Е. КЕДЕЛАДЗЕ

## ОХОТА НА ЛЕСНУЮ ПЧЕЛУ


Резюме

Исторически в хозяйственном быту грузинского народа пчеловодство занимало значительное место. Продукты пчеловодства использовывались не только для питания и освещения, но широко применялись и в народной медицине.

Поскольку продукция домашней пчелы не покрывала всей народной потребности в них, то распространение имела охота на лесную пчелу.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. გ. თევზაძე, საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ისტორიიდან 3

2. დ. ქორიძე, ახლად აღმოჩენილი არქაული ცული სოფელ ყიზილ-აჯლოდან . 23

Д. С. Коридзе, Новообнаруженный вислообушный топор из села Кизил-аджло (резюме). . . . . . . . . . . 30

3. Л. А. Чилашвили, Некоторые моменты археологического исследования Урбниси (резюме). . . . . . . . 33

4. ო. ტყეშელაშვილი, გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხი ნავთლუღიდან . 49

О. В. Ткешелашвили, Погребение эпохи поздней бронзы в Навтлуги (резюме). . . . . . . 53

5. თ. აბრამიშვილი, ოჩამჩირეში აღმოჩენილი სპილენძის ბიზანტიური მონეტები 55

Т. А. Абрамишвили, Находка Византийских медных монет из Очамчири (резюме) . . . . . . . . 74

6. რ. ქებულაძე, საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის საკითხისათვის 75

Р. В. Кебуладзе, К вопросу об обращении польских монет (резюме) . 90

7. ვ. გამრეკელი, ისტორიული მასალები დვალეთიდან . . . . 91

В. Гамрекели, Исторические материалы из Двалети (резюме) . . 103

8. პ. ზაქარაია, XVI — XVIII საუკუნეების სასახლეები . . . . 105

9. ავთ. იოსელიანი, რუსთველოლოგიური ლიტერატურული აზროვნების ისტორიიდან... . . . . . . . . . . . . . 143

А. Иоселиани, По поводу неизвестного произведения Ионы Хелашвили «Сарке сулиери мемхолоета» (резюме) . . . . . . . . 155

10. გ. ჯალაბაძე, სამიწათმოქმედო იარაღები ფშავში . . . . . 157

Г. В. Джалабадзе, Земледельческие орудия труда в Пшави . . . 183

11. ნ. რეხვიაშვილი, სალოცავი „მზიერი“ (გიუნე) . . . . . 187

Н. Ь. Рехвиашвили, Культовый камень «гюне» (солнечный) (резюме) . 231

12. მ. კედლაძე, ტყის ფუტკარზე „ნადირობის“ სხვადასხვა ხერხები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში . . . . . . . 233

М. Е. Кеделадзе, Охота на лесную пчелу (резюме) . . . . 237

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი შ. ხანთაძე

გამომცემლობის რედაქტორი აკ. იაკობაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი რ. ფარესიშვილი

გადაეცა წარმოებას 22.6.1963; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.1.1964;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდის ფურცელი 8,31; საბეჭდი ფურცელი 22,77;
საავტორო ფურცელი 18,37; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,81;
შეკვეთა 871; უე 02603; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 34 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ., № 3/5

ფასი 1 მან. 34 კ.

32/47

ეროვნული ბიბლიოთეკა